6. განემარტოს სახლმფლობელებსა და ბინის დამქირავებელ მოქალაქეებს, რომლებიც გამოუყოფენ ბინებსა და ოთახებს „ზაკმეტალურგსტროის“ შეთანხმებით, რომ მათ მიერ ჩაბარებული ბინები და ოთახები დაუბრუნდება მათ „ზაკმეტალურგსტროის-თან“ დადებულ ხელშეკრულებებში აღნიშნულ ვადებში.

7. დაევალოს „ზაკმეტალურგსტროის“ სამმართველოს მტკიცედ დაიცვას ცალკეულ მოქალაქეებთან—სახლმფლობელებთან და ბინის დამქირავებლებთან ბინებისა და ოთახების დაქირავებაზე დადებულ ხელშეკრულებათა პირობები.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 7 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 446

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ზემო-სვანეთის რაიონის ელბრუსის სასოფლო საბჭოში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაინიშნოს ამხ. პ. კ. კობახიძე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულად ზემო-სვანეთის რაიონის ელბრუსის სასოფლო საბჭოში.

იმ ხელფასის შესანარჩუნებლად, რომელსაც წინათ იღებდა, დაუწესდეს სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულს ელბრუსის სასოფლო საბჭოში ამხ. კობახიძეს ხელფასის თვიური განაკვეთი 1500 მანეთის რაოდენობით.

დაევალოს ფინსახკომს ყოველთვიურად გადმოურიცხოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას საჭირო თანხა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხელფასით საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული ელბრუსის სასოფლო საბჭოში რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სამმართველო ხარჯების ეკონომიის ანგარიშზე.

2. დაევალოს ზემო-სვანეთის რაიონის ელბრუსის სასოფლო

საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უცილობლივ შეასრულონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულის ამხ. კობახიძის განკარგულებანი და მითითებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 8 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 448

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

განვლილ წყალდიდობასთან დაკავშირებით მთავრობის კომისიის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეიქმნას მთავრობის კომისია ამხ. ს. გ. ხოშტარიას თავმჯდომარეობით და ამხ. გ. ზამბახიძის (წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატი), ანანიაშვილისა (კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი) და თალაკვაძის (გზათა მთავარი სამმართველო) შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს გამოარკვიოს საქართველოს ზოგიერთი რაიონისათვის წყალდიდობით მიყენებული ზარალის რაოდენობა და მიიღოს საჭირო ზომები წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის (დაღუპული ნათესების ხელახლა დათესვა, წალეკილი ადგილების აღდგენა, მდინარეთა განსაკუთრებით საშიში ნაპირების გამაგრება, გზებისა და პატარა ხიდების აღდგენა და სხვ.).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 9 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 449

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის ბიბლიოთეკის ლიტერატურული პროდუქციის სავალდებულო ეგზემპლარით უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 4 დეკემბერს „უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდებისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სავალდებულო სასიგნალო ეგზემპლარების გადაცემის შესახებ“ მიღებული № 2302 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ პოლიგრაფიულ საწარმოებს მათ მიერ დამზადებული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა სავალდებულო ეგზემპლარები გადასცენ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალს ერთი ეგზემპლარი ლიტერატურული პროდუქციის იმ სამი სავალდებულო ეგზემპლარიდან, რომლებსაც საქართველოს სსრ მთავლიტი ღებულობს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 452

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ლ. ს. ვათეიშვილის საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ (კადრების დარგში) დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ლევან სიმონის-ძე ვათეიშვილი საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ კადრების დარგში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 11 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 455

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობათათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ

დიდი მოსავლისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის კოლმეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1944 წელს დიდი მოსავლისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობათათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 10 გარდამავალი წითელი დროშა, აქედან: 5 გარდამავალი წითელი დროშა—დიდი მოსავლისათვის და 5 გარდამავალი წითელი დროშა—საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს შეაჯამოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და ჩააბაროს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობებს წელიწადში 3-ჯერ შემდეგ პერიოდებში:

შეჯიბრებაში დიდი მოსავლისათვის:

ა) პირველად—საგაზაფხულო თესვის გეგმის დაწესებულ ვადებში და კარგი ხარისხის მუშაობით მხლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის—1944 წლის 1 ივლისს;

ბ) მეორეჯერ—მოსავლის აღების, საანეულო ხვნის, საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის გეგმების დაწესებულ ვადებში შესრულებისათვის—1944 წლის 10 დეკემბერს;

გ) მესამეჯერ—წლის შედეგების მიხედვით ყველა სასოფლო-სა-

შეურნეო მუშაობის გეგმის შესრულებისა და სახელმწიფო ჩაბარებისა და ნატურანაზღაურების ვალდებულებათა შესრულებისათვის.

საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის:

ა) პირველად—მეცხოველეობის გამოზამთრებისა და განვითარების შედეგებისათვის 1944 წლის 1 ივნისს არსებული მდგომარეობის მიხედვით;

ბ) მეორეჯერ—მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის შედეგებისათვის 1944 წლის 1 ოქტომბერს არსებული მდგომარეობის მიხედვით;

გ) მესამეჯერ—წლის შედეგების მიხედვით საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებისა, ყველა სახის პირუტყვის სულადობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებისათვის.

3. აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომმა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებმა წარუდგინონ საქართველოს სსრ მიწსახკომს მეორე პუნქტში აღნიშნულ ვადებში იმ კოლმეურნეობათა სიები, რომელთაც მოსავლიანობისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის მხრივ მთელს რაიონში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 9 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 457

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სახალხო სასამართლოთა სადგომების რემონტისათვის სახსრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მიმდინარე წლის ბიუჯეტით სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა შენახვისათვის გამოუყენებელ ასიგნობათა ხარჯზე მისცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს 200 ათასი მანეთი სახალხო სასამართლოთა სადგომების რემონტისათვის, რაც განაწილდეს ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქებსა და რაიონებს შორის შემდეგნაირად:

აჭარის ასსრ	15.000 მანეთი
აფხაზეთის ასსრ	15.000 „
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს	10.000 „
ჩხარის რაიონს	5.000 „
ცაგერის „	10.000 „
ქალაქ ფოთს	8.000 „
ზუგდიდის რაიონს	8.000 „
ცხაკაიას „	8.000 „
ზესტაფონის „	10.000 „
სამტრედიის „	20.000 „
ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონს	15.000 „
„ ორჯონიკიძის რაიონს	10.000 „
„ მოლოტოვის „	15.000 „
„ ლენინის „	5.000 „
„ კიროვის „	5.000 „
„ ბერიას „	5.000 „

ჭიათურის რაიონს . . . . . 10.000 მანეთი
ონის „ . . . . . 5.000 „
ბოგდანოვკის „ . . . . . 5 000 „
თეთრიწყაროს „ . . . . . 5.000 „
საგარეჯოს „ . . . . . 6.000 „
ქარელის „ . . . . . 5.000 „

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და ამ დადგენილების I-ლ პუნქტში აღნუსხულ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს მიიღონ საჭირო ზომები და უზრუნველჰყონ სახალხო სასამართლოთა სადგომების კაპიტალური რემონტის ჩატარება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 12 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 458

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს, 1944 წლის მოსავლიდან დაწყებული, აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ დაწესებული რაიონობლივი წლიური ნორმები აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებისა ყოველ ჰექტარ სახნავ მიწაზე (ცილოგრამობით):

	კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ მტს-ები
გაგრის	12
სოხუმის	13
გულრიპშის	15

2. განთავისუფლებულ იქნან 1944 წლის მოსავლის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებისაგან აფხაზეთის ასსრ გალის, ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 12 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 459

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 30 აპრილის № 9549-გ განკარგულების შესაბამისად და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 16 მაისის № 863 და 1944 წლის 6 აპრილის № 335 დადგენილებების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს, 1944 წლის მოსავლიდან დაწყებული, საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა მიერ ყოველ ჰექტარ სახნავ მიწაზე კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი რაიონობლივი წლიური ნორმები (კილოგრამობით):

რაიონები	კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მტს-ები	კოლმეურნეობანი. რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ მტს-ები
1. ადიგენის	—	52
2. ასპინძის	—	29
3. ახალქალაქის	20	23
4. ახალციხის	100	115
5. ბაშქირეთის	45	52
6. ბოგდანოვკის	15	17
7. ბორჩალოს	5	6
8. ბორჯომის	—	69
9. გორის	5	6
10. გურჯაანის	2	2,3
11. დუშეთის	10	12
12. თბილისის	3	3,5
13. თელავის	1	1,2

რაიონები	კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მტს-ები	კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ მტს-ები
14. თეთრიწყაროს	40	46
15. თიანეთის	10	12
16. კასპის	3	3,5
17. ლაგოდეხის	5	6
18. ბოლნისის	15	17
19. საგარეჯოს	7	8
20. სიღნაღის	1	1,2
21. ქარელის	4	4,6
22. ყარაიის	6	7
23. წალკის	60	69
24. ხაშურის	5	6
25. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	10	12
26. ონის	—	20
27. საჩხერის	—	10
28. ჰიათურის	—	2,6
29. აფხაზეთის ასსრ	3	3,5
30. აჭარის ასსრ	—	200

2. განთავისუფლებულ იქნან სახელმწიფოსათვის 1944 წლის მოსავლის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებისაგან საქართველოს სსრ მცხეთის, წითელწყაროს, ყვარლის, ტყიბულის, ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონების კოლმეურნეობანი.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 12 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 460

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 6 მაისის № 9951-გ განკარგულების შესაბამისად და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 18 მარტის № 489 დადგენილების გასაუქმებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს, 1944 წლის მოსავლიდან დაწყებული, საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა მიერ თითო ჰექტარ სახნავ მიწაზე ბოსტნეულის (კომბოსტოს, თავიანი ხახვის, კიტრის, სტაფილოს, სუფრის ჭარხლისა და პომიდორის) სავალდებულო ჩაბარების შემდეგი რაიონობლივი წლიური ნორმები (კილოგრამობით):

რაიონები	კომბოსტო	თავიანი ხახვი	კიტრი	სტაფილო	ჭარხალი	პომიდორი
1. ადიგენის რაიონი	20	—	—	—	—	—
2. ასპინძის „	5	—	—	—	—	—
3. ახალქალაქის „	15	—	—	1	1	—
4. ახალციხის „	25	10	2	1	2	4
5. ბაშქირეთის „	7	—	—	—	—	—
6. ბორჩალოს „	1	10	1	—	—	2
7. ბორჯომის „	20	5	—	2	—	10
8. გორის „	48	2	3	6	3	15
9. გურჯაანის „	2	2	—	—	—	—
10. დუშეთის „	5	—	3	—	—	3
11. თბილისის „	15	4	3	6	13	40
12. თელავის „	2	2	—	—	—	—

რაიონები	ქომბოსტო	თავიანი ხახვი	კიტრი	სტაფილო	პარსკალი	პომიდორი
13. თეთრიწყაროს რაიონი	10	2	—	—	—	4
14. ქასპის „	25	4	2	—	2	6
15. ბოლნისის „	8	12	3	—	—	—
16. მცხეთის „	35	8	18	3	10	75
17. საგარეჯოს „	7	2	—	—	1	2
18. სიღნაღის „	—	2	—	—	—	—
19. ქარელის „	30	3	—	2	5	2
20. ყარაიის „	100	110	10	22	30	40
21. ყვარლის „	—	2	—	—	—	—
22. წალკის „	30	—	—	2	2	—
23. ხაშურის „	15	4	1	2	1	5
24. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	12	1	—	1	1	3
25. აბაშის რაიონი	2	4	4	—	—	7
26. ვანის „	—	45	—	—	—	—
27. სამტრედიის „	50	15	5	6	3	150
28. საჩხერის „	5	2	—	—	—	3
29. ქუთაისის „	28	10	10	12	4	175
30. წულუკიძის „	15	—	—	—	—	40
31. წყალტუბოს „	4	—	10	—	—	165
32. ჭიათურის „	3	1	1	—	—	3
33. აფხაზეთის ასსრ	6	1	2	1	1	10

2. აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭომ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომმა დააწესონ და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინონ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების წლიური ნორმები რაიონების მიხედვით რესპუბლიკისა და ოლქის შიგნით იმ ანგარიშით, რომ სავსებით იქნას დაცული ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების ნორმები, რაც დაწესებულია მთლიანად რესპუბლიკისა და ოლქისათვის.

3. განთავისუფლებულ იქნან 1944 წელს ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან, მცირესაქონლიანობის გამო, ბოგდანოვკისა და წითელწყაროს რაიონები.

4. ჩამოეწეროს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს ბოსტნეულის ჩაბარების გასული წლების დავალიანება 6757 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონებისა და კულტურების მიხედვით, თანახმად დანართისა.

5. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულებს დაუყოვნებლივ გააფორმონ ბოსტნეულის ჩაბარების გასული წლების ნარჩენების ჩამოწერა ცალკეული კოლმეურნეობებისაგან იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარქვიანი.**

1944 წლის 12 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წ. 12/V № 460 დადგენილების დანართი

ბოსტნეული კულტურების ჩაბარების გასული წლის ნარჩენები, რაც ჩამოწერილ უნდა იქნას

რაიონები	სულ	კომბოსტო	თავიანი ბოსტნეული	კიტრი	სტაფილო	სუფრის ჭარხალი	პომიდორი
აბალციხის	54	54	—	—	—	—	—
ბაშჭიჩეთის	31	31	—	—	—	—	—
ბორჩალოს	152	—	152	—	—	—	—
თბილისის	24915	3985	3004	816	1516	968	14626
თელავის	89	29	60	—	—	—	—
ბოლნისის	780	28	579	76	22	75	—
მცხეთის	2442	404	575	739	—	125	599
სიღნაღის	13	4	9	—	—	—	—
ყარაიის	35578	19037	11746	1007	878	1036	1874
ყვარლის	5	—	5	—	—	—	—
ხაშურის	80	—	21	—	—	40	19
წულუკიძის	471	324	—	—	85	—	62
აფხაზეთის ასსრ	2960	751	486	193	384	335	811
სულ	67570	24647	16637	2831	2885	2579	17991

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 461

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. გ. ბ. ჩიკვაიძისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაენიშნოს 1944 წლის 1 მაისიდან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. გ. ბ. ჩიკვაიძეს ხელფასის პერსონალური განაკვეთი თვეში 1400 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 462

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1943 წლის მოსავლის ტუნგოს ნაყოფის გადამუშავების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას 1943 წლის მოსავლის ტუნგოს ნაყოფის მთელი რაოდენობის გადამუშავება 1944 წლის 1 ნოემბრამდე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კეცხოველს და ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მმართველს ამხ. სარჯველაძეს დასდგან ქობულეთის ტუნგოს ქარხანაში სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ ლენინგრადიდან გამოყოფილი საექსპელერო წნეხი იმ ანგარიშით, რომ აღნიშნულ ქარხანაში ტუნგოს ზეთის გამომუშავება აყვანილ იქნას 1944 წლის 1 ივლისიდან 40 ტონამდე ყოველთვიურად.

2. წინადადება მიეცეს „საქართველოს ჩაის“ მმართველს ამხ. სარჯველაძეს:

ა) დაუყოვნებლივ შეუდგეს მოსამზადებელ სამუშაოებს იმ ანგარიშით, რომ საექსპელერო წნეხის მიღების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში დააშენტაჟოს იგი ქობულეთის ტუნგოს ქარხანაში;

ბ) მიავლინოს ლენინგრადში მუშაკი წნეხის გამოგზავნის დასაჩქარებლად;

გ) გაფართოოს ქობულეთის ტუნგოს ქარხნის სახმობი საამქრო და აიყვანოს მისი სიმძლავრე 10% ტენიანობის 20 ტონა ხმელ ნაყოფამდე, რისთვისაც დასდგას სახმობ საამქროში მეორე აგრეგატი.

3. მობილიზებულ იქნან და ტრესტ „საქართველოს ჩაის“ განკარგულებაში გაიგზავნონ ქობულეთის ტუნგოს ქარხნის გაფართოების ხაზით სამუშაოდ შემდეგი სპეციალისტები: მექანიკოსი ა. მილოგრადოვი—შამპანური ღვინის კომბინატიდან, ინჟინერ მექანიკოსი

ი. ბრატი—ორჯონიკიძის სახელობის საარტილერიო ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი და მექანიკოს-მემონტაჟე ბატუკოვი—ქობულეთის რაიაღმასკომიდან.

4. დაევალოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ფუტკარაძეს და საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ბეჭვაიას საჭირო დახმარება გაუწიონ ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ქობულეთის ტუნგოს ქარხნის გაფართოების საქმეში, რისთვისაც შიაწოდონ მას მუშახელი და დააწესონ კონტროლი ტუნგოს ქარხნის მუშაობისადმი.

5. დაევალოს ქარხანა „ცენტროლიტის“ დირექტორს ამხ. სიხარულიძეს 1944 წლის 15 მაისამდე ჩამოასხას ერთი კბილანა ტუნგოს ქარხნის წნეხისათვის ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ნახაზების მიხედვით.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ძ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 12 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 463

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ჯანსახკომის ფარმქიმმრეწვის სამმართველოს უფროსის ამხ. მოისწრაფიშვილისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაენიშნოს 1944 წლის 1 მაისიდან საქართველოს სსრ ჯანსახკომის ფარმქიმმრეწვის სამმართველოს უფროსს ამხ. კ. ი. მოისწრაფიშვილს ხელფასის პერსონალური განაკვეთი თვეში 1.300 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 464

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. პერვუხინის წერილი ქუთაისის ლიტოპონის ქარხნისათვის იმ ბაგირგზის გადაცემის შესახებ, რომელიც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ეკუთვნის

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გადაეცეს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის ლიტოპონის ქარხანას $2^1/_2$ კილომეტრიანი საჰაერო ბაგირგზა მთელი თავისი მოწყობილობით, რომელიც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს სამგურალის ტუფის კონსერვირებულ მშენებლობას ეკუთვნის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 465

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქალაქო და რაიონული აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა გამგეების თათბირის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ა. წ. 25 მაისს მოიწვიოს საქალაქო და რაიონული აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა გამგეების თათბირი.

დაევალოს ამხ. თარგამაძეს მონაწილეობა მიიღოს თათბირის მუშაობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 466

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოების მიერ დამზადებული შემფრქვევების, სიმინდის ხელის საფშვენებისა და ნიჩბების დროებითი გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დროებით საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის მიერ დამზადებული შემფრქვევების, სიმინდის ხელის საფშვენებისა და ნიჩბების შემდეგი გასაცემი ფასები:

შემფრქვევი „ავტომაქსი“	335	მან. კომპლექტი
სიმინდის ხელის საფშვენი	100	„ ცალი
2 მ/მ რკინისაგან გამოჭედილი ნიჩბები წვრილით 2 კგ	15	„ ცალი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 469

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

გზების მშენებლობისა და რემონტის ხაზით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა და ფულადი პრემიების მიკუთვნების წესის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს რესპუბლიკური ჟიურის მიერ წარმოდგენილი დებულება გზების მშენებლობისა და რემონტის ხაზით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა და ფულადი პრემიების მიკუთვნების შესახებ (იხ. დანართი).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 მაისი.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახ-
კომსაბჭოს ა/წ 13 მაისის № 469
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რესპუბლიკური და ადგილობრივი გზების მშენებლობისა და რემონტის დარგში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მიკუთვნების შესახებ

1. საგზაო-სარემონტო და საგზაო-სამშენებლო სამუშაოთა გეგმების გადაჭარბებით შესრულების სტიმულირებისათვის და რაიონებსა, საგზაო-საექსპლოატაციო და სამშენებლო უბნებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების მიზნით, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 აპრილის № 421 დადგენილებით დაწესებულია ორი გარდამავალი წითელი დროშა რაიონებისათვის და ერთი გარდამავალი წითელი დროშა—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს საგზაო-საექსპლოატაციო და საგზაო-სამშენებლო უბნებისათვის და ფულადი პრემიები თითო 10,0 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები მიეკუთვნება:

ა) რაიონებს—სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის და რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ახალი გზებისა და ხიდების მშენებლობის, არსებული გზების რემონტისა და მოვლა-პატრონობის დაწესებული გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის;

ბ) მთავარ საგზაო სამმართველოს საგზაო-საექსპლოატაციო და საგზაო-სამშენებლო უბნებს—რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებისა და ხელოვნურ ნაგებობათა კაპიტალური მშენებლობის, რემონტისა და მოვლა-პატრონობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეში მიღწეული საუკეთესო რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის, სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებასთან და ხელფასის ფონდის დაზოგვასთან ერთად.

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშებს და ფულად პრემიებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ მიაკუთვნებს რესპუბლიკური ჟიური.

4. მთელ საანგარიშო მონაცემებს, რომლებიც საჭიროა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად და საქართველოს

სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა და ფულადი პრემიების მისაკუთვნებლად, რაიონები, საგზაო-საექსპლოატაციო და საგზაო-სამშენებლო უბნები წარუდგენენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არაუგვიანეს 12 რიცხვისა.

რესპუბლიკური ჟიური წარმოდგენილ მონაცემებს განიხილავს და გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მიკუთნების შესახებ გადაწყვეტილებას გამოიტანს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არაუგვიანეს 20 რიცხვისა.

5. იმ მეშებსა, კოლმეურნეობებსა და ინჟინერ ტექნიკურ პერსონალს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტად ისახელეს თავი, ფულად პრემიებს გაანაწილებენ:

ა) რაიონებში—სათანადო რაიაღმასკომების თავმჯდომარეები;

ბ) საგზაო-საექსპლოატაციო და საგზაო-სამშენებლო უბნებში—მთავარ საგზაო სამმართველოს სათანადო უბნების უფროსები პროფკავშირის ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობით.

საგზაო განყოფილებათა გამგეებსა და უბნების უფროსებსა და მათს მოადგილეებს შორის კი პრემიებს გაანაწილებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს უფროსი.

პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თვენახევრის ხელფასს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 470

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

აბაშის რაისამომხმარებლო საზოგადოების დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების აბაშის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1944 წლის 29 მარტის დადგენილება და ნება მიეცეს აბაშის რაისამომხმარებლო საზოგადოების გამგეობას დაამუშაოს 1944 წელს 6 ჰექტარი კოლმეურნეობათა მიწები, აქედან: 1-ლი მაისის სასოფლო საბჭოს „ლენინის გზის“ სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან — 1 ჰექტარი, 1-ლი მაისის სასოფლო საბჭოს „წითელი არმიელის“ სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან — 1 ჰექტარი, 1-ლი მაისის სასოფლო საბჭოს მახარაძის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—1 ჰექტარი, ონტოფოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან — 1 ჰექტარი და მარნის სასოფლო საბჭოს სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან 2 ჰექტარი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 471

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საშუალო სკოლების 8—9 კლასებისა და პედსასწავლებლებისა და ტექნიკუმების 1—2 კურსების მოსწავლეთა 15-დღიან საბანაკო შეკრებათა ჩატარების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1942 წლის 24 ოქტომბერს დამტკიცებული „სამოქალაქო სასწავლებლების მოსწავლეთა დაწყებითი და საწვევამდელო სამხედრო მომზადების დებულების“ შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს:

ა) 20 ივნისიდან ჩაატარონ საშუალო სკოლების 8—9 კლასებისა და ტექნიკუმებისა და პედსასწავლებლების 1—2 კურსების მოსწავლე ახალგაზრდათა 15-დღიანი საბანაკო შეკრებები;

ბ) პერსონალური პასუხისმგებლობა საბანაკო შეკრებათა ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის დაეკისროს სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა გამგეებსა და საქალაქო და რაიონულ სამხედრო კომისარიატებს;

გ) საბანაკო შეკრებათა დაწყებამდე ჩაატარონ ქალ. თბილისში საბანაკო შეკრებათა უფროსების, მათი მოადგილეებისა პოლიტნაწილში და შეკრებათა სასწავლო-სამწყობრო ნაწილის უფროსების 3-დღიანი სასწავლო-მეთოდური სემინარი;

დ) უზრუნველჰყონ საბანაკო შეკრებები სასწავლო-თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით, სასწავლო-საბრძოლო იარაღითა და საომარი შასალებით.

2. დამტკიცდეს მოსწავლეთა კონტინგენტი, რომელმაც საბანაკო შეკრებები უნდა გაიაროს, და საბანაკო პუნქტების დისლოკაცია საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მიხედვით (იხ. დანართი).

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) უზრუნველჰყონ საბანაკო შეკრებები მოსწავლეთა გასანწილებელი სადგომებით, სასადილოებისა და საკვები ბლოკების მოწყობილობით, სათბობით, განათებითა და აგრეთვე ინვენტარისა და პროდუქტების გადასაზიდი ტრანსპორტით;

ბ) ადგილობრივი ფეხსაცმლის საკერავი და სარემონტო სახელოსნოების საშუალებით დახმარება აღმოუჩინონ სახალხო განათლების ორგანოებს საბანაკო შეკრებებზე გასაწვევ მოსწავლეთა ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის რემონტის ჩატარებაში;

გ) გაანთავისუფლონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთაგან საშუალო სკოლების 8—9 კლასებისა და პედსასწავლებლებისა და ტექნიკუმების 1—2 კურსების ყველა მოსწავლე ახალგაზრდა, რომელიც გაწვეულია საბანაკო შეკრებათა გასავლელად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარს ამხ. ხელიძეს უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ბანაკები სამედიცინო-სანიტარული მომსახურებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გიორგაძეს) უზრუნველჰყოს კვების პროდუქტების გაცემა და მიწოდება სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ნორმებით მოსწავლეთა საბანაკო შეკრებების დისლოკაციის ადგილებზე ერთი კვირით ადრე საბანაკო შეკრებათა დაწყებამდე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. სხირტლაძეს და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. სურგულაძეს მისცენ საშუალება მითითებანი მათს ქვემდებარე ორგანიზაციებს მოსწავლეთა საბანაკო შეკრებებზე ჩასატარებლად სპორტ-მოედნების, ტირების, სასპორტო ინვენტარისა და კადრების გამოყოფის შესახებ.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველჰყოს კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა განსახკომის სკოლების მოსწავლეთა სასწავლო-საბანაკო შეკრებების ჩატარებაში.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომსა და სამხედრო კომისარიატს:

ა) მოსწავლეთა საბანაკო შეკრებების დამთავრების შემდეგ ჩაატარონ ბანაკების მონაწილე 300 კაცის შინასაბანაკო, ხოლო შემდეგ რესპუბლიკური ბანაკთაშორისო სამხედრო-სასპორტო შეჯიბრებანი;

ბ) საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან ერთად, ჩაატარონ იმ 300 მოსწავლის 15-დღიანი შეკრება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საბანაკო შეკრებები, რათა მოამზადონ მათგან სკოლაში ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის საზოგადოებრივი ინსტრუქტორები.

9. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გამოჰყონ პარტიული აქტივის რიცხვიდან სასკოლო ბანაკების უფროსთა მოადგილეები პოლიტიკურ ნაწილში და უზრუნველჰყონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სასწავლო-საბანაკო შეკრებების მონაწილეთა შორის.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 11/V № 471 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	საქ. სსრ განსახკომის სკოლები								
	8 კლ.	9 კლ.	პედაგოგ. სასწ.	ს უ ლ	მიწსახკომის სკოლები: I კურსი	მიწსახკომის სკოლები: II კურსი	ახ-ის რაიონის სკოლები	სულ საქ. სსრ-ში	სულ საშუალო-ბოლო კლასის მოსწავლე პერსონალი საქ. სსრ-ში
1. აბაშის	144	105	—	249	18	9	—	—	—
2. ადიგენის	50	25	—	75	—	—	—	—	—
3. ამბროლაურის	254	196	—	450	25	9	—	—	—
4. ასპინძის	40	16	—	56	—	—	—	—	—
5. ახალქალაქის	96	224	55	374	20	9	—	—	—
6. ახალციხის	160	103	43	306	23	15	—	—	—
7. ბაშქირეთის	64	72	—	136	—	—	—	—	—
8. ბოგდანოვკის	118	70	—	188	—	—	—	—	—
9. ბორჩალოსა და ყარაიის	110	89	31	230	—	—	13	—	—
10. ბორჯომის	116	120	—	236	—	—	—	—	—
11. გეგეჭკორის	373	267	—	640	16	7	—	—	—
12. გორის	173	90	—	263	17	—	16	—	—
13. გურჯაანის	242	148	—	390	20	17	—	—	—
14. დუშეთის	73	52	17	142	—	—	—	—	—
15. ვანის	174	75	—	249	7	2	—	—	—
16. ზემო-სვანეთის	54	19	—	73	—	—	—	—	—
17. ზესტაფონის	256	141	4	401	8	3	55	—	—
18. ზუგდიდის	330	202	—	532	19	3	—	—	—
19. თბილისის	83	30	—	113	—	—	—	—	—
20. თელავის	197	173	—	370	—	—	—	—	—
21. თეთრიწყაროს	115	60	—	175	—	—	—	—	—

რაიონები	საქ. სსრ განსახკომის სკოლები								
	8 კლ.	9 კლ.	პედაგოგ. სასწავ.	ს უ ლ	მიწსაბკომის სკოლები I კურსი	მიწსაბკომის სკოლები II კურსი	ა/კ-ის რკინიგზის სკოლები	სულ საქ. სსრ-ში	სულ საბჭოთა მთიანეთის ზონის პერსონალ. წასული საქ. სსრ-ში
22. თიანეთის	30	27	—	57	—	—	—	—	—
23. კასპის	101	83	—	184	—	—	—	—	—
24. ლაგოდეხის	201	28	—	329	26	1	—	—	—
25. ლანჩხუთის	131	96	—	227	5	5	—	—	—
26. ბოლნისის	39	26	—	65	20	7	—	—	—
27. მახარაძის	180	92	—	272	—	—	—	—	—
28. მაიაკოვსკის	154	74	—	228	—	—	—	—	—
29. მცხეთის	50	55	—	105	35	5	—	—	—
30. ონის	169	66	—	235	—	—	—	—	—
31. ორჯონიკიძის	125	47	—	172	6	3	—	—	—
32. საგარეჯოს	92	38	—	130	—	—	—	—	—
33. სამტრედიის	219	120	—	339	39	24	76	—	—
34. საჩხერის	109	94	—	203	—	—	—	—	—
35. სიღნაღის	185	112	—	297	40	20	—	—	—
36. ტყიბულის	116	59	—	175	—	—	—	—	—
37. ქარელის	90	75	—	165	—	—	—	—	—
38. ქვემო-სვანეთის									
39. ქალ. ქუთაისი	189	135	—	324	24	12	—	—	—
40. ქუთაისის	58	47	—	105	—	—	—	—	—
41. ყაზბეგის	76	45	—	121	—	—	—	—	—
42. ყვარლის	129	95	—	224	—	—	—	—	—
43. ჩოხატაურის	118	84	—	202	18	20	—	—	—
44. ჩხარის	170	61	—	231	—	—	—	—	—
45. ჩხოროწყუს	118	70	—	188	—	—	—	—	—
46. ფოთის	74	37	—	111	—	—	6	—	—
47. ცაგერის	223	79	—	302	15	5	—	—	—
48. ცხაკაიას	147	124	—	271	21	9	24	—	—

რაიონები	საქ. სსრ განსაბკომის სკოლები								
					მიწსაბკომის სკოლები				
	8 კლ.	9 კლ.	პედაგოგ. სასწ.	სულ	I კურსი	II კურსი	აქ-ის რაიონის სკოლები	სულ საქ. სსრ-ში	სულ სამეურნეო-ტექნიკური მომზადების ბერძნულ ნაწილი საქ. სსრ-ში
49. წალენჯიხის	146	92	—	238	—	—	—	—	—
50. წალკის	243	80	36	559	—	—	—	—	—
51. წითელწყაროს	67	42	—	109	—	—	—	—	—
52. წულუკიძის	167	82	5	254	42	7	—	—	—
53. წყალტუბოს	107	73	—	180	—	—	—	—	—
54. ქ. ჭიათურა და რ-ნი	137	121	—	258	—	—	—	—	—
55. ხაშურის	172	83	13	268	—	—	—	—	—
56. ხობის	90	49	—	139	19	5	—	—	—
57. აფხაზეთის ასსრ	1066	446	39	1512	9	7	19	—	—
58. აჭარის ასსრ	323	193	112	628	—	—	18	—	—
59. სამხრეთ-ოსეთის ა|რ	393	163	—	550	19	26	—	—	—
60. ქალ. თბილისი	814	421	—	1235	—	—	209	—	—
სულ რესპუბლიკაში	10240	6091	316	16647	511	210	436	17873	144
აფხაზეთის ასსრ									
1. გაგრის	126	36	—	162	—	—	—	—	—
2. გალის	282	105	—	387	—	—	—	—	—
3. გუდაუთის	132	63	—	195	—	—	—	—	—
4. ოჩამჩირისა და ტყვარჩელის	226	76	—	302	—	—	19	—	—
5. სოხუმისა და გულრიპშის	188	101	—	289	9	7	—	—	—
6. ქ. სოხუმი	112	65	39	177	—	—	—	—	—
სულ აფხაზეთის ა|სრ-ში	1066	446	39	1551	9	7	19	—	—

რაიონები	საქ. სსრ განსახკომის სკოლები								
					მიწსახკომის სკოლები				
	8 კლ.	9 კლ.	პედაგოგ. სასწ.	ს უ ლ	I კურსი	II კურსი	აქ-ის რაიონის სკოლები	სულ საქ. სსრ-ში	სულ სამეცნიერო ხარისხის მომსახურე პერსონალი საქ. სსრ-ში
აჭარის ასსრ									
1. ბათუმისა და ქედის	67	40	72	179	—	—	18	—	—
2. ქობულეთის	103	61	—	164	—	—	—	—	—
3. ხულოს რაიონი და ქ. ბათუმი . . .	153	92	40	285	—	—	—	—	—
სულ აჭარის ასსრ-ში . .	323	193	112	628	—	—	18	—	—
სამხრეთ-ოსეთის ა/ო									
1. ზნაურის	90	33	—	123	—	—	—	—	—
2. ლენინგორის	78	22	—	100	—	—	—	—	—
3. სტალინირის	—	—	—	—	19	26	—	—	—
4. ჯავის	120	53	—	173	—	—	—	—	—
5. ქ. სტალინირი და რ-ნი	105	55	—	160	—	—	—	—	—
სულ სამხრეთ-ოსეთის ა/ო	393	163	—	556	19	26	—	—	—
ქალ. თბილისი									
1. ბერიას სახ. რაიონი	146	65	—	211	—	—	—	—	—
2. კიროვის სახ. „	83	46	—	129	—	—	—	—	—
3. 26 კომისრის სახ. „	58	41	—	99	—	—	—	—	—
4. ლენინის სახ. „	84	25	—	109	—	—	—	—	—
5. მოლოტოვის სახ. „	89	47	—	136	—	—	—	—	—
6. ორჯონიკიძის სახ. „	158	107	—	265	—	—	—	—	—
7. სტალინის სახ. „	196	90	—	286	—	—	—	—	—
სულ ქალ. თბილისში . .	814	421	—	1235	—	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 472

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ჩაის რაიონების კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის სიმინდის მიყიდვის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს ჩაის ფოთლის ჩამბარებელი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის მისასყიდად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 იანვრის დადგენილებით გამოყოფილი 3.000 ტონა სიმინდის შემდეგი რაიონობლივი განაწილება (იხ. დანართი).

2. დაევალოს:

ა) „იუგო ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას—ამხ. სიხარულიძეს მისცეს ცეკავშირს გამოყოფილი სიმინდი ჩაის რაიონებში შესატანად;

ბ) ცეკავშირს—ამხ. ნარსიას არაუგვიანეს ა/წ 25 მაისისა დაამთავროს სიმინდის შეტანა რაიონებში, ამ განაწილების თანახმად.

3. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებს გამოჰყონ საკოლმეურნეო ტრანსპორტი სიმინდის გადასაზიდად სასადგურო პუნქტებიდან რაისამომხმარებლო კავშირების საწყობებამდე, რომლებიც რკინიგზის მოშორებით მდებარეობენ.

4. ჩაის პლანტაციების უკეთ მოვლის, მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის დროზე მოკრეფისა და სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარების სტიმულირების მიზნით, დადგენილ იქნას კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის სიმინდის მიყიდვის შემდეგი წესი:

ა) მიეყიდოს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ყოველ ტონა ჩაბარებულ პირველი ხარისხის მწვანე ჩაის ფოთოლში 120 კილოგრამი სიმინდი, მეორე ხარისხის ფოთოლში—80 კილოგრამი და მესამე ხარისხის ფოთოლში—40 კილოგრამი სიმინდი;

ბ) ნება დაერთოს ჩაის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად საჭიროებენ კოლმეურნეობანი სიმინდს, მოახდინონ სიმინდის მიყიდვის ნორმის დიფერენციაცია ცალკეულ კოლმეურნეობებს შორის (50%-მდე გადიდებით ან შემცირებით) რაიონისათვის გამოყოფილი მარცვლის რაოდენობის ფარგლებში;

გ) კოლმეურნეობებს სიმინდი მიჰყიდონ უშუალოდ რაისამომხმარებლო კავშირების საწყობებიდან, თვეში ერთხელ, მოცემული კოლმეურნეობის მიერ მოკრეფილი და ჩაბარებული ჩაის ფოთლის რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით;

დ) კოლმეურნეებს სიმინდი მიჰყიდონ კოლმეურნეობის საწყობიდან გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის მიხედვით;

ე) იმ კოლმეურნეებს, რომლებიც მწვანე ჩაის ფოთოლს აბარებენ თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებიდან, სიმინდი მიჰყიდონ იმ ნორმის 50%-ის რაოდენობით, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით კოლმეურნეობებისათვის, და რაისამომხმარებლო კავშირისათვის გადაცემული სიით, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები.

5. გაფრთხილება მიეცეს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს, რაისამომხმარებლო კავშირების თავმჯდომარეებსა და კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა ამ დადგენილებით გამოყოფილი სიმინდის სწორად გამოყენებისა და პირდაპირი დანიშნულებით გაყიდვისათვის.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ.-პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11/V № 472 დადგე-
ნილების დანართი

ჩაის მწვანე ფოთლის ჩამბარებლებისათვის მოსასყიდი სიმინდის რაიონობლივი განაწილება

(ტონობით)

რაიონები	მარცვლის რაოდენობა
1. აჭარის ასსრ	480
2. აფხაზეთის ასსრ	395
3. მახარაძის რაიონი	650
4. ლანჩხუთის „	270
5. ჩოხატაურის „	110
6. სამტრედიის „	20
7. წულუკიძის „	73
8. ქუთაისის „	20
9. წყალტუბოს „	44
10. ტყიბულის „	65
11. ჩხარის „	5
12. ზესტაფონის „	2
13. ახმეტის „	2
14. გეგეჭკორის „	130
15. ცხაკაიას „	90
16. ჩხოროწყუს „	110
17. წალენჯიხის „	110
18. ზუგდიდის „	340
19. ხობის „	84
სულ	3000

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 473

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში კომბაინების, სალეწი მანქანების, მოსავლის ასაღები სხვა მანქანებისა და მარცვალსაწმენდი მანქანების რემონტის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მომდინარეობს კომბაინების მომზადება მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისათვის. 5 მაისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით შეკეთებულია მხოლოდ 74 კომბაინი, იმ დროს როცა შეკეთებული უნდა ყოფილიყო 452 კომბაინი. მთელ რიგ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში: აგარის, ქარელის, გურჯაანის, კაჭრეთის, ულიანოვკის, წითლის, თელავის, ყვარლისა და საგარეჯოს სადგურებში ჯერ არც ერთი კომბაინი არ შეუკეთებიათ.

რაიონების უმრავლესობათა კოლმეურნეობებში ჯერაც არ დაწყებულა მოსავლის ასაღები მარტივი სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი და მომზადება.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსავლის ასაღები მანქანების სათანადო მომზადება მოსავლის ასაღებად და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 30 აპრილის დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს 1944 წლის მოსავლის აღებისათვის კომბაინების რემონტის შემდეგი გეგმა:

	აქედან			
	სულ კომბაინები	კაპიტალური	მიმდინარე	აღდგენითი
1. საქ. სსრ მიწსახკომის ხაზით . . . . . აქედან:	480	172	283	25
მტს-ები	475	170	280	25
სასწავლო მეურნეობა „უდაბნო“	5	2	3	—
2 სსრკ საბჭ. მეურნ. სახ. კომისარიატის საქ. მეცხოვ. ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში	13	11	2	—

2. დამტკიცდეს კომბაინების კაპიტალური, მიმდინარე და აღდგენითი რემონტის გეგმა ცალკეული მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სალეწი მანქანების რემონტის გეგმა 390 ცალის რაოდენობით და „ვიმ-2“ მარკის მარცვალსაწმენდი მანქანების რემონტის გეგმა 25 ცალის რაოდენობით, რაც განაწილდეს ცალკეული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების და სხვა ორგანიზაციათა მიხედვით, № 2 დანართის თანახმად.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მარცვალსაწმენდი და მოსავლის ასაღები მანქანების რემონტის გეგმა შემდეგი რაოდენობით: ტრიერებისა—815, დამხარისხებელი მანქანებისა—137, ძნისშემკვრელი მანქანებისა—52, სათიბ-სამკელი მანქანებისა—40, თვითმყრელი მანქანებისა—35 და სალეწი მანქანებისა—65, რაც განაწილდეს ცალკეული რაიონების მიხედვით, თანახმად № 3 დანართისა.

5. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში კომბაინების, სალეწი მანქანების, მოსავლის ასაღები სხვა მანქანებისა და მარცვალსაწმენდი მანქანების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დამთავრების ვადად დაწესდეს 1944 წლის 1 ივნისი, ხოლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში კომბაინების აღდგენითი რემონტის დამთავრების ვადად—1944 წლის 30 ივნისი.

6. დაევალოს რაიაღმასკომებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს 5 დღის ვადაში დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე მოსავლის ასაღები მარტივი მანქანების, მარცვალსაწმენდი მანქანების რემონტისა და პურის ასაღებად სათიბი მანქანების გადაკეთების გეგმა.

7. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწ-

ველო განყოფილებას, მიწსახკომთან ერთად, 5 დღის ვადაში მობილიზაცია უყოს ქ. თბილისის სამრეწველო საწარმოებიდან და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებიდან 10 ხარატს, 10 ზეინკალს და წარგზავნოს ისინი საქართველოს სსრ მიწსახკომის განკარგულებაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში გასაგზავნად თვენახევრის ვადით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს 5 დღის ვადაში ჩაატარონ იმ კომბაინერთა აღრიცხვა, რომლებიც თავიანთი სპეციალობის მიხედვით არ მუშაობენ სოფლის მეურნეობაში, და გაგზავნონ ისინი მიწსახკომში კომბაინებისა და მოსავლის ასაღები მანქანების რემონტზე გამოსაყენებლად.

9. დამტკიცდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან სალეწი მანქანების მემანქანეთა მომზადების გეგმა 185 კაცის რაოდენობით, რაც განაწილდეს ცალკეული მტს-ების მიხედვით, № 4 დანართის თანახმად.

10. დაევალოს რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს:

ა) 1944 წლის 15 მაისამდე დაამთავრონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან მოწყობილი მემანქანეთა კურსების დაკომპლექტება მსმენელებით კოლმეურნეობა რიცხვიდან; კურსებზე მეცადინეობა დაიწყონ არაუგვიანეს ა|წ 20 მაისისა და დაამთავრონ 20 ივნისისათვის;

ბ) ამასთან ერთად მოაწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების სწავლება, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, მოსავლის ასაღები ცხენის მანქანებზე და დაამთავრონ მათი მომზადება 1944 წლის 10 ივნისამდე.

11. იმ მიზნით, რომ არ იქნას დაშვებული მარცვლის დაკარგვა და კომბაინების გაცდენა ბუნკერების არა თავის დროზე განტვირთვის გამო, დაევალოს მიწსახკომს, რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უზრუნველჰყონ კომბაინების მოწყობა ისეთი ხელსაწყოებით, რომლებიც იძლევიან იმის საშუალებას, რომ მარცვალი გადმოტვირთულ იქნას სვლის შეუჩერებლად (საფარები ბუნკერების შტეკებში, გადმოსატვირთი მოედნები, უბრურძლოდ დასაცლელი და სხვა მოწყობილობანი), აგრეთვე მოაწყონ კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში იმ ტომარტარის შეგროვება საფასურის გადახდით, რაც საჭიროა კომბაინების განსატვირთავად მუშაობის შეუჩერებლად.

12. წინადადება მიეცეს „ხიმსნაბსბიტის“ საქართველოს კანტორას მისცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტის საჭიროებისათვის 1,5 ტონა კარბიტი, 150 კილოგრამი მარილმჟავა და 100 კილოგრამი ნიშადური, მისი ფონდების ხარჯზე.

13. წინადადება მიეცეს ყველა ორგანიზაციის, დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელებს ერთი თვის განმავლობაში ჩააბარონ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს კომისიის მიერ ჩამოწერილი სატვირთო ავტომანქანების ყველა მოტორი.

დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარს ამხ. რთველაძეს შეაკეთოს და ერთი თვის განმავლობაში მისცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს 7 მოტორი „გაზნატი“ კომბაინების აღდგენითი რემონტის ჩასატარებლად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი კ. ჩარკვიანი.

1944 წლის 11 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11/V № 473 დადგე-
ნილების დანართი № 1

კომბაინების რემონტის გეგმა

მტს-ები და საბჭოთა მეურნეობანი	კომბაინების რემონტის გეგმა 1944 წლის მოსავლის აღებისათვის				შეკეთებულია 1944 წ. აპრილში		კომბაინების რემონტის გეგმა მაისისათვის				კომბაინების რემონტის გეგმა ივნისისათვის			
	კაპიტ.	მიმდ.	აღდგენითი	სულ	კაპიტ.	მიმდ.	კაპიტ.	მიმდ.	აღდგენითი	სულ	კაპიტ.	მიმდ.	აღდგენითი	სულ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1. ხაშურის	3	4	—	7	1	—	2	4	—	6	—	—	—	—
2. აგარის	2	6	1	9	—	—	2	6	—	8	—	—	1	1
3. ქარელის	1	1	—	2	—	—	1	1	—	2	—	—	—	—
4. რუისის	4	6	1	11	—	—	4	6	—	10	—	—	1	1
5. გორის	2	2	—	4	—	—	2	2	—	4	—	—	—	—
6. ახალსოფლის	5	8	1	14	—	—	5	8	—	13	—	—	1	1
7. შინდისის	2	3	1	6	—	—	2	3	—	5	—	—	1	1
8. კასპის	3	2	—	5	—	—	3	2	—	5	—	—	—	—
9. წითელქალაქის	2	4	1	7	—	—	2	4	—	6	—	—	1	1
10. დუშეთის	1	2	—	3	—	—	1	2	—	3	—	—	—	—
11. სტალინირის	1	4	—	5	—	—	1	4	—	5	—	—	—	—
12. ქსუისის	1	3	—	4	—	—	1	3	—	4	—	—	—	—
13. ახალქალაქის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
14. თიანეთის	1	1	1	3	—	—	1	1	1	3	—	—	—	—
15. ასურეთის	4	7	1	12	1	5	3	2	1	6	—	—	—	—

მტს-ები და საბჭოთა მეურნეობანი	კომბაინების რემონტის გეგმა 1944 წლის მოსავლის აღებისათვის				შეკეთებულია 1944 წ. აპრილში		კომბაინების რემონტის გეგმა მაისისათვის				კომბაინების რემონტის გეგმა ივნისისათვის			
	კაპიტ.	მიმდ.	აღდგენითი	სულ	კაპიტ.	მიმდ.	კაპიტ.	მიმდ.	აღდგენითი	სულ	კაპიტ.	მიმდ.	აღდგენითი	სულ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
16. გურჯაანის	5	10	—	5	—	—	5	10	—	15	—	—	—	—
17. კაჭრეთის	7	13	—	20	—	—	7	13	—	20	—	—	—	—
18. ულიანოვკის	12	16	—	28	—	—	12	16	—	28	—	—	—	—
19. წნორის	10	14	2	26	10	5	—	9	1	10	—	—	1	1
20. წითლის	15	21	2	38	—	—	15	21	1	36	—	—	2	2
21. ალაზნის	12	16	2	30	8	4	4	12	—	16	—	—	2	2
22. შირაქის	12	18	2	32	6	8	6	10	—	16	—	—	2	2
23. თელავის	6	13	1	20	—	—	6	13	—	19	—	—	1	1
24. ახმეტის	4	8	1	13	—	—	4	8	—	12	—	—	1	1
25. ყვარლის	8	17	1	26	—	—	8	17	—	25	—	—	1	1
26. ლაგოდეხის	3	7	—	10	1	3	2	4	—	6	—	—	—	—
27. თბილისის	4	7	1	12	1	4	3	3	—	6	—	—	1	1
28. თელავის	4	9	—	13	—	—	4	9	—	13	—	—	—	—
29. მცხეთის	1	4	1	6	1	1	—	3	1	4	—	—	—	—
30. ყარაიის	2	4	—	6	1	1	1	3	—	4	—	—	—	—
31. ბორჩალოს	11	12	1	24	3	5	8	7	1	16	—	—	—	—
32. შულავრის	4	8	1	13	—	—	4	8	—	12	—	—	1	1
33. ბოლნისის	3	5	—	9	—	2	3	3	—	6	—	—	—	—
34. საგარეჯოს	7	11	1	18	1	2	6	9	—	15	—	—	1	1
35. სართიჭალის	5	9	1	19	—	—	5	9	—	14	—	—	1	1
36. ბაშქირეთის	3	5	1	9	—	—	3	5	—	8	—	—	1	1
სულ მტს-ები	170	280	25	475	34	40	136	240	5	381	—	—	20	20

მტს-ები და საბჭოთა მეურნეობანი	კომბაინების რემონტის გეგმა 1944 წლის მოსავლის აღებისათვის				შეკეთებულია 1944 წ. აპრილში		კომბაინების რემონტის გეგმა მაისისათვის				კომბაინების რემონტის გეგმა ივნისისათვის			
	კაპიტ.	მიმდ.	ალდგენითი	სულ	კაპიტ.	მიმდ.	კაპიტ.	მიმდ.	ალდგენითი	სულ	კაპიტ.	მიმდ.	ალდგენითი	სულ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
სასწავლო მეურნეობა „უდაბნო“ სსრკ საბჭოთა მეურნ. საბალხო კომისარიატის საქ. მეცხოვ. ტრესტის საბჭოთა მეურნეობანი	2	3	—	5	—	—	2	3	—	5	—	—	—	—
	11	2	—	13	—	—	11	2	—	13	—	—	—	—
სულ	183	285	25	493	34	40	149	245	5	399	—	—	20	20

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)ის ც. კ-ის 1944 წ. 11/V № 493 დადგენილების დანართი № 2

გ ე გ მ ა

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საქსახჯიშფონდის ბაზით სალეწი მანქანების, ძნის შემკვრელი მანქანებისა და მარცვალსაწმენდი მანქანების რემონტისა

მტს-ები	სალეწი მანქანების რემონტის გეგმა	ფიჩ—2	ძნის შემკვრელი მანქანები	სამკალი მანქანები
1. მახარაძის	4	—	—	—
2. ლანჩხუთის	7	—	—	—
3. აბაშის	8	—	—	—
4. ცხაკაიას I	5	—	—	—
5. გეგეჭკორის	3	—	—	—
6. ხუგდიდის	5	—	—	—
7. ხობის	3	—	—	—
8. ქუთაისის	4	—	—	—
9. სამტრედიის	3	—	—	—
10. წულუკიძის	3	—	—	—
11. ვანის	2	—	—	—
12. ზესტაფონის	2	—	—	—
13. ხაშურის	11	—	—	—
14. აგარის	5	1	—	—
15. ქარელის	2	—	—	—
16. რუისის	2	—	—	—
17. გორის	5	—	—	—
18. ახალსოფლის	8	—	—	—
19. შინდისის	3	—	—	—
20. კასპის	9	1	—	2
21. წითელქალაქის	7	—	1	—
22. დუშეთის	9	—	—	3
23. სტალინირის	5	—	—	—
24. ჭსუთისის	6	—	—	—
25. ახალქალაქის	20	—	1	3
26. ოკამის	14	1	—	—
27. ბოგდანოვკის	25	—	1	—
28. ახალციხის	7	—	—	—
29. დიღმის	4	—	—	—
30. თიანეთის	11	—	—	—
31. წალკის	17	—	—	—
32. ასურეთის	19	—	—	5
33. გურჯაანის	10	—	—	—
34. კაპრეთის	5	—	—	1
35. ულიანოვკის	6	—	—	—
36. წნორის	3	1	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტს-ები	სულ მანქანების რეემონტის გეგმა	ვიმ—2	ძნის შემკრები მანქანები	საწყალი მანქანები
37. წითლის	5	—	—	—
38. ალახნის	1	—	—	—
39. შირაქის	3	1	—	—
40. თელავის	7	—	—	2
41. ახმეტის	5	—	—	—
42. ყვარლის	12	—	5	—
43. ლაგოდეხის	20	—	3	2
44. თბილისის	5	—	1	—
45. თელეთის	7	—	—	—
46. მცხეთის	9	—	—	—
47. ყარაიის	7	—	4	—
48. ბორჩალოს	5	—	—	—
49. შულავრის	8	—	—	—
50. ბოლნისის	7	—	—	—
51. საგარეჯოს	7	—	—	—
52. სართიჭალის	7	—	—	—
53. ბაშჩიჭეთის	13	—	—	3
სულ მტს-ებში	390	5	16	21
საბჭოშეფონდის სამმართველოს კანტორა	—	20	—	—
სულ რესპუბლიკაში	390	25	16	21

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრილი

კოლმეურნეობათა მოსავლის ასაღები ინვენტარის რემონტისა საქართველოს სსრ რაიონებში

რაიონები	ტრაქტორები	დამხარისხებელი მანქანები	თივათმხრელი მანქანები	ძნის შემკრებელი მანქანები	სათიბ-სამგელი მანქანები	სალეწი მანქანები	ლოკომობილები
1. წყალტუბოს	—	—	—	—	—	5	—
2. წულუკიძის	—	—	—	—	—	2	—
3. ზესტაფონის	—	—	—	—	—	3	—
4. საჩხერის	20	—	—	—	—	—	—
5. ორჯონიკიძის	5	—	—	—	—	—	—
6. ონის	20	—	—	—	—	—	—
7. ამბროლაურის	20	—	—	—	—	—	—
8. სამხრეთ-ოსეთის ა\ო	63	—	—	—	—	—	—
9. ახალქალაქის	25	—	—	—	—	—	—
10. ბოგდანოვკის	18	7	—	—	—	—	—
11. ახალციხის	35	15	—	2	—	7	—
12. ასპინძის	5	3	—	—	—	—	—
13. ხაშურის	55	—	—	—	—	—	—
14. გორის	57	2	1	1	—	—	—
15. კასპის	20	3	—	—	—	—	—
16. ბორჯომის	10	3	—	—	—	4	—
17. წალკის	35	—	—	—	—	—	—
18. დუშეთის	45	1	—	1	—	8	—
19. თეთრიწყაროს	52	20	—	13	10	14	—
20. თიანეთის	30	4	6	5	—	—	—
21. გურჯაანის	35	1	2	—	—	—	—
22. სიღნაღის	6	—	—	—	—	—	—
23. წიწილწყაროს	28	7	6	10	7	—	—
24. თელავის	37	—	—	1	—	1	—
25. ყვარლის	30	—	—	—	—	—	—
26. ლაგოდეხის	7	—	2	—	—	—	—
27. თბილისის	4	4	2	—	10	10	—
28. მცხეთის	6	10	—	8	4	3	—
29. ყარაიის	15	19	2	10	—	—	—
30. ბორჩალოს	47	15	8	—	3	5	—
31. ბოლნისის	22	9	6	1	1	—	—
32. საგარეჯოს	30	14	—	—	5	3	—
33. ბაშქირეთის	13	—	—	—	—	—	—
ს უ ლ	815	137	35	52	40	65	—

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ-ზ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11|V № 473 დადგენილების დანართი № 4

სალეწი მანქანების მემანქანეთა მომზადების გეგმა

მტს-ები	მომზადების გეგმა	მტს-ები	მომზადების გეგმა
1. მაზარაძის	2	26. ოკამის	7
2. ლანჩხუთის	3	27. ბოგდანოვკის	12
3. აბაშის	4	28. ახალციხის	3
4. ცხაკაიას I	3	29. დიღმის	2
5. გეგეჭკორის	2	30. თიანეთის	5
6. ზუგდიდის	2	31. წალკის	8
7. ხობის	1	32. ასურეთის	10
8. ქუთაისის	2	33. გურჯაანის	5
9. სამტრედიის	1	34. კაჭრეთის	3
10. წულუკიძის	1	35. ყულიანოვკის	3
11. ვანის	1	36. წნორის	1
12. ზესტაფონის	1	37. წითლის	2
13. ხაშურის	5	38. ალაზნის	—
14. აგარის	3	39. წირაქის	2
15. ქარელის	1	40. თელავის	3
16. რუისის	1	41. ახმეტის	2
17. გორის	2	42. ყვაოლის	6
18. ახალსოფლის	4	43. ლაგოდეხის	10
19. შინდისის	2	44. თბილისის	3
20. კასპის	4	45. თელეთის	3
21. წითელწყალაქის	3	46. მცხეთის	4
22. დუშეთის	4	47. ყარაიის	3
23. სტალინირის	2	48. ბორჩალოს	2
24. ქსუისის	3	49. შულავრის	4
25. ახალქალაქის	10	50. ბოლნისის	3
		51. საგარეჯოს	3
		52. საოთიჭალის	3
		53. ბაშქიჩეთის	6
		ს უ ლ	185

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 474

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის მუშაობისა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 23 მარტის დადგენილების იმ ნაწილის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, რომელიც შეეხება ქარხნის სიმძლავრის გადიდებას წელიწადში 120 ათას ტონა ცემენტამდე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხანამ, მიუხედავად 1943 წლის IV კვარტალის გეგმის მნიშვნელოვანი გადამეტებით შესრულებისა, ცემენტის წარმოების წლიური გეგმა შეასრულა მხოლოდ 80,2%-ით (გამოშვებულია 34.499 ტონა, მაშინ როდესაც გეგმით უნდა გამოშვებულიყო 43.000 ტონა), კლინკერის წარმოების გეგმა შეასრულა 73,1%-ით (გამომუშავებულია 24.867 ტონა, მაშინ როდესაც გეგმა ითვალისწინებდა 34.000 ტონას) და კირქვის მოპოვების გეგმა—58,1%-ით (მოპოვებულია 33.187 ტონა, გეგმით გათვალისწინებული 57.130 ტონის ნაცვლად).

მარტის გეგმა ქარხანამ შეასრულა გადაჭარბებით, მაგრამ ცემენტის გამომუშავების I კვარტალის გეგმა შეასრულა მხოლოდ 69%-ით (გამოშვებულია 8.970 ტონა, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 13.000 ტონა), კლინკერის გამომუშავების გეგმა შესრულებულია 71,9%-ით (გამომუშავებულია 8.630 ტონა, მაშინ როდესაც გეგმა ითვალისწინებდა 12.000 ტონას) და კირქვის მოპოვების გეგმა—82,2%-ით (მოპოვებულია 16.379 ტონა, გეგმით დასახული 19.920 ტონის ნაცვლად).

მიმდინარე წლის I კვარტალში გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ქარხნის მექანიზმებისა და მოწყობი-

ლობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და წარმოების არა-საკმაო მომარაგება ნახშირით (იანვარში ქარხანამ გეგმით გათვალის-წინებული 2.000 ტონა ნახშირის ნაცვლად მიიღო მხოლოდ 1.160 ტონა).

ქარხნის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველჰყო კირის კარიერის ექსკავატორის ხარისხობრივი რემონტი და ექსკავატორი, გაანგრძობს რა დიდი შეფერხებით მუშაობას, ვერ უზრუნველყოფს ქარხანას ნედლეულით. 1943 წლის IV კვარტალსა და მიმდინარე წლის I კვარტალში ექსკავატორი რემონტში იდგა 1.300 საათს, მიუხედავად ამისა, იგი აპრილშიაც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

ქარხნის ძირითადი მოწყობილობა (ცემენტის, ნახშირისა და ნედლეულის წისქვილები, საშრობი დოლები და ღუმელები) და აგრეთვე შიდასაქარხნო ტრანსპორტი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არიან და ხშირად ცდებიან.

1943 წელს ღუმელები გეგმით გათვალისწინებული 804 საათის ნაცვლად გაცდა 2.734 საათს, ცემენტის წისქვილები გეგმით გათვალისწინებული 724 საათის ნაცვლად—4.412 საათს; მიმდინარე წლის I კვარტალში ღუმელების გაცდენა გეგმით გათვალისწინებული 340 საათის ნაცვლად შეადგენდა 1020 საათს, ხოლო ცემენტის წისქვილების გაცდენა გეგმით დასახული 250 საათის ნაცვლად—2012 საათს. ღუმელების გაცდენა იწვევს ტექნოლოგიური პროცესის დარღვევას და არახარისხობრივი ნახევარფაბრიკატის — კლინკერის გაჩოშვებას; მიმდინარე წლის I კვარტალში წუნდებული კლინკერი შეადგენდა 605,5 ტონას ანუ კვარტალური გამოშუშავების 7,5%-ს.

შრომის დისციპლინის დარღვევა 1943 წელს უდრიდა 153 შემთხვევას, აქედან თვითნებური წასვლა—101 შემთხვევას. შრომის დისციპლინის მნიშვნელოვან დარღვევას ადგილი აქვს აგრეთვე მიმდინარე წლის I კვარტალშიაც.

გეგმის შეუსრულებლობის შედეგად მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში ქარხანას აქვს თვითღირებულების მნიშვნელოვანი გაძვირება: კირქვისა—18%-ით, კლინკერისა—40%-ით და ცემენტისა—46%-ით.

ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ისინი სუსტად მუშაობენ წარმოების საკითხებზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

II კვარტალში ცემენტის წარმოების გეგმის შესრულების უზრუნველყოფისა და საქართველოს ცემენტის ქარხნის სიმძლავრის წლიურად 120 ათას ტონამდე გადიყვანის მიზნით, საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის დირექტორს ამხ. სავინსკის და მთავარ ინჟინერს ამხ. ნოსელიძეს:

ა) უზრუნველჰყონ II კვარტალში კლინკერის გამოშვება 16.500 ტონისა და ცემენტის გამოშვება 18.000 ტონის რაოდენობით (ექვსექვსი ათასი ტონა ყოველთვიურად);

ბ) შეადგინონ პროდუქციის გამომუშავების სადღეღამისო გრაფიკი და გაატარონ საჭირო ორგანიზაციული-ტექნიკური ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ დაწესებული გეგმის უცილობელ შესრულებას;

გ) ნედლეულით ქარხნის სრული და შეუფერხებელი მომარაგებისა და მომდინარე წლის II კვარტალის განმავლობაში 3.000-მდე ტონა კირქვის მარაგის შექმნისათვის, უზრუნველჰყონ 1 ივნისიდან სულ ცოტა 450 ტონა კირქვის სადღეღამისო მოპოვება კარიერზე და მისი გადაგზავნა ქარხანაში, რისთვისაც მოაწყონ კარიერზე, ექსკავატორული დატვირთვის გარდა, ხელით დატვირთვაც და გამოჰყონ კარიერზე ნაკვეთი დამოუკიდებელი დამუშავებისათვის;

დ) II კვარტალში ამოკვეთონ საფეხური კირის კარიერის ზედა ჰორიზონტზე და ჩაატარონ საჭირო სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფენ კარიერის ახალი ნაკვეთის ამუშავებას 1944 წლის დამლევისათვის;

ე) II და III კვარტალების განმავლობაში კაპიტალურად შეაკეთონ ქარხნის მოწყობილობა, იმ ანგარიშით, რომ ყველა სარემონტო სამუშაო დამთავრებულ იქნას № 1 დანართით გათვალისწინებულ ვადებში;

ვ) სასტიკი კონტროლი გაუწიონ წარმოების ნორმალური ტექნოლოგიური პროცესის დაცვას და მიაღწიონ ელექტროენერგიის, სათბობისა და მასალების კუთრი ხარჯის ნორმების შემცირებას;

ზ) მიიღონ გადამწყვეტი ზომები შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად ქარხანაში და დაამყარონ ისეთი წესი, რომლის დროსაც მუშათა და მოსამსახურეთა დეზერტირობისა თუ გაცდენის ყოველი შემთხვევა აუცილებლივ გამოვლინებულ და გამოძიებულ იქნას და დამნაშავენი მიცემულ იქნან პასუხისგებაში.

2. დაევალოს „გლავსნაბუგოლს“ (ამხ. შარიას) და „გლავნეფტესნაბს“ (ამხ. ჯორჯიკიას) უზრუნველჰყონ ნახშირისა და მაზუთის შეუფერხებელი გადაგზავნა საქართველოს ცემენტის ქარხნისათვის, თანახმად გამოყოფილი ფონდებისა თანაბარ პარტიებად.

3. დაევალოს „კავსტროიმატერიალის“ კანტორის უფროსს ამხ. კოკონაშვილს მისცეს მაისიდან საქართველოს ცემენტის ქარხანას ყოველთვიურად 500 ტონა გაჯი ფრანკო-ვაგონი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ლითონის კონსტრუქციების ქარხნის დირექტორს ამხ. უსოვს მიავლინოს კასპის ცემენტის ქარხანაში მექვაბეთა ბრიგადა გამოსაწვავი ღუმელის რემონტისათვის, რაც დამთავრდეს მომდინარე წლის 10 ივნისისათვის.

5. დაევალოს „ცენტროლიტის“ დირექტორს ამხ. სიხარულიძეს მომდინარე წლის II კვარტალის განმავლობაში დაამზადოს საქართველოს ცემენტის ქარხნისათვის სატიხრე ჯავშანფილები და ამოსაგები ფილები ცემენტის წისქვილების შიდა მოწყობილობისათვის, საერთო წონით 10 ტონამდე, ცემენტის ქარხნის ნახაზების, ტექნიკური პირობებისა და მოდელების მიხედვით.

6. წინადადება მიეცეს ხრამჰესმშენის დირექტორს ამხ. ჩანკოტაძეს მომდინარე წლის 10 ივნისისათვის დაამთავროს საქართველოს ცემენტის ქარხნის № 1 და № 3 რკინაბეტონის სილოსების კაპიტალური რემონტი.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს უზრუნველჰყოს 30 ტონა მოყვანილი და 30 ტონა მრუდთარგა ცეცხლგამძლე აგურის დამზადება შამოტის ქარხანა „მროშაში“ მომდინარე წლის მაის-ივნისის განმავლობაში საქართველოს ცემენტის ქარხნის გამოსაწვავი ღუმელების ამოსაგებად, ქარხნის ფონდის ანგარიშში.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ალავიძეს გამოუყოს საქართველოს ცემენტის ქარხანას 50 ცალი ელექტრონათურა.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანს ამხ. ქველაძეს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გორჯოლაძეს:

ა) გააძლიერონ საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელობა, აღმოუჩინონ მას ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება მისი მუშაობის გაუმჯობესებაში და მიიღონ ოპერატიული ზომები გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად;

ბ) აკრძალონ ავტოტრანსპორტის მობილიზაცია და ქარხნის ხელმძღვანელ მუშაკთა მიმაგრება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე;

გ) ერთი დეკადის განმავლობაში გამოასახლონ საქართველოს ცემენტის ქარხნის საცხოვრებელ სახლებიდან ყველა მობინადრე,

რომელთაც არა აქვთ დამოკიდებულება ქარხანასთან, გარდა იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისა, რომლებიც წინათ მუშაობდნენ ქარხანაში.

10. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიმდინარე წლის 12 მარტის № 5372 დადგენილების შესაბამისად, წინადადება მიეცეს საქართველოს სამხედრო კომისარს ამხ. ხვიჩიას გაუგზავნოს საქართველოს ცემენტის ქარხანას სამხედრო კომისარიატების განკარგულებაში მისული ნაწილობრივ ვარგისი შეპრძოლები, რომლებიც მუშაობდნენ ცემენტის ქარხანაში წითელ არმიაში გაწვევამდე.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსს ამხ. ჩხეიძეს მოაწყოს მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხანასთან საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა 150 კაცის კონტინგენტით.

ქარხნის დირექტორმა ამხ. სავინსკიმ უზრუნველჰყოს საჭირო სადგომის, სასწავლო-საწარმოო ბაზისა და სწავლების ოსტატების გამოყოფა.

12. დაევალოს „ზაგოტზერნოს“ მმართველის მოადგილეს ამხ. ლეზჩინსკის ერთი დეკადის განმავლობაში გაანთავისუფლოს მარცვლის საწყობებად დაკავებული საქართველოს ცემენტის ქარხნის ყველა სადგომი, გარდა კლუბისა.

13. წინადადება მიეცეს კასპის, მცხეთის, ქარელისა და ხაშურის რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომების მდივნებს მოახდინონ 100 კაცის მობილიზაცია რაიონის შრომისუნარიანი სოფლის მოსახლეობიდან საქართველოს ცემენტის ქარხანაში სამუშაოდ, აქედან კასპის რაიონში—50, მცხეთის რაიონში—10, ქარელის რაიონში—15 და ხაშურის რაიონში—25 კაცი.

14. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეს ამხ. ტაბატაძეს უზრუნველჰყოს საქართველოს ცემენტის ქარხანა ორთქლმავლით ვაგონების მანევრირებისათვის.

15. წინადადება მიეცეს საქართველოს ცემენტის ქარხნის დირექტორს ამხ. სავინსკის გააძლიეროს ყურადღება ქარხნის დამხმარე მეურნეობისადმი და გაშალოს მუშაობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის როგორც ფართობის, ისე მოსავლიანობის მხრივ.

16. რადგან საქართველოს ცემენტის ქარხანას კირის კარიერზე სარეზერვო ექსკავატორი არ მოეპოვება, ხოლო არსებული „მენკ-

გამბროკის“ სისტემის ექსკავატორი განუწყვეტლივ მუშაობს 12 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და ძლიერ გაცვეთილია, ეთხოვოს სსრკავშირის სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. სოსნინს გამოუყოს საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხანას კარიერზე სამუშაოდ ერთი ელექტრული ექსკავატორი და აგრეთვე მასალები და ინსტრუმენტები მოწყობილობის რემონტისათვის, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11/V № 474 დადგენილების დანართი № 1

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის შესაკეთებელი მოწყობილობისა

შესაკეთებელი მოწყობილობის დასახელება	შეკეთების დამთავრების ვადები
1. მენკ-გომბროკის სისტ. ექსკავატორი	II კვარტალი
2. კოპელის ვაგონეტი	ა/წ. მაისი
3. უნაქსის სისტ. მბრუნავი ღუმელი № 1	ივნისი
4. უნაქსის სისტ. მბრუნავი ღუმელი № 2	მაისი
5. საშრობი დოლი № 1	აპრილი
6. საშრობი დოლი № 2	მაისი
7. საშრობი დოლი დამატ.	ივლისი
8. სამსხვრევი „ტიტანი“ № 1	მაისი
9. ქვანახშირის წისქვილი № 1	მაისი
10. ცემენტის წისქვილი № 2	ივნისი
11. აღდგენილ იქნას ფარდები უნაქსის ღუმელებში	მაისი
12. შიდასაქარხნო ტრანსპორტი	
ა) ელევატორი —12 ცალი	II კვ.
ბ) უსასრულო ხრახნი— 8 ცალი	II კვ.
გ) შლამტუმბო —4 ცალი	II კვ.
13. მექანიკური საამქროს დაზგები № 1 და № 4	ა/წ. II კვ.
14. სანედლეულო წისქვილის ელექტრომოტორი	ივლისი
15. სამსხვრევ „ტიტანის“ ელექტრომოტორი	მაისი
16. ცემენტის წისქვილის ელექტრომოტორი	ივნისი
17. კარიერ-წყალსაქაჩის ელექტროგადამცემი ხაზის რემონტი	II კვ.
18. ქარხნის ძალოვანი საკაბელო ქსელის რემონტი	III კვ.
19. ქარხნის სატელეფონო სადგურის რემონტი	II კვ.
20. კარიერ-წყალსაქაჩის წყალსადენის რემონტი	II კვ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11|V № 474 დად-
გენილების დანართი № 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუსხა

საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის რემონტისა და მოწყობილობისათვის საჭირო მასალებისა და ინსტრუმენტებისა

მასალებისა და ინსტრუმენტების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა II კვ.	III კვ.	სულ
1. თაკლის აგური	ტონა	200	360	560
2. შამოტის აგური	„	150	200	350
3. სხვადასხვა ზომის ცილებსები	„	50	20	70
4. სხვადასხვა ზომის ბურთულები	„	30	40	70
5. ფურცლოვანი სპილენძი	კგ	50	100	150
6. თითბერი	„	50	70	120
7. სხვადასხვა ზომის ზოდოვანი ბრინჯაო	„	150	300	450
8. ფურცლოვანი რკინა	ტონა	20	15	35
9. ბარისბული რკინა	„	20	20	40
10. სალილვე რკინა	„	10	10	20
11. ორთქლგამძლე თუჯის სხმული	„	10	10	20
12. ჯავშანფილები	„	10	—	10
13. ტიხრის სექტორები წისქვილისათვის	„	5	—	5
14. ფოლადის ხაზირბადული სხმული	„	5	5	10
15. გვარლი საამწევო აგრეგატებისათვის 6 მმ-დან 26 მმ-დე	კგ	1000	2000	3000
16. გვარლი 19 მმ	„	1500	1100	2600
17. დახერხილი ხე-ტყის მასალა	კუბ. მ.	150	—	150
18. ვიწროლიანდაგის შპალები	ვაგ.	1	—	1
19. ფიჭვის ბოძები	კუბ. მ.	150	200	350
20. სხვადასხვა კვეთის სადენი	სიგრძ. მეტ.	2000	4000	6000
21. სახვევი სადენი	კგ	200	500	700
22. სხვადასხვა კვეთის რკინის მავთული	„	1500	1000	2500
23. სხვადასხვა ზომის ქრომნიკელის მავთული	„	5	5	10
24. სპეცტანსაცმელი	კომპლ.	250	250	250
25. ჭსოვილი ფილტრისათვის	მტ.	150	150	150
26. სხვადასხვა ზომის ბურღები	ცალი	150	150	300
27. ქანჩმბრელები	კომპლ.	15	20	35
28. სარჩილავი ლამპები	ცალი	3	2	5
29. სხვადასხვა ქლიბი	„	200	300	500
30. ხერხუნას პირი	„	150	350	500

მასალებისა და ინსტრუმენტების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა		
		II კვ.	III კვ.	სულ
31. კაპარის ლენტი	სიგრძ. მეტ.	2000	2000	4000
32. თავთის ლენტი	„	1000	2000	3000
33. საიზოლაციო ლენტი	კგ	10	10	20
34. სხვადასხვა ზომის გარეზინებული ღვედები	სიგრძ. მეტ.	500	700	1200
35. სხვადასხვა ზომის ფურცლოვანი ოეზინი	კგ	100	150	250
36. ჩობალისა და აზბესტის სატენი	„	100	250	350
37. ფურცლოვაიი აზბესტი	„	100	200	300
38. ფურცლოვანი ფიბრა	„	20	30	50
39. სხვადასხვა ზომის ბურთულსაკისრები	ცალი	1000	2000	3000
40. ლითონნაწარმი	კგ	1000	1000	2000
41. ელექტრონათურები	ცალი	500	500	1000

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 475

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ფურცლოვანი ფანერის გამოსამუშავებლად საჭირო მაგარფოთლოვანი ჯიშის ხე-ტყის დამზადების შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ავეჯის წარმოებანი მაღალხარისხოვანი ავეჯის გამოსაშვებად საჭირო ფურცლოვანი ფანერით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაამზადოს გურჯაანის სატყეო მეურნეობის ჭიაურის აგარაკში ფურცლოვანი ფანერის გამოსამუშავებლად 950 კუბ. მეტრი მაგარფოთლოვანი ჯიშის ხე-ტყე, აქედან 700 კუბ. მეტრი თელა, 100 კუბ. მეტრი ნეკერჩხალი და 150 კუბ. მეტრი მუხა.

2. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ჯაბუამ გამოუყოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტრესტ საქტყემომარაგებას გურჯაანის სატყეო მეურნეობის ჭიაურის აგარაკში ტყესაკაფი მაგარფოთლოვანი ჯიშის ხე-ტყის დასამზადებლად იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილების პირველი პუნქტით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 476

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ზესტაფონისა და ყვარლის რაიონებში ვენახების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ზესტაფონისა და, განსაკუთრებით კი, ყვარლის რაიონებში 1943 წლის შემოდგომიდან ჩატარებულია სერიოზული მუშაობა ვენახების დამუშავებისა და მათი მოვლის გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად, შემოწმებით გამოირკვა, რომ ზესტაფონის რაიონმა ვერ უზრუნველჰყო მთელ რიგ საწარმოო დავალებათა შესრულება მევენახეობაში და მნიშვნელოვანი რაოდენობის კოლმეურნეობებსა. ღა აგრეთვე არგვეთისა და ვაჩევის (შამპანკომბინატის) საბჭოთა მეურნეობებში ვენახები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ვენახების მოვლა სამტრესტის ყვარლის საბჭოთა მეურნეობაშიაც.

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობები ვენახების რემონტს არ შესდგომიან, ამავე დროს ვენახების სიმეჩხერე მთელ რიგ კოლმეურნეობებში 15-25%-ს აღწევს, ხოლო ცალკეულ ბრიგადებში 50%-მდეა.

ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში ვენახების რემონტის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 35%-ით, ხოლო ვაჩევის საბჭოთა მეურნეობაში რემონტი არ ჩატარებულა.

ადგილი აქვს ჩამორჩენას ვენახებისათვის ნიადაგის დამუშავების საქმეში ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებსა და ყვარლის, არგვეთისა და ვაჩევის საბჭოთა მეურნეობებში: შესრულებულ სამუ-

შაოთა აღრიცხვა ვენახების დარგში მოწესრიგებული არ არის; ზესტაფონის რაიმიწ.ანის ცნობათა მიხედვით ნიადაგის დამუშავება და მწკრივთა შორის და მწკრივებში ბარვა 20 აპრილისათვის შესრულებულია 92%-ით, მაშინ როდესაც ბევრ კოლმეურნეობაში მწკრივებში დამუშავება მწკრივთა შორის დამუშავებას მკვეთრად ჩამორჩება. სოფ. პირველი სვირის ბერიას სახ. კოლმეურნეობაში მწკრივთა შორის დამუშავება ჩატარებულია 28,6 ჰექტარზე, ხოლო მწკრივებში დამუშავება არ დაწყებულა; სოფ. მეორე სვირის კეცხოველის სახ. კოლმეურნეობაში მწკრივთა შორის ხვნა დამთავრებულია 75,3 ჰექტარზე, მაშინ როდესაც მწკრივებში ბარვა 15 ჰექტარზე სრულიად არ ჩატარებულა. ასეთივე ფაქტს აქვს ადგილი სოფ. კლდეეთის კაგანოვიჩის სახელობისა და სოფ. პირველი სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში და სხვ. სოფ. ტაბაკინის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში—10,5 ჰექტარზე, სოფ. კვალითის მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობაში—14 ჰექტარზე და სოფ. დიდი განთიადის ხოზე-დიასის სახ. კოლმეურნეობაში—25 ჰექტარზე სრულიად არ ჩატარებულა ნიადაგის დამუშავება როგორც მწკრივთა შორის, ისე მწკრივებშიაც.

მაშინ, როდესაც ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში მწკრივთა შორის ხვნა შესრულებულია 91,3 პროცენტით, მწკრივთა შორის გადაბარვა ჩატარებულია მხოლოდ 22 პროცენტით, ვენახების გასხვლა ჩატარებულია არახარისხობრივად, არგვეთის საბჭოთა მეურნეობაში 15 ჰექტარი ვენახი სრულიად არ დამუშავებულა. ვაჩევის საბჭოთა მეურნეობაში მწკრივთა შორის ხვნა ჩატარებულია 20,74 ჰექტარზე, მაშინ როდესაც მწკრივებში ბარვა სრულიად არ ჩატარებულა, ხოლო 11 ჰექტარი სრულიად არ დამუშავებულა.

დაუშვებელი ჩამორჩენა აქვთ ჰიგოების დამზადების საქმეში ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებს; რაიონში არსებულ ვენახებში ჰიგოების დასობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 56%-ით და ეს მუშაობა დამთავრებულია რაიონის მხოლოდ ერთ კოლმეურნეობაში.

ვერ უზრუნველჰყვეს გეგმის შესრულება ორგანულ სასუქთა შეტანის საქმეში როგორც ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, ისე ყვარლის, არგვეთისა და ვაჩევის საბჭოთა მეურნეობებმა; ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა ვენახებში შეიტანეს 1.340 ტონა სასუქი ანუ 20,9 პროცენტი, მაშინ როდესაც გეგმის მიხედვით უნდა შეეტანათ 6.400 ტონა; ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა შეიტანეს 4.300 ტონა ანუ 43%, მაშინ როდესაც გეგმით გათ-

ვალისწინებული იყო 10.000 ტონის შეტანა; ორივე რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებს სრულიად არ ჩაუტარებიათ მუშაობა ნაკელის შესატანად ვენახებში (ზესტაფონის რაიონის სოფ. მეორე სვირის კეცხოველის სახელობის, სოფ. დიდი განთიადის ხოზე-დიასის სახელობისა და სოფ. ქვედა საზანოს 25 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობები და ყვარლის რაიონის სოფ. ახალი სოფლის მოლოტოვის სახელობის, სოფ. ჩიკაანის ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. შილდის „მესვეურისა“ და სოფ. საბუეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობები და სხვ.). არ შეუსრულებიათ ვენახებში სასუქის შეტანის გეგმა არც ყვარლის, არგვეთისა და ვაჩევის საბჭოთა მეურნეობებს.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ამერიკული ვაზის სადედეები როგორც ყვარლის, ისე ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში. ყვარლის რაიონში ამერიკული ვაზის სადედეებში სასუქის შეტანის გეგმა შესრულებულია 12,2%-ით, ხოლო ზესტაფონის რაიონში არ არის შეტანილი არც ერთი ტონა სასუქი, მაშინ როდესაც გეგმით უნდა შეტანილიყო 1560 ტონა.

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობები ჯეროვნად არ მუშაობენ ვენახების შეღობვის საქმეზე, ბევრი ძველი ღობე, განსაკუთრებით გზების გასწვრივ, უვარგისი შეიქნა, მაგრამ მათი შეკეთება არ სწარმოებს. არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს ბრძოლა წინააღდეგობათან, ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როდესაც პირუტყვს ვენახებში აძოვებენ (სოფ. პირველი სვირის ბერიას სახელობისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობები, სოფ. ქვედა საზანოს კოლმეურნეობა „25 ოქტომბერი“ და სხვ.).

ზესტაფონის რაიონის ყველა შემოწმებულ 13 კოლმეურნეობაში არ არსებობს პიკეტები — ბოძები, რომლებიც არკვევენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ვენახების საზღვრებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. წინადადება მიეცეს ზესტაფონისა და ყვარლის რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს:

ა) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას და ვენახების მდგომარეობის გადამწყვეტ გაუმჯობესებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

ბ) გამოარკვიონ ვენახების სიმეჩხერე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და დააწესონ რემონტის გეგმა ყოველი მათგანის მიხედვით ცალცალკე და უზრუნველჰყონ ვენახების სარე-

მონტო სამუშაოთა დამთავრება 1944 წლის შემოდგომასა და 1945 წლის გაზაფხულზე;

ბ) ჩაატარონ მთელი სამკურნალო ინვენტარის (შემასხურებლების, შემაფრქვეველებისა და სხვ.) აღრიცხვა. მოაწყონ მისი რემონტი ადგილობრივ და უზრუნველჰყონ ამ მუშაობის დამთავრება არაუგვიანეს 15 მაისისა;

დ) შეამოწმონ შაბიამანისა და გოგირდის მარაგი და მათი ხარჯვა კოლმეურნეობებში. გამოაელინონ და აღმოფხვრან შაბიამანის განიავებისა და არადანიშნულებისამებრ ხარჯვის ფაქტები და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელთაც დანაშაული შეუძლიათ ამ საქმეში;

ე) უახლოეს დღეებში უზრუნველჰყონ სამუშაოთა დამთავრება ამერიკული ვაზის სადედეების დამუშავების საქმეში და აუცილებლივ შეიტანონ ადგილობრივი სასუქები გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით;

ვ) მიმდინარე წლის 20 მაისამდე შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში ვენახის ახალგაზრდა ნარგავების მდგომარეობა, უზრუნველჰყონ ყველა აგროტექნიკური ღონისძიების გატარება და ვენახის ახალგაზრდა ნარგავებით სავსე ნაკვეთების შენახვა სანიმუშო მდგომარეობაში, რისთვისაც შეაესონ ახალგაზრდა ნარგავების მომსახურე რგოლების შემადგენლობა გამოცდილი კოლმეურნეებით.

2. დაევალოს ზესტაფონის რაიაღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონის რაიკომს:

ა) 1944 წლის 15 მაისამდე აუცილებლივ მოაწყონ მევენახეობის ყველა კოლმეურნეობაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად მევენახეობის სპეციალური ბრიგადები და რგოლები და მიამაგრონ მათ აქტით ვენახის ნაკვეთები;

ბ) გააძლიერონ მუშაობა კოლმეურნეობებში ვენახების დამუშავებისათვის, უზრუნველჰყონ ნიადაგის დამუშავების სავალდებულო ჩატარება ვენახებისათვის როგორც მწკრივებში, ისე მწკრივთა შორის და დაამთავრონ ეს მუშაობა არაუგვიანეს 20 მაისისა;

გ) გამოჰყონ კოლმეურნეობებში საჭირო რაოდენობის კოლმეურნეები და ტრანსპორტი ჰიგოების დამზადებისა და გადაზიდვისათვის. ჰიგოების დასობა და ვენახების მშრალი აკვრა დაამთავრონ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისისა.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა (ამხ. ჯაბუამ) გამოუყოს ზესტაფონის რაიონს სატყეო ნაკვეთები 1,5 მილიონი ცალი ჰიგოს დასამზადებლად.

ერთი თვის განმავლობაში დაამთავრონ ძველი ღობეების რემონტი და საკოლმეურნეო ვენახების შეღობვა და აღმოფხვრან პირუტყვის მიერ ვენახის ნარგავთა გათელვა-გაფუჭების შემთხვევები.

3. ყვარლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. გ. დ. ბეჟანიშვილი განთავისუფლდეს სამუშაოდან, როგორც ისეთი მუშაკი, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა, და დატოვებულ იქნას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტის განკარგულებაში.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ქ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 477

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ზუგდიდისა და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანთა პლანტაციებისა და სანერგეების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ციტრუსოვან ნარგავთა მოვლისათვის საჭირო მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებისა ზუგდიდისა და ლანჩხუთის რაიონებში, ამ რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ ტარდება ციტრუსოვანი პლანტაციებისა და სანერგეების რემონტის, აღდგენისა და მოვლისათვის საჭირო ღონისძიებანი, რასაც მოითხოვენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ზუგდიდის რაიონში შემოწმების მომენტისათვის ციტრუსოვანთა რემონტი და აღდგენა შესრულებული იყო 65, 7%-ით; გეგმით გათვალისწინებული 140.140 ძირის ნაცვლად, გადარგულია 92.100 ძირი.

შტამბის ირგვლივი წრეების გადაბარვა შესრულებულია მხოლოდ 71%-ით, მაშინ როდესაც გადაბარვის ვადა ჯერ კიდევ 25 მარტს დამთავრდა.

ციტრუსოვანთა მკურნალობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაშლილია.

ტრიფოლიატის საძირეების გადარგვა შესრულებულია 83,1%-ით, გეგმით გათვალისწინებული 1.125 ათასი საძირის ნაცვლად, გადარგულია 935 ათასი საძირე, მაშინ როდესაც საძირეების გადარგვის აგროტექნიკური ვადა 1 აპრილს დამთავრდა.

საწარმოო დავალებათა მოცულობის შეუსრულებლობასთან ერთად, ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აღმოჩენილია ციტრუსოვან ნარგავთა მოვლის აგროტექნიკური წესების უხეში დარღვევები.

კახათის სასოფლო საბჭოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე გუგუჩია, აგრონომი ნაკოფია და სანერგის გამგე კაკულია) ციტრუსოვანთა გაშენება (აღდგენა) გადამეტებით დატენიანებულ ნაკვეთზე ჩატარებულია ნახევარსფერული კვლების მოუწყობლად; მწკრივთაშორისები პლანტაციებში მოხნულია და ნახევარსფერული კვლები გასწორებულია. კოლმეურნეობაში გადარგულია 30%-მდე უვარგისი ნერგები. დარგვის დროს ნაკელი არ შეუტანიათ და არც მკურნალობა ჩაუტარებიათ. ნარგავები ზოგან გათელილია პირუტყვის მიერ. ციტრუსოვანი პლანტაციების მწკრივთა შორის გაშენებულია სანერგე. ნიადაგის დამუშავება ჩატარებულია არაღრმად — 25-30 სანტიმეტრის ნაცვლად 10-15 სანტიმეტრზე. გადარგულია არასტანდარტული, მეტად სუსტი ძაძრევები და თანაც ერთმანეთისგან მეტად ახლო მანძილზე, მცენარეთა შორის დაწესებული 30 სანტიმეტრის ნაცვლად, 10-15 სანტიმეტრზე.

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს ამავე სასოფლო საბჭოს კომინტერნის სახელობისა და ანაკლიის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობებშიაც.

დარჩელის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „კომუნისტსა“ და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში, ცაიშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „1 მაისში“, კორცხელის სასოფლო საბჭოს XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში და ახალსოფლის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „კოლხიდასა“ და ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გადაბარება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული 17 აპრილს, ე. ი. 23 დღის დავგვიანებით, ხოლო განმუხურის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „შრომაში,“ კორცხელის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „ნაცატუში“, გრიგოლაშის სასოფლო საბჭოს როგავას სახელობის კოლმეურნეობასა და ოდიშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „კომუნარში“ ციტრუსოვანთა შტამბის ირგვლივი წრეების გადაბარება არც კი დაწყებულა.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ლიმონი და ფორთოხალი გაშენებულია კლიმატური პირობების მხრივ შეუფერებელ ნაკვეთებზე (სოფ. კოკის სტალინის სახელობის, სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობისა და სოფ. კახათის მარქსისა და კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობები).

უყურადღებო მდგომარეობაშია ციტრუსოვანი პლანტაციები ლიმმანტრესტის ანაკლიის საბჭოთა მეურნეობასა (დირექტორი ამხ. ეფინია) და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ინგირის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ამხ. ნიკოლაიშვილი). ანაკლიის საბჭოთა მეურნეობაში სადრენაჟო თხრილები დაშალდა-

მებულია სარეველა ბალახით, წყალი ტბორდება და კვლებში ადგილი აქვს აშკარა დაჭაობიანების ნიშნებს. (შტამბის ირგვლივი წრეების გადაბარვა ტარდება არაკეთილხარისხოვნად, შტამბის ირგვლივი წრეების სიგანე 3 მეტრის ნაცვლად დიამეტრით 1—1,5 მეტრი). ციტრუსოვანთა ნარგაევებმა არადამაკმაყოფილებლად გამოიზამთრეს, მცენარეთა მეტ ნაწილს ზამთარში არასწორად შეფუთვის გამო ფოთოლი ჩამოცვივდა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობას მოეპოვებოდა პირველი მკურნალობისათვის საჭირო აპარატურა და ზამთიანი მასალები, მკურნალობა მაინც არ ჩატარებულა. ტრიფოლიატის თესვა დამთავრდა 15 აპრილს, ერთი თვის დაგვიანებით; დაგვიანებულია აგრეთვე საძირეების გადარგვა. საბჭოთა მეურნეობამ ჩაშალა კოლმეურნეობათათვის ციტრუსოვან ნერგთა მიცემის გეგმა 1944 წლის გაზაფხულისათვის, ხოლო მიცემული ნერგები უმთავრესად უვარგისია, როგორც სანერგე მასალა.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ინგირის საბჭოთა მეურნეობაში ციტრუსოვანთა რემონტს არ შესდგომიან. შტამბის ირგვლივი წრეების გადაბარვა დამთავრებული არ არის, ხეების ნაწილს ბიწა შემოცლილი არ აქვს. ნარგაევებმა არადამაკმაყოფილებლად გამოიზამთრეს.

ლანჩხუთის რაიონში რემონტი და აღდგენა მიმდინარე წლის 20 აპრილისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით შესრულებულია 91,8%-ით; გეგმით გათვალისწინებული 62.820 ძირის ნაცვლად შესრულებულია 57.680 ძირის რემონტი და აღდგენა. შტამბის ირგვლივი წრეების გადაბარვა შესრულებულია სულ მხოლოდ 51,1%-ით. რაიონის მეტწილ კოლმეურნეობებში შემოწმების მომენტისათვის გადაბარვა დამთავრებული არ ყოფილა, ხოლო 14 კოლმეურნეობაში გადაბარვა არც კი დაწყებულა (კოლმეურნეობა „წითელი უბანი", „შრომის უბანი", „ორმეთი", „ჭოლობარგი", „გაგური" და სხვ). ციტრუსოვანთა მკურნალობა ჩაშლილია. ციტრუსოვანი პლანტაციების გაწმენდა ეკლებისა და ხის ამონაყრებისაგან გეგმით გათვალისწინებულ 140 ჰექტარ ფართობზე შემოწმების მომენტისათვის დაწყებული არ ყოფილა.

სოფ. ქვემო ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩახვაძე) ფერდობებზე მოთავსებული ნაკვეთები ციტრუსოვანი პლანტაციებისა, რომლებმაც კარგად გამოიზამთრეს, როგორც წარსულ, ისე ამ ზამთარშიაც, უყურადღებო მდგომარეობაშია. მწკრივთაშორისები დამალდამებულია ჯაგნარით. ნარგაევები ბევრ ადგილას გათელილია პირუტყვის მიერ. ტრიფოლიატის ამონაყარი აღებული არ არის. გათელილი და დაზიანებული ხეების გასხვლა და ყალიბება არ ჩატარებულა. ადგილი აქვს მავნებელთა მასობრივ გავრცელებას, მაგრამ მკურნალობა მაინც არ ტარდება.

ამაეე. კოლმეურნეობის სანურგეში ნიადაგი მომზადებულია არადამაკმაყოფილებლად, არ არსებობს კვლები და გადარგულია არასტანდარტული (სუსტი, საკმაოდ განუვითარებელი ან გადაბერებული) სამირეები.

სოფ. აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე წილოსანი) ციტრუსოვან ნარგავთა მოვლისათვის I კვარტალში არაფერი არ გაკეთებულა. მხოლოდ 22 აპრილს შეუდგნენ შტამბის ირგვლივი წრეების გადაბარვას. საკმაოდ ბევრია კოლმეურნეობაში პირუტყვის მიერ ციტრუსოვან ნარგავთა გათელვის შემთხვევები.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ციტრუსოვანი პლანტაციები აგრეთვე ჭინათის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაშიაც (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარლამ გოგიჩაიშვილი).

მეციტრუსეობის ბრიგადებსა და რგოლებს კოლმეურნეობებში უმთავრესად იყენებენ არადანიშნულებისამებრ: ლანჩხუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 12 კაცის შემადგენლობის მეციტრუსეობის რგოლზე მიმაგრებულია 24 ჰექტარი ციტრუსოვანი პლანტაცია და 1,5 ჰექტარი ციტრუსოვანი სანერგე. ამ რგოლის წევრებმა 1944 წლის იანვრიდან 20 აპრილამდე გამოიმუშავეს სანერგეში სულ მხოლოდ 167 შრომადღე, ამასთან პლანტაციაში სრულიადაც არ უმუშავიათ. ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს კიროვის სახელობისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებშიაც.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომს—ამხ. ჩაჩიბაიას, ზუგდიდის რაიაღმასკომს—ამხ. საყვაიას, საქართველოს კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომს—ამხ. შავდიას და ლანჩხუთის რაიაღმასკომს—ამხ. მანწყავას ერთი დეკადის განმავლობაში მოაწყონ პლანტაციების შემოწმება ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და დასახონ ყოველი მათგანისათვის კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ არსებული უწესივრობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას ცალკეულ ციტრუსოვან ნაკვეთებზე, კერძოდ:

ა) 15 ივნისამდე უზრუნ ელჰყონ პლანტაციების გაწმენდა ეკლებისა და სარეველებისაგან, აგრეთვე ჯირკებისა და ხის ამონაყრების ამოძირკვა და გაზიდვა პლანტაციებიდან;

ბ) დაუყოვნებლივ შეუდგნენ ნახევარსფერული კვლების აღდგენას დატენიანებულ ნაკვეთებზე, ხოლო იქ, სადაც ისინი არ არსებობდნენ, მოაწყონ ახლები. მიიღონ ზომები იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ნარგავთა ფესვის ყელის დაფარვა მიწით კვლების მოწყობის დროს; საჭირო შემთხვევებში წამოაყენონ მცენარეებზე;

გ) წანახედი პლანტაციების ნარგავებში ჩაატარონ ყველა დაზიანებული და ჩამომტვრეული ტოტების შეჭრა ჯანსაღ ნაწილამდე და ხის შენაჭერ ადგილებს წაუსვან ბაღის მალამო;

დ) დაუყოვნებლივ შეუდგნენ სადრენაჟო ქსელის გაწმენდასა და განვითარებას;

ე) ციტრუსოვან ნარგავთა პირუტყვის მიერ გათელვისაგან დაცვის მიზნით, უზრუნველჰყონ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არსებული ღობის რემონტი და ახალი ღობის გაშენება და ეს სამუშაო დაამთავრონ არაუგვიანეს 1944 წლის 15 ივნისისა;

ვ) ერთმანეთთან ახლოს დარგული საძირეები გაამეჩხერონ ერთი მცენარის შემდეგ არსებული მცენარის გამოკლებით, რომელიც გადარგან ახალ ადგილას, და ეს მუშაობა დაამთავრონ არაუგვიანეს 20 მაისისა;

ზ) საძირეების ზრდისა და განვითარების სტიმულირებისათვის სისტემატურად ჩაატარონ ყოველი 10 დღის შემდეგ წუნწუხით მორწყვა და აგრეთვე შეიტანონ აზოტური სასუქები ყოველი 15 დღის შემდეგ;

თ) სანერგეები იქონიონ სუფთად (უსარეველოდ) და ფხვიერ მდგომარეობაში;

ი) ივნისს-ივლისში ჩაატარონ 1943 წლის ნამყენების ყალიბება და მოაწყონ მათი გულმოდგინე მოვლა ხარისხობრივი, სტანდარტული სანერგე მასალის მაქსიმალური გამოსავლის უზრუნველყოფისათვის;

კ) განამტკიცონ მეციტრუსეობის ბრიგადებისა და რგოლების შემადგენლობა კვალიფიციური და გამოცდილი მუშაკებით;

ლ) მეციტრუსეობის ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის საფუძვლიანი გაუმჯობესების მიზნით, დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს დაწეწონ მეციტრუსეობის ბრიგადებისა და რგოლების ყოველთვიური სამუშაო გეგმები და 10-დღიური დავალებანი და სისტემატურად შეამოწმონ შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა და ხარისხი.

2. ციტრუსოვანი პლანტაციებისა და სანერგეების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისათვის ლიმანტრესტის ანაკლიის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. ეფენიას მიეთითოს.

3. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივნის ამხ. ჩაჩიბაიას განცხადება, რომ პარტიის რაიკომის გადაწყვეტილებით კახათის სასოფლო საბჭოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. პ. გუგუჩია მოხსნილია სამუშაოდან და გარიცხულია საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან ციტრუსოვანი მეურნეობისადმი უყურადღებობისათვის.

4. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომს გაანიხილოს საკითხი სოფ. ქვემო-ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ს. ჩახვაძის შესახებ და დაადგინოს მას სასჯელი ციტრუსოვანი პლანტაციების მდგომარეობის გაუარესებისა და პირუტყვის მიერ გათელვის დაშვებისათვის.

5. რადგან აღნიშნულ ნაკლოვანებებს ციტრუსოვან ნარგავთა მოვლის საქმეში შეიძლება ადგილი ჰქონდეს საქართველოს სხვა სუბტროპიკულ რაიონებშიაც, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებსა და რაიაღმასკომებს სუბტროპიკული რაიონებისას მოაწყონ ციტრუსოვან ნარგავთა შემოწმება ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და შემოწმების შედეგები განიხილონ საოლქო და რაიონული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 478

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დამზადების მიმდინარეობისა და ა/წ II კვარტალის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს საწარმოებმა, რომლებიც ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებს და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს ამზადებენ, აპრილში გამოუშვეს ტრაქტორების 8734 დეტალი ანუ გეგმის 98%, სასოფლო-სამეურნეო მანქანების 1205 დეტალი—გეგმის 64.9% და 5400 ცალი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ანუ გეგმის 30,4%.

დავალება წარმატებით შეასრულეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 26 კომისრის სახელობის, კალინინის სახელობისა და ლითონის კონსტრუქციების ქარხნებმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ავტოსარემონტო ქარხანამ და შინების სარემონტო სახელოსნოებმა, № 712, № 302 და № 247 ქარხნებმა.

მზა პროდუქციის ჩაბარების გეგმის შესრულებას დააკლეს შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს მექანიკურმა სახელოსნოებმა თითო სახელწოდების დეტალი 3-დან და № 5, № 6 და № 7 სახელოსნო სასწავლებლებმა.

მასალებითა და ლითონით არათავის დროზე და არასრულად უზრუნველყოფის გამო, დავალება არ შეუსრულებიათ სარეწაო კავშირის, საქინკოოპკავშირის არტელებს, აგარის შაქრის ქარხანას და ბათუმის მომთუთიებელ ქარხანას.

სრულიად არ შეუსრულებიათ დავალება საქართველოს სსრ

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სარემონტო-მექანიკურ ქარხანას (დირექტორი ამხ. სულთანოვი), რომელსაც უნდა დაემზადებინა 50 ცალი სანიავებელი მანქანა, და საქსოფლტრაქტოროს, რომელსაც უნდა დაემზადებინა მაგნეტოს 4.000 მეტრი სადენი; სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას (დირექტორი ამხ. ჭიჭინაძე, მთავარი ინჟინერი ამხ. სარალიძე), რომელსაც დავალებული ჰქონდა და შესაძლებლობაც მოეპოვებოდა დაემზადებინა ა/წ პირველ კვარტალსა და აპრილში 3 სახელოწოდების სატრაქტორო დეტალი 4.000 ცალის საერთო რაოდენობით, ქარხნის ხელმძღვანელობის მხრივ ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი უყურადღებობის მეოხებით არც-ერთი დეტალი არ ჩაუბარებია, 100 სახნისის ნაცვლად კი ჩააბარა მხოლოდ 25 სახნისი.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ა. წ. 23 აპრილს „ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამზადების 1944 წლის II კვარტალის გეგმის შესახებ“ მიღებული დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა სათადარიგო ნაწილების დეცენტრალიზებული წარმოების ა/წ II კვარტალის გეგმა 108.397 მანეთის მოცულობით, აქედან კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებისა—30.072 მანეთის რაოდენობით.

2. დაევალოს № 247 ქარხანა „სტანკოის“ დირექტორ ამხ. ბოკერიას, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის დირექტორს ამხ. ჭავჭანიძეს, აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. ხოფერიას, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დირექტორს ამხ. ჭიჭინაძეს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სარემონტო-მექანიკური ქარხნის დირექტორს ამხ. სულთანოვს დაამზადონ და ა/წ მაის-ივნისში ჩააბარონ თანაბარ პარტიებად საქსოფლმეურნემომარაგებას სასოფლო-სამეურნეო მანქანების დეტალები და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, დანართში აღნიშნული რაოდენობით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს, საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარს ამხ. რთველაძეს, საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს უფროსს ამხ. რობიტაშვილს, საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართვე-

ლოს უფროსს ამხ. ჩხეიძეს, 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორს ამხ. მელაძეს, კალინინის სახელობის ქარხნის დირექტორს ამხ. მეშველიანს, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის დირექტორს ამხ. ჰავგანიძეს, ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორს ამხ. მეტრეველს, № 302 ქარხნის დირექტორს ამხ. ჯიქიას, № 712 ქარხნის დირექტორს ამხ. კანკავას, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შინების სარემონტო სახელოსნოების დირექტორს ამხ. მელიქიშვილს, საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს მექანიკური სახელოსნოების დირექტორს ამხ. ტუჩაშვილს, № 3 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ამხ. ბარძიმოვს უზრუნველჰყონ ტრაქტორთა სათადარიგო ნაწილების დამზადების მეორე კვარტალის გეგმის შესრულება, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა/წ 14 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, ხოლო სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დირექტორმა ამხ. ჰიშინაძემ, საქსოფლელექტროს მმართველმა ამხ. თევოსიანმა, საქინკოოპავშირის პრეზიდიუმის თავჯდომარემ ამხ. შაფაქიძემ, ბათუმის მომთუთიებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. ჭილაიამ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სარემონტო-მექანიკური ქარხნის დირექტორმა ამხ. სულთანოვმა, № 5 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ამხ. ნაცვლიშვილმა, № 6 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ამხ. ცურკოვმა და ბორჯომის № 7 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ამხ. არჯევანიძემ, II კვარტალის დაწესებული გეგმის შესრულების გარდა, ამა წლის 1 ივლისამდე დაფარონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოების I კვარტალის დავალიანება.

4. დაევალოს იმ საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც ტრაქტორთა სათადარიგო ნაწილებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ამ მანქანების სათადარიგო ნაწილებს და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს ამზადებენ, წარმოების დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, შეადგინონ ნაწარმის გამოშვების გრაფიკი და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ გრაფიკის შესასრულებლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შინების სარემონტო სახელოსნოს დირექტორს ამხ. მელიქიშვილს მაისის განმავლობაში მოახდინოს 300 კილოგრამი რეზინის ვულკანიზაცია საქსოფლელექტროსათვის.

6. დაევალოს საქსოფლმეურნემომარაგების მმართველს ამხ. იგით-

ხანოვს მისცეს აგარის შაქრის ქარხანას შოთური თუჯი—6 ტონა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. აღაპიშვილს და „გლავავტოტრაქტორსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. ბელქანიას ა/წ 1 ივნისისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს წინადადებანი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების იმ სათადარიგო ნაწილების ნომენკლატურის შესახებ, რომლებიც განაწილებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ საწარძოებს შორის ა/წ III კვარტალში.

8. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მისცეს ა/წ მეორე კვარტალში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა დეტალებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დასამზადებლად 30 ტონა ფურცლოვანი ფოლადი, 30 ტონა ხარისხოვანი ფოლადი, 40 ტონა თუჯი და 20 ტონა კოქსი.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წ. 11/V № 478 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

სასოფლო-სამეურნეო მანქანათა სათადარიგო ნაწილებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა, რასაც საქართველოს სსრ საწარმოები ამზადებენ 1944 წლის II კვარტალში

დამამზადებელი საწარმოები	ნაწარმი და დეტალების №№	საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 21 III 1944 წ. დადგენილების თანახმად დამამზადებელი საწარმოების	დამატებითი რაოდენობანი, რომლებიც საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ცალკე ბრძანებით იქნა დანიშნული	სულ დამზადების გეგმა II კვარტალში
1	2	3	4	5
1. სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა				
	1. სახნისი	100	—	100
	2. ჰანჭიკები ქანჩებიანად (შტაიპ.) კომპლექტი	30.000	—	30.000
2. ქარხანა № 247 „სტანკო“	1. გუთნის უკანა თვლის მილისა პ—13 . .	100	100	200
	2. ავტომატის დისკო პ—8	20	20	40
	3. II წმენდის კბილანა ყმ—104	30	40	70
	4. მისაღები ბიტერის კბილანა ყმ—74 . . .	30	40	70
	5. მთავარი ბიტერის კბილანა მარცხენა ყმ—56	30	40	70
	6. მკვებავი ტრანსპორტერის კბილანა ყმ—70 . .	60	70	130
	7. კარდანის სახსრის კბილანა ყმ—189 . . .	50	70	120
	8. ჩაის ტრანსპორტერის ჯაჭვის კბილანა ყმ—68	30	40	70
	9. II წმენდის ვერტილატორის კბილანა ყმ—60 .	30	40	70
3. საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის სასოფლ.-სამ მანქანების ქარხანა				
	1. პ—1 გუთნის ავტომატის კორპუსი	100	120	220
	2. თვლის მილისის ხუფი პ—5	150	200	350
	3. შინაგანი ავტომატის პ—14 გორგოლაჭი . .	150	200	350

დამამზადებელი საწარმოები	ნაწარმი და დეტალების №№	საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 2/III დადგენილების თანახმად აკ 1 მაისამდე დამზადებული ფულა ყოფილი ნიშნით	დეტალების დამამზადებელი რაიონების კ-ტებიდან ნაწარმის მიწოდების ვალდებულების მიხედვით ფულა ნიშნით	სულ დამზადების ფული
1	2	3	4	5
3. საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის საწოფ.-სამ. მანქანების ქარხანა	4. სეკატორი	330	670	1000
	5. ბაღის ხერხი	830	1670	2500
	6. ბორდიურის მაკრატლები	1000	2000	3000
4. საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის საავიმონტო-მექანიკური ქარხანა	1. ფოცხები	1000	—	1000
5. აგარის შაქრის ქარხანა	1. I ბიტერის საკისარის სახურავი ჟმ—41	100	100	200
	2. I ბიტერის საკისარის კორპუსი ჟმ—42	100	100	200
	3. I ბიტერის კბილანა ჟმ—85	100	100	200
	4. ბურთობსაკისარის სახურავი ჟმ—72	100	100	200
	5. გადმოსატვირთი შნეკის ზედა საკისარი ჟმ—94	80	80	160
	6. გაფართ. დოლის მილისა ჟმ—27	100	100	200
	7. ხედერის ამწეს კბილანა ჟმ—131	100	100	200
	8. დოლის ხაკისარის კორპუსები ჟმ—1735 .	30	30	60
	9. საკისარის კორპუსის სახურავი ჟმ 1734	30	30	60
	10. ბურთობსაკისარის კორპუსი შნეკებისა და ელევატორების ბიტერები ჟმ—171	30	30	60
	11. პირველი წმენდის საკიდარის კრონშტეინი ჟმ—99	30	30	60
6. კიროვის სახ. ქარხანა	1. სახნისები	100	—	100
7. თბილისის წყალსადენის მექანიკური სახელოსნოები	1. ურკანა თვლის ხუფი ა—II	200	—	200

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 479

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

კოლხიდმშენის 1944 წლის სამუშაოთა გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ კოლხიდმშენის სამუშაოთა გეგმის შესრულების სრულიად არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას.

ამა წლის 1 მაისისათვის საპროექტო საძიებელი სამუშაოებისა და სხვა არამოცულობითი დანახარჯებისათვის ათვისებულია 131 ათასი მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 400 ათასი მანეთისა. სრულიად არ არის დაწყებული მიწის სამუშაოები მექანიზებული საშუალებით (სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური), რაც წლიური გეგმით დაწესებულია 480 ათასი კუბ. მეტრის მოცულობით—1480 ათასი მანეთის რაოდენობით.

სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საექსკავატორო და სატრაქტორო პარკი მოუვლელ მდგომარეობაშია; 16 ექსკავატორიდან სამუშაოდ გამოსადეგია მხოლოდ ორი ექსკავატორი, დანარჩენი ექსკავატორები და რვა ტრაქტორი კაპიტალურ-აღდგენითს რემონტს საჭიროებენ.

ექსკავატორებისა და ტრაქტორების რემონტი შეუწყნარებელი ნელი ტემპებით მიმდინარეობს. სამი თვის განმავლობაში რემონტიდან გამოშვებულია მხოლოდ ორი ექსკავატორი.

კოლხიდმშენში საექსკავატორო სამუშაოთა გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს: ექსკავატორების გვიან დაბრუნება სპეცმშენებლობათა ობიექტებიდან, სარემონტო ბაზის შექმნის სამუშაოთა გაჭიანურება, კვალიფიციური მუშახელის (მექსკავატორეები, ტრაქტორისტები, ზეინკლები, ხარატები) უყოლობა, სათადარიგო ნაწილების უქონლობა და ის გარემოება, რომ მუშები

არ არიან უზრუნველყოფილი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით (საერთო საცხოვრებლები, სასადილოები და სხვ.). № 201 ქარხანას არ შეუსრულებია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 25 სექტემბრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც მას სახელმწიფო რაიონული ჰიდროელექტროსადგურისათვის უნდა დაებრუნებინა ქარხნის დროებითის სარგებლობაში გადაცემული 10 ჩარხი. აგრეთვე საქართველოს სსრ შინსახკომის სააეროდრომო მშენებლობის სამმართველოს მიერ არ არის შესრულებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 31 დეკემბრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც მას კოლხიდმშენისათვის უნდა დაებრუნებინა 3 ტრაქტორი „ჩტზ", 36 ვაგონეტი, 2 მოტომზიდი „ხტზ", სხვა მოწყობილობა და მექანიზმები, რომლებიც მას გადაცემული ჰქონდა დროებითის სარგებლობაში.

ამოსაშრობი ქსელი, რომელიც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს გადაეცა მუდმივ საექსპლოატაციოდ 8000 ჰექტარ ფართობზე, სერიოზულ საწმენდ ღონისძიებათა გატარებას საჭიროებს.

არხების გაწმენდის 1943 წლის გეგმა შესრულებულია: შლამისაგან—61, 5%-ით და მალდამისაგან—72% ით.

გეგმის მნიშვნელოვანი შეუსრულებლობა აქვთ: აბაშის რაიონს (იმ დროს როდესაც გეგმის მიხედვით გაწმენდის სამუშაოები შესრულებული უნდა ყოფილიყო 2500 კუბ. მეტრის მოცულობით, შესრულებულია 500 კუბ. მეტრის მოცულობით, ე. ი. 20%-ით) და ხობის რაიონს (გეგმის შესრულება უდრის 50%-ს).

ხობის. ცხაკაიას და ფოთის რაიონები ჯერ კიდევ არ შესდგომიან ამოსაშრობი ქსელის გაწმენდის 1944 წლის სამუშაოთა გეგმის შესრულებას 25.000 კუბ. მეტრის მოცულობით.

ჰალადიდის მასივის ამოსაშრობი ქსელი, რომელიც ჯერ კიდევ 1940—41 წლებში იყო გათხრილი (მუდმივ საექსპლოატაციოდ გადაცემული არ ყოფილა) უვარგის მდგომარეობაშია (არხები სილითა და ჯაგნარებით აივსო).

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 25 სექტემბრის დადგენილების შესაცვლელად, დამტკიცდეს კოლხიდმშენის 1944 წლის სამუშაოთა გეგმა 2.000.000 მანეთის რაოდენობით (მიწის სამუშაოები — 1.500.000 მანეთი და დანარჩენი არამოცულობითი ხარჯები — 500.000 მანეთი).

2. დამტკიცდეს რემონტიდან ექსკავატორების გამოსვლის წლიური გრაფიკი, წარმოდგენილი სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მიერ (იხ. დანართი № 1).

3. წინადადება მიეცეს კოლხიდმშენის უფროსს ა. ხ. ლაღიძეს და სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექტორს ამხ. მარკევიჩს უზრუნველჰყონ მუშაობის რადიკალური გაუმჯობესება და 1944 წლის გეგმიან დავალებათა უცილობლივ შესრულება როგორც მიწის სამუშაოების მხრივ, ისე არამოცულობითი ხარჯების მხრივაც.

4. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გორდეზიანს), საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს (ამხ. რთველაძეს) და „ცენტროლიტს“ (ამხ. სიხარულიძეს) მიიღონ სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისაგან ექსკავატორთა ცალკეული ნაწილებისა და დეტალების შეკვეთები, სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ნახაზების თანახმად, და უზრუნველჰყონ მათი დამზადება იმ მოცულობით და იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია № 2 დანართით.

5. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანს (ამხ. კოკაიას) გაანაწილოს ქ. ფოთის ქარხნებსა და სახელოსნოებს შორის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის შეკვეთები ექსკავატორთა ცალკეული დეტალებისა და ნაწილების დამზადების შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას (ამხ. ალავიძეს) გამოუყოს ამა წლის II კვარტალში კოლხიდმშენს და სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურს სამშენებლო მასალები, № 3 დანართის თანახმად.

7. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. კარანაძემ უზრუნველჰყოს, რათა კოლხიდმშენს მუდმივ სამუშაოდ გამოეყოს 50 პატიმარი ფოთის № 27 შრომა-გასწორების კოლონიიდან.

8. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს (ამხ. კარანაძეს) და ორჯონიკიძის სახელობის № 201 ქარხნის დირექტორს ამხ. სურგუჩევს საქართველოს სსრ შინსახკომის სააეროდრომო მშენებლობის სამმართველოსა და № 201 ქარხანაში მუშაობისაგან გაათავისუფლონ ის ტექნიკოსები, მექანიკოსები, ტრაქტორისტები, შოფერები, ელექტროშემდუღებლები, ხარატები, ზეინკლები და სხვა მუშები, რომლებიც წინათ კოლხიდმშენსა და სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში მუშაობდნენ, და გაგზავნონ ისინი წინანდელი მუშაობის ადგილზე (იხ. დანართი № 4).

9. წინადადება მიეცეს № 201 ქარხნის დირექტორს ამხ. სურგუჩევს ერთი დეკადის ვადაში დაუბრუნოს სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურს 10 ჩარხი და 2 ავტომანქანა „გაზ-აა“, რომლებიც დროებითს სარკებლობაში გადაეცა ქარხანას საქართველოს

სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით.

10. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. გოგორ-
გაძემ, ვიდრე სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი სამ-
რეწველო და სასურსათო საქონლის ფონდებს გამოყოფდეს, უზრუნ-
ველჰყოს კოლხიდმშენში მომუშავე მუშათა, მოსამსახურეთა და ინ-
ჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა არსებული შემადგენლობის მომარაგება
რესპუბლიკური ფონდების ხარჯზე და ამ მიზნით გამოჰყოს: 300 კი-
ლოგრამი ხორცი, 400 კილოგრამი თევზი, 160 კილოგრამი ცხიმე-
ული, 500 კილოგრამი ბურღულის ნაწარმი, 200 კილოგრამი მარილი
და 80 კილოგრამი საკონდიტრო ნაწარმი.

11. ეთხოვოს შავი ზღვის ფლოტის სარდალს ადმირალ ოქტი-
აბრსკის დაუბრუნოს კოლხიდმშენს ის მანქანები და სხვა მექანიზმე-
ბი, რომლებიც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს განკარგულებით
გადაეცა შავი ზღვის ფლოტის საინჟინრო განყოფილებას, აგრეთვე
მისცეს მითითება მისდამი დაქვემდებარებულ ნაწილებსა და შენა-
ერთებს გაანთავისუფლონ მათ მიერ დროებით დაკავებული შენო-
ბები და საერთო საცხოვრებლები კოლხიდმშენისა ფოთსა, ჭვალონ-
სა და ხორგაში.

12. დაევალოს ხობისა და ცხაკაიას რაიაღმასკომების თავმჯდო-
მარეებს, ფოთის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს, საქ. კ. პ. (ბ)
ხობისა და ცხაკაიას რაიკომების მდივნებს და ფოთის საქალაქო
კომიტეტის მდივანს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქსელის გაწმენდის
სამუშაოებს იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია საქართვე-
ლოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის
1944 წლის 2 მარტის დადგენილებით „მორწყვის სეზონისათვის
სარწყავი სისტემების მომზადების შესახებ“ და უზრუნველჰყონ ამ
სამუშაოს შესრულება არაუგვიანეს 1944 წლის 1 ივნისისა. ქსელის
გაწმენდის სამუშაოთა მოცულობის კოლმეურნეობებს შორის განაწი-
ლების დროს გაითვალისწინონ, რომ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქ-
ნას აგრეთვე სხვა რაიონების მეცხოველეობის იმ ფერმების პერსო-
ნალი, რომლებიც ამ რაიონებში მდებარეობენ, და დამხმარე მეურ-
ნეობათა პერსონალი მათი კანლაგების ზონაში.

13. ნება დაერთოს აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, წალენჯიხის,
ზუგდიდისა და ჩხოროწყუს რაიონებს კოლხიდმშენის მიერ ამოშრო-
ბილი მიწის ნაკვეთები 4000 ჰექტარ ფართობზე ხობის რაიონში
(№ 1 მაგისტრალურ არხსა და რკინიგზის ვაკისს შუა), რომლებიც
გადაცემული არ არის მუდმივ საექსპლოატაციოდ, გამოიყენონ კოლ-
მეურნეობათა და დამხმარე მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო

კულტურების დასათესად იმ პირობით, რომ წინასწარ ჩაატარონ გაწმენდის სამუშაოები ამ მასივის ქსელში.

14. კატეგორიულად აეკრძალოს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექტორს ამხ. მარკევიჩს ექსკავატორების გადასროლა რაიონის ფარგლებს გარეშე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან სანქციის მიუღებლად.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11|V № 479 დადგენილების დანართი № 1

სახელმწიფო რაიონული ჰიდროელექტროსადგურის ექსკავატორთა რემონტის 1944 წლის გეგმა

ექსკავატორების დასახელება	ინვენტარიზაცია	რემონტის დაწყება	რემონტის დამთავრება
1. ორ. კოპელი მოდ. 6	106	1|III	1|VII
2. „ „ „	127	1|III	1|VII
3. „ „ „	126	1/IV	11|X
4. „ „ „	128	1/V	1/IX
5. „კომსომოლეცი“ (მ—ტ—დე)	1|157	1/II	1|VI
6. „ „	2|158	10|IV	15|V
7. „ „	3|159	10|IV	1/VI
8. პრისტანი—მდ. 30	55	1|VI	1|IX
9. „ „	56	1|VI	30|XII
10. „ „	57	15|V	15|VIII
11. „ „	58	1|III	15|VI
12. ლკ—ა—0,5	79	1|I	15|IV
13. რამსომი მოდ. 420	93	1|II	10|V
14. ლუბეკი (მრავალციცხვიანი)	62	1|IV	1|VII
15. ჰ. პ. ს. 1.5 ტ. (კოვროვეცი)	167	1|VII	30|XII
16. „ „	168		
17. მიწახაპია	1	1|V	1|VII

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. ა. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11|V №479 დად.
გენილების დანართი №2

იმ ნაწილებისა და დეტალების ნუსხა, რომლებიც საქ. სსრ ადგილობრივი მრეწვ. სახ. კომისარიატმა და „ცენტროლიტმა" უნდა შეასრულონ

დეტალების დასახელება	მასალები	რაოდენობა	დამუშავების პირობები	ვინ ამზადებს	დამზადების ვადები
1. სავალი მუხლუხის ლილვი	ფოლადი 5	1	დამუშავებით	საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომ.	11|VI
2. კონუსური კბილანა-14 მ|მ მ-16	ფოლადი 5	8	დაუმუშავებლად	საავტომობ. ტრანსპ. სახ. კომ.	1|VII
3. კონუსური კბილანა ჟ 16 მ-14 დ-250 . . .	ფოლადი 5	6	„	„ „	1|VI
4. კონუსური კბილანა-22 მ-81 დ-191	ფოლადი 5	6	დამუშავებით	ცენტროლიტი	15|VI
5. „პლანეტარკა"-33 მ-14 დ-190	ფოლ. დ-2	6	„	„	15|VI
6. -25 მ-16 დ-430	ფოლადი დ-2	6	„	„	15|VI
7. ცილინდრული კბილანა-11 დ -265 . . .	ფოლადი 5	4	„	საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომ.	1|VII
8. ციცხვის ყურწი მარჯვენა, მარცხენა ეგზ. წონა 40 კგ.	ფოლადი—ლ—2	40	„	ცენტროლიტი	1|VII| 1|VII
9. თუჯის სხვადასხვა სხმული	თუჯი	1 6 ტონა	„	„	
10. ციცხვის მილისები, რგოლისებრი დ-44 დ-51 ნ-48	ფოლადი 5	300	დაცემენტება	საქ სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომ.	1|VII
11. დ-41 დ-51 ნ-25	ფოლადი 3	800	„	„ „	15|VI
12. ლილვების დამზადება-70 ს-140	ფოლადი 5	5	დამუშავებით	„ „	15|VI

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

სამშენებლო მასალებისა და კოლხიდმშენის და სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშათა სპეცტანსაცმლისა, რომლებსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია გამოყოფს

მასალების დასახელება	საზომი ერთეული	საერთო რაოდენ.	აქედან II კვ.	აქედან III კვ.	ვის ეძლევა
1. დახერხილი ხე-ტყე	კუბ. მეტ.		100	100	სახ. რაიონ. ელექტროსადგურს
2. აგური	ათას ცალობ.	100,0	20,0	80,0	„
3. კრამიტი	„ „	60,0	—	60,0	„
4. კირი	ტონა	20,0	20,0	—	„
5. რეზინის ჩექმების რესტავრირება	წყვ.	50	50	—	კოლხიდმშენს
6. ბრეზენტი	მეტრი	500,0	500,0	—	„

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 11/V № 479 დად-
გენილების დანართი № 4.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ მუშაკთა სია, რომლებიც წინათ კოლხიდმშენსა და სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში მუშაობდნენ

გვარი და სახელი	თანამდებობა	სად მუშაობს ამჟამად	სად მუშაობდა წინათ
1. ჟღენტი, რაჟდენ მელიტონის-ძე	ტექნიკოსი ძიების დარგში	საქ. სსრ შინსახკომის სააეროდრ. მშენებ. სამმართველო	კოლხიდმშენი
2. ზიმბლიცკი, კონსტანტინე სტეფანეს-ძე	მთავ. ბუჰალტ. მოადგილე	საქპურტრესტი ქ. ფოთი	"
3. სპიცინი თედორე	მექანიკოსი	საქ სსრ შინსახ. სააერ მშ. სამ.	"
4. ლინიკოვი ნიკიტა	ტრაქტორისტი	ა კ. რკინიგზა, სადგ. ფოთი	"
5. ჩარტია კონდრატი	"	ხობის მტს	"
6. ნოსოვი ანდრია	მექანიკოსი	საქ. სსრ შინსახკომის სააეროდ. მშენებ. სამმართველო	"
7. დედოვცევი ივანე	ტრაქტორისტი	საქ. სსრ შინსახკომის სააეროდ. მშენებ. სამმართველო	"
8. ამინოვი თედორე	"	საქ. სსრ შინსახკომის სააეროდ. მშენებ. სამმართველო	"
9. ცომაია, დავით სტეფანეს-ძე	მექანიკოსი	ჩხარი, შიმპანურის ქარხანა	"
10. ქორიძე შალვა	ხარატი	ცხაკაიას მტს	"
11. ციგანკოვი სტეფანე	კონსტრუქტორი	ქარხანა № 201	სახ. რაიონული ელსადგური
12. ადამია სერგო	მექანიკოსი	" "	" "
13. ტკაჩენკო თედორე	მე-7 თანრიგის მჭედელი	" "	" "
14. დიდენკო ალექსანდრე	მეინსტრუმენტე	" "	" "
15. სტეპანოვი ნიკოლოზი	მე-7 თანრიგ. ზეინკალი	" "	" "

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარი და სახელი	თანამდებობა	სად მუშაობს ამჟამად	სად მუშაობდა წინათ
16. შესტერნიკოვი ალექსი	მე-7 თანრიგ. ზეინკალი	ქარხანა № 201	სახ. რაიონული ელსადგური
17. ზინოვიევი თედორე	მე-7 თანრიგ. მეავტოგენე	„ „	„ „
18. კოროტაჩი ივანე	მექვაბე	„ „	„ „
19. თიკორაძე სევერიანე	მე-7 თანრიგ. ზეინკალი	„ „	„ „
20. ლისიციანი მიხეილი	ზეინკალი	„ „	„ „
21. კუცია ანტონი	საამქროს ოსტატი	„ „	„ „
22. გასპარიანი ანდრია	მექვაბე	„ „	„ „
23 დუბოვიკი სტეფანე	ზეინკალი	„ „	„ „
24. გიორგაძე ნიკოლოზი	მექვაბე	„ „	„ „
25. დოხნაძე სევერიანე	მექვაბე	შავი ზღვის ფლოტის ტექნიკ. განყ. სახელოსნო	„ „
26. პაშინინი ივანე	მეავტოგენე	საქალაქო სათბობი განყ. (ფოთი)	„ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 480

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოების სათადარიგო დეტალებითა და დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის შესახებ

თანახმად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 28 მარტის № 5486 დადგენილებისა „სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოების სათადარიგო დეტალებითა და დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. რუხაძეს):

ა) დაამზადოს 1944 წელს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა საფაბრიკო სახელოსნოებში საფეიქრო მოწყობილობის დეტალები და სათადარიგო ნაწილები 445 სახელოდების რაოდენობით;

ბ) გამოუშვას 1944 წელს ქუთაისის აბრეშუმკომბინატის სამსხმელო სახელოსნოში 60 ტონა თუჯის სხმული;

გ) დაამზადოს 1944 წელს მაქო-კოჭების ფაბრიკაში დამხმარე მასალები საფეიქრო მრეწველობის მოსაწყობად № 1 დანართში გათვალისწინებული ნომენკლატურითა და რაოდენობით.

2. აიკრძალოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა ლითონსაჭრელი მოწყობილობის გადაცემა სხვა სახალხო კომისარიატებისა და უწყებებისათვის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გორდეზიანს):

ა) დაამზადოს 26 კომისრის სახელობის, კალინინის სახელობისა

და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხნებში 1944 წელს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობის დეტალები და სათადარიგო ნაწილები დამკვეთის მასალებით (ფრადი ლითონი, ფოლადი), № 2 დანართში გათვალისწინებული ნომენკლატურითა და რაოდენობით.

ბ) 1944 წლის II კვარტალის დამლევამდე დაამზადოს საშტემპელო-სააქაქო ფაბრიკაში 600 ცალი ფიბრის ტაშტი დამკვეთის ნედლეულით საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის საჭიროებისათვის.

4. დაევალოს № 247 ქარხნის დირექტორს (ამხ. ბოკერიას) 1944 წლის 1 სექტემბრამდე დაამუშაოს საფეიქრო მრეწველობის მოწყობილობის დეტალები, № 3 დანართის თანახმად.

5. დაევალოს ქარხანა „ცენტროლიტის“ დირექტორს (ამხ. სიხარულიძეს) 1944 წლის II კვარტალის დამლევამდე ჩამოასხას დიზელების დეტალები საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატისათვის (იხ. დანართი № 4).

6. დაევალოს № 302 ქარხნის დირექტორს (ამხ. ჯიქიას) 1944 წლის 1 აგვისტომდე ჩამოასხას და დაამუშაოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის აბრეშუმსახვევი ფაბრიკების მოწყობილობის დეტალები, № 5 დანართის თანახმად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო ტყეების სამმართველოს უფროსს (ამხ. გომელაურს) 1944 წლის 1 ივლისამდე გამოუყოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს 3 ტონა ბზა დეტალების დასამზადებლად.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსს (ამხ. ჩხეიძეს) დაამუშაოს სახელოსნო სასწავლებლებში მოწყობილობის დეტალები საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის, № 6 დანართის თანახმად.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. რობაქიძეს) დამატებით დაამზადოს დამკვეთის ნედლეულით საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ძაფსართავი ფაბრიკისათვის ყოველკვარტალურად 6.000 მეტრი თითისტარის ჩახსახრავი.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს (ამხ. ალავიძეს) გაითვალისწინოს კვარტალურ გეგმებში საქართველოს საფეიქრო მრე-

წველობისათვის 45 ტონა თუჯის დეტალების ჩამოსხმა დამკვეთის მასალებისაგან, მათგან 13 ტონის დამუშავებით, და 5 ტონა ფერადი ლითონის დეტალების ჩამოსხმა, მათგან 1,5 ტონის დამუშავებით, გამოჰყოს ავრეთვე 30 ტონა კვარცის სილა და 10 ტონა ცეცხლგამძლე თიხა.

11. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს:

1) დაავალოს სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. აკიმოვს:

ა) გამოჰყოს 1944 წელს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთათვის მოწყობილობის დეტალები, მასალები და ინსტრუმენტები, № 7 დანართის თანახმად;

ბ) გამოჰყოს 1944 წლის II კვარტალში 450 სავარცხელი „გილბოქსი“ საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის საჭიროებისათვის;

გ) თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის ახალი სასავარცხლო საამქროს დაწესებულ ვადაში საექსპლოატაციოდ ამუშავების უზრუნველსაყოფად გამოჰყოს 1944 წლის 1 ივნისამდე მოწყობილობის დეტალები, № 8 დანართის თანახმად.

2) „ჩოპელეის“ სისტემის შალის ძაფსართავი წარმოების (საიმპორტო მანქანები) მოწყობილობის, საგრეხი და სართავი ვატერების დეტალების ადგილობრივ დამზადებისა და აგრეთვე საკავშირო საწარმოთაგან მიღების შეუძლებლობის გამო, გამოჰყოს 1944 წელს ლიმიტი საზღვარგარეთიდან საიმპორტო დეტალების მისაღებად, № 9 დანართის თანახმად.

3) დაავალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. მოსკატოვს გამოგზავნოს 1944 წლის II კვარტალში საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში საფაბრიკო მექანიკური სახელოსნოების დასაკომპლექტებლად 50 კვალიფიციური მუშა, აქედან: 20 ზეინკალი, 13 ხარატი, 3 მჭედელი, 3 შემდუღებელი, 4 ელექტრომონტიორი და 7 დურგალი.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 11 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 484

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სასოფლო ადგილებისათვის პურის ტალონების ბეჭდვის წესის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და „ცენტროსოიუზის“ 1944 წლის 9 თებერვლის № 45/79 ბრძანების შესაბამისად, სასოფლო ადგილებში საქონლის გასაცემი ყოველგვარი სახის ტალონების ბეჭდვა 1944 წლის ივნისიდან დაეკისროს საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირს – ცეკავშირს.

დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას მიიღოს საჭირო ზომები და უზრუნველჰყოს სასოფლო ადგილებში საქონლის გასაცემი ყოველგვარი სახის ტალონების დროულად დაბეჭდვა და რაიონებისათვის მიწოდება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 15 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 486

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ბოლნისის, თეთრიწყაროსა და საგარეჯოს რაიონების დასახლებულ კოლმეურნეობათა და აღნიშნული რაიონების კოლმეურნეთათვის სავალდებულო ჩაბარებაში შეღავათების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 6 მაისის № 9970-გ განკარგულებას შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში:

ა) გაანთავისუფლოს 1944 წელს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან (გარდა თამბაქოსი) ბოლნისის რაიონის კიროვის სახელობისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობები და კოლმეურნეობა „გამარჯვება“, თეთრიწყაროს რაიონის ბერიას სახელობისა და საგარეჯოს რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობები;

ბ) შეღავათები მიენიჭოს ამ კოლმეურნეობათა საკოლმეურნეო კომლებს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების საქმეში მოქმედი ნორმების 50%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 487

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ მეცხოველეობის დარგში ამხ. ი. ფ. კვესიტაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაინიშნოს ამხ. ივანე ფილიპეს-ძე კვესიტაძე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ მეცხოველეობის დარგში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 488

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ნ. ი. ნამიჩეიშვილის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ იოსების-ძე ნამიჩეიშვილი საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 489

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

გურჯაანის საკონსერვო ქარხნის ტერიტორიის გაფართოების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 29 აპრილის დადგენილება გურჯაანის საკონსერვო ქარხნის ტერიტორიის გაფართოების შესახებ სამტრესტის გურჯაანის ღვინის ქარხნის კუთვნილი და ღვინის ქარხნის თანამშრომელთა მიერ კოლექტიურ ბოსტნად გამოყენებული 0,7 ჰექტარი მიწის ნაკვეთის მიზომვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 490

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებისათვის ჩაის პლანტაციების დამუშავებასა და 1944 წლის მოსავლის აღებაში დახმარების აღმოსაჩენად შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 13 აპრილის № 507 დადგენილებისა „კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში სასოფლო-სამეურნეო მუშაობისათვის ქალაქებისა და სასოფლო ადგილების შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის წესის შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. მობილიზებულ იქნას 1944 წლის 20 მაისიდან 20 ივნისამდე საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში ჩაუბმელი შრომისუნარიანი მოსახლეობიდან და მოსამსახურეთა ნაწილიდან—2150 კაცი.

	მახარაძის რაიონში	350	კაცი
ქუთაისიდან:	ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობისათვის .	200	„
	ლაითურის „ „	150	„
ქალ. ქუთაისში			
	ლაითურის საბჭოთა მეურნეობისათვის .	150	კაცი
	ზუგდიდის რაიონში	400	კაცი
ბათუმიდან:	ინგირის საბჭოთა მეურნეობისათვის . . .	150	„
	ნარაზნის საბჭოთა მეურნეობისათვის .	250	„
წულუკიძის რაიონში			
	წულუკიძის საბჭოთა მეურნეობისათვის .	300	კაცი
ახალციხის რაიონში			

დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობისათვის . 300 კაცი
ჩხოროწყუს რაიონში
ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობისათვის . . 300 „
წალენჯიხის რაიონში
წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობისათვის . 350 „

2. მობილიზებულ იქნას 1944 წლის 10 ივნისიდან 20 აგვისტომდე საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ არასრული საშუალო და საშუალო სკოლების 6-10 კლასების მოსწავლეები და აგრეთვე ტექნიკუმების სტუდენტები 3.300 კაცის რაოდენობით, მათ შორის:

ქალ. ქუთაისში . . . . . 450 კაცი
აქედან: ლაითურის საბჭოთა მეურნეობისათვის . . 400 „
ნატანების საბჭოთა მეურნეობისათვის . . 50 „
მახარაძის რაიონში: . . . . . 650 კაცი
აქედან: ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული
კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისათვის . . . 50 კაცი
ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობისათვის 600 „
ზუგდიდის რაიონში . . . . . 700 „
აქედან: ინგირის საბჭოთა მეურნეობისათვის . . . 200 „
ნარაზნის საბჭოთა მეურნეობისათვის . . . 500 „
წულუკიძის რაიონში
წულუკიძის საბჭოთა მეურნეობისათვის . 300 „
გეგეჭკორის რაიონში
დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობისათვის . 400 „
ჩხოროწყუს რაიონში
ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობისათვის . . 300 „
წალენჯიხის რაიონში
წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობისათვის . . 500 „

საშუალო სკოლების 8—9 კლასების მოსწავლეები, რომლებიც საბანაკო შეკრებას გადიან, იგზავნებიან სამუშაოდ საბანაკო შეკრებების დამთავრების შემდეგ.

3. მობილიზებულ იქნან 1944 წლის 25 ივლისიდან 25 სექტემბრამდე საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები 4275 კაცის რაოდენობით, რაც განაწილდეს შემდეგნაირად:

ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში—თბილისის სახ. უნივერსიტეტის 500 სტუდენტი.

აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში—თბილისის სახ. უნივერსიტეტის 250 სტუდენტი.

მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში—თბილისის სახ. უნივერსიტეტის 250 სტუდენტი.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში—საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის 300 სტუდენტი.

" " " —თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის 500 სტუდენტი.

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში—თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის 500 სტუდენტი.

სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში—ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის 300 სტუდენტი.

ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში—თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის 300 სტუდენტი.

" " " —საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის 300 სტუდენტი.

ნარაზნის საბჭოთა მეურნეობაში—საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 300 სტუდენტი.

" " " — თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის 250 სტუდენტი.

ინგირის საბჭოთა მეურნეობაში—თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტიული ინსტიტუტის 150 სტუდენტი.

" " " —თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის 75 სტუდენტი.

წულუკიძის საბჭოთა მეურნეობაში—ქუთაისის პედინსტიტუტის 300 სტუდენტი.

4. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 13 აპრილის დადგენილების შესაბამისად მოახდინონ ქალაქებისა და სასოფლო ადგილების საჭირო რაოდენობის შრომისუნარიანი მოსახლეობის, აგრეთვე მოსამსახურეთა და მოსწავლეთა ერთი ნაწილის მობილიზაცია დახმარების აღმოსაჩენად ჩაის საბჭოთა მეურნეობებისათვის პლანტაციების დამუშავებისა და ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში.

5. დაწესებულ იქნას, რომ სკოლების მოსწავლეების, ტექნიკუმებისა და უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების მობილიზაციის ჩატარებისა და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ მათი ორგანიზებული გაგზავნისათვის, რაიაღმასკომის თავმჯდომარესთან და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანთან ერთად, პერსონალურად პასუხისმგებელი არიან სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებიც.

6. განემარტოს მობილიზებულებს, რომ ყოველ მათგანს თან უნდა ჰქონდეს ლოგინის მოწყობილობა და აგრეთვე ფინჯანი და კოვზი.

7. დაევალოს იმ სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს, სადაც მობილიზაცია ტარდება, დააკომპლექტონ მოსწავლეთა ჯგუფები თვითეული 25 კაცის შემადგენლობით (სკოლების მიხედვით—ცალცალკე ვაჟები და ქალები) საბჭოთა მეურნეობაში მოსწავლეებისა და სტუდენტების მუშაობის უშუალო ხელმძღვანელი და დისციპლინისა და ნორმების შესრულებისათვის პასუხისმგებელი პედაგოგის მეთაურობით.

8. დაევალოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს დააწესონ ყველა მობილიზებულისათვის ჩაის ფოთლის კრეფის გამომუშავებისა და სხვა სამუშაოთა დღიური ნორმა. ჩააბარონ ყოველ ბრიგადას საგეგმო დავალება მობილიზაციის მთელი პერიოდისათვის.

მობილიზებულთა ბრიგადები, რომლებიც ვადაზე ადრე შეასრულებენ საგეგმო დავალებას, განთავისუფლებულ უნდა იქნან შემდგომი მუშაობისაგან საბჭოთა მეურნეობაში.

9. დაევალოს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორს (ამხ. ჯიქიას) და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ა) მიიღონ მობილიზებულნი და მოაწყონ მათი გაგზავნა მუშაობის ადგილას;

ბ) უზრუნველჰყონ ჯეროვანი მომზადება მობილიზებულთა მიღებისათვის (საცხოვრებელი ბინა, საზოგადოებრივი კვება, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი) და მიიღონ ყოველგვარი ზომები მუშაობაზე მათი მიმაგრებისათვის მობილიზაციის მთელს პერიოდში.

10. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) იმ რაიონების რაიკომებსა და საქართველოს ალკკ რაიკომებს, რომელთა ტერიტორიაზედაც ჩაის საბჭოთა მეურნეობები არსებობენ, და აგრეთვე ჩაის მრეწველობის და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველჰყონ სააგიტაციო-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რეგულარულად ჩატარება მობილიზებულთა შორის, გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება როგორც ცალკეულ ბრიგადებს შორის, ისე ინდივიდუალურიც, და დანერგონ პრაქტიკაში ფრონტელთა ახალგაზრდული ბრიგადების ორგანიზაცია.

11. დაევალოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს (ამხ. ფუტკარაძეს), აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს (ამხ. მირცხულავას) და ზემოაღნიშ-

ნული რაიონების აღმასკომებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ანგარიშები შრომისუნარიანი მოსახლეობის 1944 წლის 25 მაისისა, საშუალო სკოლების მოწაფეებისა და ტექნიკუმების სტუდენტების — 20 ივნისისა და უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების — 1 აგვისტოსათვის მობილიზაციის დამთავრების შესახებ.

დაევალოს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს (ამხ. ჯიქიას) იმავე ვადებში წარმოადგინოს ცნობები ყოველი საბჭოთა მეურნეობის მიხედვით ცალცალკე გამოცხადებულ მობილიზებულთა რაოდენობის შესახებ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 17 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 491

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

შეკეთებული კომბაინებისა და მოსავლის ასაღები მანქანების მიღებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმის დროულად და ხარისხობრივად შესრულებისათვის დაჯილდოების წესის შესახებ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 30 აპრილის № 5791 დადგენილების განსახორციელებლად და დამატებით საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 11 მაისის დადგენილებისა „საქართველოს სსრ მტს-ებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში კომბაინების, სალეწი მანქანებისა და მოსავლის ასაღები და მარცვალსაწმენდი სხვა მანქანების რემონტის გეგმის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დადგენილ იქნას რემონტიდან კომბაინებისა და მოსავლის ასაღები მანქანების მიღების შემდეგი წესი:

ა) კომბაინებსა და რთულ სალეწ მანქანებს რემონტიდან ღებულობენ სახელმწიფო კომისიები რაიაღმასკომის თავმჯდომარის ან პარტიის რაიკომის მდივნის (თავმჯდომარე), სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ან საბჭოთა მეურნეობის დირექტორისა და უფროსი მექანიკოსის, აგრეთვე კომბაინზე მიმაგრებული კომბაინერის ან სალეწ მანქანაზე მიმაგრებული მემანქანის შემადგენლობით;

ბ) მოსავლის ასაღებ დანარჩენ ინვენტარს მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში იღებს აქტით კომისია დირექტორის, მტს-ის ან საბჭოთა მეურნეობის უფროსი მექანიკოსისა და სატრაქტორო ბრიგადის იმ ბრიგადირის შემადგენლობით, რომელსაც უნდა მიემაგროს მანქანები მოსავლის ასაღებ სამუშაოთა პერიოდში;

გ) მოსავლის ასაღებ ინვენტარს კოლმეურნეობებში იღებს აქტით კომისია რაიაღმასკომის თავმჯდომარის ან რაიმიწგანის გამგის (თავმჯდომარე), კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის იმ ბრიგადირის შემადგენლობით, რომელსაც უნდა მიემაგროს ინვენტარი მოსავლის ასაღებ სამუშაოთა პერიოდისათვის.

2. განემარტოს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, რომ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების თანახმად, 1944 წელს კომბაინების, რთული სალეწი მანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმის შესრულებისათვის მტს-ების ან საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი მექანიკოსები და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მექანიკოსები ჯილდოვდებიან:

ა) რემონტის თვიური გეგმის შესრულებისათვის 8 კომბაინამდე სალეწ მანქანათა რემონტის გეგმის შესრულებასთან ერთად—თვითეული ნახევარი თვის ხელფასის რაოდენობით;

ბ) რემონტის თვიური გეგმის შესრულებისათვის 9-დან 12 კომბაინამდე სალეწ მანქანათა რემონტის გეგმის შესრულებასთან ერთად—თვითეული თვიური ხელფასის რაოდენობით;

გ) რემონტის თვიური გეგმის შესრულებისათვის 12 კომბაინის გადამატებით სალეწ მანქანათა რემონტის გეგმის შესრულებასთან ერთად—თვითეული თვენახევრის ხელფასის რაოდენობით;

დ) კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტის საერთო გეგმის დაწესებულ ვადაში შესრულებისათვის—მტს-ების ან საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი მექანიკოსები და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მექანიკოსები დამატებით ჯილდოვდებიან:

რემონტის გეგმის შესრულებისათვის 12 კომბაინამდე სალეწ მანქანათა რემონტის გეგმის შესრულებასთან ერთად—თვითეული თვიური ხელფასის რაოდენობით.

რემონტის გეგმის შესრულებისათვის 13-დან 20 კომბაინამდე სალეწ მანქანათა რემონტის გეგმის შესრულებასთან ერთად—თვითეული თვენახევრის ხელფასის რაოდენობით.

რემონტის გეგმის შესრულებისათვის 20 კომბაინის გადამეტებით სალეწ მანქანათა რემონტის გეგმის შესრულებასთან ერთად—თვითეული ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

ჯილდოების გაცემა სწარმოებს ხარისხობრივად შეკეთებული კომბაინებისა და სალეწი მანქანებისათვის, რომლებიც მიღებულ იქნება რემონტიდან სახელმწიფო კომისიის მიერ (პუნქტი 1-ლი). ჯილდოების გაცემა რემონტის თვიური გეგმის შესრულებისათვის

სწარმოებს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დავალიანება წინა თვეების რემონტის გეგმის შესრულების დარგში.

კომბაინების მოტორების რემონტის თვიური გეგმის შესრულებისა და კომბაინების, სალეწი მანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების კარგი ხარისხით დამზადებისა და რესტავრაციისათვის მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან არსებული სარემონტო სახელოსნოების გამგეები ჯილდოვდებიან ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების სამმართველოს—ამხ. ჩხეიძეს გააგრძელოს 1944 წლის 1 აგვისტომდე მტს-ებში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ჩასატარებლად გაგზავნილ სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთა ბრიგადების მუშაობის ვადა.

ამასთან დაკავშირებით, გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 11 მაისის დადგენილების მე-7 პუნქტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება კვალიფიციურ მუშათა გაგზავნას საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებიდან მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ბაძრაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 17 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 492

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის მოსავლის გარეული ხილისა და კენკრის დამზადების გეგმის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 15 აპრილის № 8224-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1944 წლის მოსავლის 1400 ტონა გარეული ხილის დამზადების გეგმის რაიონობრივი განაწილება დამამზადებელი ორგანიზაციების მიხედვით, თანახმად დანართისა.

2. განემარტოს დამზადებისათვის დაშვებულ ორგანიზაციებს, რომ გარეული ხილის დამზადებაზე ვრცელდება სოკოსა და გარეული კენკრის დამზადების ის წესი და პირობები, რაც დადგენილია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 8 ივნისის № 10567-გ და 1943 წლის 9 აპრილის № 7259-გ განკარგულებებით, სახელდობრ: გარეული ხილის ჩაბარების დეკადური დავალების შესრულებისათვის ჩამბარებელთა დაჯილდოება შემდეგი ოდენობით: ახალი ხილის ჩაბარებისათვის—მისი დასამზადებელი ღირებულების 10% და გამხმარი ხილის ჩაბარებისათვის—მისი დასამზადებელი ღირებულების 20%; ამასთან, მათ ენიშნებათ უფლება შეიძინონ საქონელი მიცემული პრემიის თანხის რაოდენობით.

იმ მუშაკებს, რომლებიც ხილის ხმობას ეწევიან დამამზადებელთა საწარმოებში, ხმობის თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მიეცეს პრემია ერთი თვის ხელფასის რაოდენობით; ამასთან, მიენიშნოს იმის უფლება, რომ შეიძინონ საქონელი მიცემული პრემიის თანხის რაოდენობით.

3. შენარჩუნებულ იქნას 1944 წლისათვის ახალი და ხმელი ხილისა და კენკრის 1943 წელს მოქმედი ზღვრულ-შესასყიდი ფასები.

4. დაევალოს დამამზადებელ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებას ჩამბარებლებთან და გაშალონ მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ გარეული ხილისა და კენკრის დამზადების ამ დადგენილებით დაწესებული გეგმის უცილობლივ შესრულებას.

5. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის და დანართში ჩამოთვლილი რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ დამამზადებელ ორგანიზაციებს 1944 წლის მოსავლის გარეული ხილისა და კენკრის დამზადების შესახებ მიცემული დავალების შესრულების საქმეში.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას მისცეს განკარგულება სატყეო მეურნეობებს, რათა მათ დაუბრკოლებლივ დაუშვან დანართში ჩამოთვლილი ორგანიზაციები გარეული ხილისა და კენკრის დასამზადებლად ტყიან ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე გ მ ა

1944 წლის მოსავლის გარეული ხილის დამზადებისა

(ტონობით)

რ ა ი ო ნ ე ბ ი	კვების მრეწვ. სახ. კომისარიატი		ვაჭრობის სახ. კომისარიატი		ცეკავშირი	ს უ ლ
	საქართველოს ხილტრესტი	საქარაიევ-ლოს ღვინო-ლიმონათის ტრესტი	თბილისხილ-ბოსტნეულის ბაზა	საქვაჭრობა		
1. ადიგენის რაიონი	—	—	20	—	—	20
2. ასპინძის „	—	—	25	—	—	25
3. ახალციხის „	—	—	15	15	—	30
4. ბაშქირეთის „	—	—	—	—	10	10
5. ბორჯომის „	—	10	—	15	15	40
6. გურჯაანის „	—	—	—	15	10	25
7. დუშეთის „	—	45	—	15	20	80
8. თბილისის „	—	—	10	—	—	10
9. მცხეთის „	—	5	—	—	—	5
10. თეთრიწყაროს „	—	—	—	—	130	130
11. თელავის „	—	—	—	25	20	45
12. ლაგოდეხის „	—	5	—	—	50	55
13. ბოლნისის „	—	5	—	—	20	25
14. ხაშურის „	—	—	—	15	10	25
15. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	30	—	—	15	—	45
16. ამბროლაურის რ-ნი	—	—	—	—	100	100
17. ვანის „	—	—	10	—	—	10
18. ზუგდიდის „	40	—	—	—	—	40
19. მახარაძის „	50	—	—	—	—	50
20. ორჯონიკიძის „	—	—	—	—	80	80
21. წყალტუბოს „	10	—	—	—	—	10
22. საჩხერის „	—	—	—	—	25	25
23. ტყიბულის „	280	—	—	—	—	280
24. ქუთაისის „	40	—	—	—	—	40
25. ჩოხატაურის „	30	—	—	—	—	30
26. ცხაკაიას „	—	—	—	5	—	5
27. აფხაზეთის ასრ „	30	—	—	—	110	140
28. აჭარის ასსრ „	20	—	—	—	—	20
ს უ ლ	530	70	80	120	600	1400
	600		200			

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 493

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადთა ანარიცხების ხარჯზე ხანძრებთან და პირუტყვის დახოცვასთან ბრძოლისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა დაფინანსების 1944 წლის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1944 წლისათვის საქართველოს სსრ-ში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადთა 5-პროცენტიანი ანარიცხების სახსრები 4572,0 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათათვის—2329,0 ათასი მანეთი, მათ შორის სასოფლო ადგილებსა და რაიცენტრებში კრამიტის ქარხნების მშენებლობისათვის—800,0 ათასი მანეთი და ვეტერინარულ ღონისძიებათათვის—2243,0 ათასი მანეთი.

2. დამტკიცდეს ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნულ სახსართა განაწილება ცალკეული ღონისძიებებისა და ობიექტების მიხედვით, № 1, 2, 3, 4 და 5 დანართების თანახმად.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო კომიტეტებს კლუბორისა და ახალხევის რაიონებში 5 დღის განმავლობაში გაანაწილონ ცალკეულ ობიექტებში გამოფრთხილებელ ღონისძიებათა გატარებისათვის ამ დადგენილებით გამოყოფილი სახსრები.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და

მშრომელთა დეპუტატების აღმასკომების თავმჯდომარეებს, პირადი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ შეამოწმონ ადგილობრივ არსებული ობიექტების მდგომარეობა, გააძლიერონ ხანძრებთან და პარტუტყვის დახოცვასთან ბრძოლის იმ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა გატარების ხელმძღვანელობა და კონტროლი, რომელიც დაწესებულია ამ დადგენილებით, სისტემატურად მოისმინონ მუშაობის მიმდინარეობა ცალკეული ობიექტების მიხედვით, აღმოუჩინონ მათ საჭირო ტექნიკური დახმარება და სრულად გამოიყენონ ამ მიზნისათვის 1943 წელს შეძენილი სამშენებლო მასალები.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომსა და რაიაღმასკომებს ხელახლა შეადგინონ და ხელახლა დაამტკიცონ მშენებლობით დაუმთავრებელი იმ ვეტსამკურნალო ობიექტების ხარჯთაღრიცხვები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაც უკვე ამოწურულია, ხოლო სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქკანტორამ დაიფინანსოს ეს ობიექტები სამშენებლო სამუშაოთა დასამთავრებლად.

6. ნებადართულ იქნას სამშენებლო მასალათა შეძენა ფართო მოხმარების ფასებში იმ ვეტერინარული და ხანძარსაწინააღმდეგო ობიექტების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად, რომელთა დაფინანსებაც ხდება 1944 წლის სადაზღვევო გადასახადთა ანარიცხების ხარჯზე.

7. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქკანტორის მმართველს ამხ. ჯანაშიას და კომბანკის მმართველს ამხ. კვიცარიძეს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველოს უფროსს ამხ. კალატოზიშვილს გააძლიერონ კონტროლის გაწევა სადაზღვევო გადასახადების ანარიცხების სახსართა სწორი ხარჯვისათვის და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩენილი იქნება ბოროტმოქმედებათა ფაქტები, დამნაშავე პირთა საქმე გადასცენ პროკურატურის ორგანოებს მათი პასუხისგებაში მიცემისათვის.

8. დაევალოს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქკანტორის მმართველს ამხ. ჯანაშიას სასჯელი დაადოს ბანკის რაიონულ განყოფილებათა მუშაკებს, რომლებმაც დაუშვეს 1943 წელს საფინანსო დისციპლინის დარღვევა.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს და სახდაზღვევის სამმართველოს მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის მოახსენონ საქართველოს სსრ სახ-

კომსაბჭოს ამ დადგენილებით დაწესებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

10. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ნება დაგვრთოს ჩავატაროთ კრამიტის ქარხნების მშენებლობა ადგილობრივი მრეწველობის სისტემით სასოფლო ადგილებსა და რაიცენტრებში 800,0 ათასი მანეთის რაოდენობით საქართველოს სსრ 1944 წლის სადაზღვევო გადასახადთა ანარიცხების ხარჯზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 16/V
№ 493 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმა

სახანძრო დეპოების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის დაფინანსებისა საქართველოს სსრ-ში 1944 წლისათვის სადაზღვევო გადასახადთა ანარიცხების ხარჯზე

ობიექტების დასახელება და ადგილსამყოფელი	თანხა ათას მანეთობით
I. გარდამავალი მშენებლობის დამთავრება	
ქ. თბილისის მე-6 გასამხედროებული საქალაქო სახანძრო რაზმის სახანძრო დეპო	94,0
ქ. თბილისის ავტოსახელოსნოები	292,0
სულ	386,0
II. რემონტი	
თბილისი	100,0
სოხუმი	30,0
გაგრა	20,0
გალი	30,0
გუდაუთი	10,0
ოჩამჩირე	15,0
ბათუმი	35,0
ქობულეთი	10,0
სტალინირი	20,0
ახალქალაქი	10,0
ბორჯომი	10,0
ყვარელი	10,0
ქუთაისი	20,0
ლანჩხუთი	10,0
მცხეთა	40,0
ფოთი	30,0
ჭიათურა	15,0
ცხაკაია	10,0
ხულო	4,0
ახაშა	4,0
ახალციხე	8,0
დუშეთი	5,0
ზესტაფონი	6,0
ორჯონიკიძე	5,0
სამტრედია	6,0
საგარეჯო	5,0
სიღნაღი	5,0
ტყიბული	5,0
წულუკიძე	7,0

ობიექტების დასახელება და ადგილსამყოფელი	თანხა ათას მანეთობით
ჯავა	5,0
მანგლისი	4,0
მაიაკოვსკი	5,0
ხობი	10,0
წალენჯიხა	4,0
ბორჩალო	10,0
III. კლუბორის რაიონში	20,0
IV. ახალციხის რაიონში	18,0
სულ	947,0

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **რუსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ე ნ მ ა

ხანძარსაწინააღმდეგო წყალსატევების მშენებლობის დაფინანსებისა საქართველოს სსრ-ში 1944 წლისათვის სადაზღვევო გადასახადთა ანარიცხების ხარჯზე

ობიექტების ადგილსამყოფელი	წყალსატევების რაოდენობა	თანხა ათას მანეთობით
I. ქალაქებში		
თბილისი	4	100,0
სამტრედია	2	15,0
ახალციხე	2	27,0
გურჯაანი	2	15,0
თელავი	2	15,0
სიღნაღი	2	15,0
ოჩამჩირე	2	15,0
ახალქალაქი	2	15,0
ს უ ლ	18	217,0
II. რაიცენტრებში		
ქ ა ს ბ ი	2	15,0
ცაგერი	2	15,0
ა ბ ა შ ა	2	15,0
ს უ ლ	5	45,0
ძ ლ ა დ	24	262,0

საქართველო სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

ხანძარსაწინააღმდეგო სააგიტაციო-მასობრივი ღონისძიებებისა, ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების კადრების მომზადებისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეძენის დაფინანსებისა 1944 წლისათვის სადაზღვევო გადასახადთა ანარიცხების ხარჯზე

(ათას მანეთობით)

ღონისძიებანი	ჯ/ნ ↄ	აქედან: ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში	აქედან: კოლმეურნეობებში
1. სააგიტაციო-მასობრივი ხანძარსაწინააღმდეგო მუშაობა (ლექციებისა და საუბრების ჩატარება, ინსტრუქციების, პლაკატებისა და ფურცლების ბეჭდვა და ხანძარსაწინააღმდეგო ვიტრინების მოწყობა	95,0	75,0	20,0
2. ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის კადრების მომზადება (სახანძრო ლიტერატურის გამოცემა და ხელახლა გამოცემა, მოწინავე სახანძრო რაზმების დაჯილდოება, ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების მომზადება, შეკრებებისა და სემინარების ჩატარება ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების უფროსთა შორის)	145,0	100,0	45,0
3. ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის შეძენა	80,0	80,0	—

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმა

რაიონული ვეტსამკურნალო სადგომების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის დაფინანსებისა საქართველოს სსრ-ში 1944 წლისათვის სადაზღვევო გადასახადთა ანარიცხების ხარჯზე

ობიექტების დასახელება და ადგილსამყოფელი	თანხა ათას მანეთობით
I. გარდამავალი მშენებლობის დამთავრება	
ვეტამბულატორია ხაშურში	36,0
„ ზესტაფონში	30,0
„ ბოგდანოვკაში	15,0
„ მაიაკოვსკში	25,0
ს უ ლ	105 0
II. არსებული ვეტქსელის რემონტი	
ვეტსამკურნალო ახალქალაქში	20,0
ვეტპუნქტი ოკამში (ახალქალაქის რაიონი)	10,0
ვეტსამკურნალო ახალციხეში	30,0
„ ადიგენში	15,0
„ ასპინძაში	10,0
„ გორში	15,0
ვეტპუნქტი შინდისში (გორის რაიონი)	15,0
ვეტსამკურნალო კასპში	40,0
„ ბორჯომში	15,0
„ გურჯაანში	30,0
„ სიღნაღში	25.0
„ წითელწყაროში	20,0
„ თელავში	15.0
„ ყვარელში	20,0
„ ლაგოდეხში	15,0
„ მცხეთაში	30.0
„ ყარაიაში	10,0
„ ბორჩალოში	10,0
„ ბოლნისში	15,0
„ ფასანაურში (დუშეთის რაიონი)	25,0
ვეტსამკურნალო და ვეტამბულატორია თეთრიწყაროში	40,0
„ საგარეჯოში	15,0
„ ბაშქირეთში	15,0
„ ყარაბულახში (ბაშქირეთის რაიონი)	30,0
„ თიანეთში	15,0
„ ქუთაისში	15,0
„ საძტრედიაში	40,0
„ ვანში	10,0
„ წალკაში	40,0
„ ჩხარში	10,0

ობიექტების დასახელება და ადგილსამყოფელი	თანხა ათას მანეთობით
ვეტსამკურნალო საჰხერემში	15,0
„ ტყიბულში	10,0
„ ორპირში (ტყიბულის რაიონი)	10,0
„ ლებში (ონის რაიონი)	20,0
„ ამბროლაურში	15,0
„ ახაშაში	15,0
„ ცხაკაიაში	14,0
„ გეგეჭკორში	15,0
„ ზუგდიდში	15,0
„ წალენჯიხში	15,0
„ ჩხოროწყუში	15,0
„ მახარაძეში	10,0
„ ლანჩხუთში	15,0
„ ჩოხატაურში	10,0
„ ორჯონიკიძეში	20,0
III. აფხაზეთის ასსრ-ში	206,0
IV. აჭარის ასსრ-ში	77,0
V. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში	66,0
VI. კლუხორის რაიონში	60,0
VII. ახალციხის რაიონში	60,0
ს უ ლ	1404,0

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

სარაიონთაშორისო ვეტობიექტების კაპიტალური რემონტის დაფინანსებისა 1944 წლისათვის საქართველოს სსრ-ში სადაზღვევო გადასახადთა ანარიცხების ხარჯზე

ობიექტების დასახელება და ადგილსამყოფელი	თანხა ათას მანეთობით
სარაიონთაშორისო ვეტბაქლაბორატორია თეთრიწყარ.	50,0
„ „ ცხაკაიაში	30,0
„ „ სამტრედიაში	50,0
„ „ სიღნაღში	40,0
„ „ ბორჯომში	15,0
„ „ ახალციხეში	20,0
„ „ ახალქალაქში	10,0
„ „ ბაშქირეთში	10,0
„ „ ზესტაფონში	20,0
„ „ ქუთაისში	20,0
„ „ მესტიაში	10,0
„ „ სოხუმში	40,0
„ „ ბათუმში	30,0
„ „ ამბროლაურში	15,0
ლაბორატორია „ასკოლი“ ბოგდანოვკაში	25,0
რესპუბლიკური ლაბორატორია „ასკოლი“ თბილისში	20,0
საოლქო ვეტბაქლაბორატორია სტალინირში	50,0
რესპუბლიკური ვეტბაქლაბორატორია ობილისში	50,0
ვეტსამკურნალო № 2 თბილისში	50,0
ლენრაიონის ვეტსამკურნალო თბილისში	30,0
ბორჩალოს სამთაბარო ვეტპუნქტი ს. სარვანში	29,0
სარაიონთაშორისო ვეტბაქლაბორატორიების გარაჟი ქ. თბილისში	35,0
ვეტობიექტების აღდგენა და რემონტი საზამთრო საძოვრებზე სტავროპოლის მხარის ყიზლარის ოლქში	150,0
თითო მუნსაწინააღმდეგო აბაზანის მშენებლობა თბილისის, საგარეჯოს, ბორჩალოს და წითელწყაროს რაიონების საძოვრებზე	40,0
ს უ ლ	839,0

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 494

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის 1944 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 22 აპრილის № 446 დადგენილებისა „ცეკომბანკის სისტემის 1944 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1944 წლისათვის გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმა საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის სისტემაში 3,2 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან: ა) მუშათა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დასაკრედიტებლად—0,8 მილიონი მანეთი; ბ) მშრომელთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის დასაკრედიტებლად—0,9 მილიონი მანეთი; გ) მოქმედ კომუნალურ საწარმოთა სიმძლავრისა და გამტარუნარიანობის გადიდების ღონისძიებათათვის—1 მილიონი მანეთი და დ) ბაღჩეულ-ბოსტნეული და მეცხოველეობის მიმართულების დამხმარე მეურნეობათა დასაკრედიტებლად—0,5 მილიონი მანეთი, რაც განაწილდეს ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა, რაიონებსა და ობიექტებს შორის, № 1, 2 და 3 დანართების თანახმად.

2. დამტკიცდეს მოკლევადიანი დაკრედიტების 1944 წლის გეგმა საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის ხაზით 10 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან:

ა) საქალაქო მეურნეობის საწარმოთა დასაკრედიტებლად—9 მილიონი მანეთი;

ბ) საიჯარო ორგანიზაციების დასაკრედიტებლად—1 მილიონი

მანეთი, რაც განაწილდეს ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის, № 4 და 5 დანართების თანახმად.

3. დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს —ამხ. ბუკიას საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკთან ერთად გაანაწილოს კომუნალურ საწარმოებსა, მომმარაგებელ-გამსაღებელ და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის კრედიტი 0,5 მილიონი მანეთის რაოდენობით ბაღჩეულ-ბოსტნეული და მეცხოველეობის მიმართულების დამხმარე მეურნეობათა ორგანიზაციისათვის.

4. წინადადება ძიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის მმართველს ამხ. კვიცარიძეს გააძლიეროს კონტროლი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა და მშრომელთა საკუთრებაში არსებული სახლების კაპიტალური რემონტის მიმდინარეობისადმი და ყოველკვარტალურად მოახსენოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს, თუ როგორ ხორციელდება 1944 წლის გეგმის მიხედვით დაკრედიტებული ღონისძიებები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ხ. რჩხტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ინდივიდუალური სახინაო მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტების 1944 წლის გეგმა, რაც ადგილობრივი საბჭოების გეგმებით ხორციელდება საქართველოს სსრ-ში

(ათას მანეთობით)

რაიონების დასახელება	1944 წლის გეგმა	აქედან: გარდამავალი მშენებლობა	აქედან: ახალი მშენებლობა
1. აფხახეთი	70,0	2,7	67,3
2. აჭარა	30,0	20,7	9,3
3. სამხრეთ-ოსეთი	30,0	—	30,0
4. ქ. თბილისი	100,0	8,4	91,6
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	30	—	—	—	30	—
—	—	—	—	—	—	20	—	—	—	20	—
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	50	—	—	—	50	—
—	—	—	—	—	—	2300	—	—	—	2300	—
2000	50	2500	59	3570	900	1180	—	43280	1400	132850	39605

მიერ ათვისების შემდეგ განთავისუფლებული შეშა [2]. მთლიანად ლელვის სახმობებიჯის გამოსაშვავად [4]. ამას გარდა 150 კუბ. მეტრი საირმის სატყეო მეურნეობიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

შეშის გადასაზიდად საჭირო ვაგონების განაწილებისა შეშის დამამზადებელ ორგანიზაციებს მარის 1944 წლის II კვარტალისათვის

ორგანიზაციათა დასახელება	სულ II კვარტლის	ა ქ ე დ ა ნ:		
		აპრილი	მაისი	ივნისი
თბილისის საქალაქო სათბობი განყოფილება	70	20	25	25
საქსარეწტყეკავშირი	47	15	17	15
ქუთაისის საქალაქო საბჭო	12	4	4	4
ბათუმის საქალაქო სათბობი განყოფილება	12	4	4	4
სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	4	2	—	2
ქუთაისის პედინსტიტუტი	2	2	—	—
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. სამშენ. მასალათა მრეწვ. მთავ. სამმართველო	1	1	—	—
საქვაპრრბა	2	2	—	—
ს უ ლ	150	50	50	50

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 498

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის ზაფხულის პერიოდში ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ

1944 წელს, ომიანობის დროის პირობებში, ტყის ხანძრებთან წარმატებით ბრძოლის მიზნით და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 18 აპრილის № 566 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დადასტურდეს უკლებლივ ყველა უწყების, ორგანიზაციისა და საწარმოსათვის, რომლებიც ხე-ტყის მასალებს, შეშასა და სპეც-სორტიმენტებს ამზადებენ, რომ საჭიროა წარმოებულ იქნას ტყის კაფვის ადგილების გაწმენდა ხე-ტყის ჭრასთან ერთად და დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს და მათ, რომელთაც აქვთ სატყეო ფონდები, განუხრელად გამოიყენონ ამ მოთხოვნის დამრღვევთა მიმართ დაწესებული სანქციები, ე. ი. აუკრძალონ ხე-ტყის მოჭრა და გამოზიდვა, გადაახდევინონ დაწესებული უპირობის ჯარიმა და სამართალში მისცენ დამნაშავე თანამდებობის პირნი.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სატყეო მეურნეობებში სატყეო დაცვის დ აკომპ-

ლექტებასა და აგრეთვე სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებაში;

ბ) ტყის ხანძართა გაჩენის შემთხვევებში გამოიყვანონ მათი ჩაქრობისათვის მობილიზაციის წესით საჭირო რაოდენობის მოსახლეობა თავისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ნიჩბებით, ცულებითა და ვედროებით) და უზრუნველჰყონ მობილიზებულნი კვებით ადგილობრივი ფონდების ხარჯზე და აგრეთვე გადასაყვანი საშუალებებით;

გ) მიამაგრონ სატყეო დაცვის ორგანოებს 1944 წელს ხანძრის მხრივ საშიშარ პერიოდში (მაისი-სექტემბერი) დაწესებულებათა და საწარმოთა მორიგე სატრანსპორტო საშუალებანი საჭირო რაოდენობით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს და სსრ კავშირის ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობას:

ა) არ დაუშვან სატყეო დაცვის მუშაკებისა და ხანძრისაგან ტყეების დასაცავად მათთვის გამოყოფილი ტრანსპორტის გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებით;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ სატყეო მეურნეობებმა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობებმა მიიღონ ტყეში დაშვებულ პირთა და ორგანიზაციათაგან, აგრეთვე სატყეო ადგილებში მცხოვრებ მოსახლეობისაგან ხელწერილები იმის შესახებ, რომ ისინი გაცნობილი არიან ტყის ხანძრებთან ბრძოლის წესსა და პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის.

4. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ამხ. კვირკველიას, უზრუნველჰყოს ფურაჟით სატყეო დაცვის ორგანოებისათვის ტყის ხანძართა ჩასაქრობად გამოყოფილი ჰაპანზიდვის ტრანსპორტი.

5. ეთხოვოს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სარდალს—არმიის გენერალს ამხ. ტიულენევს უბრძანოს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ჯარის ნაწილებსა და შენაერთებს დაიცვან ტყეებში ხანძარსაწინააღმდეგო წესები, ხოლო ხანძრის გაჩენის შემთხვევებში უზრუნველჰყონ მათი უშუალო ჩაქრობა.

6. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს ორი დღის განმავლობაში უზრუნველჰყოს ბორჯომ-ბაკურიანისა და ტყიბულის შტოზე მავალი ორთქლმავლების მოწყობა ნაპერწკალსაჭერებით (ბადეებით).

7. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა ორგანიზაციისა, მათი

გატარებისადმი თვალყურის დევნებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ-ში ყველა კატეგორიის ტყეებში ხანძრის ჩასაქრობად ოპერატიული ზომების მიღებისათვის—შეიქმნას:

ა) რესპუბლიკური სამეული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მ. ი. ჯაშის (სამეულის თავმჯდომარე), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. გ. კარანაძისა და საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. გ. ა. ჯაბუას შემადგენლობით;

ბ) აჭარისა და აფხაზეთის ასსრ-ში სამეულები ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეების (სამეულის თავმჯდომარე), ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისრებისა და სატყეო მეურნეობათა დირექტორების შემადგენლობით;

გ) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სამეული საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის (სამეულის თავმჯდომარე), შინსახკომის საოლქო განყოფილების უფროსისა და სატყეო მეურნეობის დირექტორის შემადგენლობით;

დ) რაიონებში—სამეულები რაიაღმასკომების თავმჯდომარეებისა (სამეულის თავმჯდომარე), შინსახკომის რაიგანყოფილებათა უფროსებისა და სატყეო მეურნეობების ან სატყეო-სამრეწველო მეურნეობების დირექტორების შემადგენლობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 499

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობისა და მომსახურების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობისა და მომსახურების საქმეს ჯერ კიდევ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

1944 წლის 1 აპრილისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით სამამულო ომის რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის 36.117 ინვალიდიდან სამუშაოზე მოწყობილია 21.637 კაცი, ანუ 59,9%, აქედან III ჯგუფის 14.935 ინვალიდიდან სამუშაოზე მოწყობილია 13.191 კაცი ანუ 88,3%.

II ჯგუფის 19.901 ინვალიდიდან სამუშაოზე მოწყობილია 8.277 კაცი ანუ 42%.

განსაკუთრებით ცუდად არის სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმე სამტრედიის რაიონში, სადაც III ჯგუფის 322 ინვალიდიდან სამუშაოზე მოწყობილია მხოლოდ 172 კაცი ანუ 53,4%, სიღნაღის რაიონში III ჯგუფის 115 ინვალიდიდან სამუშაოზე მოწყობილია 78 კაცი ანუ 57,8%, ზუგდიდის რაიონში III ჯგუფის 45 ინვალიდიდან სამუშაოზე მოწყობილია 27 კაცი ანუ 60%.

დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმე, რომლებიც ოფიცერთა შემადგენლობას ეკუთვნიან.

საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სამხედრო კომისარიატს, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს და მათს ადგილობრივ ორგანოებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 12 თებერვლის № 141 დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც სამამულო ომის ოფიცერთა შემადგენლობის ინვალიდების შრომითს მოწყობას შეეხება.

1944 წლის 1 აპრილისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრობს სამამულო ომის ოფიცერთა შემადგენლობის 3.195 ინვალიდი, მაგრამ არც სოცია-

ლური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს და არც საქართველოს სამხედრო კომისარიატს არ მოეპოვებათ რაიმე ცნობები მათი შრომითი მოწყობის შესახებ.

ზოგიერთი დაწესებულება და ორგანიზაცია სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ორგანოებს არ უგზავნის ცნობებს მათთვის საჭირო მუშახელის შესახებ. მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. ბოკუჩავა) სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს დაუმალა, რომ მას ჰქონდა სამნეო ნაწილის გამგის, ექსპედიტორისა და საწყობის გამგის თავისუფალი თანამდებობანი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის ფრონტის სამხვაჭრობას მთლიანად არ შეუსრულებიათ სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1943 წლის 9 აგვისტოს № 363 ბრძანება სამამულო ომის ინვალიდთა მომარაგების მოწესრიგების შესახებ.

მომარაგების დახურულ ქსელზე როდია მიმაგრებული სამამულო ომის შრომისუნარმოკლებული ყველა ინვალიდი, რომლებიც ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობენ და დაკავშირებული არ არიან სოფლის მეურნეობასთან.

ადგილი აქვს სამამულო ომის ინვალიდებისათვის განკუთვნილი პროდუქტების განიავების, აგრეთვე დატაცების შემთხვევებს. მაგალითად: თბილისის საზკვების ტრესტის № 145 და 127 სასადილოებში სამამულო ომის ინვალიდების მოსამარაგებლად გაცემულ ხაშს კერძო პირებზე ჰყიდდნენ გადიდებულ ფასებში.

თბილისის საზკვების ტრესტის № 95 სასადილოში ადგილი ჰქონდა სამამულო ომის ინვალიდთა მოტყუებას წონაში, მეორე კერძის მიცემისას 25-30 გრამ კონსერვს აკლებდნენ.

თბილისის საზკვების ტრესტისა და სამხვაჭრობის თითქმის ყველა სასადილოში, რომლებიც მომსახურებას უწევენ სამამულო ომის ინვალიდებს, სადილების ხარისხი არადამაკმაყოფილებელი და დაბალია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარს ამხ. ელისაბედაშვილს:

ა) საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატთან ერთად, ერთი დეკადის ვადაში დაახუსტოს სამამულო ომის იმ ინვალიდთა სიები, რომლებიც ოფიცერთა შემადგენლობას ეკუთვნიან, და მიიღოს ზომები მათი შრომითი მოწყობისათვის;

ბ) ორი კვირის განმავლობაში გადასინჯოს სამამულო ომის III ჯგუფის იმ ინვალიდთა სია, რომლებიც სამუშაოზე მოწყობას თავს არიდებენ, და მოუსპოს მათ პენსია და მომარაგება;

გ) მიიღოს საჭირო ზომები სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდთა მაქსიმალური შრომითი მოწყობისათვის;

დ) სისტემატურად შეამოწმოს საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამამულო ომის იმ ინვალიდთა მუშაობის პირობები, რომლებიც იქ სამუშაოდ არიან მოწყობილი, და მიიღოს საჭირო ზომები მათთვის სათანადო პირობების შესაქმნელად;

ე) ყოველთვიურად წარუდგინოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ცნობები სამამულო ომის იმ ინვალიდთა კონტინგენტის შესახებ, რომლებიც მომარაგებულ უნდა იქნან ქალაქისა და სოფლის ნორმების თანახმად;

ვ) მიიღოს საჭირო ზომები, რათა სამამულო ომის ყველა ინვალიდი, რომლებიც სოფლებში არიან ჩამოსული, ჩაბმულ იქნან საკოლმეურნეო შრომაში მათი ფიზიკური მდგომარეობის შესაბამისად.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მუშაობა სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმეში და პირადად მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები, რათა გაიგზავნონ და სამუშაოზე მოეწყონ სამამულო ომის ინვალიდები, რომლებიც არ მუშაობენ;

ბ) გაუთმჯობესონ სამამულო ომის ინვალიდთა მომსახურება და მათთვის დახმარების გაწევა, რისთვისაც გამოუყონ მათ საუკეთესო ნაკვეთები ინდივიდუალური და კოლექტიური ბოსტნებისათვის, დახმარება გაუწიონ ნაკვეთების დამუშავებაში, მისცენ თესლი, უზრუნველჰყონ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეკეთება და ბინების რემონტი;

გ) ყველა სასადილოში, რომლებიც მომსახურებას უწევენ სამამულო ომის ინვალიდებს, მოაწყონ საზოგადოებრივი კონტროლი სამამულო ომის ყველაზე უფრო აქტიური ინვალიდებისაგან.

3. დაევალოს ამხ. თარგამაძეს და ელისაბედაშვილს ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წარმოუდგინონ ღონისძიებანი იმ ინვალიდთა კონტინგენტის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, რომლებიც ახალ პროფესიებს სწავლობენ სტაციონარულ და დროებითს კურსებზე.

4. დაევალოს სახალხო კომისრებს და საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს:

ა) სისტემატურად წარუდგინონ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ცნობები მათთან არსებული თავისუფალი თანამდებობების შესახებ, რათა ამ თანამდებობებზე გაგზავნილ იქნან სამამულო ომის ინვალიდები;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ სამამულო ომის იმ ინვალიდთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებიც მათს სისტემაში მუშაობენ, და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება.

5. სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარს ამხ. ელისაბედაშვილს და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს ამხ. ხვიჩიას.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს, ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას და სამხვაჭრობის უფროსს ამხ. გურკოვსკის გა-

მოჰყონ სამამულო ომის ინვალიდებისათვის სასურსათო და სამრეწველო საქონელი მიზნობრივი დანიშნულებით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ამხ. გიორგაძეს:

ა) 1944 წლის 1 ივნისამდე გახსნას ქ. თბილისის ბერიას სახელობის რაიონში 500 კაცის სასადილო სამამულო ომის იმ ინვალიდებისათვის მომსახურების გასაწევად, რომლებიც ბერიას სახელობის რაიონში და ორჯონიკიძის სახელობის რაიონში ცხოვრობენ;

ბ) მისცეს სამამულო ომის I და II ჯგუფების ინვალიდებს, რომლებსაც სასადილოებში სიარულისა და სადილობის საშუალება არა აქვთ, მშრალი ულუფა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშათა ნორმების მიხედვით;

გ) პასუხისგებაში მისცეს თბილისის საჯვების ტრესტის № 95 სასადილოს დირექტორი მუნჯიშვილი ბოროტმოქმედებისა და სამამულო ომის ინვალიდთა წონაში მოტყუების ფაქტებისათვის.

8. ეთხოვოს:

ა) სს რკავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ა. ი. მიქოიანს გამოჰყოს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის „რაზნოექსპორტის“ თბილისის ბაზაში არსებული საჩუქრების რაოდენობიდან სხვადასხვა საცვალი ნივთები სამამულო ომის 3.200 ინვალიდისათვის, რომლებიც ოფიცერთა შემადგენლობას ეკუთვნიან;

ბ) სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. ლიუბიმოვს—სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1943 წლის 9 აგვისტოს № 363 ბრძანების შესაბამისად, გამოუყოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის ფრონტის სამხვაჭრობას და ცეკავშირს მიზნობრივი დანიშნულებით სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფონდები საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები სამამულო ომის ინვალიდებისათვის იმ კონტინგენტების თანახმად, რასაც საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი წარადგენს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 500

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1944 წლის საფინანსო-სამეურნეო მუშაობის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს შემდეგს:

საერთო პროდუქციის 1943 წლის გეგმა საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შესრულებულია 92,6%-ით, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 81,0%-ით. დაკლებულია: ყაჭი—81,6 ტონა, აბრეშუმის მზა საქონელი—1.198 ათასი მეტრი და ბამბის ნართი—102 ტონა. დავალება სპეციალური ქსოვილების გამომუშავების დარგში შესრულებულია 101,7%-ით.

ადგილი ჰქონდა დაგეგმილი ასორტიმენტის დარღვევას შალისა და აბრეშუმსაქსოვ წარმოებაში. გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და აბრეშუმის ქსოვილების მხატვრული გაფორმება არადამაკმაყოფილებელია.

საწარმოო პროგრამის მთლიანად შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს: მუშახელის ნაკლებობა და მისი დიდი დენადობა, საწარმოო მოწყობილობის გეგმაზე გადამეტებული გაცდენა, მისი დაბალი ნაყოფიერება და აგრეთვე საწარმოთა არასაკმაო და არადროული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

მუშახელის დენადობა ძირითადად გამოწვეული იყო არადამაკმაყოფილებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით. 1943 წლის განმავლობაში მიღებულია 2.259 და განთავისუფლებულია 2.904 მუშა. ნაცვლად იმისა, რომ მუშახელის ნაკლებობის საკომპენსაციოდ გაეტარებინათ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშათა მიერ გამომუშავების ნორმების შესრულებას, გაეღრმავებინათ მათი კვალიფიკაცია და განემტკიცებინათ შრომის დისციპლინა, ფაბრიკების დირექტორები სისტემატურად იყენებდნენ საზეგანაკვეთო მუშაობას.

მოწყობილობის გეგმაზე გადაჭარბებულმა გაცდენამ და სამუშაო ადგილის არადამაკმაყოფილებელმა მომსახურებამ მნიშვნე-

ლოვნად შეუწყო ხელი წამყვან პროფესიათა მუშების მიერ გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობას.

შეცვლილი რანდემანით კორექტივის აღრიცხვასთან ერთად, მთელი გამომშვებული პროდუქციის თვითღირებულებამ საგეგმო დავალებას გადააჭარბა 2.705 ათასი მანეთით, აქედან: ხელფასის ელემენტის მიხედვით გადახარჯვა შეადგენდა 1.189 ათას მანეთს; საამქრო და საერთო-საქარხნო ხარჯების მიხედვით გადახარჯვა პროდუქციის მოცულობის გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით უდრიდა 2.422 ათას მანეთს, ხოლო ნედლეულის ელემენტის მიხედვით მიღებულია ეკონომია 804 ათასი მანეთის რაოდენობით.

1943 წლის საწარმოო მუშაობის შედეგად, დაგროვების დაზუსტებული გეგმა 20.171 ათასი მანეთის რაოდენობით ფაქტიურად შესრულებულია 11.765 ათასი მანეთით ანუ 58,3%-ით. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ 1943 წლის დაგროვების გეგმა არ იყო შეფარდებული მიღებულ საწარმოო პროგრამასთან 3.100 ათასი მანეთით.

ამის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანი, რანდემანის გასადიდებლად კორექტირებული გეგმით გათვალისწინებული 18.594 მანეთის ნაცვლად, შეადგენდა 10.986 ათას მანეთს.

გარღვევა საბრუნავ სახსრებში 1944 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 3.950 ათას მანეთს, აქედან—334 ათას მანეთს მუშათა მომარაგების განყოფილებებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ საფიქრო მრეწველობის 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო მუშაობის არადამაკმაყოფილებელი შედეგები აიხსნება აგრეთვე იმითაც, რომ საფიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი და მისი მთავარი სამმართველოები არასაკმაო ხელმძღვანელობას უწევდნენ საწარმოთა მუშაობას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საფიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. რუხაძეს დასახოს და გაატაროს ყოველ საწარმოში ღონისძიებანი და უახლოეს დროში მიაღწიოს საფიქრო მრეწველობის მუშაობაში ამ დადგენილებით აღნიშნულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და უზრუნველჰყოს 1944 წლის საწარმოო პროგრამის უცილობელი და ხარისხობრივი შესრულება.

2. დაევალოს საფიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს —ამხ. რუხაძეს:

ა) ერთი დეკადის განმავლობაში დაზუსტოს ფაბრიკების მოწყობილობის კაპიტალური და საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტის გრაფიკი და არ დაუშვას დამტკიცებული გრაფიკის დარღვევა. გააუმჯობესოს მოწყობილობის ყოველდღიური მოვლა;

ბ) გააძლიეროს ნედლეულის ხარჯვის კონტროლი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შალეულის მრეწველობას, რათა გაადიდოს გამოსავალი და არ დაუშვას მსუბუქწონიანი და მძიმეწონიანი საქონლის გამოშვება, რომელიც იწვევს მზაპრო-

დუქციის ხარისხის გაუარესებას და ნედლეულის ხარჯვის ნორმების დარღვევას;

გ) მტკიცედ დაიცვას აბრეშუმის პარკის ხარჯვის დაწესებული პროპორცია და მიაღწიოს პარკის ხარჯვის შემცირებას პროდუქციის ერთეულზე დახარისხების ოდენობის შემცირებასთან ერთად;

დ) ორი დეკადის განმავლობაში დაამთავროს მოსამზადებელი სამუშაოები ახალი მოსავლის აბრეშუმის პარკის მისაღებად აბრეშუმსახვევ ფაბრიკებში და მოაწყოს აბრეშუმის პარკის დროული და ჯეროვანი გადაგზავნა დამამზადებელ პუნქტებიდან;

ე) გამოიმუშაოს მიმდინარე წლის II და III კვარტალებში განმავლობაში თბილისის აბრეშუმსაქსოვ და თბილისის კამფოლმაუდის ფაბრიკებში გეგმაზე გადაჭარბებით სულ ცოტა 40 ათასი მეტრი ბამბის სატარე ქსოვილი 1944 წლის მოსავლის აბრეშუმის პარკის დამზადების ტარით უზრუნველსაყოფად და ახალი პარსვის მატყლის შემოსაზიდად;

ვ) მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საბავშვო ბაღების ლოგინის მოწყობილობით უზრუნველყოფის მიზნით, გამოიმუშაოს 1944 წლის 1 ივლისამდე გეგმაზე გადაჭარბებით 15 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილი;

ზ) უზრუნველჰყოს დამხმარე მეურნეობათათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების სრული ათვისება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აგროტექნიკურ ღონისძიებათა თავის დროზე გატარებას და მუშათა მომარაგების განყოფილებათა წუგებელ მუშაობას;

თ) არ დაუშვას პროდუქციის არაგეგმიანი ასორტიმენტის გამოშუშავება და საასორტიმენტო გეგმის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავენი მოხსნას სამუშაოდან და მისცეს სამართალში.

3. დაევალოს საფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატს — ამხ. რუხაძეს აუკრძალოს ფაბრიკების დირექტორებს გამოიყენონ საზეგანაკვეთო საათებში მუშაობა და მომავალში სპეციალური ნებართვის გარეშე არ დაუშვან საწარმოებში საზეგანაკვეთო მუშაობა და კვირა დღეებში მუშაობა.

4. წინადადება მიეცეს საწარმოთა დირექტორებს:

ა) მუშათა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, II კვარტალის განმავლობაში, შიდარესურსების მობილიზაციის საშუალებით, ჩაატაროს მუშათა საცხოვრებელი სახლების რემონტი (შეთეთრება, სახურავისა და ჭერის რემონტი და სხვ.) და უზრუნველჰყოს ფაბრიკასთან არსებული საერთო საცხოვრებლები ინვენტარით, ლოგინის მოწყობილობითა და სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით;

ბ) მიაღწიოს სადილების ხარისხის გაუმჯობესებას მუშათა სასადილოებში და უზრუნველჰყოს სასადილოები საჭირო ინვენტარითა და ჭურჭლით;

გ) უზრუნველჰყოს მუშათა ბავშვების თავის დროზე გაყვანა საზაფხულო გამაჯანსაღებელ ბანაკებში;

დ) II და III კვარტალებში მოახდინოს სადებიტორო დავა-

ლიანების ლიკვიდაცია და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ნაშთები დაიყვანოს დაწესებულ ნორმატივებამდე.

5. გარღვევა საბრუნავ სახსრებში 1943 წლის 1 იანვრისათვის არსებული ძდგომარეობის მიხედვით საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში განისაზღვროს 3.950 ათასი მანეთით. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს — ამხ. ციმაკურიძეს, გარდა საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფინანსო გეგმით გათვალისწინებული 1.500 ათაასი მანეთისა, საბრუნავი სახსრების გარღვევის დასაფარავად, ბიუჯეტის შესრულების წესით, გასცეს II კვარტალში 2.450 ათასი მანეთი.

6. დაევალოს „ზაგოტჟივსირიოს"—ამხ. აფხაზავას და „შერსტტრესტის" ამიერკავკასიის განყოფილებას — ამხ. რინენბერგს უზრუნველჰყონ საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მაუდის ფაბრიკების შეუფერხებელი მომარაგება დაგეგმილი ასორტიმენტის მატყლით და მიიღონ ზომები საგანგებო პარსვის მატყლის თავის დროზე გამოსაზიდად საქართველოს შორეულ რაიონებიდან.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს შეამოწმოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებთან არსებული საბავშვო ბაგები და ერთი თვის განმავლობაში გაატაროს ღონისძიებანი მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას დაამზადოს მომდინარე წლის II დაIII კვარტალების განმავლობაში საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა საერთო საცხოვრებლებისათვის 1.000 სკამი—ტაბურეტი.

9. დაევალოს ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს—ამხ. რთველაძეს 1944 წლის ივნისში შეუკეთოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს 8 სატვირთო ავტომანქანა.

10. გამომუშავებული პროდუქციის თვითღირებულების გადიდებისა და 1943 წლის საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობისათვის წულუკიძის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის დირექტორს ამხ. მონიავას გამოეცხადოს საყვედური.

11. ნედლეულის გადახარჯვისათვის ქუთაისის მაუდის ფაბრიკის დირექტორს ამხ. თევდორაძეს მიეთითოს.

12. ნედლეულის გადახარჯვისა, მოწყობილობის ზეგეგმური გაცდენისა და ასორტიმენტისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევისათვის თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ამხ. იაკობაშვილს გამოეცხადოს საყვედური.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 501

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მოზარდთა სკოლების მუშა-ახალგაზრდობის სკოლებად გადაკეთების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 30 აპრილის № 9492-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საწარმოებში მომუშავე მოზარდთა სკოლები, რომლებიც მოწყობილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 15 ივლისის № 7ᲔᲔ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 5 აგვისტოს № 1129 დადგენილებების თანახმად, გადაკეთდეს მუშა-ახალგაზრდობის სკოლებად.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განსახკომის მიერ წარმოდგენილი დებულება მუშა-ახალგაზრდობის სკოლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 503

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თბილისიდან მცხეთამდე საქართველოს სამხედრო გზის გამწვანების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საჭიროდ იქნას ცნობილი განხორციელდეს 1944 და 1945 წლებში საქართველოს სამხედრო გზის გამწვანება თბილისიდან მცხეთამდე, რისთვისაც ჩატარდეს სულ ცოტა ორ მწკრივად ხის დარგვა გზის ორივე მხარეს ვიწრო ადგილებში და 10 მწკრივად ფართო ადგილებში.

2. დამტკიცდეს კომისიის მიერ დიდი სპეციალისტების მონაწილეობით გამომუშავებული საქართველოს სამხედრო გზის თბილის-მცხეთის უბნის გამწვანების გეგმა, რაც ითვალისწინებს 38 ათასი ხისა და 5 ათასი ძირი ბუჩქის დარგვას, აქედან: 30 ათასი ძირი წიწვიანი (ელდარისა და ყირიმის ფიჭვი, კედარი, ჰორიზონტალური კვიპაროსი), 8 ათასი ძირი ფოთლოვანი (კაკლის ხე, თეთრი აკაცია, ალვისხე და სხვ.) და 5 ათასი ძირი კურდღლის ცოცხას ბუჩქი.

3. დსევალოს ქვემოდასახელებული ორგანიზაციების, ხელმძღვანელებს ერთი თვის განმავლობაში დაუკავშირონ სანერგეებში ყველაზე უფრო კარგი და ჯანსაღი ნერგები, უზრუნველჰყონ მათი გულმოდგინედ მოვლა და მისცენ საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს 1945 წლის თებერვალსა და მარტში საქართველოს სამხედრო გზის გასამწვანებლად შემდეგი რაოდენობის სარგავი მასალა:

ა) მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს და გამწვანების ტრესტის დირექტორს ამხ. კალანდაძეს—25 ათასი ძირი ნერგი, აქედან: ელდარის 7-8 წლის ფიჭვი—3.500 ძირი, ყირიმის 5-6 წლის ფიჭვი—3.700 ძირი, ელდარის 4 წლის ფიჭვი სიმაღლით არანაკლებ 80 სანტიმეტრისა—6.000 ძირი, ჰორიზონტალური კვიპაროსი სიმაღლით არანაკლებ ერთი მეტრისა—500 ძირი, თეთრი აკაციის ნერგები—3.300 ძირი, ალვისხის ნერგები—1.000 ძირი და კურდღლის ცოცხას ბუჩქის ნერგები—5.000 ძირი;

ბ) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ალავიძეს და ლიმშინტერესტის დირექტორს ამხ. ბერიძეს—კედარი სიმაღლით არანაკლებ ერთი მეტრისა — 5.000 ძირი;

გ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს—ელდარის ფიჭვის ნერგები სიმაღლით არანაკლებ ერთი მეტრისა—5.000 ძირი და კედარის 5-7 წლის ნერგები—500 ძირი;

დ) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას—კაკლის ხის ნერგები სიმაღლით არანაკლებ 1,5 მეტრისა—3.000 ძირი.

4. მიღებულ იქნას საქართველოს სამხედრო გზის თბილისი-მცხეთის გადასარბენზე ხეების დარგვის შემდეგი წესი:

ა) დარგვა ჩატარდეს გზის ორივე მხარეს და დატოვებულ იქნას დაბლობ ადგილებში გზის ზოლი სიგანით არანაკლებ 25 მეტრისა, ხოლო ვიწრო ადგილებში დაშორებულ იქნას გზის ვაკისისა თუ ფერდობის გარეთა წარბასაგან 0,5 მეტრით მაინც;

ბ) ფიჭვისა და ჰორიზონტალური კვიპაროსის ნერგები დარგულ იქნას სამი მეტრის მანძილზე ერთმანეთისაგან, კედარის ნერგები—4 მეტრის მანძილზე, კაკლის ხის ნერგები—5 მეტრის მანძილზე მაინც და ფურცლოვანი ხეებისა (აკაცია, ალვისხე და სხვ.) და ბუჩქების (კურდღლის ცოცხა) ნერგები დარგულ იქნას 1-2 მეტრის მანძილზე;

გ) ორმოების ამოთხრა ხეების დასარგავად დაწყებულ იქნას 1944 წლის ნოემბერში და დამთავრდეს 1945 წლის იანვარში;

დ) ორმოები ამოთხრილ იქნას სიგანით 60 სანტიმეტრზე და სიღრმით 60 სანტიმეტრზე მაინც;

ე) ქვიან ციცაბო ფერდობებზე დაირგას კურდღლის ცოცხას ბუჩქები;

ვ) გზის უბანზე 11,3 კილომეტრიდან 14,6 კილომეტრამდე ყოველი ნერგი დამაგრებულ იქნას ორი ცალი სარით, დანარჩენ უბნებზე ნერგები დამაგრებულ იქნას თითო სარით;

ზ) დარგული ხეების გაფუჭებისაგან დაცვის მიზნით, საქართველოს სამხედრო გზის მთელი გამწვანებული ზოლი მცხეთიდან თბილისამდე შეღობილ იქნას ეკლიანი მავთულით.

5. ორმოების ამოთხრა დაეკისროს თბილისისა და მცხეთის რაიონების კოლმეურნეობებს, რის გამოც დაევალოს თბილისის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ამირანაშვილს და მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მელიქიშვილს უზრუნველჰყონ შესაბამისი რაოდენობის კოლმეურნეთა გამოყვანა და ორმოების თხრის დამთავრება ამ დადგენილების მე-4 პუნქტით დაწესებულ ვადებში.

6. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ამხ. ჯაბუას დაამზადოს 1944 წლის IV კვარტალში ყარაიის სატყეო მეურნეობაში და ჩააბაროს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს 10 ათასი ცალი აკაციის ბოძი სი-

მაღლით 2-2,2 მეტრი და დიამეტრით 10-12 სანტიმეტრი ზედა გადანაჭერში და 45 ათასი ცალი აკაციის სარი სიმაღლით 2 მეტრი და დიამეტრით 4-6 სანტიმეტრი ზედაგადანაჭერში.

დაევალოს ყარაიის რაიაღმასკომს გამოჰყოს ამ სამუშაოს შესასრულებლად ყარაიის სატყეო მეურნეობის განკარგულებაში 1944 წლის ნოემბერსა და დეკემბერში 60 მუშა რაიონის შრომისუნარიანი სოფლის მოსახლეობიდან.

7. საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ თბილისიდან მცხეთამდე დარგული ხეების ჯეროვანი მოწყვით უზრუნველყოფის მიზნით, წინადადება მიეცეს:

ა) საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს ამხ. ზამბახიძეს, საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოსთან ერთად, გამოიმუშაოს და ორი თვის განმავლობაში წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს ღონისძიებანი არსებული სარწყავი სისტემის ჯეროვან წესრიგში მოსაყვანად და ახალი სარწყავი თხრილების გასაყვანად;

ბ) მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს მიერ მოწყობილი სარწყავი ქსელი ბაქტერიოფაგის ინსტიტუტიდან დიღმის ხევამდე გამოთიშოს ნატახტარის წყალსადენს და შეუერთოს სარწყავ წყალსადენს საბურთალოს წყალსატმბიდან და უზრუნველჰყოს საჭირო რაოდენობის წყლის შეუფერხებელი მიწოდება დარგული ხეების მოსარწყავად საბურთალოდან დიღმის ხევამდე.

8. დაევალოს თბილისის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ამირანაშვილს, საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოსთან შეთანხმებით, ჩაატაროს 1944-1945 წლების შემოდგომასა და გაზაფხულზე საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ თბილისიდან მცხეთამდე განლაგებული ხილის ბაღების შევსება ხეხილებითა და სხვა ხეებით და ეს მუშაობა დაუკავშიროს გამწვანების საერთო გეგმას.

9. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამწვანების ტრესტის დირექტორს ამხ. კალანდაძეს ჩაატაროს 1945 წლის გაზაფხულზე სათანადო რაოდენობის ხეების დარგვა გამწვანების ტრესტის დიღმის სანერგეში საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ და ეს დარგვა შეათანხმოს გამწვანების საერთო გეგმასთან.

10. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს უფროსს ამხ. რობიტაშვილს:

ა) მიიღოს საჭირო ზომები და უზრუნველჰყოს მომდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს სამხედრო გზის მე-13 კილომეტრზე დარგული ხეების გულმოდგინედ მოვლა (სარების გადატანა მაგარ გრუნტში, დრაცენის ასაკრავი მასალის შეცვლა თოკით, მეორე დამატებითი სარების დასობა, ჰორიზონტალური კვიპაროსის ქვედა ტოტების გასხვლა 30 სანტიმეტრამდე, ღრმულების შემობარვა, გაფხვიერება და გაფართოება 1 მეტრამდე, სის-

ტემატური მორწყვის უზრუნველყოფა, მავნებლებთან ბრძოლა და სხვ.);

ბ) მიიღოს თავის უშუალო გამგებლობაში საქართველოს სახედრო გზაზე ბაქტერიოფაგის ინსტიტუტიდან დიღმის ხევამდე მოწყობილი სარწყავი ქსელი და არ დაუშვას ამ ქსელის გამოყენება არადანიშნულებისამებრ;

გ) უზრუნველჰყოს საქართველოს სამხედრო გზის თბილისი-მცხეთის უბნის გამწვანების ყველა მოსამზადებელი სამუშაოს დამთავრება (ბოძებისა და სარების მიზიდვა, ეკლიანი მავთულის ღობეების შემოვლება, ორმოების თხრის დაგეგმვა და ამოთხრილი ორმოების მიღება, ასაკრავი მასალის დამზადება, სარწყავი სისტემის მომზადება, სათანადო სანერგეებში დაჯავშნული ნერგების შემოწმება, ტრანსპორტის მომზადება, საჭირო ცაღრების შერჩევა და სხვ.) 1945 წლის 15 იანვრამდე, იმ ანგარიშით, რომ ხეების დარგვა წარმოებულ იქნას თებერვალსა და მარტში აუჩქარებლივ, გულმოდგინედ და დამთავრდეს არაუგვიანეს 1945 წლის 1 აპრილისა.

11. ნერგების, ბოძების, სარებისა და აგრეთვე ეკლიანი მავთულის შეძენის ხარჯები გადებულ იქნას საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, რის გამოც დაევალოს ფინსახკომს — ამხ. ციმაკურიძეს ორი კვირის განმავლობაში გამოარკვიოს საჭირო სახსართა რაოდენობა და ამ ხარჯების დაფარვის წყაროები.

12. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას მისცეს 1944 წლის III კვარტალში შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს სათანადო დიამეტრის 3 ტონა თოკი საქართველოს სამხედრო გზაზე დარგული ხეების ასაკრავად.

13. საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს გამგებლობაში არსებული უმნიშვნელოვანესი გზებისა და, კერძოდ, საქართველოს სამხედრო გზის თბილის-მცხეთის უბნის გამწვანების სამუშაოთა უზრუნველსაყოფად, ეთხოვოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ლ. პ. ბერიას დაავალოს სსრ კავშირის შინსახკომის გზატკეცილების მთავარ სამმართველოს:

ა) დაუმტკიცოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს გამწვანების განყოფილება 5 კაცის შემადგენლობით, მათ შორის:

გამწვანების განყ. უფროსი—1 თვეში 1300 მან. ხელფასით
სატყეო კულტურების უფროსი მუშაკი . . . . . —1 „ 1100 „ „
სატყეო კულტურების ტექნიკოსები . . . . . —2 „ 600 „ „ თვითეულს
საქმისმწარმოებელი — მანქანაზე გადამწერი . . . —1 „ 400 „ „

ბ) საქართველოს სამხედრო გზის თბილის-მცხეთის უბნის მწვანე ზოლის მუდმივი მოვლის უზრუნველსაყოფად დაამტკიცოს სახზო-საექსპლოატაციო დარგის შტატი 726 საგზაო საექსპლოატაციო უბნის გასამწვანებლად 20 კაცის რაოდენობით, მათ შორის:

უფროსი მეტყევე—1	თვეში	1200	მან. ხელფასით
მეტყევე . . . —1	„	1000	„ „
მებაღე . . . . —8	„	500	„ „ თვითეულს
დაცვის უფროსი—1	„	500	„ „
დარაჯი . . . —9	„	300	„ „ თვითეულს

გ) გამოუყოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს საქართველოს სამხედრო გზის თბილის-მცხეთის უბნის გამწვანების სამუშაოთათვის 40 ტონა ბენზინი, აქედან 1944 წლის III და IV კვარტალებში—20 ტონა და 1945 წლის I კვარტალში—20 ტონა;

დ) გამოუყოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს 1944 წელს 2 სარწყავი ავტომანქანა „ზის-5“, 2 ხელის ტუმბო და 500 სიგრძ. მეტრი სარწყავი წელა.

14. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. მიქოიანს გამოუყოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წელს 60 ტონა საიმპორტო ეკლიანი მავთული საქართველოს სამხედრო გზის მწვანე ზოლის შესაღობად თბილისიდან მცხეთამდე.

15. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს ამხ. ვ. მ. ბაქრაძეს და გ. ტ. კარანაძეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 504

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქვაბეებში კონდენსატის დაბრუნების გადიდების შესახებ

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ბევრი საწარმო, რომელთაც საქვაბე დანადგარები აქვთ, მფლანგველურად ხარჯავს თბოენერგიას და საჭირო ზომებს არ იღებს იმისთვის, რომ სათანადო წესრიგი დამყარდეს თბომოხმარების საქმეში.

მიღებული კონდენსატი არასაკმაო რაოდენობით უბრუნდება ან ცალკეულ შემთხვევებში სრულიადაც არ უბრუნდება საქვაბეებს.

ამის შედეგად ადგილი აქვს სათბობის დიდ გადახარჯვას, აგრეთვე უარესდება საქვაბეთა მუშაობის რეჟიმი, რასაც თავის მხრივ შეიძლება მოჰყვეს ქვაბების ავარიები.

მაგალითად, კონდენსატის არასრულად დაბრუნების გამო, თბილისის თბოელექტროცენტრალი წელიწადში ზედმეტად ხარჯავს 6%-მდე სათბობს, თბილისის ზეთსახდელი ქარხანა—12%-მდე სათბობს, ბორჯომის წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა—15%-მდე, თბილისის მაუდის ფაბრიკა—16%-მდე, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა—11%-მდე, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა—3%-მდე, ხოლო თბილისის ქალაღდის ფაბრიკა, რომელიც ორთქლს ფეხსაცმლის ფაბრიკისაგან იღებს, სრულიად არ აბრუნებს კონდენსატს.

საქართველოს სსრ ჯანსახკომის № 2464 საევაკუაციო ჰოსპიტალი სრულიად არ იყენებს კონდენსატის დაბრუნებას, რის გამო ყოველთვიურად ზედმეტად სწვავს საშუალოდ 12 ტონამდე მაზუთს.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 18 იანვრის № 5670 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სახალხო კომისარიატების, უწყებების, ცენტრალურ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს:

ა) ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ცალკე თითოეული საწარმოსათვის კონკრეტული ღონისძიებანი, რომ-

ლებიც უზრუნველჰყოფენ სითბოს რაციონალურად გამოყენებას და საქვაბეებში კონდენსატის დაბრუნების გადიდებას;

ბ) დასდგან მიმდინარე წელს კონდენსაციური ქოთნები და მოაწყონ კონდენსატორ გაყვანილობანი იმ საწარმოებში, რომლებსაც საქვაბეები აქვთ ან რომლებიც კონდენსატს სხვა საწარმოებისაგან ღებულობენ;

გ) უზრუნველჰყონ საქვაბეებში კონდენსატის დაბრუნების გადიდება 1944 წლის 1 ივნისისათვის საშუალოდ 10%-ით და 1944 წლის 1 ოქტომბრისათვის—20%-ით, დაბრუნებული კონდენსატის ფაქტიურ რაოდენობასთან შედარებით.

2. უფლება მიენიჭოს იმ საწარმოებს, რომლებიც ორთქლს სხვა მომხმარებელს აძლევენ, სათანადოდ შეამცირონ ორთქლის მიცემა იმ შემთხვევებში, როცა მომხმარებლები არ აბრუნებენ კონდენსატს საქვაბეებში ანდა აბრუნებენ მას იმაზე ნაკლები რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

3. დაწესდეს, რომ საქვაბე საწარმოებთან ორთქლის მომხმარებელთა შეერთება, რომელთაც კონდენსატორგაყვანილობანი არა აქვთ, ხდება მხოლოდ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ნებართვით.

4. წინადადება მიეცეს საწარმოთა დირექტორებს 1944 წლის 20 მაისამდე ხელახლა დასდონ ხელშეკრულებანი 1944 წელს თბოენერგიის გაცემასა და მოხმარებაზე და გაითვალისწინონ მათში კონდენსატის დაბრუნების გადიდება, ამ დადგენილების 1 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 505

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ადიგენის რაიაღმასკომისა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს დახარჯონ 260 ათასი მანეთი ბენარის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დაგროვებიდან რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს ადიგენის რაიაღმასკომისა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომის შუამდგომლობა და ნება დაერთოს მათ დახარჯონ 260 ათასი მანეთი ბენარის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დაგროვებიდან რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 506

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

26 კომისრის სახელობის ქარხანასთან საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის მოწყობის შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ლითონდამმუშავებელი საწარმოები სათანადო კვალიფიციური კადრებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 26 კომისრის სახელობის ქარხანასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლა გადაკეთდეს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლად.

2. დაწესდეს 26 კომისრის სახელობის ქარხნის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი 120 კაცის რაოდენობით, აქედან 45 ხარატი, 45 ზეინკალი და 30 ჩამომსხმელი.

3. 26 კომისრის სახელობის ქარხანასთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის შენახვის ხარჯები გაწეულ იქნას იმ პირობებში, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი რეზერვების სამმართველოს სისტემის ანალოგიური სკოლებისათვის.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს 26 კომისრის სახელობის ქარხნის სასადილოში საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის 120 მოსწავლის კვება შრომითი რეზერვების სამმართველოს სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა კვების ნორმების მიხედვით.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს გაითვალისწინოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების II კვარტალის გეგმით, რომ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლას გამოეყოს ქსოვილები და ტყავი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკერად 120 კაცისათვის და 50 საწოლი ლოგინის მოწყობისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 507

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ბორჩალოსა და ბოლნისის რაიონებში საქთამბაქნედლეულის დამამზადებელი კანტორების მოწყობის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ზუგდიდისა და გურჯაანის რაიონებში თამბაქოს დარგვა შემდეგში არ იწარმოებს, ხოლო ბორჩალოსა და ბოლნისის რაიონებში, სადაც დიდძალი თამბაქო მოიპოვება, დამამზადებელი კანტორები არ არსებობს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის „საქთამბაქნედლეულს“, გურჯაანისა და ზუგდიდის დამამზადებელი კანტორების ნაცვლად, მოაწყოს თამბაქოს დამამზადებელი კანტორები ბორჩალოსა და ბოლნისის რაიონებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 508

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ხის საძირის გამოშვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ხის საძირიანი ფეხსაცმლის გამოშვების გადიდების მიზნით, დამტკიცდეს 1944 წლისათვის ხის საძირის წარმოების გეგმა 225 ათასი წყვილის რაოდენობით, აქედან:

საქართველოს სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატისათვის	100	ათასი წყვილი
საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის	50	„ „
საქსარეწტყეკავშირისათვის	45	„ „
აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწვ. სახ. კომისარიატისათვის	26	„ „
ცეკავშირისათვის	4	„ „

2. დადგენილ იქნას, რომ 100 ათასი წყვილი ხის საძირის წარმოება საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით, 45 ათასი წყვილისა—საქსარეწტყეკავშირის ხაზით, 26 ათასი წყვილისა—აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით და 4 ათასი წყვილისა—ცეკავშირის ხაზით უზრუნველყოფილ უნდა იქნას საჭირო რაოდენობის ხე-ტყის მასალით საკუთარი რესურსებიდან.

3. 50 ათასი წყვილი ხის საძირის წარმოების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით, დაევალოს ქვემოდასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ჩააბარონ საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შემდეგი რაოდენობის ხე-ტყის მასალები:

საქსარეწტყეკავშირს — ამხ. ჯებაშვილს 160 კუბ. მეტრი მორი ფრანკო-გზატკეცილი აფხაზეთის ასსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატს—ამხ. ლოგუას . . . . . 30 კუბ. მეტრი თხმელის დახერხილი მასალა ოჩამჩირის ქარხნიდან. საქართველოს სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს . . . 20 კუბ. მეტრი წიფლის დახერხილი ძასალა თელავის რაიონული სამრეწველო კომბინატიდან.

4. დაევალოს საქსარეწტყეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ჯებაშვილს 1944 წელს დამზადებული 45 ათასი წყვილი ხის საძირიდან ჩააბაროს თანაბარ პარტიებად საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—30 ათასი წყვილი და სარეწაო კავშირს—15 ათასი წყვილი; ორი თვის განმავლობაში დაამზადოს და ჩააბაროს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს —250 წყვილი კალაპოტი ხის საძირიანი ფეხსაცმლის გადასაჭიმად.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას გამომუშავებული ხის საძირის მთელი რაოდენობა ჩააბაროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 509

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის რადიოკვანძის მიწახკომის გამგებლობიდან სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ვინაიდან წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგური ვერ უზრუნველჰყოფს რადიოკვანძის ნორმალურ ექსპლოატაციას, წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის 9-ვატიანი რადიოკვანძი გადაეცეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს; ამასთან აღნიშნული სადგურის ღირებულება ჩამოწერილ იქნას წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ბალანსიდან სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს ბალანსზე.

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ამხ. მონიავას უზრუნველჰყოს რადიოკვანძის ნორმალური ექსპლოატაცია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 511

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ 1943 წლის 21 სექტემბერს ქალაქ თბილისის წისქვილებში მარცვლის დაფქვის ღირებულების დაწესების საკითხზე მიღებული დადგენილების (ოქმი № 32, § 6 კირ. № 676) მე-2 პუნქტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1943 წლის 21 სექტემბრის დადგენილების (ოქმი № 32, § 6 კირ № 676) მე-2 პუნქტი, რომელიც აწესებს დაფქვის დროს მარცვლის წვის პროცენტს 4 %-ის რაოდენობით, როგორც ისეთი დადგენილება, რომელიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის დამხადებათა სახალხო კომისარიატის დირექტივებს;

ბ) დააწესოს ქ. თბილისში მომუშავე წისქვილებისათვის მარცვლის წვა დაფქვის დროს 1 პროცენტის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 512

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამკერდე ნიშნის—„სახალხო განათლების წარჩინებულის“ შემოღების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს შემოიღოს სამკერდე ნიშანი „სახალხო განათლების წარჩინებული“.

2. დამტკიცდეს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის ესკიზი, მისი აღწერილობა და დებულება, თანახმად №№ 1 და 2 დანართებისა.

3. დაწესდეს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის ყოველწლიური ტირაჟი 200 ცალის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. № 512
დადგენილების დანართი № 1

სამკერდე ნიშნის

„სახალხო განათლების წარჩინებულის"

აღწერილობა

ნიშნის ფორმა ოვალი.

ქვედა ფენა წარმოადგენს მზის და მზის სხივების გამოსახულებას. მზე ამოზნექილი ნახევარწრე, სხივები ტალღისებური (მოოქროვილი ვერცხლი).

მეორე ზედა ფენა, რომელიც დაკრული იქნება ქვედა ფირფიტაზე წარმოადგენს: შუაში თეთრი ემალის წიგნის რელიეფურ გამოსახულებას, რომელზედაც წითელი ემალით არის წარწერა „სახალხო განათლების წარჩინებული".

ოვალის გარშემო არის დაფნის გვირგვინის რელიეფური გამოსახულება (მწვანე ემალი), დაფნის გვირგვინის ტოტების შეჯვარებაზე მზის ფონზე ჩაქუჩ-ნამგალი (წითელი ემალი), სხივის შუაში მაღლა ხუთქიმიანი ვარსკვლავი (წითელი ემალი). მკერდის ნიშნის საერთო ზომა: სიმაღლე 45 მმ., სიგანე 30 მმ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხაძიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 16/V
№ 512 დადგენილების დანართი № 2

დებულება

„სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნის შესახებ

1. „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა და სახალხო განათლების განყოფილებათა დაწესებულებების მუშაკები:

ა) ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის სანიმუშოდ შესრულებისათვის;

ბ) სკოლებსა, საბავშვო ბაღებსა და საბავშვო სახლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საუკეთესო დაყენებისათვის;

გ) სახალხო განათლების კადრების მაღალხარისხოვნად მომზადების საქმის საუკეთესოდ მოწყობისათვის;

დ) პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების (კლუბი, ქოხ-სამკითხველო, ბიბლიოთეკა და ა. შ.) მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის;

ე) ქალაქებისა და რაიონების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკების სკოლებში მეთოდური მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის და აგრეთვე საუკეთესო ნაბეჭდი შრომებისათვის, რომლებშიც განზოგადებული იქნება სახალხო განათლების დაწესებულებათა გამოცდილება;

ვ) სახელმძღვანელო წიგნების გამოშვებისა და სასწავლო ნივთების დამზადების საუკეთესო მოწყობისათვის, ახალი ორიგინალური სასწავლო ნივთების კონსტრუირებისა და მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესის დამუშავებისათვის;

ზ) რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში სახალხო განათლების დაწესებულებების საუკეთესოდ ხელმძღვანელობისათვის.

2. „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვება სწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებათა გამგეების, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფი-

ლებისა, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისრებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ განსახკომის სამმართველოების უფროსების წარდგენით.

3. სამკერდე ნიშანს—„სახალხო განათლების წარჩინებულს“ ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეზე.

4. „სახალხო განათლების წარჩინებულის“ ნიშნის ჩამორთმევა ხდება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით ისეთი ქმედობისათვის, რომელიც არ შეეფერება სახალხო განათლების წარჩინებულის წოდებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 514

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლდეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობიდან ამხ. ლ. ა. გაბუნია და ვ. ზ. გურბელაძე სხვა სამუშაოზე მათს გადასვლასთან დაკავშირებით.

2. შეყვანილ იქნას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში სახალხო კომისარიატის საკოლმეურნეო წყალმომარაგების განყოფილების უფროსი ამხ. გ. ს. ჭობულია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 17 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 515

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლდეს ამხ. ლ. ი. ჩიბურდანიძე საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობიდან სახალხო კომისარიატში მუშაობისაგან მის განთავისუფლებასთან დაკავშირებით.

2. შეყვანილ იქნას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. გ. ა. ჯაბუა (კოლეგიის თავმჯდომარე).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 17 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 516

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს მთავარ ინჟინერ ამხ. ს. ს. ასლანიანცისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაენიშნოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოს მთავარ ინჟინერს ამხ. სერგი სამსონის-ძე ასლანიანცს ხელფასის პერსონალური განაკვეთი თვეში 1200 მანეთის რაოდენობით 1944 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 18 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 517

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის მოსავლის ხილის კურკების დამზადების გეგმის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 30 აპრილის № 9550-ჳ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს განაწილება 1944 წლის მოსავლის ხილის კურკების დამზადების გეგმისა 110 ტონის რაოდენობით დამზადებათა რაიონებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის, დანართის თანახმად.

2. დაევალოს დამამზადებელ ორგანიზაციებს—საქკონსერვხილტრესტს, ცეკავშირსა და „სოიუზუტილის" საქართველოს კანტორას:

ა) ხილის კურკების დამზადებისა და ჩაბარების გაძლიერების მიზნით ჩაატარონ მცენარეული ზეთისა და კოპტონის შემხვედრი მიყიდვა ხილის კურკების ჩამბარებელთათვის შემდეგი რაოდენობით: სამი კილოგრამი მცენარეული ზეთი და 15 კილოგრამი კოპტონი ხილის კურკების ყოველი დამზადებული და ჩაბარებული ცენტნერისათვის.

დანარჩენ ნაწილში 1944 წლისათვის შეინარჩუნონ ხილის კურკების დამზადების ის წესი და პირობები, რომელნიც მოქმედებდნენ 1943 წელს;

ბ) 1944 წლის მეორე კვარტალიდანვე უზრუნველჰყონ მცენა-

რეული ზეთისა და კოპტონის საჭირო ფონდების მიღება კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატიდან.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, რაიაღმასკომებსა და აგრეთვე დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულებს საჭირო დახმარება აღმოუჩინონ დამამზადებელ ორგანიზაციებს ამ დადგენილებით დაწესებული ხილის კურკების დამზადების გეგმის შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 18 მაისი.

საქ. სსრ საბკომსაბჭოს 1944 წ. 18/V
№ 517 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1944 წლის მოსავლის ხილის კურკების დამზადებისა

(ტონობით)

რ ა ი ო ნ ი	ჯ/ჯა	აქედან: საქკონსერვ-ტრესტი	ცეკავშირი	„სოიუზუტილის" საქ. კანტორა
1. აფხაზეთის ასსრ . . .	6	—	4	2
2. აჭარის ასსრ	3	—	1	2
3. ამბროლაურის რაიონი	4	—	4	—
4. გურჯაანის „ .	2	—	2	—
5. გორის „ .	15	6	4	5
6. ზესტაფონის „ .	3	—	3	—
7. ქარელის „ .	1	—	1	—
8. ქუთაისის „ .	10	2	3	5
9. კასპის „ .	3	—	3	—
10. ლანჩხუთის „ .	3	—	3	—
11. მცხეთის „ .	2	—	2	—
12. მაიაკოვსკის „ .	1	—	1	—
13. ორჯონიკიძის „ .	4	—	4	—
14. საჩხერის „ .	3	—	3	—
15. საგარეჯოს „ .	3	—	3	—
16. სიღნაღის „ .	9	—	4	5
17. თელავის „ .	7	—	4	3
18. ტყიბულის „ .	2	—	2	—
19. ხაშურის „ .	2	—	2	—
20. თბილისის „ .	18	—	1	17
21. ცაგერის „ .	3	—	3	—
22. წყალტუბოს „ .	2	1	1	—
23. წულუკიძის „ .	1	—	1	—
24. ჭიათურის „ .	1	—	1	—
25. მახარაძის „ .	1	—	—	1
26. სამტრედიის „ .	1	1	—	—
ს უ ლ . . .	110	10	60	40

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 519

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მუშათა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური სარგებლობისათვის გოჭების მიყიდვის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1944 წლის 28 მარტს „მუშათა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარების შესახებ“ მიღებული № 315 დადგენილების განსახორციელებლად და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისის მიერ კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობებიდან მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გოჭების მიყიდვის საკითხზე დაშვებული განრიგის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს მიჰყიდონ 1944 წელს საწარმოთა და დაწესებულებათა მუშებსა და მოსამსახურეებს საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებიდან 5.000 სული გოჭი 15 კგ. ნაკლები ცოცხალი წონით.

2. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა მიერ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მიყიდული გოჭების მთელი სულადობა კოლმეურნეობებს ჩაეთვლებათ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში.

3. დამტკიცდეს 1944 წელს საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებიდან 5000 სული გოჭის ყიდვისა და გაყიდვის რაიონობლივი განაწილება საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის, თანახმად № 1 დანართისა.

4. გოჭების შესყიდვის, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მათი მიყიდვის ჩატარება დაეკისროს საწარმოთა და დაწესებულებათა მუშათა მომარაგების განყოფილებებს.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, საბრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და რაიაღმასკომებს დაუყოვნებლივ გაანაწილონ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გოჭების მიყიდვის გეგმა ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით და საჭირო დახმარება გაუწიონ მუშათა მომარაგების განყოფილებებს გამოყოფილი გოჭების შესყიდვის საქმეში.

6. დაწესდეს გეგმა 1944 წელს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობებიდან 205 სული გოჭის და ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემიდან 35 სული გოჭის მიყიდვისა კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. კეცხოველმა და ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ბერიშვილმა 5 დღის განმავლობაში გაანაწილონ და ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებამდე და საწარმოებამდე დაიყვანონ მუშათა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური სარგებლობისათვის გოჭების გაყიდვისა და შესყიდვის დავალებანი.

7. დაწესდეს 1944 წელს საწარმოთა დამხმარე მეურნეობებიდან თავიანთი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გოჭების მიყიდვის გეგმა 1109 სულის რაოდენობით, რაც განაწილდეს ცალკეულ უწყებათა და საწარმოთა მიხედვით, თანახმად № 2 დანართისა.

8. დაწესდეს მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გოჭების მიყიდვის შემდეგი პირობები:

ა) გოჭების მიყიდვა სწარმოებს მუშათა მომარაგების განყოფილებების მეშვეობით იმ ფასებში, რაც დაწესებულია სარგებლობითი პირუტყვისათვის (20 მანეთი 2 თვემდე ასაკის გოჭების ცოცხალი წონის კილოგრამში);

ბ) მუშები და მოსამსახურეები, რომლებმაც გოჭები იყიდეს, მოვალენი არიან 1944 წლის დავლევისათვის დაუბრუნონ მუშათა მომარაგების განყოფილებებს 12,5 კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით მიღებული გოჭების წონის ყოველ 10 კილოგრამში, ანდა ამავე ვადაში დასაბრუნებელი ხორცი დაფარონ სასურსათო ბარათების ხორცის ტალონებით თანაბარ ნაწილებად ყოველთვიურად, მაგრამ არაუმეტეს 1 კილოგრამისა თვეში ყოველ ბარათზე.

გ) მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მუშათა მომარაგების განყოფილებების მეშვეობით მიყიდული გოჭების მთელი რაოდენობა მუშათა მომარაგების განყოფილებებს ჩაეთვლებათ ცენტრალიზებული მომარაგების ფონდში თანაბარ ნაწილებად ყოველთვიურად წლის დამლევამდე.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. გიორგაძემ მუშათა მომარაგების განყოფილებებს ჩაუთვალოს მომარაგების გეგმებში გოჭების მიყიდვა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

9. დაევალოს სახალხო კომისრებს, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს:

ა) 5 დღის ვადაში შეადგინონ მუშათა და მოსამსახურეთა სიები გოჭების შეძენისა ინდივიდუალური სარგებლობისათვის, განუმარტონ მათ მიყიდვის პირობები, რაც დაწესებულია ამ დადგენილებით, და მიიღონ სათანადო ზომები იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოს მუშებსა და მოსამსახურეებს, რათა მათ შეიძინონ გოჭები მოსაშენებლად;

ბ) ა/წ 20 ივნისისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წარმოუდგინონ ანგარიშები ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 19 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ე ნ ე მ ა

1944 წელს საქართველოს სსრ საკოლმეურნეო სახაჭონლო ფერმებიდან მუშათა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური მომსახურებისათვის ნოემბის მიყიდვისა

რაიონების დასახელება	განსაზღვრი ნოემბის რაოდენობა (სულით)	ვის უნდა მიეყიდოს და რა რაოდენობით
წითელწყაროს	250	დიმიტროვის სახ. № 31 ქარხანას—მთელი რაოდენობა
სიღნაღის	250	დიმიტროვის სახ. № 31 ქარხანას—მთელი რაოდენობა
გურჯაანის	250	დიმიტროვის სახ. № 31 ქარხანას—200 სული, ინდუსტრიულ ინსტიტუტს—50 სული
თელავის	200	თელავის აბრეშუმსახვევ ფაბრიკას – 60 სული, აქ მეტალურგიულ ქარხანას 140 სული
ქვარლის	250	კავშირგაბმ. სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს—140 სული, „გლავნეფტესნაბის“ სამმართველოს —110 სული
საგარეჯოს	200	ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტს—70 სული, თბილისის ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკას—130 სული
ხაშურის	50	თბილისის საავიაციო ტექნიკუმს—მთელი რაოდენობა
თეთრიწყაროს	100	თბილისის წისქვილკომბინატს—მთელი რაოდენობა
გორის	200	თბილისის მაუდის ფაბრიკას—110 სული, ტრესტ საქშახტმშენს—50 სული, ქარხანა „ცენტროლიტს“—40 სული
ბორჩალოს	150	საქთეატრესტს—50 სული, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მშენებლობას—100 სული
კასპის	100	საქ. სსრ შინსაკომის გზატკეცილების სამმართველოს – მთელი რაოდენობა
ბოლნისის	100	საქ. სსრ შინსაკომის გზატკეცილების სამმართველოს—მთელი რაოდენობა
სამტრედიის	300	სამტრედიის აბრეშუმსახვევ ფაბრიკას—90 სული, თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილებას—60 სული, ქუთაისის აბრეშუმკომბინატს—110 სული, „ზო-

რაიონების დასახელება	განაწილების ციფრების რაოდენობა (სულ)	ვის უნდა მიეყიდოს და რა რაოდენობით
		ლოტპროდსნაბის“ საქართველოს კანტორას—40 სული.
ქუთაისის	100	ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილებას—60 სული, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს—40 სული
ჭიათურის	150	ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილებას—95 სული, დამხადებათა სახალხო კომისარიატის რუშეულის სამმართველოს—55 სული
წყალტუბოს	200	№ 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილებას—70 სული, № 1 ტყავის ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილებას—130 სული
წულუკიძის	150	№ 2 სამკერვალო ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილებას—90 სული, მახარაძის აბრეშუმსაზვევ ფაბრიკას—60 სული
ვანის	150	კიროვის სახელობის № 228 ქარხანას—მთელი რაოდენობა
ლანჩხუთის	250	კიროვის სახელობის № 228 ქარხანას—150 სული. მიწსახკომს—100 სული
ბაბუშს	300	მიწსახკომს—100 სული, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს - 200 სული
ცხაკაიას	150	ხრამჰესმშენს—მთელი რაოდენობა
ხობის	200	„ „ „
ზესტაფონის	150	„ „ „
ზუგდიდის	200	სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას—მთელი რაოდენობა
სამხრეთ-ოსეთის ა/რ . . .	200	თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას—70 სული, თბილისის სტომატოლოგიურ ინსტიტუტს—80 სული, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას—50 სული
აფხაზეთის ასსრ	400	სოხუმჰესმშენს—100 სული, თბილისის კინოსტუდიას—50 სული, თბილისის მედიცინსტიტუტს—250 სული.
ს უ ლ . . .	5000	

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. **რუხტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1944 წელს საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობებიდან თავიანთი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გოჭების მიყიდვისა

საწარმოების დასახელება	თავიანთი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მისაყიდი გოჭების რაოდენობა
სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა	140
დიმიტროვის სახ. № 31 ქარხანა	100
ჭიათურის მარგანტრესტი	85
ზესტაფონის ფეროშენადნობის ქ-ნა	45
კარობის მოლიბდენი	5
ტრესტი ტყიბულქვანახშირი	50
ტრესტი ტყვარჩელქვანახშირი	50
ტრესტი საქნავთი	30
სტალინის სახ. № 429 ქარხანა	20
ქარხანა „ცენტროლიტი“	20
კასპის ცემენტის ქარხანა	8
ინგურის ქაღალდის კომბინატი	16
ბათუმის ნავსადგური	30
ფოთის ნავსადგური	35
სოხუმის ნავსადგური	35
ა|კ განსაკ. სამხედრო-სამშენებლო სამმართველო	40
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა	20
თბილისის მაუდის ფაბრიკა	10
თბილისის ძაფსართავი ფაბრიკა	10
თელავის აბრეშუმსახვევი ფაბრიკა	10
ჭუთაისის აბრეშუმკომბინატი	20
სამტრედიის აბრეშუმსახვევი ფ-კა	15
მახარაძის „	15
ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა	50
ბათუმის ფანერის ქარხანა	40
ჯალაბეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა	50
ახმეტის სატყეო სამრეწვ. მეურნეობა	110
ფოთის „ „ „	10
გინძე-ეწერის „ „ „	10
გურჯაანის „ „ „	30
ს უ ლ	1109

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 520

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სიღნაღის რაიონის სოფ. ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობისათვის სატვირთო ავტომანქანების დაბრუნების შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ სატვირთო ავტომანქანა „ზის-5“ № გრ—37-75, რომელიც ამჟამად წითელწყაროს რაიონის ზემო-მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იმყოფება, სიღნაღის რაიონის სოფ. ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის, აგრეთვე სატვირთო ავტომანქანა „გაზ-აა“ № გს—94-82, რომელიც წითელწყაროს რაიონულ პროკურატურას ჰყავს, სიღნაღის სოფ. ძველი ანაგის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების წითელწყაროს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მირიანაშვილს 5 დღის განმავლობაში:

ა) დაუბრუნოს მანქანის მფლობელს—სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას სატვირთო ავტომანქანა „ზის-5“ № გრ—37-75, რომელიც სოფელ ზემო-მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იმყოფება;

ბ) დაუბრუნოს მანქანის მფლობელს—სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას სატვირთო ავტომანქანა „გაზ-აა“ № გს—94-82, რომელიც წითელწყაროს რაიონის რაიპროკურატურაში იმყოფება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 19 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 522

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთათვის 1943 წლის მოსავლის აბრეშუმის ჭიის პარკის კონტრაქტაციით გამოწვეული დავალიანების ჩამოწერის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 5 მაისის № 9836-გ განკარგულების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქაბრეშუმტრესტს და სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ჩამოაწერონ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს 1943 წლის მოსავლის აბრეშუმის ჭიის პარკის ჩაბარების დავალიანება 1536 ტონის რაოდენობით, რაც გაანაწილონ ცალკეულ რაიონებს შორის, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 20/V
№ 522 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

საქართველოს სსრ რაიონებისა, რომლებსაც უნდა ჩამოეწეროს 1943 წლის მოსავლის აბრეშუმის ჰიის პარკის დამზადებით გამოწვეული დავალიანება

რაიონები	კოლმეურნეობები	კოლმეურნეები	ჯამი
1	2	3	4
1. თბილისის რაიონი	4,0	—	4.0
2. მცხეთის „	5,0	—	5,0
3. საგარეჯოს „	21,8	—	21,8
4. ყარაიის „	10.8	—	10,8
5. ბორჩალოს „	48,9	0,4	49,3
6. ბოლნისის „	6,0	—	6,0
7. გორის „	2.8	—	2.8
8. ქარელის „	2,0	—	2,0
9. ხაშურის „	0,8	—	0,8
10. კასპის „	106,6	0,1	106,7
11. გურჯაანის „	11,1	173,2	184,3
12. სიღნაღის „	101,4	0,9	102,3
13. წითელწყაროს „	12,6	—	12.6
14. ლაგოდეხის „	134,0	0,5	134 5
15. თელავის „	98,8	—	98,8
16. ყვარლის „	6.0	0,5	6,5
17. ზესტაფონის „	150,3	0,3	150,6
18. ორჯონიკიძის „	21,0	—	21,0
19. ჭიათურის „	12,7	—	12,7
20. საჩხერის „	15,8	—	15,8
21. ჩხარის „	395,0	17.6	412,6
22. ქალ. ქუთაისი	—	—	—
23. ტყიბულის რაიონი	22,9	—	22,9
24. ქუთაისის „	271,5	154,4	425,9
25. წყალტუბოს „	268,8	297,3	566,1
26. მაიაკოვსკის „	122,3	65,0	187,3
27. სამტრედიის „	880,0	712,0	1592,0
28. წულუკიძის „	213.0	663,0	876,0
29. ვანის „	759,0	10,0	769,0
30. აბაშის „	727.3	5,8	733,1
31. ცხაკაიას „	337,0	151,0	488.0
32. ფოთის „	51,0	30,0	81,0
33. გაგრის „	705,7	311,4	1017,1
34. ზუგდიდის „	1203,0	132,4	1335,4
35. წალენჯიხის „	296,0	133,0	429,0
36. ჩხოროწყუს „	580,7	10,0	590,7
37. ხობის „	334,4	—	334;4
38. მახარაძის „	533,8	75,0	608,8
39. ლანჩხუთის „	656,0	280,0	936,0

რაიონები	კოლმეურნეობები	კოლმეურნეები	ჯამი
1	2	3	4
40. ჩოხატაურის რაიონი	605,4	390.6	996 0
41. ამბროლაურის „	32,0	—	32,0
42. ცაგერის „	19,0	—	19,0
43. აჭარის ასსრ	146,4	106,4	252,8
44. გალის რაიონი	900,0	—	900,0
45. ოჩამჩირის „	287,3	2,3	289.6
46. სოხუმის „	54,7	210,0	264,7
47. გულრიპშის „	23,9	—	23,9
48. გუდაუთის „	25,4	192,0	217,4
49. გაგრის „	11,0	—	11,0
სულ რესპუბლიკაში	11234,9	4125,1	15360,0

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 523

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში სამოქალაქო ორგანიზაციების სატვირთო ავტომანქანების რემონტის 1944 წლის მაისისა და ივნისის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 28 თებერვლის № 5261-სს დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდეს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში სამოქალაქო ორგანიზაციების სატვირთო ავტომანქანების რემონტის მიმდინარე წლის მაისისა და ივნისის გეგმა 62 მანქანის რაოდენობით, რაკ განაწილდეს ორგანიზაციების მიხედვით, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 20 მაისი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ე ნ ე მ ა

სამოქალაქო ორგანიზაციების სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტისა თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში 1944 წლის მაისისა და ივნისისათვის

(მანქანები ცალობით)

უწყებებისა და ორგანიზაციების დასახელება	მაისი	ივნისი	ჯ/ნა
კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს ჩაის ტრესტი	12*)	5	17
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო	3	1	4
გზატკეცილების სამმართველო	2	2	4
კინოფიკაციის სამმართველო	2	3	5
თბილსათბობი	1	1	2
ცეკავშირი	1	1	2
საფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატი	—	8	8
საქთევზტრესტი	1	—	1
სამხრეთ-ოსეთის საოლქო აღმასკომი	—	1	1
საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატის ბამბის ფაბრიკა	—	1	1
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო	1	2	3
საქ. სსრ ადგ. მრეწველობის სახ. კომისარიატი	—	2	2
საქ. სსრ განსახკომის მცხეთის საბავშვო სახლი	1	—	1
საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი	2	1	3
სისხლის გადასხმის ინსტიტუტი	—	1	1
ხელოვნების საქმეთა სამმართველო	1	—	1
საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მე-6 განყოფილება	—	1	1
კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატრესტი	1	1	2
კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის საკურტრესტი	2	1	3
	30	32	62

*) აქედან: ორი მანქანა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 524

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ-ში გარეული სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის დამზადების 1944 წლის გეგმის შესახებ

აღინიშნოს, რომ გარეული სამკურნალო ნედლეულის დამზადების 1943 წლის გეგმა საქართველოს სსრ-ში შესრულებულია მთლიანად 102,0%-ით, გარდა მოცვისა, რომლის გეგმაც შესრულებულია 55%-ით, და გვრილისა—90%-ით.

დამამზადებელ ორგანიზაციებთან ერთად დიდი მუშაობა ჩაატარეს სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების საქმეში საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ეს მუშაობა განსაკუთრებით კარგად მოაწყვეს ამბროლაურისა და ონის რაიონების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რის შედეგადაც დამზადების გეგმები ამ რაიონებმა მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს.

მაგრამ ზოგიერთი რაიონის (თელავის, თიანეთისა და სხვ.) დამამზადებელმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო ინიციატივა და ორგანიზებულობა სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების საქმეში და გეგმები ამ რაიონებში შეუსრულებელი დარჩა.

ითვალისწინებს რა სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის დამზადების განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას წითელი არმიისა და ზურგის საჭიროებათა მომსახურებისათვის, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დადგენილ იქნას საქართველოს სსრ-ში გარეული სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის დამზადების 1944 წლის გეგმა 151,83 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს სახეების, დამზადების რაიო-

ნებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების მიხედვით, № 1 და 2 დანართების თანახმად.

2. შენარჩუნებულ იქნას 1944 წლისათვის 1943 წელს მოქმედი სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების წესი და პირობები.

3. სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის ძირითად დამამზადებლებად დამტკიცდნენ საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარი სააფთიაქო სამმართველო და ცეკავშირი.

4. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას და საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს უფროსს ამხ. გელბახიანს:

ა) დაუყოვნებლივ დაუგზავნონ რაიონულ დამამზადებელ პუნქტებსა და რაიონულ აფთიაქებს გარეული სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების 1944 წლის კვარტალურად დანაწილებული გეგმა. მომდინარე წლის 1 ივლისამდე დაამთავრონ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება კოლმეურნეობებთან, კოლმეურნეებთან და ინდივიდუალურ შემგროვებლებთან და უზრუნველჰყონ ამ დადგენილებით დაწესებული დამზადების გეგმების მთლიანად შესრულება;

ბ) მიმდინარე წლის 15 ივნისამდე მოამზადონ არსებული საწყობო სადგომები შემოსული სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის მისაღებად და შესანახად;

გ) ერთი თვის განმავლობაში გამოსცენ სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის შეგროვების, შენახვისა და ხმობის წესის ამსახავი ფურცლები და პლაკატები.

დაევალოს სახელგამს—ამხ. კიკნაძეს ამავე ვადის განმავლობაში დაბეჭდოს აღნიშნული ფურცლები და პლაკატები.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს და საქართველოს სსრ განსახკომს—ამხ. კიკნაძეს დაავალონ ჯანდაცვისა და სახალხო განათლების რაიონულ და სასოფლო ორგანოებს აქტიურად ჩაებნენ სამკურნალო-ტექნიკურ მცენარეთა შეგროვებაში.

6. დაევალოს სამტრესტის დირექტორს ამხ. აზარაშვილს დაამზადოს ხირსის საბჭოთა მეურნეობაში 2 ტონა ტკბილი ნუშის კურკა და ჩააბაროს იგი საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს.

7. წინადადება მიეცეს სახბანკის საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სტეპანიას უზრუნველჰყოს სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადებათა შეუფერხებელი დაკრედიტება კრედიტის გახსნით სახბანკის რაიონულ განყოფილებათა საშუალებით საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ სააფთიაქო სამმართველოს უშუალოდ

იმ რაიონული აფთიაქებისათვის, რომლებიც სამკურნალო-ტექნიკურ ნედლეულს ამზადებენ.

8. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და აგრეთვე საკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამამზადებელი რაიონების დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონწმუნებულებს დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დროულ დამზადებას, გახმობას, შენახვასა და ტრანსპორტირებას და ამ დადგენილებით დაწესებულ დამზადებათა გეგმების მთლიანად შესრულებას.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ერთი თვის განმავლობაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის მოსავლის სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის გამოყენების გეგმა.

10. კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გასულ წლებში ჩატარებული მუშაობის დადებითი გამოცდილების გამო, მოწონებულ იქნას საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1944 წლის 19 აპრილის დადგენილება „გარეულ სასარგებლო მცენარეთა შეგროვებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების საქმეში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისა და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1944 წელს გაგრძელების შესახებ“.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **მ. ბარამია.**

1944 წლის 20 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 20/V № 524 დადგენილების დანართი № 1

პ რ ო ე ქ ტ ი

სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადების 1944 წლის გეგმისა

(ტონობით)

დამზადების საგნები	ჯ/ნ ა	აქედან:	
		საქ. სსრ ჯანსახკომის მთავარი საფთიაქო სამმართველო	ცეკავშირი
1. გარგარის კურკა	3,0	1,0	2,0
2. ასკილის ნაყოფი (გამხმარი)	70,0	20,0	50,0
3. შმაგას ფოთოლი	3,0	1,5	1,5
4. კატაბალახას ფესვი	7,0	3,0	4,0
5. კავკასიური გვირილა	15,0	7,0	2,0
6. მოცვის ნაყოფი	25,0	10,0	15,0
7. ორქისის ტუბერი	1,7	0,8	0,9
8. ლემას ფოთოლი	2,0	2,0	—
9. ჟანგოვანა სათითურა	3,0	3,0	—
10. ევკალიპტის ფოთოლი	3,0	3,0	—
11. შროშანა—მთელი მცენარე	3,0	3,0	—
12. აპუდარაკის ფესვი	2,0	2,0	—
13. წყლის წიწაკა	5,0	5,0	—
14. ლენცოფას ფოთოლი	2,5	2,5	—
15. ჰინჭრის ფოთოლი	2,0	1,0	1,0
16. მზისუმზირას ყვავილი	1,0	1,0	—
17. ცაცხვის ყვავილი	0,5	0,5	—
18. თხმელის გირჩა	3,0	1,5	1,5
19. ბელადონის თესლი	0,1	0,1	—
20. გვირილის თესლი	0,03	0,03	—
ს უ ლ	151,83	67,93	83,9

სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის დამზადებისა საქართველოს 1944 წლი

საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქისა და რაიონების დასახელება	ასკილი			შმაგას ფოთოლი		
		აქედან			აქედან	
	ს უ ლ	ტყეებიდან	საქ. სსრ ჯანმრთელობის მინ. სამეურნეო.	ს უ ლ	ტყეებიდან	საქ. სსრ ჯანმრთელობის მინ. სამეურნეო.
1. აფხაზეთის ასსრ	—	—	—	—	—	—
2. აჭარის ასსრ	—	—	—	—	—	—
3. სამხ.-ოსეთის ავტ. ოლქი	7,0	4,5	2,5	—	—	—
4. ადიგენის რაიონი	1,0	1,0	—	—	—	—
5. ამბროლაურის „	8,0	5,0	3,0	—	—	—
6. ასპინძის „	1,0	1,0	—	—	—	—
7. ახალციხის „	2,5	2,0	0,5	—	—	—
8. ბაშქირეთის „	2,0	1,5	0,5	—	—	—
9. ბორჯომის „	2,6	1,5	1,0	—	—	—
10. ვანის „	—	—	—	—	—	—
11. გორის „	2,5	1,5	1,0	—	—	—
12. გურჯაანის „	5,0	3,0	2,0	—	—	—
13. დუშეთის „	3,0	2,0	1,0	—	—	—
14. ზესტაფონის „	2,5	2,0	0,5	—	—	—
15. ყაზბეგის „	—	—	—	—	—	—
16. კასპის „	1,0	1,0	—	—	—	—
17. ყვარლის „	1,0	1,0	—	—	—	—
18. ქუთაისის „	4,0	3,0	1,0	—	—	—
19. ლაგოდეხის „	3,0	2,5	0,5	—	—	—
20. ბოლნისის „	1,0	0,5	0,5	—	—	—
21. მაიაკოვსკის „	—	—	—	—	—	—
22. მცხეთის „	—	—	—	—	—	—
23. ონის „	—	—	—	—	—	—
24. საგარეჯოს „	2,0	1,0	1,0	0,3	0,15	0,15
25. ორჯონიკიძის „	4,0	3,0	1,0	—	—	—
26. საჩხერის „	3,0	2,0	1,0	—	—	—
27. სიღნაღის „	2,0	1,5	0,5	—	—	—
28. თბილისის „	—	—	—	—	—	—
29. თელავის „	2,0	1,0	0,5	1,5	0,75	0,75
30. თეთრიწყაროს „	1,0	1,0	—	—	—	—
31. თიანეთის „	—	—	—	1,0	0,5	0,5
32. ტყიბულის „	2,0	1,5	0,5	0,2	0,1	0,1
33. ცაგერის „	—	—	—	—	—	—
34. წალკის „	1,0	1,0	—	—	—	—
35. წულუკიძის „	—	—	—	—	—	—
36. წყალტუბოს „	—	—	—	—	—	—
37. ჭიათურის „	4,0	3,0	1,0	—	—	—
38. ხაშურის „	2,0	1,5	0,5	—	—	—
ს უ ლ	70,0	50,0	20,0	3,0	1,5	1,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ლ ა

სსრ ჯანახკომის სააფთიაქო სამმართველოსა და ცეკავშირის ხაზით სათვის

კატაბალახას ფესვი			კვავკ. გვირილა			მოცვი			ორქისის ტუბერი		
	აქედან			აქედან			აქედან			აქედან	
ჯამი ს ც	ცეკავშირი	საქ. სსრ ჯანახკ. მთ. საფთ. სამმართ.	ჯამი ს ც	ცეკავშირი	საქ. სსრ ჯანახკ. მთ. საფთ. სამმართ.	ჯამი ს ც	ცეკავშირი	საქ. სსრ ჯანახკ. მთ. საფთ. სამმართ.	ჯამი ს ც	ცეკავშირი	საქ. სსრ ჯანახკომის წი საფთ. სამმართველო
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	11,0	5,0	6,0	—	—	—
—	—	—	6,0	3,0	3,0	—	—	—	—	—	—
3,8	2,0	1,8	—	—	—	2,0	1,5	0,5	1,1	0,6	0 5
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	1,2	0,7	0,5	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,6	0,3	0,3	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
0,2	—	0,2	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	1,2	0,5	0,7	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	0,5	0,3	0,2	—	—	—
—	—	—	0,6	0,3	0,3	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	1,5	1,0	0,5	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	0,3	0,3	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
2,5	1,5	1,0	3,5	2,5	1,0	—	—	—	0,6	0,3	0,3
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	2,0	1,5	0,5	—	—	—
—	—	—	—	—	—	4,0	2,8	1,2	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
0,5	0,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,5	—	0,5	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	0,7	0,5	0,2	—	—	—
—	—	—	—	—	—	1,0	0,6	0,4	—	—	—
—	—	—	1,4	0,7	0,7	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	1,5	1,0	0.5	—	—	—
—	—	—	—	—	—	0,5	0,5	—	—	—	—
7,0	4,0	3,0	15,0	8,0	7,0	25,0	15,0	10,0	1,7	0,9	0,8

საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქისა და რაიონების დასახელება	ლემას ფოთოლი			ყანგოვანა სათითურა		
		აქედან			აქედან	
	ს/ ვ ა	ცხვარშორი	სხვ სსრ კავშირის მეს მე. საფეთ. საშვრთე.	ს/ ვ ა	ცხვარშორი	სხვ სსრ კავშირის მეს მე. საფეთ. საშვრთე.
1. აფხაზეთის ასსრ	0,8	—	0,8	0,5	—	0,5
2. აჭარის ასსრ	0,8	—	0,8	—	—	—
3. სამხ.-ოსეთის ავტ. ოლქი . .	—	—	—	—	—	—
4. ადიგენის რაიონი . . .	—	—	—	—	—	—
5. ამბროლაურის „ . . .	—	—	—	—	—	—
6. ასპინძის „ . . .	—	—	—	—	—	—
7. ახალციხის „ . . .	—	—	—	—	—	—
8. ბაშქირეთის „ . . .	—	—	—	—	—	—
9. ბორჯომის „ . . .	—	—	—	0,2	—	0,2
10. ვანის „ . . .	—	—	—	—	—	—
11. გორის „ . . .	—	—	—	—	—	—
12. გურჯაანის „ . .	—	—	—	—	—	—
13. დუშეთის „ . . .	0,2	—	0,2	2,3	—	2,3
14. ზესტაფონის „ . . .	—	—	—	—	—	—
15. ყაზბეგის „ . . .	—	—	—	—	—	—
16. კასპის „ . . .	—	—	—	—	—	—
17. ყვარლის „ . . .	—	—	—	—	—	—
18. ქუთაისის „ . . .	—	—	—	—	—	—
19. ლაგოდეხის „ . . .	—	—	—	—	—	—
20. ბოლნისის „ . . .	—	—	—	—	—	—
21. მაიაკოვსკის „ . . .	—	—	—	—	—	—
22. მცხეთის „ . . .	—	—	—	—	—	—
23. ონის „ . . .	—	—	—	—	—	—
24. საგარეჯოს „ . . .	0,2	—	0,2	—	—	—
25. ორჯონიკიძის „ . . .	—	—	—	—	—	—
26. საჩხერის „ . . .	—	—	—	—	—	—
27. სიღნაღის „ . . .	—	—	—	—	—	—
28. თბილისის „ . . .	—	—	—	—	—	—
29. თეთრიწყაროს „ . . .	—	—	—	—	—	—
30. თელავის „ . . .	—	—	—	—	—	—
31. თიანეთის „ . . .	—	—	—	—	—	—
32. ტყიბულის „ . . .	—	—	—	—	—	—
33. ცაგერის „ . . .	—	—	—	—	—	—
34. წალკის „ . . .	—	—	—	—	—	—
35. წულუკიძის „ . . .	—	—	—	—	—	—
36. წყალტუბოს „ . . .	—	—	—	—	—	—
37. ჭიათურის „ . . .	—	—	—	—	—	—
38. ხაშურის „ . . .	—	—	—	—	—	—
39. ხობის „ . . .	—	—	—	—	—	—
სულ	2,0	—	2,0	3,0	—	3,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევკალიპტის ფოთოლი			შროშანა — მთელი მცენარე			აპუდარაკის ფესვი			წყლის წიწაკა		
	აქედან			აქედან			აქედან			აქედან	
ს ულ	ცხვებრი	საქ. სსრ ჯანსახკომის სამმართ.	ს ულ	ცხვებრი	საქ. სსრ ჯანსახკომის სამმართ.	ს ულ	ცხვებრი	საქ. სსრ ჯანსახკომის სამმართ.	ს ულ	ცხვებრი	საქ. სსრ ჯანსახკომის სამმართ.
0,5	—	0,5	—	—	—	—	—	—	2,0	—	2,0
2,5	—	2,5	—	—	—	0,5	—	0,5	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	0,3	—	0,3	1,0	—	1,0
—	—	—	—	—	—	1,2	—	1,2	—	—	—
—	—	—	0,5	—	0,5	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	2,5	—	2,5	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—

საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქისა და რაიონების დასახელება	ლენცოფას ფოთოლი			ჭინჭრის ფოთოლი			მზისუმზირას ყვავილი		
		აქედან			აქედან			აქედან	
	ს ულ	ექსპედიცია	საქ. სსრ ჯანდაცვის მთ. საფთ. სამმართვ.	ს ულ	ექსპედიცია	საქ. სსრ ჯანდაცვის მთ. საფთ. სამმართვ.	ს ულ	ექსპედიცია	საქ. სსრ ჯანდაცვის მთ. საფთ. სამმართვ.
1. აფხაზეთის ასსრ	1,0	—	1.0	—	—	—	—	—	—
2. აჭარის ასსრ	—	—	—	—	—	—	—	—	—
3. სამხ.-ოსეთ. ავტ. ოლქი	—	—	—	—	—	—	—	—	—
4. ამბროლაურის რაიონი	—	—	—	—	—	—	—	—	—
5. ასპინძის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
6. ადიგენის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
7. ახალციხის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
8. ბაშქიხეთის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
9. ბორჯომის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
10. ვანის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
11. გორის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
12. გურჯაანის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
13. დუშეთის „	0,75	—	0,75	0,4	0,2	0,2	—	—	—
14. ზესტაფონის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
15. ყაზბეგის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
16. კასპის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
17. ყვარლის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
18. ქუთაისის „	—	—	—	0,4	0,2	0,2	—	—	—
19. ლაგოდეხის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
20. ბოლნისის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
21. მაიაკოვსკის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
22. მცხეთის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
23. ონის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
24. ორჯონიკიძის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
25. საგარეჯოს „	0,75	—	0,75	0,6	0,3	0,3	1,0	—	1,0
26. სამტრედიის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
27. სიღნაღის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
28. თბილისის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
29. თელავის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
30. თეთრიწყაროს „	—	—	—	—	—	—	—	—	—
31. თიანეთის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
32. ტყიბულის „	—	—	—	0,2	0,1	0,1	—	—	—
33. ცაგერის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
34. წალკის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
35. წულუკიძის „	—	—	—	—	—	—	—	—	—
36. წყალტუბოს „	—	—	—	—	—	—	—	—	—

ცაცხვის ყვავილი			თხმელის გირჩა			ბელადონის თესლი			გვირილის თესლი		
	აქედან			აქედან			აქედან			აქედან	
ს ფ ლ/	ცხვრებრივი	საქ. სსრ ჯანსახკომის მთ. საფთ. სამმართვ.	ს ფ ლ/	ცხვრებრივი	საქ. სსრ ჯანსახკომის მთ. საფთ. სამმართვ.	ს ფ ლ/	ცხვრებრივი	საქ. სსრ ჯანსახკომის მთ. საფთ. სამმართვ.	ს ფ ლ/	ცხვრებრივი	საქ. სსრ ჯანსახკ. მთ. საფთ. სამმართვ.
0,25	—	0,25	0,4	0,2	0,2	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—

საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქისა და რაიონების დასახელება		ლენცოფას ფოთოლი			ჰინჰრის ფოთოლი			მზისუმზირას ყვავილი		
		სულ ც	აქედან		სულ ც	აქედან		სულ ც	აქედან	
			ცხვებშირი	საქ. სსრ ჯანსახკომის მთ. საფთ. სამმართვ.		ცხვებშირი	საქ. სსრ ჯანსახკომის მთ. საფთ. სამმართვ.		ცხვებშირი	საქ. სსრ ჯანსახკ. მთ. საფთ. სამმართველო
37. ჰიათურის	რაიონი	—	—	—	—	—	—	—	—	—
38. ხაშურის	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
39. ხობის	„	—	—	—	0,4	0,2	0,2	—	—	—
40. სამტრედიის	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
41. აბაშის	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
42. ცხაკაიას	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
43. ზუგდიდის	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
44. მახარაძის	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
45. ლანჩხუთის	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
46. ჩოხატაურის	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
სულ		2,5	—	2,5	2,0	1,0	1,0	1,6	—	1,0

ცაცხვის ყვავილი			თხმელის გირჩა			ბელადონის თესლი			გვირილის თესლი		
	აქედან			აქედან			აქედან			აქედან	
ს წ ლ	ცეკვეშირი	საქ. სსრ ჯანსახკომის მთ. საფფთ. სამმაროვ.	ს წ ლ	ცეკვეშირი	საქ. სსრ ჯანსახკომის მთ. საფფთ. სამმაროვ.	ს წ ლ	ცეკვეშირი	საქ. სსრ ჯანსახკომის მთ. საფფთ. სამმაროვ.	ს წ ლ	ცეკვეშირი	საქ. სსრ ჯანსახ. მთ. საფფთ. სამმაროვ.
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,3	0,15	0,15	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,3	0,15	0,15	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,3	0,15	0,15	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,5	0,25	0,25	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,5	0,25	0,25	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,3	0,15	0,15	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,2	0,1	0,1	—	—	—	—	—	—
—	—	—	0,2	0,1	0,1	—	—	—	—	—	—
0,5	—	0,5	3,0	1,5	1,5	0,1	—	0,1	0,03	—	0,03

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 525

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საგარეჯოს რაიონულ სამხედრო კომისარიატში არსებული „გაზ-აა“ სისტემის სატვირთო ავტომანქანის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს ცნობებით გამოირკვა, რომ საგარეჯოს რაიონულ სამხედრო კომისარიატს აქვს სატვირთო ავტომანქანა „გაზ-აა“, რომელიც არ არის აღრიცხვაზე აყვანილი და რომელიც მობილიზებული იყო 1941 წელს სახალხო მეურნეობიდან წითელი არმიისათვის.

ავტომანქანა, არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის გამო, სამხედრო უწყებას არ მიუღია სამხედრო კომისარიატისაგან და დარჩენილა სამხედრო კომისარიატში, რომელიც ექსპლოატაციას უწევს მას დღემდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საგარეჯოს რაიონულ სამხედრო კომისარიატში არსებული ავტომანქანა „გაზ-აა“ გადაეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს ავტოინსპექციის უფროსს ამხ. მანსვეტოვს ჩამოართვას საგარეჯოს სამხედრო კომისარიატს სატვირთო ავტომანქანა „გაზ-აა“ და გააფორმოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სახელზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 526

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა საბანაკო შეკრების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს ჩაატაროს თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა საბანაკო შეკრება 250 კაცისათვის 45 დღის ვადით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს გამოუყოს თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტს საბანაკო შეკრების პერიოდისათვის კვების პროდუქტები საქართველოს სსრ განსაკომის სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეცსკოლის საბანაკო შეკრებათა ნორმების მიხედვით, დანართში გათვალისწინებული რაოდენობის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 22 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმები

პროდუქტების გაცემისა თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტებისა და პედაგოგიური პერსონალის კვებისათვის

პროდუქტების დასახელება	დღიური ნორმა		სულ 45 დღეს კგ
	1 კაცზე გრ.	250 კაცზე კგ	
1. პური	700	175	7875
2. ხორც-თევზი	100	25	1125
3. ყველი	10	2,5	112,5
4. კვერცხი	1 ცალი	250 ცალი	11250 ც.
5. ბურღული	80	20	900
6. ფქვილი	10	2,5	112,5
7. შაქარი	35	8,75	281,25
8. კარტოფილი და ბოსტნეული	800	200	9000
9. ცხიმეულობა	40	10	450

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 527

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

აჭარის ასსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შეხახება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს, 1944 წლის მოსავლიდან დაწყებული, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მიერ დაწესებული რაიონობლივი წლიური ნორმები აჭარის ასსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისა ყოველ ჰექტარ სახნავ მიწაზე (კილოგრამობით):

რაიონები	კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ მტს-ები
1. ქედის	50
2. ხულოს	257

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 23 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 528

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს პ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1944 წლის 18 აპრილს „ტუნგოს ზეთის გამომუშავების გადიდების ღონისძიებათა თაობაზე“ მიღებული № 5676 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1944 წლის 18 აპრილს „ტუნგოს ზეთის გამომუშავების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ მიღებული № 5676 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სუბტროპიკული რაიონების რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტებს, საქართველოს სსრ მიწსახკომს და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყონ 1944 წელს ტუნგოს ნარგავების მოვლისა და ტუნგოს სანერგე მასალის გამოყვანის ყველა იმ ღონისძიების უცილობლივ შესრულება, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 14 თებერვლის დადგენილებით.

წინადადება მიეცეს მიწსახკომს (ამხ. ხოშტარიას) და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კეცხოველს) ყოველთვიურად წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მოხსენება ტუნგოს ნარგავების მოვლის ღონისძიებათა შესრულების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს მიწსახკომს (ამხ. ხოშტარიას) კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთან (ამხ. კეცხოველთან) ერთად 1944 წლის 20 ივნისისათვის შეიმუშაოს და სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სიდერაციული კულტურების მეთესლეობის მოწყობას, ტუნგოს პლანტაციების, ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების მოთხოვნილების გათვალისწინებით.

3. ტუნგოს სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლის უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოს მიწსახკომს (ამხ. ხოშტარიას) გამოუყოს საჭირო რაოდენობის სასხურები „ავტომაქსის“ ტიპისა, აგრეთვე სეკატორები და ბაღის დანები სათანადო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმ საჩანთე აპარატურისა და ბაღის ინვენტარის ხარჯზე, რასაც საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ამზადებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 24 თებერვლის დადგენილების თანახმად.

დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გორდეზიანს) დაამზადოს 1944 წელს და ჩააბაროს მიწსახკომს 1.000 ცალი ტუნგოს სამყნობი დანა.

4. ეთხოვოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ა. ა. ანდრეევს:

ა) გამოუყოს საქართველოს სს რესპუბლიკას ტუნგოს კულტურისათვის მინერალური სასუქი:

გოგირდმჟავა ამონიუმი	— 6.500 ტონა
ფოსფატის ფქვილი	— 3.000 ტონა
კალიუმის მარილი	— 1.500 ტონა

რაც შემოტანილ იქნას თანაბარ პარტიებად მიმდინარე წლის მესამე და მეოთხე კვარტალებში;

ბ) ტუნგოს ხეების სამკურნალოდ:

შაბიამანი	— 350 ტონა
ანაბაზინ სულფატი ან ნიკოტინ სულფატი	— 15 ტონა

რაც შემოტანილ იქნას ტუნგოს რაიონებში 1944 წლის 1 აგვისტომდე.

5. დაევალოს მიწსახკომს (ამხ. ხოშტარიას) და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კეცხოველს):

ა) 1944 წლის 1 დეკემბრისათვის დაამთავრონ ტუნგოს პლანტაციების პასპორტიზაცია ტუნგოს მთელი ნარგავების სახეობრივი, ასაკობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის გამოსარკვევად;

ბ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ორგანიზაციული გეგმა, პროგრამა, ფორმები და ინსტრუქცია ტუნგოს ნარგავების პასპორტიზაციის ბლანკების შევსების შესახებ.

6. დაევალოს მიწსახკომს (ამხ. ხოშტარიას):

ა) მოაწყოს და 1944 წლის 15 ივლისამდე დაამთავროს ტუნგოს საიდეე ხეების აპრობაცია;

ბ) ა/წ 1 ივლისისათვის წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ტუნგოს ნერგის მყნობის გეგმა;

გ) ა/წ 1 ოქტომბრისათვის გადასინჯოს და დაუზუსტოს ტუნგოს კულტურის არსებული აგროწესები და გამოსცეს ეს წესები მასობრივი ტირაჟით;

დ) პასპორტიზაციის მასალების საფუძველზე, შეიმუშაოს და არაუგვიანეს 1945 წლის 15 თებერვლისა წარმოუდგინოს სახ-

კომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ღონისძიებანი ტუნგოს ნარგავების აღდგენისა და სანერგე მეურნეობის განვითარებისათვის.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, ტუნგოს სადედე ხეების გამოყოფისა და აპრობაციის სამუშაოთა ჩასატარებლად, მობილიზაცია უყოს საჭირო რაოდენობის სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სს რესპუბლიკაში —სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

8. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კეცხოველს), ტრესტ „საქართველოს ჩაის“ (ამხ. სარჯველაძეს) და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს (ამხ. ჯიქიას) ააშენონ 1944 წელს ტუნგოს საშრობი 50 ფარდული, ამასთან ფარდულების მშენებლობა განაწილდეს რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით, დაწართის თანახმად.

მიწსახკომმა, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად, ერთი თვის ვადაში გაამოჭყოს ნატურით მიწის სათახადო ხაკვეთები ტუნგოს საშრობი ფარდულების ასაშენებლად.

9. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კეცხოველს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს ტუნგოს სახმობი შემსუბუქებული ტიპის ფარდულის პროექტი, ამასთან გაითვალისწინოს ხე-ტყის მნიშვნელოვანი შემცირება და ადგილობრივი მასალების (წნულის, ისლის) მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობა.

10. წინადადება მიეცეს ტრესტ „საქართველოს ჩაის“, ტუნგოს დაძმაზადებელი რაიონების რაიაღმასკომებს და რაიკომებს ტუნგოს ნაყოფის დამზადების პერიოდში გამოიყენონ რაიონებში არსებული სპეციალური დანიშნულების ყველა სადგომი (პარკის სახმობები, თამბაქოს ფარდულები) აგრეთვე სხვა თავისუფალი შენობები, რომლებიც ტუნგოს ნაყოფის სახმობად გამოდგება.

11. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კეცხოველს) და ტრესტ „საქართველოს ჩაის“ (ამხ. სარჯველაძეს):

ა) ააშენონ და 1945 წლის 1 იანვრისათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ ისეთი სიმძლავრის ტუნგოს ქარხანა ოჩამჩირის რაიონში, რომელიც დღე-ღამეში გადაამუშავებს 20 ტონა ნაყოფს, და გაადიდონ ქობულეთის მოქმედი ტუნგოს ქარხნის სიმძლავრე იმ ანგარიშით, რომ მან დღე-ღამეში დაამზადოს 20 ტონამდე ხმელი ნაყოფი;

ბ) ქობულეთის ტუნგოს ქარხნისათვის მიღებული 200 ცხენის ძალის ძიზელი დასდგან ქობულეთის ჩაის ფაბრიკის ელექტროსადგურისაგან განცალკევებით იმ ანგარიშით, რომ ტუნგოს ქარხნისათვის შეიქმნას საკუთარი ელექტროძალოვანი მეურნეობა;

გ) უზრუნველჰყონ ტუნგოს სახმობი ფარდულებისა და ტუნგოს ქარხნის მშენებლობისათვის საჭირო მასალებისა და მოწყო-

ბილობის თავის დროზე მიღება სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან.

12. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქკვებპროექტს (ამხ. გველესიანს) ა/წ. 1 ივნისამდე შეადგინოს ოჩამჩირის ტუნგოს ქარხნის მშენებლობის პროექტი.

13. ეთხოვოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. ა. ი. მიქოიანს გასცეს განკარგულება, რომ ტუნგოს ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობის 3 კომპლექტი შემოიტანონ 1944 წლის III კვარტალში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ოჩამჩირის ტუნგოს ქარხნის გადაცემა საექსპლოატაციოდ 1945 წლის 1 იანვრიდან.

14. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კეცხოველს და ტრესტ „საქართველოს ჩაის“ — ამხ. სარჯველაძეს 1944 წლის 1 აგვისტოსათვის დაამზადონ ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მექანიკურ სახელოსნოებში და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში ტუნგოს კანსაცლელი 5 მანქანა ზეთოვანი კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სისტემისა.

15. ეთხოვოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ანდრეევს დაავალოს ზეთოვანი კულტურების კრასნოდარის სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს 1944 წლის 1 ივნისამდე გადასცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს ტუნგოს კანსაცლელი მანქანის ნახაზები და გაანგარიშებანი.

16. ტუნგოს ნაყოფის დასამზადებლად გამოყოფილ ავტომანქანებიდან გადაეცეს ტრესტს „საქართველოს ჩაის“ 14 მანქანა და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს—4 მანქანა.

17. დატოვებულ იქნას ტუნგოს ნედლი ნაყოფის დასამზადებელი ფასები ერთ კილოგრამში 2 მანეთის რაოდენობით.

18. დაწესდეს ერთი ტონა ტუნგოს ზეთის გასაცემი ფასი 60 ათასი მანეთის რაოდენობით.

19. დაწესდეს 1948 წლის მოსავლის ტუნგოს ზეთის გამომუშავების გეგმა 300 ტონის რაოდენობით, 1944 წლის მოსავლის ზეთის გამომუშავების გეგმა — 600 ტონის რაოდენობით და აყვანილ იქნას 1946 წლის მოსავლის ტუნგოს ზეთის გამომუშავება სულ მცირე 1.000 ტონამდე.

20. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კეცხოველს) 1944 წლის 1 ივლისისათვის შეიმუშაოს და დაამტკიცოს ტუნგოს ნაყოფის გადამუშავების ტექნოლოგია.

21. მოეწყოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტრესტ „საქართველოს ჩაისთან“ ტუნგოს დამზადებისა და დამუშავების განყოფილება, რომლის შტატი გაწისაზღვროს 7 კაცით, ამასთან დაეკისროს ამ განყოფილებას

ტუნგოს ნაყოფის დამზადება, გადამუშავება და ტექნიკური ბაზის მოწყობა.

22. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 18 აპრილის დადგენილების შესაბამისად, არსებული შტატების დამატებით დაწესდეს ტუნგოს დარგის აგრონომთა თანამდებობანი საქართველოს სსრ მიწსახკომში 3 კაცის რაოდენობით და თითო აგრონომის თანამდებობანი ბათუმის, ქობულეთის, მახარაძის, ცხაკაიას, ჩხოროწყუსა და გუდაუთის რაიმიწგანებში.

23. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. მიქოიანს:

ა) დამატებით შემოიღოს ტუნგოს დარგის აგრონომთა შტატი ზუგდიდის, ოჩამჩირის, გალის, ლანჩხუთისა და წალენჯიხის რაიმიწგანებში, აგრეთვე ტუნგოს დარგის თითო აგრონომისა—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მიწსახკომებში, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში;

ბ) ტუნგოს ნარგავების პასპორტიზაციის ჩატარებისა და ტუნგოს აგროწესების მასობრივ ტირაჟად გამოცემის მიზნით, დაავალოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, რათა მან საქართველოს სსრ მიწსახკომს გამოუყოს 5 ტონა ქაღალდი, რაც გამოგზავნილ იქნას არაუგვიანეს ა. წ. ივლისისა.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტი
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 22 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 22/V № 528 დად-
გენილების დანართი

განაწილება

ტუნგოს სახმობი ფარდულებისა რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით

რაიონების და საბჭ. ეეურნ. დასახელება	რაოდენობა
1. ბათუმის	3
2. ქობულეთის	3
3. მახარაძის	3
4. ლანჩხუთის	1
5. ცხაკაიას	1
6. გეგეჭკორის	1
7. ზუგდიდის	3
8. წალენჯიხის	1
9. ჩხოროწყუს	3
10. ხობის	1
11. გალის	3
12 ოჩამჩირის	5
13. გაგრის	1
14. გუდაუთის	1
ს უ ლ.	30

ჩაის საბჭ. მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობები

1. სალიბაურის	1
2. ჩაქვის	1
3. ნატანების	2
4. ლაითურის	1
5. ნასაკირალის	1
6. აჩიგვარის	1
7. მოქვის ჩაის	3
8. „ ტუნგოს	3
9. ჯიხანჯურის	5
10. კობის	2
ს უ ლ	20
მ თ ლ ა დ	50

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 529

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ტრესტ საქხორცმრეწვის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ 1943 წელს ტრესტ საქხორცმრეწვმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 100,7%-ით და ხორცის გამომუშავებისა ნატურით — 103,1%-ით. გეგმით გათვალისწინებული 883 ათასი მანეთის ნაცვლად, ტრესტმა მოიგო 968 ათასი მანეთი.

მაგრამ იმ დროს, როცა საწარმოო პროგრამა საერთოდ შესრულებულია, ადგილი აქვს დაწესებული ასორტიმენტის დარღვევას: გადამდნარი ქონის გამომუშავების გეგმა შესრულებულია 40,7%-ით, ტექნიკური ცხიმისა—12,3%, სისხლ-მცენარეულის კატლეტებისა—69,3%-ით, რქის ფოლაქებისა—76,2%-ით. ძეხვის ნაწარმის დამზადების გეგმა შესრულებულია უმთავრესად დაბალხარისხოვანი ხორცის ხარჯზე, იმ დროს როცა უმაღლესი ხარისხის ნაწარმი გამოშვებულია გეგმის 66,5%-ის რაოდენობით.

იმის შედეგად, რომ სრულიად არ ხდებოდა პირუტყვის ცოცხალი წონის გამოყენება და სათანადო ბრძოლა არ სწარმოებდა დანაკარგების წინააღმდეგ, ტრესტის საწარმოებში 1943 წელს ადგილი ჰქონდა პროდუქციის ნაკლანაღებსა და დანაკარგებს 200 ტონამდე. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია იმ სისხლის შეგროვებისა და გამოყენების საქმე, რომელსაც ძირითადად ღორების გასასუქებლად იყენებენ.

ტრესტს და მთელ რიგ ხორცკომბინატებს არ შეუსრულებიათ მნიშვნელოვანი თავდაცვითი დავალება ენდოკრინულ-ფერმენტული ნედლეულის შეგროვების შესახებ.

ხორცკომბინატების და, განსაკუთრებით, სასაკლაო მოედნების უმძიმესობა არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება.

პროდუქციის ხარისხისადმი სათანადო კონტროლის უქონლობის შედეგად, მთელ რიგ საწარმოებში ადგილი ჰქონდა დაწესებული რეცეპტურების დარღვევას, აგრეთვე წუნისა და პრო-

დუქციის გაფუჭების შემთხვევებს (ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, ბორჯომის ხორცკომბინატები და სხვ.).

ცუდად არის ორგანიზებული პირუტყვის მიწოდება ხორცკომბინატებისათვის. ნედლეულის უქონლობის გამო, ტრესტის საწარმოების გაცდენა 1943 წელს შეადგენდა 8.980 კაცდღეს, ანუ გამომუშავებული დროის 20%. ტრესტი საქპირუტყვდამზადება სათანადო მზრუნველობას არ იჩენს იმისათვის, რომ თანაბრად მოამარაგოს ხორცკომბინატები პირუტყვის ნედლეულით.

1943 წელს ტრესტის საწარმოებმა დაუშვეს სახსრების გადახარჯვა სათბობზე 130 ათასი მანეთით (106,2%), მასალებზე—27 ათასი მანეთით (15,9%), ხელფასზე—45 ათასი მანეთით (12,9%), საერთო-საქარხნო და საამქრო ხარჯებზე—115 ათასი მანეთით (10,9%). ამის შედეგად ადგილი აქვს პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას გეგმასთან შედარებით 307 ათასი მანეთით, ანუ 3,1%-ით. ტრესტის ხაზით შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით შემცირდა 5,2%-ით.

ტრესტის საწარმოებში ადგილი ჰქონდა პროდუქციისა და მასალების დატაცებისა და განიავების ფაქტებს, ამასთან ზოგიერთ შემთხვევაში დამნაშავენი არ მიუციათ სამართალში.

ტრესტი საკმაოდ ვერ ანხორციელებს ოპერატიულ ხელმძღვანელობას საწარმოებისადმი.

აღინიშნოს, რომ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ავეტისოვმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა მან ტრესტ საქხორცმრეწვის ხელმძღვანელ მუშაკებს დაუგზავნა წერილი, რომლითაც წინადადება მისცა მათ უშუალოდ არ მიემართად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსათვის, სახალხო კომისარიატის გვერდის ავლით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს ტრესტ საქხორცმრეწვს (ამხ. ჭოლოკავას):

ა) უზრუნველჰყოს საწარმოო პროგრამის შესრულება დამტკიცებული ასორტიმენტის ზუსტი შესაბამისობით;

ბ) სასტიკი კონტროლი გაუწიოს პროდუქციის გამოსავლის დამტკიცებული ნორმების შესრულებას და პროდუქციის ხარისხს, ამასთან პასუხისგებაში მისცეს ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან დანაკარგების, წუნისა და პროდუქციის გაფუჭების, აგრეთვე სახსრებისა და მასალების გადახარჯვის დაშვებაში;

გ) მოაწყოს ენდოკრინულ-ფერმენტული ნედლეულის მაქსიმალურად შეგროვება;

დ) აიყვანოს სისხლის გამოყენება კვების მიზნებისათვის შეგროვების 35%-მდე;

ე) არაუგვიანეს ა.-წ. 15 აგვისტოსა დაამთავროს ხორცკომბინატების რემონტი და მოიყვანოს ისინი სათანადო სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაში;

ვ) უზრუნველჰყოს ხორცკომბინატები ფართო მოხმარების ნაწარმის გამოსამუშავებლად საჭირო მოწყობილობით და, ძერძოდ, მოაწყოს ყველა საწარმოში საპნის ხარშვა კონფისკატებისა და ცხიმეულის ნარჩენებისაგან, აგრეთვე კანჭის ძვლის გამოხარშვა ცხიმის გამოსადნობად;

ზ) გააძლიეროს კონტროლი და ცოცხალი ინსტრუქტაჟი ხორცკომბინატებისადმი.

2. დაევალოს ქვემოაღნიშნულ ორგანიზაციებს გამოუყონ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს რაიონული ხორცკომბინატების საჭიროებისათვის:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ (ამხ. ბუაჩიძემ)—80 ათასი ცალი წითელი აგური, 3 ათასი ცალი კრამიტი და 20 ტონა კირი ა.-წ. 1 ოქტომბრამდე;

ბ) „გლავსტროისბიტის“ თბილისის კანტორამ (ამხ. ჯალალოვმა)—ერთი ვაგონი ცემენტი.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ბერიშვილს):

ა) უზრუნველჰყოს რაიონული ხორცკომბინატები კვალიფიციური ტექნიკური ხელმძღვანელობით;

ბ) უზრუნველჰყოს ხორცკომბინატების რევიზიების ჩატარება წელიწადში ორჯერ მაინც;

გ) პასუხისგებაში მისცეს ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან პროდუქციისა და მასალების დატაცებაში, აგრეთვე უგანრიგოდ გაცემაში.

4. დაევალოს ტრესტ საქპირუტყვდამზადებას (ამხ. სტურუას) უზრუნველჰყოს ხორცკომბინატების თანაბარი მომარაგება პირუტყვით იმ რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს მათ მიერ საწარმოო გეგმების შესრულებას.

5. წინადადება მიეცეს ხორცისა და რძის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის საქართველოს სამმართველოს (ამხ. იგნატოვს) და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სანინსპექტორს საქართველოს სს რესპუბლიკაში (ამხ. ანდრონიკაშვილს) გააძლიერონ კონტროლი ხორცკომბინატების სანიტარული მდგომარეობისა, დაწესებული რეცეპტურების დაცვისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი, ამასთან გამოჰყონ ორ-ორი ინსპექტორი რაიონული ხორცკომბინატებისათვის მომსახურების გასაწევად.

6. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 7 ოქტომბრის დადგენილების მე-3 ა პუნქტის გასაუქმებლად, თბილისის ხორცკომბინატი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, გადაეცეს ტრესტ საქხორცმრეწვის გამგებლობაში.

7. ეთხოვოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. სმირნოვს — ადგილობრივი პირუტყვის ცოცხალი წონის მაქსიმალურად გამოყენების, ხორცისა და რძის ნაწარმის ახალი სახეების დანერგვისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხების შესასწავლად და დასამუშავებლად, მოაწყოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ლაბორატორია.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ვ. ბაძრაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი ჯ. ჩარკვიანი.

1944 წლის 22 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 530

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

1944 წლის მუშაობის სეზონისათვის საქონსერვტრესტის საწარმოთა მომზადების ღონისძიებების შესახებ

1944 წლის მუშაობის სეზონისათვის საქონსერვტრესტის საწარმოთა დროული მომზადების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქონსერვტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს და საკონსერვო ქარხნების დირექტორებს: ჭუთაისისას—ამხ. მაჭარაძეს, გორისას—ამხ. საყვარელიძეს, ბათუმისას—ამხ. ელიავას, სოხუმისას—ამხ. ბჟანიას, სამტრედიისას—ამხ. მხეიძეს, ზუგდიდისას—ამხ. დარასელიას და გურჯაანისას—ამხ. გველესიანს შვილს დაამთავრონ ქარხნების რემონტი სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ვადებში.

2. დაევალოს საქონსერვტრესტს (ამხ. წიკლაურს) და გორის საკონსერვო ქარხნის დირექტორს ამხ. საყვარელიძეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისა ააგონ დამატებითი ვარცლები კომბოსტოს დასამჟავებლად და სამჟავებელი საამქროს ერთდროული ტევადობა აიყვანონ 1.000 ტონამდე.

3. წინადადება მიეცეს საქონსერვტრესტს—ამხ. წიკლაურს და ჭუთაისის საკონსერვო ქარხნის დირექტორს ამხ. მაჭარაძეს ერთი თვის განმავლობაში დადგან ქარხნის ტერიტორიაზე სავაგონო სასწორი.

4. დაევალოს ბათუმის ციტრუსკომბინატის დირექტორს ამხ. ელიავას მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე დაამთავროს მაცივარი საამქროს მოწყობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა.

5. დაევალოს საქონსერვტრესტს (ამხ. წიკლაურს) და საქონსერვტრესტის დამამზადებელი კანტორების მმართველებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ტექნიკური ბაზის მომზადებას 1944 წლის მოსავლის ხილ-ბოსტნეულის დამზადების სეზონისათვის და დაამთავრონ მზადება ციტრუსოვან რაიონებში—მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე და ყველა დანარჩენ რაიონში—15 ივნისამდე.

6. დაევალოს საქკონსერვტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს, სატარე ქარხნების დირექტორებს: ბათუმისას—ამხ. ბოჭორიშვილს და გორისას—ამხ. მიხანაშვილს, სამტრედიის საკონსერვო კომბინატის დირექტორს ამხ. მხეიძეს, გურჯაანის საკოსერვო ქარხნის დირექტორს ამხ. გველუკაშვილს და დამამზადებელი კანტორების მმართველებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ციტრუსის, პომიდორისა და ლეღვის სამუშაო ტარის დამზადებას და შეკვრას ხე-ტყის მასალის არსებული მარაგისაგან.

7. დაევალოს ქვემოდასახელებულ ორგანიზაციებს გამოუყონ საქკონსერვტრესტს მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ლეღვის სახმობების მშენებლობისა და საწარმოთა რემონტის ჩატარებისათვის ტრესტის მომავალი ფონდების ანგარიშში:

ა) „გლავსტროისბიტის“ ა/კ-ის კანტორას (ამხ. ჯალალოვს) და კასპის ცემენტის ქარხანას (ამხ. სავინსკის)—60 ტონა ცემენტი, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფონდების ანგარიშში;

ბ) საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს (ამხ. ბუაჩიძეს)—100 ათასი ცალი წითელი აგური (მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე), 10 ათასი ცალი კრამიტი (მიმდინარე წლის III კვარტალამდე), 120 ტონა კირი, 3 ათასი კვ. მეტრი ფიქალი ყვარლიდან და 3 ტონა ცარცი;

გ) „გლავმეტალსბიტის“ თბილისის კანტორას (ამხ. მემარნიშვილს)—3 ტონა ფურცლოვანი რკინა, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფონდის ანგარიშში;

დ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გორდეზიანს)—10 ცალი სასხური.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს (ამხ. გომელაურს) ნება დართოს საქკონსერვტრესტს მოსჭრას სატყეო აგარაკ „ჩერკესკაია პოლიანაში“ 2.000 კუბ. მეტრი წიფლის მერქანი ტკეჩებისათვის.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს და მახარაძის რაიონულ კომიტეტს, საქკონსერვტრესტის მმართველთან ერთად, განამტკიცონ ციტრუსოვანთა საფუთავი ქარხნების ხელმძღვანელი კადრები და ამ ქარხნების დირექტორთა და ტექნიკურ ხელმძღვანელთა თანამდებობანი შეიტანონ საოლქო კომიტეტების ნომენკლატურაში, ხოლო მიმღებთა, საამქროების გამგეთა და დამამზადებელი პუნქტების გამგეთა თანამდებობანი — საქართველოს კ. პ. (ბ) შესაბამისი რაიკომების ნომენკლატურაში.

12. ეთხოვოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ზოტოვს) გამოუყოს საქკონსერვტრესტს:

ა) საკონსერვო ქარხნებისა და დამამზადებელი კანტორების რემონტისა და დამატებითი მოწყობისათვის საჭირო მასალები და აგრეთვე ქიმიკატები და აპარატურა, დანართის თანახმად;

ბ) 50 ტონა ბენზინი დამზადებული ტკეჩის გამოსაზიდად ტყიდან;

გ) 1944 წლის მეორე კვარტალისა და ივლისის მოთხოვნილების თა უზრუნველსაყოფად—500 ტონა შაქარი, 3.000 ტონა ქვანაწმარი, 300 ათასი ცალი 3-ლიტრიანი ბალონი და 50 ათასი ცალი 15-ლიტრიანი ბალონი, ერთი მილიონი ჭილა, 3 ტონა რეზინის რგოლი № 70, 100 ტონა თუნუქი, 150 ტონა საგვერგვე რკინა, 2 ტონა მოქლონი, 1.500 დეკალიტრი სპირტი ძრის გამოსამუშავებლად და 2 მილიონი ცალი ტკეჩი;

დ) კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად—2.300 ათასი მან., აქედან გზის გასაყვანად სატყეო აგარაკ „ჩერკესკაია პოლიანაზდე"—1.500 ათასი მან. და ავტომანქანების შესაძენად — 725 ათასი მან.

13. ნება დაერთოს ამხ. წიკლაურს გაემგზავროს ქ. მოსკოვს 1944 წლის სეზონისათვის კონსერვტრესტის საწარმოთა მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 22 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

საქონსერვტრესტის საწარმოთა რემონტისათვის საჭირო მასალებისა

დახერხილი ხე-ტყე	500	კუბ. მეტრი
მრგვალი ხე-ტყე	400	კუბ. მეტრი
წითელი აგური	200	ათასი ცალი
ცეცხლგამძლე აგური	50	ათასი ცალი
შამოტის თიხა	1	ტონა
ცემენტი	250	ტონა
ფურცლოვანი რკინა	50	ტონა
ხარისხული რკინა	30	ტონა
სახურავი რკინა	40	ტონა
კუთხოვანი რკინა	2	ტონა
იზოლირებული სადენი	3	ათასი მეტრი
ალუმინის შიშველი სადენი	1	ათასი მეტრი
მაშუქებელი ზონარი	4	ტონა
სელის ზეთი	30	ტონა
თ ე თ რ ა	15	ტონა
საფანჯრე მინა	5000	კვ. მეტრი
ელექტრონათურები	2000	ცალი
კრამიტი	4000	ცალი
სხვადასხვა სადუღარი მილები	300	ცალი
წყალსადენის მილები	1000	მეტრი
კარბიდი	7	ტონა
კლინგერიტი	1	ტონა
ფურცლოვანი ასბესტი	1	ტონა
ჩობალის სატენი	1	ტონა
სხვადასხვა ქლიბი	300	ცალი
სპილენძის სხვადასხვა საორთქლე ვენტილი	1200	ცალი
სულფატ ამონიუმი	180	ტონა
სუპერფოსფატი	180	ტონა
კალიუმის მარილი	20	ტონა
ზილსაჭრელები	300	ცალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 531

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

საქართველოს სსრ სკოლების ახალი — 1944-1945 სასწავლო წლისათვის მომზადების შესახებ

ახალი, 1944-45 სასწავლო წლისათვის განსახკომის სკოლების ჯეროვანი მომზადების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს 1944 წლისათვის სასკოლო შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა, რაიონებსა და ქალაქებში, № 1 დანართის თანახმად.

2. დაევალოს ქვემოდასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მისცენ საქართველოს სსრ განსახკომს II კვარტალის განმავლობაში სკოლების რემონტისათვის შემდეგი მასალები:

ა) საშმომარაგების ტრესტს—ამხ. კვანტალიანს:

ლურსმანი — 2,0 ტონა
სელის ზეთი — 12,0 „
თეთრა — 7,0 „

ბ) საქართველოს ჩაის ტრესტს—ამხ. სარჯველაძეს 2,0 ტონა ლურსმანი სკოლების რემონტისათვის ჩაის რაიონებში.

გ) კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორს ამხ. საევინსკის—100 ტონა ცემენტი სილოსების განტვირთვის წესით;

დ) ხორცრძმრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბერიშვილს—500 კილოგრამი სადურგლო წებო;

ე) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამმართველოს—ამხ. ბუაჩიძეს—იმ რაიონებისათვის, რომლებსაც აგურის ქარხნები არ მოეპოვებათ,—500 ათასი ცალი აგური განსახკომის განაწილებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს—1 ტონა შურუპი მერხებისათვის.

3. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს—ამხ. გომელაურს, აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ლოგუას, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ღვალაძეს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ამბროლაურის, ზუგდიდის, ლაგოდეხისა და თელავის აღმასკომებს და ენგურის ქალალდის სატყეო-სამრეწველო მეურნეობას მისცენ განსახკომს ხეტყის მასალები სკოლებისა და სასკოლო ინვენტარის მშენებლობისა და რემონტისათვის, № 2 დანართში აღნიშნული რაოდენობით.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) ორი კვირის განმავლობაში დაამტკიცონ სასკოლო შენობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა, უზრუნველჰყონ ყველა სასკოლო სადგომის რემონტის დამთავრება და ჯეროვან წესრიგში მოყვანა სასწავლო წლის დასაწყისისათვის;

ბ) შეამოწმონ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ყოველი სკოლა ინვენტარით (მერხებით, მაგიდებით, საკლასო დაფებითა და სხვ.), მოაწყონ სასკოლო ინვენტარის რემონტი და დამზადება ადგილობრივ საწარმოებში იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სკოლების უზრუნველსაყოფად ახალი სასწავლო წლისათვის;

გ) რადგან ზემოაღნიშნული მიზნებისათვის სამშენებლო მასალების ცენტრალიზებული წესით გამოყოფა შეუძლებელია, გამონახონ ადგილობრივ ყველა არსებული შესაძლებლობანი სკოლების რემონტისათვის.

5. ახალი სკოლების მშენებლობის არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობის გამო, დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს, მშრომელთა დეპუტატების თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს და აგრეთვე აბაშის, გეგეჭკორის, გორის, ზემო სვანეთის, ზუგდიდის, ქარელის, ქუთაისის, მცხეთის, ონის, სიღნაღის, ტყიბულის,

თელავის, ჩოხატაურის, ჭიათურის, ცაგერისა და ხაშურის რაიაღმას კომების თავმჯდომარეებს მიიღონ საჭირო ზომები სკოლების მშენებლობის სამშენებლო მასალებით, მუშახელითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის, იმ ანგარიშით, რომ ახალ სასკოლო შენობათა მშენებლობა მთლიანად დამთავრებულ იქნას გეგმით დაწესებულ ვადებში.

6. წინადადება მიეცეს:

ა) კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ზ. ნ. კეცხოველს დაამზადოს შუშეულობის ქარხნებში 100.000 ცალი უღვრელი სამელნე, აქედან 50.000 ცალი მიმდინარე წლის II და III კვარტალებში, ხოლო დანარჩენი რაოდენობა—ა/წ IV კვარტალში;

ბ) ჭუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლომიძეს დაამზადოს ქუთაისის შუშეულობის ქარხანაში 100.000 უღვრელი სამელნე;

გ) ცეკავშირს—ამხ. ნარსიას და სახელგამს—ამხ. კიკნაძეს უზრუნველჰყონ ამ სამელნეების შეტანა შესაბამის რაიონებში საქართველოს სსრ განსახკომის განაწილების მიხედვით;

დ) სარეწაო კავშირს—ამხ. აბაიშვილს დაამზადოს 100 ათასი ლიტრი მელანი, აქედან 50 ათასი ლიტრი—მიმდინარე წლის II და III კვარტალებში, ხოლო დანარჩენი რაოდენობა—მიმდინარე წლის IV კვარტალში;

ე) სახელგამს—ამხ. კიკნაძეს დაამზადოს 120 ათასი ლიტრი მელანი, აქედან 50 ათასი ლიტრი—მიმდინარე წლის II და III კვარტალებში, ხოლო დანარჩენი რაოდენობა—მიმდინარე წლის დამლევამდე;

ვ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს დაამზადოს II და III კვარტალებში—25.000 და IV კვარტალში—9.000 ცალი სახაზავი და კუთხედი და 10.000 ცალი მოწაფის საკალმე, აქედან 1 სექტემბრამდე—5.000 ცალი;

ზ) საქსარეწტყეკავშირს—ამხ. ჯგებაშვილს დაამზადოს მიმდინარე წლის II და III კვარტალებში 375 ათასი ცალი მოწაფის კალმისტარი, 300 ათასი ცალი სახაზავი და 2 ათასი ცალი მოწაფის საკალმე;

თ) ცეკავშირს—ამხ. ნარსიას მთელი მარაგი—12 ათასი ცალი რვეული, 10 ათასი ცალი ფანქარი, 20 ათასი ცალი კალამი და 15 ათასი ცალი კალმისტარი შეიტანოს რაიონებში 1944 წლის 1 აგვისტოსათვის საქართველოს სსრ განსახკომის განაწილების მიხედვით და მიაწოდოს „ცენტროსოიუზის“ საშუალებით 100 ათასი ცალი მოწაფის ფანქრის დამატებით მიღებასა და შემოხიდვას;

ი) მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ღამბაშიძეს და რაიონული სამრეწველო კომბინატის დირექტორს ამხ. წიქარიშვილს უზრუნველჰყონ ცარცის დამზადება 60 ტონის რაოდენობით და ჩააბარონ სარეალიზაციოდ 35 ტონა—სახელგამს და 25 ტონა—ცეკავშირს; ამასთან, 50 ტონა ამ რაოდენობიდან დაამზადონ და ჩააბარონ მიმდინარე წლის II და III კვარტალებში;

კ) „გლავბუმსბიტის“ საქართველოს კანტორას—ამხ. ჩხარტიშვილს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 აპრილის № 433 დადგენილების შესაბამისად უზრუნველჰყოს 62 ტონა სარეულე ქაღალდის შემოზიდვა და გაცემა II კვარტალში, აქედან გადასცეს სახელგამის ბეჭდვითი კომბინატს—31 ტონა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკას—31 ტონა; მიმდინარე წლის III კვარტალში შემოზიდოს და გასცეს 75 ტონა ქაღალდი, აქედან გადასცეს სახელგამს—31 ტონა და სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკას—44 ტონა;

ლ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს და სახელგამს—ამხ. კიკნაძეს დაამზადონ რეიულები 4,5 მილიონი ცალის რაოდენობით, აქედან ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სასკოლო-საკანცელარიო ნივთების ფაბრიკაში—2,5 მილიონი ცალი, მათ შორის მიმდინარე წლის II კვარტალში—1 მილიონი ცალი და III კვარტალში—1,5 მილიონი ცალი და სახელგამის საწარმოებში—2 მილიონი ცალი, მათ შორის მიმდინარე წლის II კვარტალში—1 მილიონი ცალი და III კვარტალში—1 მილიონი ცალი;

მ) ენგურჰესქაღალდკომბინატის დირექტორს—ამხ. ჯანაშიას მიმდინარე წლის II და III კვარტალებში გამოიმუშაოს უწინარეს ყოვლისა 50 ტონა ხარისხოვანი სარეულე ქაღალდი, რაც დაგზავნოს „გლავბუმსბიტის“ საქკანტორის განწესის მიხედვით;

ნ) ცეკავშირს—ამხ. ნარსიას და სახელგამს—ამხ. კიკნაძეს რეიულების რეალიზაცია მოახდინონ სკოლებში სახალხო განათლების განყოფილებათა განაწილების მიხედვით.

7. დაევალოს:

ა) განსახკომს—ამხ. კუპრაძეს მიმდინარე წლის 1 ივნისამდე ჩააბაროს სახელგამს გამოსაცემად 4 სახელწოდების ქართული ენის სასწავლო წიგნი დაწყებითი კლასებისათვის;

ბ) სახელგამს—ამხ. კიკნაძეს ქაღალდის არსებული მარაგით დაუყოვნებლივ შეუდგეს განსახკომის მიერ გადაცემული სასწავლო წიგნების ბეჭდვას დაწყებითი კლასებისათვის.

8. დამტკიცდეს ძველი, ნახმარი სასწავლო წიგნების შესყიდვის 1944 წლის გეგმა 883.860 წიგნის რაოდენობით, რაც განაწილდეს

ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა, რაიონებსა და ქალაქებს შორის, № 3 დანართის თანახმად.

9. დატოვებულ იქნას ძალაში 1944/45 წლის სათბობი სეზონისათვის საქართველოს სსრ ს.ხკომსაბჭოს 1943 წლის 1 სექტემბრის № 1284 დადგენილება „1943/44 წლის სათბობ სეზონში განსახკომის სკოლებისათვის შეშის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმის შესახებ“ და დაწესდეს შეშის დამზადების მოცულობა 147 ათასი სასწყობო კუბ. მეტრის რაოდენობით.

დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასრულებულ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს პირადად აღეგინონ თვალყური სკოლებისათვის შეშის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმის შესრულებას.

10. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. გ. ე. ალავიძეს, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან—ამხ. ჯაბუასთან, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან—ამხ. გორდეზიანთან და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსთან ამხ. გომელაურთან ერთად, ორი თვის განმავლობაში დაამუშაოს საკითხი პროფესორ ერასმანის სისტემის მოწაფის მერხების, საკლასო დაფების, სამასწავლებლო მაგიდების, ფანქრებისა და მოწაფის რეზინების წარმოების მოწყობის შესახებ და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

11. დაევალოს განსახკომს—ამხ. ჯუპრაძეს:

ა) ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სრულად დააკომპლექტოს ყველა სკოლა პედაგოგიური კადრებით;

ბ) მიავლინოს განსახკომის აპარატის მუშაკები რაიონებში დახმარების აღმოსაჩენად ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების საქმეში;

გ) მიაღწიოს იმას, რომ სკოლებში ჩაბმულ იქნას სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი;

დ) სისტემატურად მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

12. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს:

ა) დაავალონ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომი-

სარიატს—ამხ. თევოსიანს გამოყოს და გადმოუგზავნოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის II და III კვარტალებში 20 ტონა ნაგლინი ლურსმნის დასამზადებლად სასკოლო შენობათა რემონტისა და მშენებლობისათვის;

ბ) დაავალონ სსრ კავშირის სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. სოსნინს გადმოუგზავნოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ქარხანა „დაგოგნიდან“ მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე 10.000 კვ. მეტრი საფანჯრე მინა სკოლებისათვის;

გ) დაავალონ სსრ კავშირის ცელულოზურ-ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჩებოტარიოვს მისცეს საქართველოს სსრ-ს 200 ტონა საბეჭდი ქაღალდი ენგურის ცელულოზურ-ქაღალდის კომბინატიდან სასწავლო წიგნების, საკლასო ჟურნალებისა და სხვა სასკოლო დოკუმენტაციის დასაბეჭდად და გადმოგზავნოს 100 ტონა—მიმდინარე წლის II კვარტალში და 100 ტონა—III კვარტალში;

დ) დაავალონ რსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—გადმოუგზავნოს II და III კვარტალებში საქართველოს სსრ განსახკომს: 1 მილიონი ცალი მოწაფის ფანქარი, 2 მილიონი ცალი კალამი, 200 ათასი ცალი კალმისტარი, 200 ათასი ცალი მოწაფის რეზინი და 200 ათასი ტაბლეტი მელნის ფხვნილი.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაჟრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 22 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კპ(ბ) ც. კ-ის 1944 წლის 22|V № 531 დადგენილების დანართი № 1

ბ ე ბ მ ა

სასკოლო შენობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტისა 1944 წლისათვის საბიუჯეტო დაფინანსების აღნიშვნით

რაიონების დასახელება	სკოლების რემონტი		უნდა გაიცეს ბიუჯეტით (ათას მანეთობით)
	კაპიტალური	მიმდინარე	
1	2	3	4
1. აბაშის რაიონი	4	38	60,0
2. ადიგენის „	18	40	40,0
3. ამბროლაურის „	5	20	40,0
4. ასპინძის „	5	22	65,0
5. ახალქალაქის „	45	27	63,0
6. ახალციხის „	6	18	67,0
7. ბაშქირეთის „	6	20	50,0
8. ბოგდანოვკის „	3	15	25,0
9. ბორჩალოს „	6	69	45,0
10. ბორჯომის „	15	46	75,0
11. გეგეჭკორის „	14	53	53,0
12. გორის „	7	35	110,0
13. ჯურჯაანის „	3	41	48,0
14. დუშეთის „	6	40	65,0
15. ვანის „	5	38	33,0
16. ხასვანეთის „	4	12	40,0
17. ხულტაფონის „	14	25	85,0
18. ხუგდიდის „	9	52	125,0
19. თბილისის „	10	36	50,0
20. თეთრიწყაროს „	8	73	43,0
21. თელავის „	11	24	100,0
22. თიანეთის „	5	32	25,0
23. კასპის „	4	18	43,0
24. ლაგოდეხის „	21	33	43,0
25. ლანჩხუთის „	5	30	65,0
26. ბოლნისის „	5	30	43,0
27. მახარაძის „	13	20	225,0
28. მაიაკოვსკის „	6	20	32,0
29. მცხეთის „	3	22	35,0
30. ონის „	2	47	80,0

რაიონების დასახელება	სკოლების რემონტი		უნდა გაიცეს ბიუჯეტიდან (ათას მანეთებით)
	კაპიტალური	მიმდინარე	
1	2	3	4
31. ორჯონიკიძის რაიონი . . .	4	26	33,0
32. საგარეჯოს „ . . .	3	23	45,0
33. სამტრედიის „ . . .	6	32	75,0
34. საჩხერის „ . . .	4	18	48,0
35. სილღაღის „ . . .	4	25	43,0
36. ტყიბულის „ . . .	4	19	,0 35,0
37. ქარელის „ . . .	3	9	40,0
38. ქსნის „ . . .	4	13	25,0
39. ქუთაისის „ . . .	5	30	40,0
40. ყაზბეგის „ . . .	2	15	40,0
41. ყარაიის „ . . .	2	12	21,0
42. ყვარლის „ . . .	10	12	35,0
43. ჩოხატაურის „ . . .	4	26	40,0
44. ჩხარის „ . . .	3	22	33,0
45. ჩხოროწყუს „ . . .	4	20	33,0
46. ფოთის „ . . .	5	4	210,0
47. ცაგერის „ . . .	3	19	40.0
48. ცხაკაიას „ . . .	9	53	70.0
49. წალენჯიხის „ . . .	21	24	33,0
50. წალკის „ . . .	14	44	33,0
51. წითელწყაროს „ . . .	3	20	39,0
52. წულუკიძის „ . . .	4	18	56,0
53. წყალტუბოს „ . . .	8	15	48,0
54. ჭ. ჭიათურა . . .	1	2	25,0
55. ჭიათურის რაიონი . . .	7	13	40,0
56. ხაშურის „ . . .	7	17	95,0
57. ხობის „ . . .	3	18	50,0
58. აფხაზეთის ასსრ . . .	26	160	425,0
59. აჭარის ასსრ . . .	20	120	305,0
60. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	10	100	160,0
61. ქ. თბილისი	33	27	583,7
62. კლუხორის რაიონი . . .	1	—	20,0
63. ქ. ქუთაისი . . .	9	11	270,0
სულ	514	1962	4960,7

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განსახკომის სკოლების მშენებლობის, რემონტის ხოვნილების დაფარვისა

რაიონებისა და სკოლების დასახელება	მრგვალი ხე-ტყის მოთხოვნილება	მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს		
			თვითდამზადება	
	ს/ფ ს	აქედან მშენებლობისთვის	მრგვალი ხე-ტყის რაოდენობა	სატყეო მეურნეობები
თელავი—ვარდისუბნის სკოლა	250	200	—	—
სიღნაღი—ანაგის სკოლა .	300	250	—	—
მცხეთა—მ ხეთის „	340	340	—	—
ქარელი—მოხისის „	200	200	—	—
ხაშური—ხაშურის „	130	130	—	—
გორი—კარალეთის „	300	300	—	—
წალკა—ბეშტაშენის „	360	360	300	ხაშურის სატყ. მეურნ.
მაიაკოვსკის—წითელსოფლის სკოლა	400	400	400	მაიაკოვსკის „ „
ტყიბული—ორპირის სკოლა	460	460	460	ამბროლაურის „ „
ცაგერი—ცაგერის „	300	300	300	ქვ. სვანეთის „ „
ონი—სორის „	500	330	—	—
ჭიათურა—გუნდაეთის „	170	170	170	საჩხერის „ „
ქუთაისი—ოფურჩხეთის „	250	250	—	—
ზემო-სვანეთი—ბეჩოს „	400	400	400	ენგურის სატყ.-სამრ. მეურ.
აბაშა—ონტოფოს „	150	150	—	—
გეგეჭკორი—დიდიჭყონის „	170	170	170	გეგეჭკორის სატყ. მეურნ.
ზუგდიდი—ცაიშის „	350	380	100	ენგურის სატყ.-სამრ. მეურ.
„ „	—	—	—	—
მახარაძე—ძიმითის „	250	250	100	მახარაძის სატყ. მეურნ.
მახარაძე—ზვანის „	250	250	100	„
ჩოხატაური—ვანი—ზომლეთის „	250	250	—	—
აფხაზეთის ასსრ—ოჩამჩირის „	560	400	—	—
აჭარის ასსრ—ქობულეთის „	360	200	120	აჭარის სატყ. მეურნ.
„ „ ქემოლულის „	170	170	80	„
სამხრეთ-ოსეთის—ზნაურის „	250	250	250	სამხრეთ-ოსეთის „ „
„ ლენინგორის „	200	200	50	„
სახალხო განათლების ფოთის რაიგანყოფილება	60	60	—	—
ქუთაისი სახალხო განათლების ქუთაისის რაიგანყოფილება	150	150	—	—
ს უ ლ . . .	7.530	6.970	2.940	—

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ განაწილებაში შედის საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. ტყის ნაცვლად ნებადართულია 90 კბმ. დაბერხილი ხე ტყის მა რიატს ჩაეთვალოს საანაბარო ბარათით შენახული ხე-ტყის მასა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 22|V № 531 დადგე-
ნილების დანართი № 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ა

და სასკოლო ინვენტარისათვის საჭირო ხე-ტყის მასალების მოთ-
1944 წლისათვის

(კუბ. მეტრობით)

დ ა ფ ა რ ვ ი ს წ ყ ა რ ო ე ბ ი

საქ სსრ სატყ. მრეწ. სახ. კომისარიატის სამეურ. დამზადებანი		ადგილობრივი ორგანიზაციების დამზადებანი		
მრგვალი ხე-ტყის რაოდენობა	სატყეო მეურნეობები	ორგანიზაციების დასახელება	მრგვალი ხე-ტყის რაოდენ.	დაბერხილის რაოდენობა
	თელავის სატყეო			
200	მეურ.	თელავის სამრ. კომბ.	—	30
200	გურჯაანის „ „	ლაგოდეხის „ „	—	30
—	—	ატენის სატყ. მეურნ.	120	—
—	—	„ „	100	—
—	—	„ „	100	—
—	—	„ „	80	—
—	—	„ —	—	—
—	—	—	—	—
—	—	—	—	—
—	—	—	—	—
—	—	—	—	—
—	—	ამბროლაურის სამრ. კომბ.	—	300
—	—	—	—	—
—	—	საქ. სსრ ადგ. მრ. სახ. კომ.	200	—
—	—	—	—	—
—	—	საქ. სსრ ადგ. მრ. სახ. კომ	100	—
—	—	—	—	—
150	ზუგდიდის „ „	საქ. სსრ ად. მრ. სახ. კომ.	50 **)	—
—	—	ზუგდიდის სამრ. კომბ.	—	40
150	მახარაძის „ „	—	—	—
150	—	—	—	—
250	ჩოხატაურის „	—	—	—
—	„	აფხ. ასსრ ადგ. მრ. სახ. კომ.	—	300
—	—	აჭარის ასსრ ადგ მრ. სახ. კ.	—	150
—	—	—	—	50
—	—	—	—	—
150 *)	სამხ.-ოსეთის „ „	—	—	—
—	—	საქ. სსრ ადგ. მრ. სახ. კომ.	60 **)	—
—	—	„ „	90 **)	—
1250	„	—	900	900

9 მაისის 453-სს დადგენილებით წარმოებული გაცემა. *) 150 კბმ. მრგვალი ხე-სალის გაცემა სოფ. ხვცოს ჭარხნიდან. **) საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისა-ლები.

ცხრილი

ძველი, ნახმარი სასწავლო წიგნების შესყიდვისა 1944 წლისათვის

რაიონების დასახელება	ქართული	რუსული	სომხური	აზერბაიჯანული	სულ
1. აბაშის რაიონი	18029	—	—	—	18029
2. ადიგენის „	2100	100	—	12100	14300
3. ამბროლაურის „	15000	—	—	—	15000
4. ასპინძის „	2000	—	—	1000	3000
5. ახალქალაქის „	2023	579	25419	—	28021
6. ახალციხის „	1559	1309	—	1014	3882
7. ბაშქირეთის „	487	601	—	771	1859
8. ბოგდანოვკის „	—	3000	—	—	3000
9. ბორჩალოს „	493	2621	5979	10411	19504
10. ბორჯომის „	9268	1973	—	—	11241
11. გეგეჭკორის „	33127	—	—	—	33127
12. გორის „	9463	—	—	—	9463
13. გურჯაანის „	14000	—	—	—	14000
14. დუშეთის „	14006	—	—	—	14006
15. ვანის „	16183	—	—	—	16183
16. ჩ/სვანეთის „	1039	—	—	—	1039
17. ზესტაფონის „	28440	—	—	—	28440
18. ზუგდიდის „	14555	—	—	—	14555
19. თბილისის „	6899	—	—	—	6899
20. თელავის „	9504	—	—	—	9504
21. თეთრიწყაროს „	10470	—	—	—	10470
22. თიანეთის „	9831	—	—	—	9831
23. კასპის „	14000	—	—	—	14000
24. ლაგოდეხის „	14445	3553	—	—	17998
25. ლანჩხუთის „	12500	—	—	—	12500
26. ბოლნისის „	—	—	—	3000	3000
27. მახარაძის „	15011	1361	—	—	16372
28. მაიაკოვსკის „	8866	—	—	—	8866
29. მცხეთის „	11200	—	—	—	11200
30. ონის „	11044	—	—	—	11044
31. ორჯონიკიძის „	22274	—	—	—	22274
32. საგარეჯოს „	9000	—	—	—	9000
33. სამტრედიის „	16000	—	—	—	16000
34. საჩხერის „	15221	—	—	—	15221
35. სიღნაღის „	5545	—	—	—	5545

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების დასახელება	ქარხანული	რუსული	სოფლური	აზერბაიჯანული	სულ
36. ტყიბულის რაიონი	3700	—	—	—	3700
37. ქარელის „	7500	—	—	—	7500
38. ქ/სვანეთის „	2747	—	—	—	2747
39. ქ. ქუთაისი	14045	2379	—	—	16424
40. ქუთაისის რაიონი	19300	—	—	—	19300
41. ყაზბეგის „	—	—	—	—	—
42. ყარაიის „	—	—	—	2000	2000
43. ჩხარის „	9700	—	—	—	9700
44. ყვარლის „	10833	—	—	—	10833
45. ჩოხატაურის „	19639	—	—	—	19639
46. ჩხოროწყუს „	8411	—	—	—	8411
47. ფოთის „	3200	4200	—	—	7400
48. ცაგერის „	10868	—	—	—	10868
49. ცხაკაიას „	14445	1000	—	—	15445
50. წალენჯიხის „	10600	—	—	—	10600
51. წალკის „	—	8400	—	—	8400
52. წითელწყაროს „	7507	4443	—	—	11950
53. წულუკიძის „	10947	—	—	—	10947
54. წყალტუბოს „	7400	—	—	—	7400
55. ქ. ჭიათურა	6171	673	—	—	6844
56. ჭიათურის რაიონი	10200	—	—	—	10204
57. ხაშურის „	22714	—	—	—	22710
58. ხობის „	3000	—	—	—	3000
ს უ ლ	576509	36192	31398	30296	674395
59. აჭარის ასსრ	33250	18215	—	—	51465
60. აფხაზეთის ასსრ	20000	50000	—	—	70000
61. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	10000	—	—	—	10000
ს უ ლ	63250	68215	—	—	131465
62. ქ. თბილისი	40000	30000	8000	—	78000
ს უ ლ	679759	134407	39398	30296	883860

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 536

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ყაზბეგის რაიონის საკითხები

ყაზბეგის რაიონის შემადგენლობაში ახალი ტერიტორიების შეტანასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ამხ. ი. მონიავას:

ა) მიმდინარე წლის 1 ივლისამდე უზრუნველჰყოს ლარსისა და დარიალის სასოფლო საბჭოების შეერთება პირდაპირი სატელეფონო კავშირით რაიონულ ცენტრთან—ყაზბეგთან.

ყაზბეგის რაიაღმასკომმა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონის რაიკომმა დახმარება აღმოუჩინონ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს მუშახელით; დაამზადონ და მიუზიდონ ბოძების დანაკლისი რაოდენობა ადგილობრივი ტყეებიდან;

ბ) ერთი დეკადის განმავლობაში აღადგინოს საფოსტო საagენტოები ლარსისა და დარიალის სასოფლო საბჭოებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს—ამხ. ს. ხოშტარიას:

ა) ერთი თვის განმავლობაში მოაწყოს ლარსის სასოფლო საბჭოში ზოოვეტპუნქტი, რომელიც უნდა მოემსახუროს აგრეთვე დარიალის სასოფლო საბჭოსაც, უზრუნველჰყოს აღნიშნული პუნქტი სათანადო ზოოვეტსპეციალისტებით, საჭირო მედიკამენტებითა და ინსტრუმენტებით;

ბ) გაგზავნოს 5 კაცი იმ პირთაგან, რომლებიც მიმდინარე წელს ამთავრებენ ზოოვეტტექნიკუმებს, ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომს—ამხ. ა. ხელიძეს:

ა) ერთი თვის განმავლობაში მოაწყოს ლარსის სასოფლო საბჭოში სამედიცინო პუნქტი და დარიალის სასოფლო საბჭოში საფერშლო პუნქტი, დააკომპლექტოს ისინი სათანადო მედმუშა-

კებით და უზრუნველჰყოს საჭირო ინვენტარით, მედიკამენტებითა და ინსტრუმენტებით;

ბ) გაგზავნოს მუდმივ სამუშაოდ ყაზბეგის რაიონულ საავადმყოფოში ერთი გამოცდილი ქირურგი.

4. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. ნარსიას ერთი დეკადის განმავლობაში გაბსნას სასოფლო სავაჭრო წერტები სოფ. ლარსსა და დარიალში.

5. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარსამმართველოს უფროსმა ამხ. ბუაჩიძემ ერთი თვის განმავლობაში შეისწავლოს ფიქალთა ლარსის საბადოები და თავისი წინადადებანი ამ საბადოების ექსპლოატაციის მოწყობის შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

6. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარი საკურორტო სამმართველოს უფროსის ამხ. ბერიძის განცხადება, რომ მან უკვე დაამთავრა დარიალის კურორტის (სოფ. „არმხის“) ინვენტარიზაცია, შეადგინა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების პროექტები, კურორტის დირექციის მიცემული აქვს სახსრები, მასალები და სწარმოებს მუშაობა კურორტის რემონტისა და აღდგენისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომს მოაწყოს სამილიციო უბანი ლარსისა და დარიალის სასოფლო საბჭოებისა და და დარიალის კურორტის (სოფ. „არმხის“) მომსახურებისათვის.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს:

ა) მოაწყოს ახალ სასწავლო წლიდან სკოლები ლარსისა და დარიალის სასოფლო საბჭოებში;

ბ) ერთი თვის განმავლობაში მოაწყოს ზემოაღნიშნულ სასოფლო საბჭოებში ჭონ-სამკითხველოები და მოამარაგოს ისინი სათანადო ლიტერატურით;

გ) უზრუნველჰყოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების დაკომპლექტება კვალიფიციური სამსწავლებლო კადრებით.

8. დაევალოს ყაზბეგის რაიაღმასკომს შეამოწმოს სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობათა მდგომარეობა რაიონში და უზრუნველჰყოს მათი რემონტი.

საქართველოს განსახკომმა გაიღოს რემონტისათვის საჭირო სახსრები და უზრუნველჰყოს სკოლები ინვენტარითა და მოწყობილობით.

9. წინადადება მიეცეს საქსოფლელექტროტრესტის მმართველს ამხ. ტევოსიანს ორი თვის განმავლობაში შეისწავლოს საკითხი ლარსისა და დარიალის სასოფლო საბჭოების ელექტროფიკაციის შესახებ და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

10. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას:

ა) აღმოუჩინოს ყაზბეგის რაიაღმასკომს საჭირო დახმარება ყაზბეგის ელექტროსადგურისა და რაიონული ცენტრის ელექტროფიკაციის მოწესრიგების საქმეში;

ბ) გამოუყოს ყაზბეგის რაიაღმასკომს რაიონულ ცენტრში 10 საწოლიანი ჯასტუმროს ორგანიზაციისათვის საჭირო სახსრები მიმდინარე წლის მესამე კვარტალში;

გ) აღმოუჩინოს ყაზბეგის რაიაღმასკომს ტექნიკური დახმარება რაიონული ცენტრის კეთილმოწყობისა და კომუნალური სადგომების რემონტის ჩატარების საქმეში;

დ) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, გაითვალისწინოს კაპიტალური შენობების მშენებლობის 1945 წლის გეგმაში ერთი ადმინისტრატიული შენობის მშენებლობა რაიონულ ცენტრში—ყაზბეგში საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომისა და რაიაღმასკომის მოსათავსებლად. მიმდინარე წელს შეადგინოს ამ შენობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

11. დაევალოს ყაზბეგის რაიაღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომს:

ა) ორი თვის განმავლობაში დაამთავრონ კომუნალური სადგომების მიმდინარე რემონტი რაიონულ ცენტრში;

ბ) გაატარონ ღონისძიებანი რაიონული ცენტრის—დაბა ყაზბეგის გასამწვანებლად;

გ) ჩაატარონ მიმდინარე წელს მოსამზადებელი სამუშაოები ყაზბეგის ადმინისტრატიული სახლის მშენებლობის უზრუნველსაყოფად 1945 წელს, რისთვისაც დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამშენებლო მასალათა დამზადებასა და მიზიდვას.

12. საქართველოს სსრ ფინსახკომმა—ამხ. ციმაკურიძემ მისცეს ყაზბეგის რაიაღმასკომს მიმდინარე წლის ივნისსა და ივლისში 100 ათასი მანეთი 1945 წელს ადმინისტრატიული სახლის მშენებლობისათვის საჭირო მოსამზადებელ სამუშაოთა ჩასატარებლად, საჭირო სახსრები კომუნალური სადგომების შესაკეთებლად და აგრეთვე უზრუნველჰყოს ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სასოფლო მეურნეობის ღონისძიებათა დაფინანსება.

13. დაევალოს საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს დაამუშაოს და წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წინადადებანი ყაზბეგის რაიონის გატყიანების შესახებ.

დაევალოს ყაზბეგის რაიაღმასკომს უზრუნველჰყოს ტყეების დაცვა რაიონში.

14. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ შეამოწმოს ყაზბეგის რაიონული გაზეთის მუშაობა, სტამბის მდგომარეობა და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 24 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 537

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ს. ს. დავლიანიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. სერგი სიმონის-ძე დავლიანიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 26 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 538

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ი. ი. ნიბლაძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ (კადრების დარგში) დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ირაკლი ილიას-ძე ნიბლაძე, სახალხო კომისრის ახლანდელი მოადგილე, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ კადრების დარგში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი**

1944 წლის 26 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 539

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამბ. ა. ი. გუგუჩიას საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამბ. ალექსანდრე იღარიონის-ძე გუგუჩია საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილის (კადრების დარგში) მოვალეობისაგან, სხვა სამუშაოზე მის გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუხტიაშვილი.**

1944 წლის 26 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 540

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის სასპორტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტანსაცმლის წარმოების გეგმის შესახებ

იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 4 მაისის № 498 დადგენილება „სასპორტო ორგანიზაციებისათვის სასპორტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტანსაცმლის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, სარეწაო კავშირის, სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირის, საქსარეწტყეკავშირისა და საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მიერ საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის სასპორტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტანსაცმლის წარმოების 1944 წლის მეორე ნახევარწლედის გეგმა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს შეიტანოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, სარეწაო კავშირის, სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირის, საქსარეწტყეკავშირისა და სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის 1944 წლის III და IV კვარტალების გეგმაში სასპორტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტანსაცმლის წარმოება საქართველოს სსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის, ამ დადგენილებით დამტკიცებული გეგმის თანახმად.

3. დაევალოს ქვემოდასახელებული სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მისცენ შემდეგი მასალები:

ა) საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა (ამხ. რუხაძემ)—3 ტონა მოხარშული რამი ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ბაგირებისა და თოკების საწარმოებლად;

ბ) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა (ამხ. ჯაბუამ)—18 კუბ. მეტრი წიფლისა და 8 კუბ. მეტრი მუხის დახერხილი მასალა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს საფარიკაო შაშხანებისა და შვედური კედლების დასამზადებლად, ხოლო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავსნაბლესის“ საქართველოს სამმართველოს უფროსმა (ამხ. კვიცარიძემ) გააფორმოს ხე-ტყის მასალის ეს გაცემა შესაბამისი განწესის მიცემით;

გ) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა (ამხ. კეცხოველმა)—200 ტომარი სარეწაო კავშირს ჩოხების შესაკერად ქართული ჰიდაობისათვის;

დ) საქმამაქნედლეულმა (ამხ. ვაშაკიძემ)—1,5 ტონა ჯუთი ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს თოკების დასამზადებლად და 100 ტომარი სარეწაო კავშირს ჩოხების შესაკერად;

ე) საქმომარაგების ტრესტმა (ამხ. კვანტალიანმა)—1.500 მეტრი ბრეზენტი სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირს გულსაფარებისა და ხელთათმანების შესაკერად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომის ფიზიკური აღზრდის ინსპექციას ორი კვირის განმავლობაში ჩაბაროს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სარეწაო კავშირს, სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირს, საქსარეწტყეკავშირსა და სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს მათ მიერ დასამზადებელი სასპორტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტანსაცმლის ნახაზები და ზომები ან ნიმუშები.

5. სასპორტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტანსაცმლის რეალიზაცია დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის ჩატარებულ იქნას წვრილ ბითუმად სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს საბჭოს საგაჭრო ქსელის საშუალებით საქართველოს სსრ განსახკომის განწესთა მიხედვით.

6. სასპორტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტანსაცმლის წარმოების 1944 წლის III და IV კვარტალების დამტკიცებული გეგმა წარედგინოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

საქართველოს სსრ დაწესებითი, არასრული საშუალო და საშუალო ლობის, ინვენტარისა და ტან

საწარმოთა დასახელება	საზომი ერთეული	სახ. კომისარიატებისა და საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი		სარეწაო კავშირი	
		ს ფ ვ	აქედან 1944 წ. III კვ.	ს ფ ვ	აქედან 1944 წ. III კვ.
შვედური კედელი	ცალი	100	50	—	—
შვედური მეორი (სიგრძ. 4,2 მ)	„	500	250	—	—
დაბრკოლებათა ზოლი (პერ)	კომპლ.	100	50	—	—
საძრომი ბაგირი დ—50 მმ	მეტრი	5000	2500	—	—
გადასათრევი ბაგირი	„	2000	1000	—	—
რგოლების თოკი დ—13 მმ	„	5000	2500	—	—
საფარიკაო შაშხანა	ცალი	1500	750	—	—
3-მეტრიანი სახტომეული	„	3000	1500	—	—
5-მეტრიანი სახტომელა	„	4000	2000	—	—
საფრენბურთო ბადე	„	—	—	—	—
დ რ ო შ ე ბ ი	„	—	—	—	—
სახტომი თოკები	მეტრი	—	—	—	—
სამკერდეულები	ცალი	—	—	—	—
ხეზთათმანი ხელჩართული ბრძოლისათვ.	წყვილი	—	—	—	—
ნაჭერადდაწური კარვები	ცალი	—	—	—	100
10-მეტრიანი ხვეულა	„	—	—	200	—
საფეხბურთო საფარი	„	—	—	425	115
საკალათბურთო საფარი	„	—	—	210	205
საფრენბურთო საფ რი	„	—	—	1000	500
სატანვარჯიშო ჰილ ბი	„	—	—	—	—
შუბის ბერნუკი	„	—	—	300	150
ჩოგა ქართული ჰიდაობისათვის	„	—	—	500	250
შალის სვიტერი	„	—	—	—	—
სატანვარჯიშო წუღები	წყვილი	—	—	15000	7500
ბ უ ც ე ბ ი	„	—	—	1500	750
სასპორტო პერანგი—ფუტბოლურა	ცალი	25000	12500	—	—
სასპორტო პერანგი მოკლე სახელოებით	„	—	—	25000	12500
სასპორტო პერანგი უსახელოებო	„	—	—	—	—
ტ რ უ ს ე ბ ი	„	20000	10000	20000	10000
საბანაო ტანსაცმელი	„	2000	1000	—	—
სატანვარჯიშო ოეიტუზი	„	2000	1000	—	—
ჭინძისთავი	„	—	—	—	—
სახტომი დგარები	„	—	—	—	—
სარჩევლეტი ფიტულები	„	—	—	—	—
სახტომი ხიდი	„	—	—	—	—
მოსაგერიებელი ჯოხები	„	—	—	—	—
შ უ ბ ე ბ ი	„	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა

სკოლებისათვის 1944 წელს დასამზადებელი სასპორტო მოწყობილობის ნუსხა

№	დასახელება	ერთეული	სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირი		საქსარეწტყეკავშირი		საქ. სსრ სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატის საწარმოები		სულ	საქ. ე დ ა ნ 1944 წლის III კვ.
			ს უ ლ	აქედან 1944 წ. III კვ.	ს უ ლ	აქედან 1944 წ. III კვ.	ს უ ლ	აქედან 1944 წ. III კვ.		
1	ბადე ფრენბურთისა	ცალი	—	—	—	—	—	—	100	50
2	ბადე კალათბურთისა	ცალი	—	—	—	—	—	—	500	250
3	ბადე ხელბურთისა	ცალი	—	—	—	—	—	—	100	50
4	ბადე ფეხბურთისა	ცალი	—	—	—	—	—	—	5000	2500
5	ბადე ჰანდბურთისა	ცალი	—	—	—	—	—	—	2000	1000
6	ბადე ჩოგბურთისა	ცალი	—	—	—	—	—	—	5000	2500
7	ბადე ვოლეიბურთისა	ცალი	—	—	—	—	—	—	1500	750
8	ბადე ბადმინტონისა	ცალი	—	—	—	—	—	—	3000	1500
9	ბადე ტენისისა	ცალი	—	—	—	—	—	—	4000	2000
10	ბადე ბილიარდისა	ცალი	—	—	—	—	2000	1000	2000	1000
11	ბადე ფეხბურთის კარისა	წყვილი	3000	1500	—	—	—	—	3000	1500
12	ბადე ჰანდბურთის კარისა	წყვილი	3000	1500	—	—	—	—	3000	1500
13	ბადე ხელბურთის კარისა	წყვილი	850	425	—	—	—	—	850	425
14	ბადე ვოლეიბურთის კარისა	წყვილი	850	425	—	—	—	—	850	425
15	ბადე ბადმინტონის კარისა	წყვილი	100	50	—	—	—	—	100	50
16	ბადე ტენისის კარისა	წყვილი	—	—	—	—	—	—	200	100
17	ბადე ჩოგბურთის კარისა	წყვილი	—	—	—	—	—	—	425	215
18	ბადე ფეხბურთის კარის უკანა	ცალი	—	—	—	—	—	—	210	105
19	ბადე ჰანდბურთის კარის უკანა	ცალი	—	—	—	—	—	—	1000	500
20	ბადე ხელბურთის კარის უკანა	ცალი	200	100	—	—	—	—	200	100
21	ბადე ვოლეიბურთის კარის უკანა	ცალი	—	—	—	—	—	—	300	150
22	ბადე ბადმინტონის კარის უკანა	ცალი	—	—	—	—	—	—	500	250
23	ბადე ტენისის კარის უკანა	ცალი	1000	500	—	—	—	—	1000	500
24	ბადე ჩოგბურთის კარის უკანა	ცალი	15000	7500	—	—	—	—	30000	15000
25	ბადე ფეხბურთის კარის გვერდითი	ცალი	—	—	—	—	—	—	1500	750
26	ბადე ჰანდბურთის კარის გვერდითი	ცალი	—	—	—	—	—	—	25000	12500
27	ბადე ხელბურთის კარის გვერდითი	ცალი	—	—	—	—	—	—	25000	12500
28	ბადე ვოლეიბურთის კარის გვერდითი	ცალი	—	—	—	—	25000	12500	25000	12500
29	ბადე ბადმინტონის კარის გვერდითი	ცალი	20000	10000	—	—	20000	10000	80000	40000
30	ბადე ტენისის კარის გვერდითი	ცალი	—	—	—	—	—	—	2000	1000
31	ბადე ჩოგბურთის კარის გვერდითი	ცალი	—	—	—	—	—	—	2000	1000
32	ბადე ფეხბურთის კარის გვერდითი	ცალი	—	—	2000	—	—	—	2000	1000
33	ბადე ჰანდბურთის კარის გვერდითი	ცალი	—	—	600	1000	—	—	600	300
34	ბადე ხელბურთის კარის გვერდითი	ცალი	—	—	700	300	—	—	700	350
35	ბადე ვოლეიბურთის კარის გვერდითი	ცალი	—	—	250	350	—	—	250	125
36	ბადე ბადმინტონის კარის გვერდითი	ცალი	—	—	1400	125	—	—	1400	700
37	ბადე ტენისის კარის გვერდითი	ცალი	—	—	500	700	—	—	500	250
						250				

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 541

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მოსახლეობის კულტ-ნაწლავის საინფექციო დაავადებათა გაფრთხილების ღონისძიებათა შესახებ

(ამხ. მიქოიანის დეპეშა)

თბილი ამინდის დადგომასთან დაკავშირებით მოსახლეობის კულტ-ნაწლავის შესაძლებელი საინფექციო დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა) დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. კეცხოველს და ხორცძმრეწველობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ბერიშვილს:

ა) მიმდინარე წლის 5 ივნისისათვის, საწარმოთა დირექტორების პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყონ საწარმოთა ეზოს ტერიტორიების გაწმენდა ნაგვისა და სიბინძურისაგან და მომავალში შეინახონ ისინი ჯეროვან სანიტარულ მდგომარეობაში.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხორცკომბინატების, სასაკლაოების, ზეთსახდელი ქარხნების, ყველის ქარხნების, ძეხვეულთა საწარმოების, პურის ქარხნებისა და სხვ. სანიტარულ მდგომარეობას;

ბ) დაევალოს საწარმოთა დირექტორებს პროდუქციისა და აგრეთვე ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების დატარიანებამდე ეკონიონ ისინი დახურულ კარადებში, სკივრებსა და დახურულ ჭურჭელში ან გადააფარონ მათ ბადიანი ხუფები, მარლა და ქსოვილის საბურავი;

გ) ბაქტერიულ გაბინძურებისაგან თავისუფალი საწარმოო წყლით კვების საწარმოთა უზრუნველყოფის მიზნით, ჩაატარონ წყლის ყველა სამარაგო ბაკის რემონტი და უზრუნველჰყონ ძირნი მჭიდროდ საკეტი სახურავებით, ჩაატარონ აგრეთვე მათი სისტემატური წმენდა და დეზინფექცია ქლოროვანი კირით;

დ) კატეგორიულად აუკრძალონ საწარმოთა დირექტორებს მუშაკთა მიღება სამუშაოზე სამედიცინო შემოწმების, მუცლის ტი-

ფის საწინააღმდეგო აცრისა და სანდამუშავების გაუტარებლად და ბაცილიანობის ანალიზის გაუკეთებლად;

ე) უზრუნველჰყონ ყველა საწარმოო საამქრო სპეცია დ ს ს ნ ე ლ ი დეზინფექციო საშუალებებით;

ვ) ჯეროვანი სანიტარული დისციპლინის დამყარების მიზნით, დაავალონ საწარმოთა ყველა დირექტორს პირადი პასუხისმგებლობა, ინვენტარი, ტარა და ტრანსპორტი ცვლის მუშაობის დამთავრების შემდეგ გულმოდგინედ გასუფთავდეს, გარეცხონ და დამდუღრონ;

ზ) უზრუნველჰყონ საწარმოებში სანიტარულ-ტექნოლოგიური ინსტრუქციისა და წესების მტკიცედ შესრულება;

თ) არ დაუშვან სწრაფფუჭებადი მზა პროდუქტების გამოშვება წარმოებიდან პროდუქციის გამოშვების თარიღის აღუნიშნველად და უსერტიფიკატოდ.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს და ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას:

ა) 10 ივნისამდე მოაწესრიგონ სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სისტემაში სამაცივრო მეურნეობა (მაცივარი კამერების დეზინფექცია, კომპრესორების პროფილაქტიკური რემონტი, სპილენძის ჭურჭლისა და ხორცის პროდუქტების ჩამოსაკიდი ჩაზგლების მოკალვა) და აგრეთვე ჩაატარონ მაცივართა მიმდინარე რემონტი;

ბ) სწრაფფუჭებადი პროდუქტების (ხორცის, თევზის, ძეხვეული ნაწარმების, რძის პროდუქტების) შენახვა აწარმოონ მხოლოდ მხოლოდ გაცივებულ კამერებში, საყინულეებში, საცივარ კარადებში, მოკალულ ჭურჭელში და კარგად განავებულ დაბალ ტემპერატურიან სადგომებში; კვების პროდუქტები შეინახონ სათანადო ტარით ყინულზე;

გ) საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება როგორც ჩამბარებელთა ბაზებიდან, ისე საწყობებიდან და სავაჭრო ორგანიზაციების ბაზებიდან დაუშვან მხოლოდ სანიტარულ-ტექნიკური წესების დაცვის პირობებში (ავტომანქანებისა და საზიდების სისუფთავე, ბრეზენტების ან სხვა მასალების გადაფარება პროდუქტებზე, სატრანსპორტო საშუალებათა გარეცხვა დღეში ერთხელ მაინც და მათი დეზინფექცია თვეში ერთხელ მაინც);

დ) ბუზებთან და ბაცილების სხვა მატარებლებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, უზრუნველჰყონ მთელი საპროდუქტო სავაჭრო ქსელი, საზოგადოებრივი კვების საწარმოები და საბაზისო საპროდუქტო საწყობები ბუზების საწინააღმდეგო საშუალებებით (წებოვანი მასა, ბუზსაწოცი, ბუზსაწინააღმდეგო სითხე, შუშის ბუზსაჭერები, მარლა, ლითონის ბადეები) და აგრეთვე სისტემატურად ჩაატარონ ღონისძიებანი ფურნის ჭიებისა და მღრღნელების მოსასპობად;

ე) დაევალოს სავაჭროებისა და ტრესტების ხელმძღვანელებსა და სასადილოების, ბუფეტების, საწყობებისა და ფარდულების გამგეებს პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ პირადი ჰიგიენის წესების მტკიცედ დაცვა სავაჭრო ქსელისა და სა-

ზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაკთა მიერ (ხელებისა და სპეცტანსაცმლის სისუფთავე, პარსვა და კრეჭა, სამედიცინო შემოწმების რეგულარული გავლა და სხვ.).

ჩაატარონ სადგომების სისტემატური დაგვა და მაღაზიებთან, სასადილოებთან და საწყობებთან არსებული ნაგვის ყუთების, საპირფარეშოებისა და ტანსაცმლის გასახდელების დეზინფექცია;

ვ) კატეგორიულად აუკრძალონ სავაჭრო ორგანიზაციებს სასურსათო საქონლის მიღება ჩამბარებელთაგან სათანადო სერტიფიკატების გარეშე და აგრეთვე უზრუნველჰყონ სწრაფფუჭებადი პროდუქტების გაცემა და გაყიდვა დაწესებულ ვადებში.

3. კვების პროდუქტების (პურის, საკონდიტრო ნაწარმების) საზიდავ ავტოებსა და ჰაპანზიდვის ტრანსპორტზე ჯეროვანი სანიტარული წესრიგის დამყარების მიზნით, დაევალოს საქპურტრესტის დირექტორს ამხ. სოხაძეს და საქმთაკონდიტრის დირექტორს ამხ. მახარაშვილს ორი კვირის განმავლობაში ჩაატარონ ყველა სახის ტრანსპორტისა და საბრუნავი ტარის საჭირო რემონტი და აკრძალონ საკონდიტრო ნაწარმებისა და პურის დაყრილად გადაზიდვა. ღია მანქანებით ან ოთხთვალებით გადაზიდვის დროს პროდუქცია აუცილებლივ დაფარულ იქნას ბრეზენტით.

4. დაევალოს ყველა სახალხო კომისარს და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შეამოწმონ ამ დადგენილების მიხედვით ყველა სასადილოს, ბუფეტის, საკვები ბლოკის, სასურსათო საწყობისა და მუშათა მომარაგების განყოფილებათა ქვემდებარე სავაჭრო ფარდულებისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის სანიტარული მდგომარეობა და გაატარონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ჯეროვან სანიტარულ წესრიგს.

5. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს, მოძრაობის 1-ლი რანგის გენერალ-დირექტორს ამხ. კიკნაძეს, ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარულ სამსახურთან და აგრეთვე მუშათა მომარაგების საგზაო სამმართველოსთან ერთად, დასახოს და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი მტკიცე სანიტარული წესრიგის დასამყარებლად რკინიგზის სადგურების საკვებ ბლოკებსა, ბუფეტებსა, სასადილოებსა და სავაჭრო ქსელში.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) დაუყოვნებლივ შეამოწმონ და განიხილონ სავაჭრო ქსელის, სასურსათო საწყობებისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის სანიტარული მდგომარეობის საკითხი და გაატარონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ამ დადგენილების შესრულებას. მომავალში პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ თავის სხდომებზე ცალკეული საწარმოებისა და სავაჭრო ქსელის სანიტარული მდგომარეობა;

ბ) ორი კვირის განმავლობაში დაასუფთაონ ნაგვისაგან საკოლმეურნეო ბაზრების ტერიტორია, ჩაატარონ ფარდულებისა და

დახლების საჭირო რემონტი და სანიტარული წესრიგი დაამყარონ ფარდულებსა, ჩარდახებსა და სავაჭრო წერტილებში.

7. დაევალოს სახალხო კომისრებს და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს — საწარმოების, ორგანიზაციებისა და სავაჭრო ქსელის ის ხელმძღვანელები, რომლებიც არ უზრუნველყოფენ სანიტარული რეჟიმის დაცვას, მისცენ სასტიკ პასუხისგებაში და თვით სამართალშიაც კი.

8. დაევალოს ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს და მთავარ სახსანინსპექტორს ამხ. ფრანგულიანს:

ა) მიიღონ გადამწყვეტი ზომები სავაჭრო ქსელის საკვებ საწარმოთა და განსაკუთრებით კი ფაბრიკებისა და ქარხნების საასადილოთა სანიტარული კონტროლის გასაძლიერებლად და სანიტარული რეჟიმის ურჩი დამრღვევნი მისცენ სამართალში;

ბ) სამი დღის განმავლობაში დააკომპლექტონ სახსანინსპექტორის თანამდებობა ყარაიისა და ცაგერის რაიონებში;

გ) უზრუნველჰყონ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებისა და ევაკოჰოსპიტლების სანიმუშო სანიტარული მდგომარეობა და ყველა სანიტარულ-ჰიგიენური სადგურისა და ლაბორატორიის შეუფერხებელი მუშაობა;

დ) გააძლიერონ საწარმოთა სამედიცინო-სანიტარული ნაწილებისა და ჯანპუნქტების მუშაობის კონტროლი და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ საკვები საწარმოებისა და სავაჭრო ქსელის სანიტარული ზედამხედველობის შესუსტებაში დამნაშავე სამედიცინო პერსონალი.

9. დაევალოს ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს დაამზადოს მთავარ სააფთიაქო სამმართველოს სისტემაში 1944 წლის ზაფხულის განმავლობაში ბუსსაწინააღმდეგო სითხე 20 ტონის რაოდენობით.

10. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს მთლიანად ამხ. ჯაშს, ხოლო კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—ამხ. კეცხოველს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 542

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის სავაჭროებისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

1943 წლისათვის დაწესებული საქონელბრუნვის გეგმა 802,8 მილიონი მანეთის რაოდენობით საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის ორგანიზაციებმა და ტრესტებმა შეასრულეს 100,2%-ით.

საქონელბრუნვის გეგმის შესრულების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დეცშესყიდვამ და სხვა ფონდებმა, თუმცა ადგილობრივი სამრეწველო საქონლის თვითშესყიდვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 71,8%-ით.

საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას ადგილი ჰქონდა ძირითადად საქონელბრუნვაში ღვინო-არყის ნაწარმთა გეგმის გადაჭარბებით გამოყენების ხარჯზე.

მიუხედავად საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მთლიანად, მისი ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციები და ტრესტები 1943 წელს ცუდად მუშაობდნენ: ბათუმის საზკვების ტრესტმა გეგმა შეასრულა 79,7%-ით, აფხაზავაჭრობამ—81,7%-ით, აფხაზეთის საზკვების ტრესტმა—90,8%-ით და საქვაჭრობამ — 91,6%-ით.

საკუთარი პროდუქციის კუთრი წონა საზოგადოებრივი კვების ტრესტების ბრუნვაში 1943 წელს შეადგენდა 34,0%, მაშინ როდესაც 1942 წელს იგი 40,6% უდრიდა; ამის შედეგად ბრუნვის გეგმა საზოგადოებრივი კვების დარგში შესრულებულია საერთოდ მხოლოდ 93,5%-ით.

საქონლის ნაშთები სასეზონო მარაგის გამოკლებით ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში ჯერ კიდევ სჭარბობს დაწესებულ ნორმატივებს 7,5 მილიონი მანეთით და 1944 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა თვითღირებულებით 60,5 მილიონ მა-

წეთს, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 53,0 მილიონი მანეთი.

პროდუქციის გამოშვების გეგმა საკუთარ საწარმოებში, რაც განსაზღვრული იყო 69,4 მილიონი მანეთით, შესრულებულია 70,7 მილიონი მანეთის რაოდენობით; გადაჭარბებით შესრულებულია გეგმები სამკერვალო საწარმოებში, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებაში, ღვინისა და ძმრის წარმოებაში და ფუნთუშებისა და საკონდიტრო ნაწარმების გამოშვებაში; ძლიერი დანაკლისით არის შესრულებული გეგმები ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟისა და საგალანტერიო წარმოებებში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ტრესტებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს მთლიანად არ შეუსრულებიათ დაწესებული დავალებანი დამხმარე მეურნეობათა დარგში:

ა) მემცენარეობის დარგში საგაზაფხულო თესვის გეგმა შესრულებულია 75,3%-ით; კარტოფილის საერთო მოსავალი შეადგენდა 18,0%, ბოსტნეულის მოსავალი—19,3% და მარცვლეულისა და სამარცვლე-პარკოსანთა მოსავალი—40,4%;

ბ) ღორების გამოკვების დარგში გეგმა შესრულებულია: გასასუქებლად დაყენებისა—81,8%-ით, გასუქებისაგან მოხსნისა—65,4%-ით, ღორის ხორცის საერთო გამოსავლისა—40,5%-ით და გოჭების მატებისა 43,1%-ით.

წვრილფეხა რქიანი პირუტყვის გასუქების გეგმა ჩაშლილ იქნა.

არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად დამხმარე მეურნეობებმა ზარალი ნახეს 311 ათასი მანეთის რაოდენობით.

21.442 ათასი მანეთის რაოდენობით დაწესებული დაგროვების გეგმა საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში არ არის შესრულებული 535 ათასი მანეთით; 1943 წლის ფაქტიური დაგროვება შეადგენდა 20.907 ათას მანეთს.

მაშინ, როდესაც მიმოქცევის დანახარჯებში 3,4 მილიონი მანეთის ეკონომია იყო, ადგილი ჰქონდა რეალიზებული დანარიცხის ნაკლებობას, 5,9 მილიონი მანეთის რაოდენობით.

სადებიტორო დავალიანება, რომელიც 1943 წლის 1 იანვრისათვის 7.524 ათას მანეთს უდრიდა, 1944 წლის 1 იანვრისათვის შემცირდა მხოლოდ 7.016 ათასი მანეთამდე, ამასთან შემცირება მოხდა არა დავალიანების რეალური გადახდევინების ხარჯზე, არამედ მისი ზარალის სახით ჩამოწერის ხარჯზე; ჩამოწერილი დავალიანების გაუთვალისწინებლად სადებიტორო დავალიანების თანხა 1944 წლის 1 იანვრისათვის გაიზარდა 1.404 ათასი მანეთით.

1943 წლის განმავლობაში გამოვლინებულ იქნა ახალი გაფლანგვები და დატაცებანი 2.152 ათასი მანეთის რაოდენობით, რომელთაგანაც დაფარულია 1952 ათასი მანეთი.

საზოგადოებრივი კვების ტრესტები, და უწინარეს ყოვლისა კი თბილისაზკვებტრესტი (ვ. ჩარკვიანი), არ აწარმოებენ ჯეროვან ბრძოლას კვების პროდუქტების დატაცებასა და გაფლანგვასთან და არ უზრუნველჰყოფენ ცენტრალიზებული ფონდებით გამოყოფილი ყველა პროდუქტის დაყვანას მომხმარებლამდე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და

პროკურატურის ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყვეს, რათა მთლიანად შეესრულებინათ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება დანაკლისისა და გაფლანგვის ყველა საქმის განხილვის შესახებ.

ცალკეულ სავაჭრო ორგანიზაციებს 1944 წლის დამდეგს დიდი საფინანსო სიძნელეები ახასიათებდა: აფხაზვაჭრობას საბრუნავ სახსრებში 1944 წლის 1 კვარტალისათვის გარღვევა აქვს 326 ათასი მანეთისა და ზარალი—214 ათასი მანეთის რაოდენობით; საქვაჭრობაში ადგილი ჰქონდა სალებიტორო დავალიანების გადიდებას 179 ათასი მანეთით; საქვაჭრობის 16 განყოფილებიდან 8 განყოფილებამ წელიწადი ზარალით დაამთავრა, აქედან: ახალციხის განყოფილებამ იზარალა 113 ათასი მანეთი, გურჯაანის განყოფილებამ—309 ათასი მანეთი, ცხაკაიას განყოფილებამ—141 ათასი მანეთი და სამხრეთ-ოსეთის ვაჭრობამ — 423 ათასი მანეთი.

არაუზრუნველყოფილი დავალიანება სახბანკის მხოლოდ მიზნობრივი კრედიტების დარგში შეადგენდა ყველა სავაჭროში 1,7 მილიონ მანეთს.

სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფვრისა და მათი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. გიორგაძემ:

ა) მიაღწიოს 1944 წლისათვის დაწესებული საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას ადგილობრივი და კოოპერატიული მრეწველობის წარმოების ფართო მოხმარების საქონლის მაქსიმალურად ჩაბმით საქონელბრუნვაში და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და დამხმარე მეურნეობათა პროდუქციის გადიდების ხარჯზე;

ბ) კონტროლი გაუწიოს ადგილობრივი და კოოპერატიული მრეწველობის საწარმოებს რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით დაწესებული სასაქონლო ფონდების დასაქონლების საქმეში;

გ) მიაღწიოს საკუთარი პროდუქციის კუთრი წონის მნიშვნელოვან გადიდებას საზოგადოებრივი კვების ტრესტებისა და კერძოდ კი ბათუმის საზკვებტრესტისა და აფხაზეთის საზკვებტრესტის ბრუნვაში;

2. დაევალოს სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველს ამხ. სტვილიას აცნობოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს რესპუბლიკის საზღვრებიდან ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად ფართო მოხმარების იმ საქონლის გატანის ყველა ფაქტის შესახებ, რომლის ანაზღაურების ანგარიშებსაც აფორმებს სახელმწიფო ბანკის სისტემა.

3. წინადადება მიეცეს სავაჭრო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი კვების ტრესტების ხელმძღვანელებს მიაღწიონ 1944

წელს დაწესებულ დავალებათა მთლიანად შესრულებას დამხმარე მეურნეობათა განვითარების მხრივ, საქართველოს სსრ სახალხო საბჭოს 1944 წლის 28 თებერვლის № 163 დადგენილების თანახმად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს:

ა) უზრუნველჰყოს საქვაჭრობის დირექციის კონკრეტული დახმარება მისი საფინანსო მდგომარეობის განმტკიცებისა და საქვაჭრობის განყოფილებათა მუშაობაში წამგებიანობის ლიკვიდაციის საქმეში;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აფხაზავაჭრობის მუშაობას მის მიერ 1944 წელს საქონელბრუნვის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისა, რენტაბელური მუშაობისათვის პირობების შექმნისა და საკუთარ საბრუნავ სახსრებში გარდვევის ლიკვიდაციის საქმეში;

გ) სისტემატურად ადევნოს თვალყური სავაჭრო ორგანიზაციებისა და ტრესტების საფინანსო-სამეურნეო მუშაობას და ყოველ კვარტალურად მოისმინოს მათი მუშაობის შედეგები კოლეგიის სხდომებზე;

დ) უზრუნველჰყოს მიმოქცევის დანახარჯების შემდგომი შემცირება და დაუგეგმავი დანაკარგებისა და მიმოქცევის დანახარჯების დაწესებული ლიმიტების გადაჭარბების ლიკვიდაცია ცალცალკე ყოველი სავაჭრო ორგანიზაციისა და ტრესტის მიხედვით;

ე) შეამოწმოს სასაქონლო მარაგის მდგომარეობა ყოველ სავაჭრო ორგანიზაციაში, გამოიმუშაოს და გაატაროს ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ სასაქონლო ნაშთების დაყვანას დაწესებულ ნორმებამდე;

ვ) შეამციროს სადებიტორო დავალიანება სავაჭრო ორგანიზაციებსა და ტრესტებში 1944 წლის 1 იანვრამდე 2,0 მილიონი მანეთით და დააწესოს შემცირების რაოდენობა და ვადები ყოველ სავაჭრო ორგანიზაციასა და ტრესტში.

5. დაევალოს თბილსაზკვებტრესტს (ამხ. ვ. ჩარკვიანს) გააძლიეროს ბრძოლა კვების პროდუქტების დატაცებასთან და გაწიავებასთან, საქმით მიაღწიოს საზოგადოებრივი კვებისათვის გამოყოფილი ყველა პროდუქტის დაყვანას მომხმარებლებამდე და გააუმჯობესოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

6. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა — ამხ. ჩხეტიანმა და საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. ტალახაძემ ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დიდი რაოდენობის საქმეებია განუხილველი გაფლანგვებსა და დატაცებაზე ერთ წლამდე და ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, უზრუნველჰყონ მათი განხილვა ორი თვის ვადაში და აგრეთვე სასწრაფო ზომების მიღება თანხების გადასახდევინებლად აღმასრულებელი ფურცლებით.

7. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს განახილონ აფხაზეთ-აჭარის, აჭარა-აჭრობის, სამხრეთ-ოსეთის ავჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების მუშაობის შედეგები და დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რათა მათ შეასრულონ 1944 წელს საქონელბრუნვის გეგმები და განამტკიცონ მათი საფინანსო მდგომარეობა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 543

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სტამბების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის საპრემიო ანაზღაურების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 18 აპრილის № 8457-გ განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ძალაში შევიდეს 1944 წლის 1 მაისიდან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 აპრილის № 8457-გ განკარგულებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ პოლიგრაფიული სამმართველოებისა და გამომცემლობათა სტამბების ხელმძღვანელ და ინჟინერ ტექნიკურ მუშაკთა შრომის საპრემიო ანაზღაურების შესახებ (დედგენილება თან ერთვის).

2. დაწესდეს, რომ რაიონული სტამბების დირექტორებს, დირექტორების მოადგილეებს, მთავარ ინჟინრებსა და მთავარ ბუხჰალტრებს პრემიები მიეცემათ რაიაღმასკომების ნებართვით საწარმოო-ტექნიკური ანგარიშების განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, ხოლო აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტამბებისას—აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს სისტემატური კონტროლი გაუწიოს სტამბების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის პრემიების სწორად მიცემას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. გაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომ-
საბჭოს 1944 წლის 18/IV № 8457-ბ
განკარგულებით

დებულება

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან და საოლქო (სამხარეო) აღმასკომებთან არსებული პოლიგრაფიის სამმართველოების და გამომცემლობათა სტამბების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა შრომის საპრემიო ანაზღაურების შესახებ:

1. გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სტამბების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა წახალისების მიზნით შემოღებულია საპრემიო სისტემა.

2. პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სტამბების ყველა ქვემოდასახელებული მუშაკი იღებს პრემიას შემდეგი წესითა და რაოდენობით:

დასაჯილდოებელ მუშაკთა კატეგორიები	პრემიის რაოდენობა თვიური ხელფასის მიმართ პროცენტობით თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის
ა) დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მთავარი ინჟინერი, მთავარი მექანიკოსი, საწარმოო განყოფილების უფროსი, ინჟინერ-ტექნოლოგები, საამქროთა უფროსები.	4
ბ) საგეგმო განყოფილების უფროსი (მგეგმავი), შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი (ეკონომისტი შრომის დარგში, ნორმადარი), მომარაგების განყოფილების უფროსი, მთავარი ბუხჰალტერი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი	3
გ) საამქროებისა და უბნების ოსტატები	3

3. პრემიების დარიცხვა ამ დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ მუშაკთათვის სწარმოებს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის უცვლელ ფასებით.

პრემია გაცემულ უნდა იქნას იმ შემთხვევაში, თუ საწარმო შეასრულებს გეგმით დაწესებულ დავალებებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების დარგში.

4. პრემიების დარიცხვა ამ დებულების მე-2 მუხლის „გ“ პუნქ-

ტში აღნიშნული საამქროებისა და უბნების ოსტატთათვის სწარმოებს საამქროსა და უბნის მიერ პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ნატურით.

პრემია გაცემულ უნდა იქნას იმ შემთხვევაში, თუ საწარმო შეასრულებს საერთო პროდუქციის გეგმას უცვლელ ფასებით.

5. პრემია თვეში გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის არ შეიძლება აღემატებოდეს თვიურ ხელფასს.

6. პრემია საწარმოს დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, მთავარ ინჟინერს და მთავარ ბუხჰალტერს ეძლევათ პოლიგრაფიის სათანადო სამმართველოსა და გამომცემლობის უფროსის ნებართვით საწარმოს საწარმოო-ტექნიკური ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ. პრემია დანარჩენ მუშაკებს ეძლევათ საწარმოს დირექტორის ნებართვით საწარმოო-ტექნიკური ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ.

7. საწარმოს ცალკეული მუშაკები საწარმოს დირექტორის განკარგულებით, ხოლო დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მთავარი ინჟინერი და მთავარი ბუხჰალტერი პოლიგრაფიის სათანადო სამმართველოსა და გამომცემლობათა უფროსის განკარგულებით შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად მოკლებულ იქნან კუთვნილ პრემიებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი მუშაობაში დაუშვებენ დაუდევრობას—პროდუქციას გამოუშვებენ არასრული ტირაჟით, დაარღვევენ დავალების შესრულების დაწესებულ ვადას, არაკეთილხარისხოვანი პროდუქცია (არასწორი ბეჭდვა, შეცდომები და სხვ.), ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა და სხვ.

8. პრემია ამ დებულებით გაცემულ უნდა იქნას სათანადო კატეგორიების მუშაკთა ხელფასის ფონდის ეკონომიისა და აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმური შემცირებისაგან მიღებული ეკონომიის ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 544

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის დამზადების სეზონისათვის თბილხილბოსტანვაჭრობის მომზადების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

თბილხილბოსტანვაჭრობის მიერ სავალდებულო ჩაბარებისა და სახშესყიდვის წესით დამზადებული 1944 წლის მოსავლის ხილბოსტნეულისა და კარტოფილის ნორმალური მიღების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს თბილხილბოსტანვაჭრობის დირექტორს ამხ. ჭყონიას დაუყოვნებლივ შეუდგეს 1944 წლისათვის გათვალისწინებული სამშენებლო და სარემონტო გეგმის შესრულებას იმ ანგარიშით, რომ დასამზადებელ-ტექნიკური ბაზის მომზადება ხილბოსტნეულის მისაღებად თბილისის, მცხეთის, ყარაიის და ვანის რაიონებში დამთავრებულ იქნას მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში—1 აგვისტოსათვის და წალკის რაიონში—1 სექტემბრისათვის.

2. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას წალკასა და მანგლისში არსებული სასაწყობო სადგომები, რომლებსაც თბილხილბოსტანვაჭრობა იყენებს, გადასცეს თბილხილბოსტანვაჭრობას საბალანსო ღირებულებით, იმ პირობებში, რომ ეს ღირებულება გაღახდილ იქნას ხუთი წლის განმავლობაში.

3. წინადადება მიეცეს სრულიად-საკავშირო გაერთიანება „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს დაუბრუნოს თბილხილბოსტანვაჭრობას მისი კუთვნილი სასაწყობო სადგომი ყარაიაში, რადგან „ზაგოტზერნოს“ მიერ მისი გამოყენების საჭიროებამ უკვე განვლო.

4. თბილხილბოსტანვაჭრობის ხე-ტყისა და ტარის მასალებით უზრუნველყოფისათვის, დაევალოს:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს მისცეს თბილხილბოსტანვაჭრობას 1944 წლის III კვარტალის განმავლობაში ახალციხის დაკურებიდან 150 კუბ. მეტრი წიწვიანი მორი და აწყურის სატყეო მეურნეობიდან —50 კუბ. მეტრი წიწვიანი მორი;

ბ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს მისცეს თბილხილბოსტანვაჭრობას მეორე კვარტალში მათხოჯის დაცურებიდან 200 კუბ. მეტრი წიწვიანი მორი;

გ) საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას მისცეს თბილხილბოსტანვაჭრობას ფრანკო-საავტომობილო გზა სამეურნეო დამზადებიდან მეორე და მესამე კვარტალებში თანაბარ პარტიებად თელავის სატყეო მეურნეობიდან 50 ათასი ცალი ნაპობი ტკეჩი და ჩოხატაურის სატყეო მეურნეობიდან—10 ათასი ცალი წიწვიანი ყავარი;

დ) საქსარწყეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ჯეგბაშვილს მისცეს თბილხილბოსტანვაჭრობას ფრანკო-საავტომობილო გზა 200 ათასი ცალი ნაპობი წიფლის ტკეჩი მიმდინარე წლის მეორე და მესამე კვარტალებში თანაბარ პარტიებად.

5. წინადადება მიეცეს საქმომარაგების ტრესტის მმართველს ამხ. კვანტალიანს მისცეს თბილხილბოსტანვაჭრობას მიმდინარე წლის 15 მაისამდე 6 კვტ. კვეთის 500 მეტრი ელჭეტროსადენი, 100 კილოგრამი სელის ზეთი და 200 კილოგრამი თეთრა.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს კაპიტალდაბანდებით აუთვისებელ სახსრების ხარჯზე მისცეს თბილხილბოსტანვაჭრობას კარტოფილსაცავის ასაგებად წალკაში 600 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ კაპიტალდაბანდებათა მეორე ნახევარწლედის გეგმის დაზუსტების დროს გაითვალისწინოს კარტოფილსაცავის მშენებლობა წალკაში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს:

ა) მიმდინარე წლის მესამე და მეოთხე კვარტალებისათვის ფონდების განაწილების დროს გამოუყოს თბილხილბოსტანვაჭრობას 37 ტონა ცემენტი, 45 ათასი ცალი წითელი აგური და 10 ათასი ცალი კრამიტი;

ბ) ამ დადგენილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ხე-ტყისა და ტკეჩის გაცემა გაითვალისწინოს ხე-ტყის მომარაგების 1944 წლის გეგმაში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს მისცეს თბილხილბოსტანვაჭრობას მიმდინარე წლის მეორე კვარტალში 16 ტონა კირი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 545

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს საკითხები

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმისათვის, რომ დამთავრდეს კურორტ მენჯის სააბაზანო შენობის მშენებლობა და გადაეცეს იგი საექსპლოატაციოდ 1944 წელს, წინადადება მიეცეს ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსს ამხ. ბერაძეს:

ა) ხარჯთაღრიცხვის გარეშე შესრულებული სამუშაოები 99,9 ათასი მანეთის რაოდენობით შეიტანოს მენჯის სააბაზანო შენობის ხარჯთაღრიცხვაში დამტკიცებული თანხის — 2177,7 ათასი მანეთის ფარგლებში, რისთვისაც შეამციროს დარჩენილ სამუშაოთა მოცულობა (კეთილმოწყობა, ნაკვეთის შემოღობვა, მისასვლელი გზა და სხვა წვრილი სამუშაოები);

ბ) დროებით ნაგებობათა (საერთო საცხოვრებელი, სასადილო, გარაჟი) ღირებულება 117,3 ათასი მანეთის რაოდენობით, მათ შორის სააბაზანო შენობისათვის განაწილებული 99,6 ათასი მანეთი მიაკუთვნოს კურორტ მენჯის მომავალი პერიოდის ხარჯებს;

გ) მოახდინოს სააბაზანო შენობის შინაგანი რესურსების მობილიზაცია 54,0 ათასი მანეთის რაოდენობით და საქმომარაგებას გადასცეს ის მასალები, რაც მას არ სჭირდება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს (ამხ. კვიცარიძეს):

ა) აღადგინოს 76,1 ათასი მანეთი, რაც სააბაზანო შენობის კონსერვაციასთან დაკავშირებით ბიუჯეტში იყო გადარიცხული 1941 წელს;

ბ) განსაკუთრებულ, აღნიშნული ობიექტის დაფინანსების გარეშე ხარჯებად, ჩაითვალოს კონსერვაციაზე დახარჯული თანხა 26,0 ათასი მანეთის რაოდენობით და კონიუნქტურული განსხვავება სამშენებლო მასალების გაძვირებისათვის 51,5 ათასი მანეთი.

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს მშენებლობის 1944

წლის წლიური გეგმით მენჯის სააბაზანო შენობის სამუშაოთა მოცულობა 145,5 ათასი მანეთის და კურორტ მენჯის ელექტროგადამცემი ხაზისა — 27,5 ათასი მანეთის რაოდენობით.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს ხელახლა გაანაწილოს 1944 წელს ლიმიტგარეშე ხარჯებისათვის ბიუჯეტით გაღებული თანხები:

ა) თებერდის საკურორტო სამმართველოს—650,0 ათასი მანეთი—დაფარვის წყაროები — ბიუჯეტიდან 529,0 ათასი მანეთი, საამორტიზაციო ანარიცხები და სპეცშემოსავალი—111,0 ათასი მანეთი;

ბ) დრიალის (არმხის) საკურორტო სამმართველოს ბიუჯეტის ხარჯზე 150,0 ათასი მანეთი;

გ) აფხაზეთის ასსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს — 300,0 ათასი მანეთი, დაფარვის წყაროები—ბიუჯეტიდან 154,0 ათასი მანეთი, საამორტიზაციო ანარიცხები—146,0 ათასი მანეთი;

დ) აჭარის ასსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს—ბიუჯეტის ხარჯზე—100,0 ათასი მანეთი;

ე) სამხრეთ-ოსეთის საკურორტო სამმართველოს — ბიუჯეტის ხარჯზე—30,0 ათასი მანეთი;

ვ) ბორჯომის საკურორტო სამმართველოს—ბიუჯეტის ხარჯზე სასტუმროს შენობის კაპიტალური რემონტისათვის — 100,0 ათასი მანეთი;

ზ) რესპუბლიკური მნიშვნელობის დანარჩენ კურორტებს — 170,0 ათასი მანეთი.

განთავისუფლებული სახსრები 257,0 ათასი მანეთის რაოდენობით მისცეს დრიალის საკურორტო სამმართველოს საკონსერვაციო ხარჯების დასაფარავად—78,0 ათასი მანეთი და თებერდის საკურორტო სამმართველოს საბრუნავი სახსრების გასაძლიერებლად—179,0 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ ფინსახკომმა შეიტანოს სათანადო ცვლილებანი მთავარ საკურორტო სამმართველოს 1944 წლის საფინანსო გეგმასა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს, აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ლოგუას, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ბერიშვილს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავნეფტესნაბის“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსს ამხ. ჯორჯიკიას, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული „გლავსნაბლესის“ საქართველოს სამმართველოს უფროსს ამხ. კვიცარიძეს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს, „გლავხიმსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. რუსიას, „გლავრეზინოსბიტის“ თბი-

ლისას კანტორის მმართველს ამხ. შიხმანს და ტრესტ საქმომარაგების მმართველს ამხ. კვანტალიანს მისცენ საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს საკურორტო ელექტროსადგურებისა და ბორჯომის კურორტის სხვა ობიექტების რემონტის ჩასატარებლად მასალები, საკაბელო პროდუქცია და ინსტრუმენტები, თანახმად დანართისა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს გამოუყოს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს 1944 წლის მეორე და მესამე კვარტალებში 50 ტონა ცემენტი კურორტებზე რემონტის საწარმოებლად.

7. წინადადება მიეცეს „გლავრეზინოსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველს ამხ. შიხმანს მისცეს ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს 18 ცალი ავტოსაბურავი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25/V
№ 545 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

იმ მასალებისა, რაც გამოყოფილია საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს კურორტების კაპიტალური რემონტისათვის

მიმწოდებელთა დასახელება	მასალებისა და მომხმარებელთა დასახელება	მიწოდების ვადები			
		II კვარტ.	III კვარტ.	IV კვარტ.	სულ 1944 წელს
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო	წიწვიანი ჯიშის დახერხილი მასალა ბორჯომის საკურორტო სამმართველოს	—	60 კუბ. მ.	—	60 კუბ. მ.
	წიწვიანი ჯიშის დახერხილი მასალა აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს	10 კუბ. მ.	30 კუბ. მ.	20 კბმ.	60 კუბ. მ.
	წიწვიანი ჯიშის დახერხილი მასალა აბტალის კურორტს	—	20 კუბ. მ.	—	20 კუბ. მ.
	მრგვალი ხე-ტყე დარიალის კურორტს	—	20 კუბ. მ.	—	20 კუბ. მ.
	„ თებერდის კურორტს	100 კუბ, მ.	—	—	100 კუბ. მ.
	„ შოვის კურორტს	15 კუბ. მ.	—	—	15 კუბ. მ.
	ბოძები საჰაერო ქსელისათვის მთავარ საკურორტო სამმართველოს . . .	—	150 ცალი	—	150 ცალი
საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი	წიწვ. ჯიშის მრგვალი ხე-ტყე წყალტუბოს კურორტს	40 კუბ. მ.	40 კუბ. მ.	—	80 კუბ. მ.
	წიწვ. ჯიშის მრგვალი ხე-ტყე მენჯის კურორტს	20 კუბ. მ.	—	—	20 კუბ მ.

მიმწოდებელთა დასახელება	მასალებისა და მომხმარებელთა დასახელება	მიწოდების ვადები			
		II კვარტ.	III კვარტ.	IV კვარტ.	სულ 1944 წელს
საქ. სსრ ადგ. სახ. კომისარიატი	წიწვ. ჯიშის მრგვალი ხე-ტყე აჭარის საკურორტო სამართველოს . .	20 კუბ. მ.	20 კუბ. მ.	—	40 კუბ. მ.
აფხაზეთის ასსრ ადგ. მრეწვ. სახალხო კომისარიატი	წიწვიანი ჯიშის დახერხილი მასალა აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს	50 კუბ. მ.	50 კუბ. მ.	—	100 კუბ. მ.
საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახალხო კომისარიატი სამეურნეო დამზადებიდან	წიწვიანი ჯიშის დახერხილი მასალა სამხრეთ-ოსეთის საკურორტო სამმართველოს	—	20 კუბ. მ.	—	20 კუბ. მ.
სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებ. „გლავსნაბლესის“ საქართველოს სამ. მართველო	დიქტი საქართველოს საკურორტო სამმართველოს	1000 *) ფ			1000 *) ფ,

*) 1000 ფურცელი II კვარტალის რეზერვიდან.

გამოყოფილი მასალებისა და ინსტრუმენტების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომლებიც მასალებს გამოყოფენ
გოგირდმჟავა	კგ	10	„გლავხიმსბიტის“ თბილისის კანტორა.
ბაბიტი ბ—83	„	100	ტრესტი „საქმომარაგება“
წყებლოვანი თითბერი . .	„	60	„
სადენი პრ 16—15 კვ. კვეთისა	მეტრი	304	„
ქ ა ლ ა	კგ	15	„
ქ ლ ი ბ ი	ცალი	55	„
შელაქი	კგ	13	„
ნიშადური	„	3	„
ფურცლოვანი სპილენძი, წითელი	„	10	„
კანიფოლი	„	40	„
გრაფიტ-ნახშირის ჯაგრისი	ცალი	60	„
საკაბელო მასა	კგ	80	„
დანადგ. სადენი 4 კვ. კვეთისა	მეტრი	500	„
სატრანსფორმატორო ზეთი	ტონა	1,5	„გლავსნაბლესის“ საქართველოს სამმართველო 1944 წლის II და III კვარტალებში
რეზინის დაბალყელიანი ჩექმები	წყვილი	10	„გლავრეზინოსბიტის“ თბილისის კანტორა
რეზინის ხელთათმანები .	„	10	„

მასალების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	იმ ორგანიზაციათა დასახელება, რომლებიც მასალებს გამოყოფენ
ლურსმანი	კგ	350	ტრესტი „საქმომარაგება“
ო ლ ი ფ ა	ტონა	2,5	„ „
გაქნილი თეთრა	„	2,5	„ „
მთლიანწეული მილები . .	გრ. მეტ.	400	„ „
გაქნილი სურინჯი ყვითელი	კგ	600	„ „
დანადგ. სადენი 4 კვ.-მდე კვეთისა	მეტრი	3000	„ „
სადურგლო წებო	კგ	400	საქ. სსრ ადგ. ნრეწვ. სახ. კომისარიატი
წითელი აგური	ათას ც.	40,0	სხქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. სამშენ. ძასალათა მრეწვ. მთავ. სამმართველო
კ ი რ ი	ტონა	40,0	„ „
დაფქული ცარცი	„	13,0	„ „

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 546

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უშედეგოდ დარჩეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი ქვემოჩამოთვლილი საჩივრები:

1) საქსპორტმეურნმომარაგების აფხაზეთის განყოფილების საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 27 აგვისტოს დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო გაგრის რაიონული სატყეო მეურნეობისადმი 78.848 მანეთის თაობაზე (საქმე № 2/1224).

2) აფხაზეთის პურტრესტის კვეზანის პურის ქარხნის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 9 ნოემბრის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო „ზაგოტზერნოს“ სოხუმის განყოფილებისადმი 37.299 მან. და 19 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/992).

3) კრასნოდარის სამხარეო ტრესტის სოჭის № 10 ქარხნის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 2 თებერვლის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო ფოთის სავაჭრო ნავსადგურის მუშათა მომარაგების განყოფილებისადმი 37.240 მანეთის თაობაზე (საქმე № 2/1078).

4) ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 1 მარტის დადგენილებაზე აწყურის სატყეო მეურნეობის სარჩელისა გამო ამიერკავკასიის რკინიგზის სატყეო განყოფილებისადმი 45.000 მანეთის თაობაზე (საქმე № 2/105).

5) არტელ „წითელი დარაჯის“ საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 7 იანვრის დადგენილებაზე აფხაზღვინმრეწვის სარჩელისა

გამო მომჩივნისადმი 12.452 მან. და 82 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/1007).

6) ცეკავშირის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 1 აპრილის დადგენილებაზე არტელ „ქუთაისის ტრიკოტაჟის“ სარჩელისა გამო ქუთაისის რაისამომხმარებლო კავშირისადმი 29.827 მან. და 75 კაპ. თაობაზე (საქმე № 1/37).

7) „აბსოიუზის“ საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 3 დეკემბრის დადგენილებაზე ერევნის ქარხანა „არარატის“ სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 5445 მან. თაობაზე (საქმე № 2/1013).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. გაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 547

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წლის ზაფხულის პერიოდში ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

სამხედრო მოსამსახურეთა და სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახებისა და მუშა-მოსამსახურეთათვის 1944 წლის ზაფხულის პერიოდში მათი ბავშვების ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში დახმარების აღმოჩენის მიზნით და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 4 მაისის № 500 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოეწყოს 1944 წლის 1 ივნისიდან სასკოლო და სკოლამდელი ასაკის 53.915 ბავშვის გაყვანა ქალაქებიდან აგარაკებსა და საზაფხულო პიონერბანაკებში და აგრეთვე მათი მოწყობა საზაფხულო საბავშვო მოედნებზე; ეს კონტინგენტი განაწილდეს საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, № 1-7 დანართების თანახმად.

2. დაწესდეს ბავშვთა თვითეული ცვლის გამაჯანსაღებელ დაწესებულებაში ყოფნის შემდეგი ვადები: მარტივი ტიპის პიონერბანაკებში—21 დღე, სანატორული ტიპის ბანაკებში—40 დღე და საბავშვო მოედნებზე—30 დღე.

3. დაევალოს განსახკომს (ამხ. ბურჭულაძეს), ჯანსახკომს (ამხ. ხელიძეს), საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. რუხაძეს), ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გორდეზიანს), პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და გამგეობების თავმჯდომარეებს, სრულიად-საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ევაკოჰოსპიტლების სამმართველოს (ამხ. ყურაშვილს), ამიერკავკასიის ფრონტის სანიტარულ სამმართველოს (ამხ. იაროსლავცევს), საქართველოს ოლქის შინსახკომის სანაპირო ჯარების სანსამსახურს (ამხ. ბიკოვს), № 31 ქარხნის დირექტორს (ამხ. სალაძეს) და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტრიკოტაჟკომბინატის დირექტორს (ამხ. თუშიშვილს):

ა) უზრუნველჰყონ ყველა მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება და საბავშვო გამაჯანსაღებელი დაწესებულებების თავის დრო-

ზე გახსნა ამ დადგენილებით დაწესებულ ვადებში, აგრეთვე ბავშვთა ორგანიზებული გაყვანა და განაწილება მათში;

ბ) პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შერჩევა და გაგზავნა საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში, უწინარეს ყოვლისა კი შეარჩიონ და გაგზავნონ სამხედრო მოსამსახურეთა, სამამულო ომის ინვალიდთა ოჯახების წევრები და მუშა-მოსამსახურეთა დასუსტებული ბავშვები ჯანსაღკომის სამკურნალო დაწესებულებათა დასკვნით;

გ) გაგზავნონ საერთო ტიპის პიონერბანაკებში 13 წლის ასაკის (ჩათვლით) მოსწავლე ბავშვები და სანატორული ტიპის პიონერბანაკებში 7-დან 13 წლამდე ასაკის (ჩათვლით) ბავშვები;

დ) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ანგარიშები საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში გატარებულ ბავშვთა ყოველი ცვლის შესახებ, ხოლო სეზონის დამთავრების შემდეგ სრული ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

4. ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნული საბავშვო დაწესებულებების კვებით მომარაგების უზრუნველყოფისათვის დაწესდეს საბავშვო დაწესებულებათა და სამხედრო-საჰაერო ძალთა სკოლის კონტინგენტების კვების პროდუქტებით მომარაგების ნორმები 1944 წლის საზაფხულო პერიოდისათვის, № 8 დანართის თანახმად.

სრულიად-საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს 1944 წლის 8 მაისის № 4 დადგენილების შესაბამისად, ნება დაერთოს პიონერბანაკებისა და საბავშვო გამაჯანსაღებელი მოედნების მუშაკებს იკვებონ ბავშვებთან ერთად სასურსათო და პურის ბარათების ჩაბარებისა და კვების პროდუქტების ნედლეულის ნაკრების ღირებულების 50%-ის გადახდის შემთხვევაში.

5. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გიორგაძეს) უზრუნველჰყოს 1944 წლის ზაფხულში საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება კვების პროდუქტებით, რისთვისაც გაითვალისწინოს მიმდინარე წლის III კვარტალის მომარაგების გეგმებში სასურსათო საჭიროების ფონდები № 9 დანართში აღნიშნული რაოდენობით.

საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გახსნის დასაწყისისთვის უზრუნველჰყოს სარეცხი საპნის მიცემა საბავშვო დაწესებულებათათვის 4 ტონის რაოდენობით.

6. დაევალოს ხორცრძმრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ბერიშვილს), სსრ კავშირის ხორცრძმრეწველობის სახალხო კომისარიატის „მიასომოლსბიტის“ საქკანტორას (ამხ. ქავთარაძეს), ცეკავშირის პრეზიდიუმს (ამხ. ნარსიას), „ზაგოტზერნოს“ საქკანტორას (ამხ. სიხარულიძეს), „გლავსახარის“ საქკანტორას (ამხ. კირშტეინს), „გლავრიბსბიტის“ საქართველოს კანტორას (ამხ. დარახველიძეს) და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კვიცხოველს) მისცენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიმდინარე წლის II კვარტალის საბაზრო ფონდების დამატებით პიონერბანაკებისა და 8-9 კლასების მოს-

წავლეთა ბანაკებისათვის, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 11 მაისის № 471 დადგენილების შესაბამისად, და სხვა საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებათათვის კვების პროდუქტები მიმდინარე წლის ივნისისათვის, № 10 დანართში გათვალისწინებული რაოდენობით, და უზრუნველჰყონ ამ საქონლის მიწოდება პირველ რიგში.

კვების პროდუქტების გაცემა აწარმოონ იმ ანგარიშით, რომ თავის დროზე მიტანილ იქნას ისინი მოხმარების ადგილებზე 2-3 დღით ადრე საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გახსნამდე.

7. დაევალოს თბილხილბოსტანვაჭრობას (ამხ. ჭყონიას), ცეკავშირს (ამხ. ნარსია) და საქკონსერვხილტრესტს (ამხ. წიკლაურს) გასცენ საბავშვო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათათვის კარტოფილი, ბოსტნეული და ხილი 600 ტონის რაოდენობით, რაც გაანაწილონ ჩამბარებლებისა და ჩაბარების ვადების მიხედვით, № 11 დანართის თანახმად, რესპუბლიკის საბაზრო ფონდის ხარჯზე.

8. საბავშვო დაწესებულებათა მომარაგება 1944 წლის ზაფხულის პერიოდში კვების პროდუქტებით დაეკისროს:

ა) ქალაქ თბილისში — თბილვაჭრობას, ხოლო ხილბოსტნეულის მხრივ — თბილხილბოსტანვაჭრობას;

ბ) ახალციხის, ბორჯომის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზუგდიდის, თელავის, მახარაძისა და სამტრედიის რაიონებში, ქალაქ ქუთაისსა და ფოთში, ცხაკაიას, ხაშურისა და კლუხორის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—საქვაჭრობას;

გ) დანარჩენ რაიონებში, გარდა აფხაზეთის და აჭარის ასსრისა, სადაც მომარაგების წესს ასსრ სახკომსაბჭოები ადგენენ, ცეკავშირის სისტემას.

9. გაფრთხილებულ იქნან ხელმძღვანელები: თბილვაჭრობისა (ამხ. კილასონია), თბილხილბოსტანვაჭრობისა (ამხ. ჭყონია), ცეკავშირისა (ამხ. ნარსია) და საქვაჭრობისა (ამხ. ხუნწარია), რომ ისინი პერსონალურად აგებენ პასუხს საბავშვო დაწესებულებათა თავის დროზე უზრუნველყოფისათვის კვების პროდუქტებით 1944 წლის საზაფხულო სეზონში.

10. კონტროლის გაწევა საბავშვო დაწესებულებათათვის კვების პროდუქტების სწორად და თავის დროზე მიცემისა და აგრეთვე მათი სწორად გამოყენებისათვის დაეკისროს სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სავაჭრო ინსპექციას საქართველოს სსრ-ში—ამხ. კიკნაძეს.

11. დაევალოს ქვემოდასახელებულ ორგანიზაციებს გასცენ პიონერ-ბანაკების დამატებით მოწყობისათვის შემდეგი მასალები:

ა) „ტექსტილსბიტის“ საქკანტორას—ამხ. მელიქოვს 2.000 მეტრი ბამბის ქსოვილი;

ბ) მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. რობაქიძეს—150 ცალი საბანი საფარაჯე მაუდის ნაკუწებისაგან;

გ) ცეკავშირს—ამხ. ნარსიას 150 ცალი საბანი და 50 ცალი მინის სურა;

დ) ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს 6.000 ცალი ჭიქა, 3.000 ცალი სუფრისა და ჩაის კოვზი და საჭირო რაოდენობის სამეთუნეო ჭურჭელი პიონერბანაკების განაცხადთა მიხედვით;

ე) საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამართველოს—ამხ. გომელაურს 15,0 კუბ. მეტრი ხე-ტყის მასალა;

ვ) საქმომარაგებას—ამხ. კვანტალიანს 50 კილოგრამი ლურსმანი, 20 კილოგრამი სხვადასხვა საღებავი, 4 ტონა ცემენტი, 0,5 ტონა ელის ზეთი და 0,3 ტონა თეთრა;

ზ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს მათხოვკის ხე-ტყის საცურებლიდან—50 კუბ. მეტრი ხე-ტყის მასალა და 500 ცალი ფაიფურის ნახევარყულაბა მახარაძის ფაიფურის ქარხნის გამომუშავებიდან;

თ) თბილისის ქალაქის აღმასკომის სამრეწველო კომბინატს—ამხ. გალუსტოვს 250 ცალი საზაფხულო საბანი ტრიკოტაჟის ფაბრიკის გამომუშავებიდან;

ი) სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ტრიკოტაჟკომბინატის დირექტორს—ამხ. თუშიშვილს 4 ტონა ბამბის ნარჩენი. გამოყოფილი მასალები განაწილდეს ცალკეულ პიონერბანაკთა მიხედვით, № 12 დანართის თანახმად.

12. ფინსახკომმა—ამხ. ციმაკურიძემ უზრუნველჰყოს ამ დადგენილების თანახმად განსახკომისა და ჯანსახკომის ხაზით გასატარებელ საბავშვო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსება.

13. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისრის მოადგილეს—ამხ. ბურჭულაძეს და ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს თავის დროზე დააკომპლექტონ საბავშვო გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი პედაგოგიური და სამედიცინო კადრებით.

14. დაევალოს ჯანსახკომს—ამხ. ხელიძეს მოაწყოს პიონერბანაკებისა და საბავშვო მოედნების სათანადო სამედიცინო-სანიტარული მომსახურება, მოამარაგოს ისინი მედიკამენტებით, სამედიცინო ინსტრუმენტებითა და სახვევი საშუალებებით, აგრეთვე უზრუნველჰყოს სასტიკი კონტროლის გაწევა პიონერბანაკებსა და სხვა საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში გასაგზავნ ბავშვთა სწორი შერჩევისათვის.

15. სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ—ამხ. ალავიძემ ბენზინის განაწილების დროს შეძლებისამებრ გაითვალისწინოს ბენზინის გამოყოფა განსახკომისა და ჯანსახკომისათვის საბავშვო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად.

16. დაევალოს ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს — ამხ. რთველაძეს 1944 წლის 1 ივნისამდე შეაკეთოს ერთი ავტომანქანა „გაზ-აა“ ქობულეთის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერბანაკისათვის.

17. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების

თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს, საქალაქო აღმასკომებისა და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეებს უზრუნველჰყონ ბავშვთა დროული კეთილმოწყობა ზაფხულის პერიოდში საბავშვო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში, სპეციალური კონტროლი გაუწიონ ამ მუშაობის ორგანიზაციას და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების საქმეში (სადგომისა და ტრანსპორტის გამოყოფა და სხვ.).

18. პასუხისმგებლობა 1944 წლის ზაფხულის პერიოდში ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცების ღონისძიებათა ჩატარებისათვის დაეკისროს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. მ. ი. ჯაშს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25/V
№ 547 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

რესპუბლიკური პიონერბანაკებისა 1944 წლის ზაფხულის პერიოდისათვის

პიონერბანაკების დასახელება	ვინ ხსნის	გამტარუნარიანობა ერთ ცვლაში	ცვლის რაოდენობა	სულ უნდა გატარდეს	ბანაკის ადგილსამყოფელი	ბანაკის გახსნის დრო
1. განსახკომისა და საქ. ალკკ ც. კ-ის რესპუბლიკური პიონერბანაკი	განსახკომი და საქ. ალკკ ც. კ.	200	2	400*)	ქობულეთი	15 ივნისი
2. განსახკომისა და საქ. ალკკ ც. კ-ის რესპუბლიკური პიონერბანაკი	განსახკომი და საქ. ალკკ ც. კ.	100	2	200*)	ბაკურიანი	„
3. დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ც. კ-ის რესპუბლიკური პიონერბანაკი	დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირი	200	3	600	ქვიშხეთი	10 ივნისი
4. რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური პიონერბანაკი	რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირი	200	3	600	ბორჯომის რაიონის ს. კვიბისი	16 ივნისი
5. ხელოვნების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური პიონერბანაკი	ხელოვნების მუშაკთა კავშირი	100	4	400	ქვიშხეთი	7 ივნისი
6. რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური პიონერბანაკი	რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირი	100	2	200*)	მცხეთა	10 ივნისი

პიონერბანაკების დასახელება	ვინ ხსნის	გამტარუნარიანობა ერთ ცვლაში	ცვლის რაოდენობა	სულ შეძლებს გატარებას	ბანაკის ადგილსამყოფელი	ბანაკის გახსნის დრო
7. № 31 ქარხნის რესპუბლიკური პიონერბანაკი	ქარხანა № 31	175	4	700	კოჯორი—უძო	10 ივნისი
8. აბრეშუმწარმოების რესპუბლიკური პიონერბანაკი	აბრეშუმწარმოების მუშაკთა კავშირი	100	4	400	სურამი	„
9 საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური პიონერბანაკი	საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა კავშირი	120	4	480	სურამი	7 ივნისი
10. სრულიად-საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ჰოსპიტლების სამმართველო	ჰოსპიტლების სამმართველო	150	3	450	ახალდაბა	10 ივნისი
11. სრულიად-საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ჰოსპიტლების სამმართველო	ჰოსპიტლების სამმართველო	200	2	400 *)	ბორჯომი—პლატო	10 ივნისი
12. სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ჰოსპიტლების სამმართველო	ჰოსპიტლების სამმართველო	150	2	300 *)	წაღკერი	„
18. გურჯაანის „ . .	34	100	200	200	245					2.200	300		2.100	1.100
19. დუშეთის „ . .	28	100	153	180	160					2.200	300		2.000	1.000
20. ზესტაფონის „ . .	31	70	153	180	245					2.000	185		2.100	1.000
21. ზუგდიდის „ . .	34	70	153	200	207					2 000	185		2.100	1.100
22. ყაზბეგის „ . .	25	70	120	140	160					2.000	300		2 000	1.000
23. ყარაიის „ . .	34	120	200	230	245					2.450	300		2 100	1.000
24. ქარელის „ . .	31	90	170	230	207					2.200	230		2.100	1.000
25. კასპის „ . .	28	100	170	230	207					2.200	230		2.100	1.000
26. ყვარლის „ . .	31	100	200	200	245					2.200	300		2.100	1.000
27. ლენტეხორის „ .	25	70	120	140	160					1.600	185		1 600	800
28. ქვემო-სვანეთის „ . .	25	70	120	140	160					1.600	185		2.000	1.000
29. ქუთაისის „ . .	31	90	200	230	245					2.000	185		2.100	1.000
30. ლაგოდეხის „ .	34	100	170	200	207					2.200	300		2.100	1.000
31. ლანჩხუთის „ . .	34	90	153	230	160					2.000	185		2.100	1.000
32. ბოლნისის „ . .	34	120	200	180	245					2 450	300		2.100	1.100
33. მახარაძის „ .	31	90	170	230	207					2.000	185		2.100	1 000
34. მაიაკოვსკის „ . .	31	90	153	180	245					2.000	185		2.100	1.100
35. მცხეთის „ . .	31	90	200	230	245					2 200	300		2.100	1.000
36. ონის „ . .	28	100	120	180	207					1.600	185		2.100	1.000
37. ორჯონიკიძის „ .	28	100	153	180	245					2.000	185		2.000	1.000
38. ფოთის „ . .	34	70	170	200	160					2.450	185		2.100	1.000
39. საგარეჯოს „ . .	31	100	170	230	245					2.450	300		2.100	1.100

ყველგან 7 მანეთი

ყველგან 140 მანეთი

ყველგან 100 მანეთი

ყველგან 50 მანეთი

ყველგან 1000 მანეთი

ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და რაიონების დასახელება	ჰექტარის ერთ მეასედზე						მებაღეობა	მეფუტკრეობა		ძროხა	ცხვარი და თხა	ღორი	ცხენი, აქლემები და ჯოგი	სხვადასხვა ხარი და
	მარცვლეული კულტურები	კარტოფილი	ბოსტნეული და ბაღჩეული	ბაღები და საკენკრეები	ვენახები	სათიბები		ჩარჩოს სკა	როგორც სკა					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
40. სამტრედიის რაიონი	34	90	200	230	207	ყველგან 7 მანეთი	ყველგან 140 მანეთი	ყველგან 100 მანეთი	ყველგან 50 მანეთი	2.000	185	ყველგან 1000 მანეთი	2.100	1.000
41. საჩხერის „	31	90	153	180	245					2.000	185		2.100	1.100
42. სიღნაღის „	34	90	200	200	245					2.450	300		2.100	1.000
43. თბილისის „	31	90	200	230	207					2.450	300		2.100	1.100
44. თელავის „	34	100	200	200	245					2.450	300		2.100	1.100
45. თეთრიწყაროს „	34	120	170	180	245					2.450	300		2.100	1.100
46. თიანეთის „	25	100	120	140	160					2 450	300		2.000	1.000
47. ტყიბულის „	28	90	153	230	207					2.000	185		2.100	1.000
48. ხაშურის „	31	100	200	200	207					2.200	230		2.100	1.100
49. ხობის „	34	70	153	200	160					2.000	185		2.100	1.000
50. ცაგერის „	28	90	153	180	207					2.000	185		2.100	1.000
51. წალენჯიხის „	28	70	153	180	160					2.000	185		2.000	1.000
52. წალკის „	28	120	153	140	160					2.450	300		2.100	1.100
53. წითელწყაროს „	34	100	170	180	245					2.450	300		2.100	1.000
54. წყალტუბოს „	31	90	200	230	207					2.000	185		2.100	1.000
55. ცხაკაიას „	31	70	153	200	207					2.000	185		2.100	1.000
56. წულუკიძის „	34	90	170	200	207					2 000	185		2.100	1.000
57. ჭიათურის „	28	90	153	180	207					2.000	185		2.100	1.100
58. ჩოხატაურის „	31	90	120	180	207					2.000	185		2.000	1.000
59. ჩხარის „	31	70	153	180	245					2.000	185		2.100	1.100
60. ჩხოროწყუს „	28	70	153	180	207					2.000	185		2.100	1.000

საქართველოს სსრ სახალ ო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 553

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ზესტაფონის შამპანური ღვინის ქარხნის ასაშენებლად საქშამპანკომბინატისათვის 15 ჰექტარი მიწის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 4 მაისის № 269 დადგენილება და გამოყოფილ იქნას საქართველოს შამპანკომბინატის ზესტაფონის ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის სოფელ არგვეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან 15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი „ჰაჰიაშვილისეულის“ სახელწოდებით.

2. დაევალოს ზესტაფონის რაიაღმასკომს და საქ. შამპანკომბინატს მისცენ ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ჩამორთმეული ნაკვეთის ნაცვლად ასეთივე ზომის ნაკვეთი საქართველოს შამპანკომბინატის არგვეთის მევენახეობის საბჭოსა ძეურნეობის მომიჯნავე სახნავ მიწებიდან.

3. ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცოს ეს დადგენილება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მარსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 554

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწების დროებით გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ბორჩალოს რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 29 აპრილის № 191. ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 12 მაისის № 234, წყალტუბოს რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 28 აპრილის № 227, ჭიათურის რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 31 მარტის და ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 22 მარტის № 171 დადგენილებანი საწარმოთა და დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებისათვის კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწების დროებით გამოყოფის შესახებ და გამოეყოს კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწებიდან ერთი სასოფლო-სამეურნეო წლის ვადით მიწის ნაკვეთები ქვემოჩამოთვლილ ორგანიზაციებს შემდეგი რაოდენობით:

ბორჩალოს რაიონში:

ა) კაჩაგანის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებას—3 ჰექტარი, აქედან მტს-ის სახელობის მიწებიდან—2 ჰექტარი;

ბ) შაუმიანის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებას — 2 ჰექტარი, აქედან მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან —1 ჰექტარი და კოლმეურნეობა „ვპერიოდის“ მიწებიდან—1 ჰექტარი;

გ) № 13482 სამხედრო ნაწილს—3 ჰექტარი, აქედან კოლმეურ-

ნეობა „შარკის“ მიწებიდან — 1 ჰექტარი, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან — 1 ჰექტარი და კოლმეურნეობა „დანიელ ოულდუსის“ მიწებიდან — 1 ჰექტარი.

ცხაკაიას რაიონში:

ა) ცხაკაიას რაიონული სამრეწველო კომბინატის საოჯახო საგნების დამამზადებელ წარმოებას — 6 ჰექტარი — თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან;

ბ) გზატკეცილების სამმართველოს № 740 უბანს — 6 ჰექტარი — თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან;

გ) ცხაკაიას რაისამრეწველო კომბინატის ლიმონათის ქარხანას — 6 ჰექტარი, აქედან თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან 4,5 ჰექტარი და ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან — 1,5 ჰექტარი;

დ) თეკლათის სასოფლო-სამომხმ. საზოგადოებას . . . . . 2,7 ჰექტ. თეკლათის ბერიას სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან

ე) სამშენებ. მას. მრეწვ. მთავ. სამმართველოს ცხაკაიას კირის ქარხანას . . . . . 10 ჰექტ. „ „ „

ვ) ნოსირის საცდელ სადგურს . . 5 „ „ „ „

ზ) საქ. სსრ შინსახკომის ქუთაისის № 2 ციხეს . . . . . 20 „ „ „ „

თ) ცხაკაიას პირველ მტს-ს . . . 2 „ „ „ „

ი) ცხაკაიას რაიონულ საგზაო განყოფილებას . . . . . 2,5 ჰექტარი თეკლათის კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან

კ) საქვაჭრობის ცხაკაიას განყოფილებას . . . . . 18 ჰექტ. ახალსოფლის სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან

ლ) ცხაკაიას რაიონის სადეგუმაციო ქარხანას . . . . . 4 ჰექტ. „ „ „

მ) ცხაკაიას რუსულ საშუალო სკოლას . . . . . 1 ჰექტ. „ „ „

წყალტუბოს რაიონში:

ა) შინსახკომის წყალტუბოს განყოფილებას . . . . . 3 ჰექტ. მაღლაკის ტელმანის სახ. კოლმეურნ. მიწებიდან

ბ) ქუთაისის ხორცკომბინატს . . 2 ჰექტ. მაღლაკის კოლმეურნეობა „მოწინავე პირველის“ მიწებიდან

გ) წყალტუბოს საშუალო სკოლას 1 ჰექტ. წყალტუბოს ჩარკვიანის სახ. კოლმეურნ. მიწებიდან

დ) რაიმიწგანს . . . . . 2 ჰექტ. მაღლაკის კოლმეურნეობა „მოწინავე პირველის“ მიწებიდან

ე) საგზაო განყოფილებას . . 0,5 ჰექტ. „ „ „

ჭიათურის რაიონში:

ა) ჭიათურის მარგანეცის ტრესტს—26 ჰექტ., აქედან რგანის კამოს სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან—3 ჰექტარი, პერევისის დიმიტროვის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—2,5 ჰექტარი, ხალიპოურის კავანოვიჩის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—1 ჰექტარი, ხრეითის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან—13,5 ჰექტარი, თაბაგრების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან—1 ჰექტარი, შუქრუთის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან—5 ჰექტარი;

ბ) ჭიათურის რაისამომხმარებლო საზოგადოებას—8 ჰექტარი, აქედან პერევისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან—2 ჰექტ.; დარკვეთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან—3 ჰექტ.; ხრეითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან—3 ჰექტ.;

გ) შინსახკომის და სახ. უშიშროების სახალხო კომისარიატის ჭიათურის გამყოფილებას—6 ჰექტ. აქედან პერევისის დიმიტროვის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—4 ჰექტ., ხრეითის ბერიას სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—2 ჰექტ.;

დ) ჭიათურის ქალაქის საავადმყოფოს—5,5 ჰექტ., აქედან დარკვეთის ბაქრაძის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—2 ჰექტ., ხრეითის ბერიას სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—1,5 ჰექტ., პერევისის დიმიტროვის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—2 ჰექტ.;

ე) ჭიათურის ქალაქის სახანძრო რაზმს—3 ჰექტ., გეზრულის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან;

ვ) ჩხირაულის საავადმყოფოს—1,5 ჰექტ., ტყემლოვანის ბერიას სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან;

ზ) ქვაციხის საავადმყოფოს—1,5 ჰექტარი—ქვაციხის კოლმეურნეობა „III ინტერნაციონალის“ მიწებიდან;

თ) შორაპნის რკინიგზის ბუფეტს—0,5 ჰექტარი—დარკვეთის ბაქრაძის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან;

ი) რაიონულ საგზაო განყოფილებას—2,5 ჰექტარი, აქედან დარკვეთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან—1,5 ჰექტ. და ხრეითის ბერიას სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან —1 ჰექტ.

ყვარლის რაიონში:

ა) ყვარლის რაისამოხმარებლო საზოგადოებას—3,4 ჰექტ., აქედან ყვარლის კოლმეურნეობა „წინსვლის“ მიწებიდან 10 ჰექტ., ყვარლის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მიწებიდან— 1 ჰექტარი, ენისელის კოლმეურნეობა „ცხოვრების წყაროს“ მიწებიდან—6 ჰექტ., შილდის ბერიას სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან 3 ჰექტ., გავაზის ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—1 ჰექტ., ახალსოფლის მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—4 ჰექტ., კუჭატნის კოლმეურნეობა „განათლების“ მიწებიდან—1 ჰექტ., ყვარლის სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—8 ჰექტ.;

ბ) სამტრესტის ყვარლის კოლმეურნეობა „ფატმასურს“—17 ჰექტ., აქედან ყვარლის კოლმეურნეობა „წინსვლის“ მიწებიდან 8 ჰექტ., ყვარლის კოლმეურნეობა „ახალწყაროს“ მიწებიდან—9 ჰექტ.;

გ) ენისელის მექანიზაციის სკოლას—20 ჰექტ.—ენიაელის კოლმეურნეობა „ცხოვრების წყაროს“ მიწებიდან;

დ) საქთამბაქოს ყვარლის რაიონულ კანტორას—7 ჰექტ.. აქედან ყვარლის სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—5 ჰექტ., ახალსოფლის ტელმანის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—2 ჰექტ.;

ე) ყვარლის ადგ. მრეწველობის რაიონულ კომბინატს—15 ჰექტ., აქედან ყვარლის სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან —5 ჰექტ., ახალსოფლის მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან—10 ჰექტ.;

ვ) ყვარლის რაიონულ საავადმყოფოს—3 ჰექტ., აქედან ყვარლის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მიწებიდან—1 ჰექტ., ყვარლის კოლმეურნეობა „ახალი წყაროს“ მიწებიდან—2 ჰექტ.;

ზ) ყვარლის რაიფინგანს—2 ჰექტ.—ყვარლის კუდიგორის კოლმეურნეობის მიწებიდან;

თ) ყვარლის რაიონულ ტროპიკულ სადგურს—1 ჰექტ.—ყვარლის კოლმეურნეობა „ახალი წყაროს“ მიწებიდან;

ი) ყვარლის რაიონულ საგზაო განყოფილებას—1 ჰექტ.—ყვარლის კოლმეურნეობა „კუდიგორის“ მიწებიდან;

კ) საქაბრეშუმტრესტის ყვარლის რაიონულ განყოფილებას—2 ჰექტ., ყვარლის კოლმეურნეობა „წინსვლას“ მიწებიდან;

ლ) „ზაგოტსკოტის“ ყვარლის რაიონულ განყოფილებას—2 ჰექტ., ყვარლის კოლმეურნეობა „წინსვლის“ მიწებიდან;

მ) თბილისის ევაკოჰოსპიტალს—10 ჰექტ., კუჭათამის კოლმეურნეობა „განათლების“ მიწებიდან;

ნ) ყვარლის კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრს—3 ჰექტ.—ყვარლის სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან;

ო) ყვარლის რაიჯანგანყოფილების საბავშვო ბაგებს—0,5 ჰექტ.—ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან;

პ) ყვარლის რაიონული განათლების განყოფილების საბავშვო ბაგებს—0,5 ჰექტ.—ყვარლის სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან;

ჟ) სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებას—0,5 ჰექტ.—ყვარლის სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან;

რ) სარეწაო კავშირის ოქტომბრის აბრეშუმსახვევ ფაბრიკას—1 ჰექტ., ოქტომბრის ძნელაძის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან;

ს) დამზადებათა სახალხო კომისარიატის ყვარლის რაიონული რწმუნებულის სამმართველოს—1 ჰექტ.—ყვარლის კოლმეურნეობა „წინსვლის“ მიწებიდან;

ტ) ა/კ სამხედრო ჰიდრომეტეოროლოგიურ ნაწილს—1 ჰექტ.—ჭინისელის კოლმეურნეობა „ცხოვრების წყაროს“ მიწებიდან;

უ) ყვარლის რაიმიწგანს—2 ჰექტ.,—ყვარლის სტალინის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან;

ფ) ამიერკავკასიის რკინიგზის შინსახკომის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებას—10 ჰექტ.—სოფ. სანავარდოს კომინტერნის სახ. კოლმეურნეობის მიწებიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 555

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს სასოფლო საბჭოს დამწვარი შენობის აღსადგენად სახსრების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს ჩხოროწყუს რაიაღმასკომს ლესიჭინეს სასოფლო საბჭოს დამწვარი შენობის აღსადგენად 75 ათასი მანეთი 1944 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმით გამოუყენებელი სახსრების ხარჯზე.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ჩხოროწყუს რაიონული საბჭოს აღმასკომს დაუყოვნებლივ შეუდგეს ლესიჭინეს სასოფლო საბჭოს შენობის მშენებლობას და დაამთავროს იგი არაუგვიანეს 1944 წლის 1 ოქტომბრისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 556

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების შესახებ

1944 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თავის დროზე და სწორად ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს, საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს:

ა) ყველგან შეუდგნენ სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარებას ქალაქებისა და მუშათა დაბების მოქალაქეთა მეურნეობებში 1944 წლის 10 ივნისიდან და დაამთავრონ მთელი მუშაობა ობიექტების აღრიცხვის, სადაზღვევო გადასახდელთა გამოანგარიშებისა და შეღავათების მინიჭების საქმეში 1944 წლის 15 ივლისამდე;

ბ) სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ობიექტების აღრიცხვას კოლმეურნეობებსა და სასოფლო ადგილების მოქალაქეთა მეურნეობებში შეუდგნენ 1944 წლის 1 ივლისიდან და მთელი მუშაობა ობიექტების აღრიცხვის, გადასახადთა გამოანგარიშებისა და შეღავათების მინიჭების საქმეში დაამთავრონ მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე;

გ) სადაზღვევო მოწმობათა ჩაბარება ქალაქებსა და მუშათა დაბებში დაამთავრონ 1944 წლის 1 აგვისტომდე, ხოლო სასოფლო ადგილებში—1944 წლის 25 აგვისტომდე.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) აღმოუჩინონ საფინანსო და სადაზღვევო ორგანოებს ყოველდღიური დახმარება 1944 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სწორად ჩატარების საქმეში;

ბ) დაევალოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასკომებს აღმოუჩინონ დამზღვევ ორგანოებს საჭირო დახმარება კოლმეურნეობებსა და მოქალაქეთა მეურნეობებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ობიექტების სრული აღრიცხვისა, კოლმეურნეობებში დაზღვეული ქონების შემოწმებისა და მოქალაქეთა ცალკეული მეურნეობებისათვის შეღავათების მისანიჭებელი სიების სწორად შედგენის საქმეში;

გ) დაევალოს რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებს გამოჰყონ დამზღვევ ორგანოთა დასახმარებლად ზოოვეტმუშაკები ჯიშიანი ცხოველების შესაფასებლად, კოლმეურნეობებში ჯიშიანი პირუტყვის აღრიცხვის შესამოწმებლად, ჯიშიანი ცხოველების წიგნებისა და სხვა იმ დოკუმენტების მოსაწესრიგებლად, რომლებიც ცხოველების ჯიშიანობას ადასტურებენ, და აგრეთვე დახმარების აღმოსაჩენად კოლმეურნეობებში დაზღვეული ქონების აღრიცხვისა და მისი მდგომარეობის შემოწმების საქმეში;

დ) 1944 წლის 15 აგვისტომდე განიხილონ და დაამტკიცონ აღმასკომების სხდომებზე იმ კოლმეურნეობათა სიები, რომელთაც შეღავათები ენიჭებათ საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მეცხოველეობის განვითარებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საქმეში;

ე) განიხილონ და დაამტკიცონ აღმასკომების სხდომებზე სახდაზღვევის ორგანოების მიერ წარდგენილი იმ დამზღვევთა სიები, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ ქალაქებსა და მუშათა დაბებში მოქალაქეთა მეურნეობებისათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათები 1944 წლის 15 ივლისამდე, ხოლო სასოფლო ადგილებში მოქალაქეთა მეურნეობებისათვის — 1944 წლის 15 აგვისტომდე;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ობიექტების სრულად მოცვას როგორც ქალაქად, ისე სოფლად, რისთვისაც დაავალონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების კომუნალურ განყოფილებებს მოაწესრიგონ შენობათა აღრიცხვა და შეფასება ქალაქებსა და მუშათა დაბებში და გადასცენ დამზღვევ ორგანოებს შენობათა სრული აღრიცხვისათვის საჭირო მასალები.

3. სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვის, ნიაღვრის, ქარიშხლისა და ცეცხლისაგან ძირობლივი დაზღვევის მხრივ კლუხორისა და ახალხევის რაიონები მიეკუთვნოს იმ რაიონების პირველ ჯგუფს, რომლებიც გათვალისწინებულია მე-15 მუხლის მე-4 ნაწილში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 21 აპრილის № 678 დადგენილებისა „სავალდებულო

საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ და სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვის, ნიაღვრის, ქარიშხლისა და ცეცხლისაგან ძირობლივი დაზღვევისათვის სადაზღვევო გადასახადის განაკვეთები (ტარიფები) ამ რაიონებში დაწესებულ იქნას: კოლმეურნეობებში—2,00 და ერთპიროვნულ მეურნეობებში—4,10 სადაზღვევო უზრუნველყოფის 100 მანეთიდან.

4. აკრძალულ იქნას სადაზღვევო ობიექტების აღრიცხვისა და სადაზღვევო გადასახადთა გამოანგარიშებისათვის საჭირო მუშაობის ჩატარების პერიოდში დაზღვევის მუშაკთა მობილიზაცია რაიმე სხვა სამუშაოზე.

5. წინადადება მიეცეს საქსახდაზღვევას, წარსული წლების მაგალითისამებრ, არ ჩაატაროს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა 1944 წელს ზემო-სვანეთის რაიონსა და დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების ხევსურთა სოფლებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. გაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 557

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ტრესტ „საქთამბაქმარაგგასაღების“ ტრესტ „საქთამბაქოდ“ გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო რესპუბლიკურ ტრესტ „საქთამბაქმარაგგასაღებას“ ეწოდოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის თამბაქოს მრეწველობის ტრესტი — შემოკლებით „საქთამბაქო“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 558

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

1944 წელს განსახკომის სკოლების მასწავლებელთა გადამზადების სპეციალური ღონისძიებათა გატარების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განსახკომს მოაწყოს 1944 წლის განმავლობაში მოკლევადიანი კურსები დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების 2.850 მასწავლებლის გადასამზადებლად და დახარჯოს ამ საქმისათვის საჭირო სახსრები განსახკომის 1944 წლის ბიუჯეტიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს და ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად, უზრუნველჰყონ მასწავლებლები კურსებზე ყოფნის პერიოდში სამჯერ კვებით, რისთვისაც დახარჯონ შემდეგი რაოდენობის პროდუქტები დღეში თითო კაცზე:

ხორც-თევზი	80 გრამი
ცხიმეული	30 „
შაქარი	30 „
ბურღული	70 „
ყველი	25 „
ბოსტნეული	200 „
კვერცხი	1 ცალი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 559

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თელავის გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ზუგდიდის ა. წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტებისათვის სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაენიშნოს 1944 წლის 1 მაისიდან სტალინის სახელობის სტიპენდიები საქართველოს სსრ განსახკომის თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თელავის გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ზუგდიდის ა. წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შემდეგ ყველაზე წარჩინებულ სტუდენტებს:

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ფილოლოგიური ფაკულტეტი.

1. ელისაბედ ვახტანგის-ასულ გუდიაშვილს
2. თინა სიმონის-ასულ მარგველაშვილს
3. ნათელა ნოეს-ასულ ნადარეიშვილს
4. ალექსანდრა დოროთეს-ასულ ფარჯაკიას
5. ლეილა გიორგის-ასულ ჭიალაშვილს

ფილოსოფიისა და ისტორიის ფაკულტეტი

6. შალვა თეოფილეს-ძე კაკულიას
7. გრიგოლ ივანეს-ძე მსხილაძეს
8. შოთა ვლადიმერის-ძე მისაბიშვილს
9. დარეჯან გაბრიელის-ასულ მეგრელაძეს
10. ვახტანგ რაჟდენის-ძე საჯაიას
11. მერი ივანეს-ასულ ჭელიძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი

12. გიორგი თერაპონტის-ძე მანჯავიძეს
13. იგორ ბორისის-ძე პავლოვს

გეოლოგიურ-გეოგრაფიული ფაკულტეტი

14. ნინო ილარიონის-ასულ მრევლიშვილს

თელავის გოგებაშვილის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში

ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი

15. თამარ ალექსანდრეს-ასულ რცხილაძეს

ზუგდიდის ა. წერეთლის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში

საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული ფაკულტეტი

16. გიორგი ვლადიმერის-ძე მხეიძეს

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 560

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის შუამდგომლობა ჯავის საკურორტო სატყეო მეურნეობის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ

ჯავის საკურორტო-სატყეო მეურნეობა 1941 წლამდე იმყოფებოდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს სამმართველო სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს შეუერთდა, ჯავის საკურორტო სატყეო მეურნეობა საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადავიდა.

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო ამჟამად აღდგენილია, საჭიროა ჯავის საკურორტო სატყეო მეურნეობა გადავიდეს ამ სამმართველოს გამგებლობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის საკურორტო სატყეო მეურნეობა, რომელიც მომსახურებას უწევს საკურორტო მნიშვნელობის 40 ათას ჰექტარ ტყეებს, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან გადავიდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში არსებული შტატითა და ხელფასის ფონდით, მთელი სასაქონლო-მატერიალური ღირებულებებითა და ჯავის საკურორტო სა-

ტყეო მეურნეობის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებითა და შენობებით.

გადაცემა მოხდეს 1944 წლის 1 მაისისათვის არსებული ბალანსის მიხედვით.

2. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. ციმაკურიძეს შეიტანოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს 1944 წლის საფინანსო გეგმებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე სათანადო ცვლილებები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 561

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

იმ ცემენტის განაწილების შესახებ, რაც საქართველოს სს რესპუბლიკას გამოეყო კასპის ცემენტის ქარხნიდან წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 500 ტონა ცემენტი, რაც საქართველოს სს რესპუბლიკას გამოეყო კასპის ცემენტის ქარხნიდან წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა განსახორციელებლად, მიეცეს შემდეგ სახალხო კომისარიატებსა და ორგანიზაციებს:

ა) კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს — 80 ტონა ცაგერისა და ონის ჰიდროელექტროსადგურების წყალდიდობისაგან დანგრეულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აღსადგენად, აგრეთვე ონის საქალაქო ხიდის ფრთების აღსადგენად

ბ) მთავარ საგზაო სამმართველოს . . . . . 15 ტონა ოსეთის სამხედრო გზაზე დანგრეული ხიდების აღსადგენად

გ) წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს . . 405 ტონა

აქედან 48 ტონა ცემენტი—ახალციხის რაიაღმასკომს წყლის მისაშვები არხის მშენებლობისათვის.

2. დაევალოს კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორს ამხ. სავინსკის ორი კვირის განმავლობაში გაუგზავნოს ცემენტი ამ დადგენი-

ლების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ სახალხო კომისარიატებსა და ორგანიზაციებს.

3. დაეკისროს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ბუკიას), წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ზამბახიძეს) და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს (ამხ. თალაკვაძეს) უზრუნველჰყონ ცემენტის თავის დროზე გადატანა და სამუშაოთა ადგილებზე მიტანა, ამასთან გამოიყენონ მთელი ცემენტი მიზნობრივი დანიშნულებით.

4. ერთი ვაგონი მავთული, რაც გამოყოფილია ბელორეცკის ქარხნიდან ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის, გადაეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს და დაევალოს ამხ. ზამბახიძეს უზრუნველჰყოს ამ მავთულის ფაქტიური მიღება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 562

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ საწარმოებში გამოუყენებელი ჩარხების აღსარიცხავად და მტს-ების სახელოსნოებისათვის გადასაცემად კომისიის გამოყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს კომისიას ამხ. ს. გ. ხოშტარიას (მოწვევა), ზ. ჩხუბიანაშვილის, ქემოკლიძის, გ. ე. ალავიძისა და ლელინის შემადგენლობით ჩაატარონ საქართველოს სსრ საწარმოებში გამოუყენებელი ჩარხებისა და სარემონტო მოწყობილობის აღრიცხვა და სახკომსაბჭოს წარმოუდგინოს წინადადება იმის შესახებ, რომ ეს ჩარხები და სარემონტო მოწყობილობა გამოყენებულ იქნას მტს-ების სახელოსნოებში, თანახმად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებისა.

ამასთან ერთად, წარმოადგინოს ღონისძიებანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მთელი გამოუყენებელი ჩარხებისა და მოწყობილობის რემონტის ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 563

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ფართო მოხმარების ზოგიერთი ნაწარმის ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დამტკიცდეს ფართო მოხმარების შემდეგი ნაწარმის გასაცემი და საცალო ფასები:

1. სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „მშრომელთა კავშირისა“ და არტელ „წითელი მკერავის“ მიერ დამზადებული ახალი სახის სამკერვალო ნაწარმისა, № 1 დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მიერ დამზადებული ახალი სახის ფეხსაცმლისა, № 2 დანართის თანახმად.

3. სახელგამის საწარმოთა მიერ დამზადებული მხატვრული ნაწარმისა, № 3 დანართის თანახმად.

4. საზოგადოება „დინამოს“ საწარმოთა მიერ დამზადებული მულაჟის სათამაშოებისა, № 4 დანართის თანახმად.

5. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცელულოიდის ფაბრიკის, საქსარეწტყეკავშირის სისტემის არტელ „თბილტყემრეწვის“, სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „უნივერსალისა“ და არტელ „მშრომელის“ მიერ დამზადებული სავარცხლებისა, №№ 5 და 6 დანართების თანახმად.

6. ინკოოპკავშირის არტელების მიერ დამზადებული ფოტოსურათების შუშის ჩვესადგარებისა, № 7 დანართის თანახმად.

7. თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატისა და ცეკავშირის სისტემის წულუკიძის რაიასამომხმარებლო კავშირის მიერ დამზადებული ტრიკოტაჟის და საფეიქრო ნაწარმისა, №№ 8 და 9 დანართების თანახმად.

8. ცეკავშირის სისტემის სამტრედიის რაისამომხმარებლო კავშირის და სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „საზომის“ მიერ დამზადებული ფართო მოხმარების ლითონის ნაწარმისა, №№ 10 და 11 დანართების თანახმად.

9. სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „მშრომელის“ მიერ დამზადებული საკანცელარიო კალმისტარებისა, № 12 დანართის თანახმად.

10. სარეწაო კავშირის სისტემის არტელების სახელოსნოებში წვრილი ნაჭრებისაგან ფეხსაცმლის შეკეთებისა, № 13 დანართის თანახმად.

11. გაუქმდეს არტელ „საზომის“ მიერ დამზადებული მასშტაბიანი სახაზავების გასაცემი ფასები, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 16 მარტის № 327 დადგენილებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

პრეისკურანტი

საცალო ფასებისა სარეწაო კავშირის არტელ „მშრომელთა კავშირისა“ და „წითელი მკერავის“ წარმოების ახალი სახის სამკერვალო ნაწარმზე

პიონერის ხალათი გადაკეცილი საყელოთი, ერთი ჯიბით, აბრეშუმნარევი ქსოვილის მანჟეტებით, სარჟა 415

ზომა	34—36	. . . . .	1 ცალი	47 მან.
„	38—40	. . . . .	1 „	50 მან.
„	42—44	. . . . .	1 „	54 მან.

ბავშვის გიმნასტურა უჯიბოდ აბრეშუმნარევი ქსოვილის მანჟეტებით, პაპლინი 230

ზომა	34—36	. . . . .	1 ცალი	35 მან.
„	38—40	. . . . .	1 „	38 მან.
„	42—44	. . . . .	1 „	41 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება სავაჭრო ხარჯების დასაფარავად და ხარისხიანობის მიხედვით გამოყენებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს მიერ 1939 წლის 5 იანვარს დამტკიცებული სამკერვალო ნაწარმთა ფასების პრეისკურანტის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი: მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეისკურანტი

საცალო და გასაყიდი ფასებისა ბრუნვის გადასახადის ჩაუთვლელად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარმოების დამატებითი სახის ფეხსაცმელზე

1 წყვილზე

ნაწარმთა დასახელება	არტიკულის №№	გასაყიდი ფასი ბრუნვის გადასახადის ჩაუთვლელად	საცალო ფასი
ქსოვილის ფაჩუჩები, ჩაკერილი, ქსოვილის ზედაპირითა და კრომის სხვადასხვა ტყავსაკონლის ძირით. . . .	3018 ტ.	4 მან.	5 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება ხარისხიანობის მიხედვით და სავაჭრო ხარჯების დასაფარავად გამოყენებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს მიერ 1940 წლის 6 ივლისს დამტკიცებული ფეხსაცმლის ფასების პრეისკურანტის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

საქ. სსრ საბჭომსაბჭოს 1944 წლის 25/V
№ 563 დადგენილების დანართი № 3

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გასაყიდი ფასებისა სახელგამის დამხმარე საწარმოთა განყოფილების მხატვრულ ნაწარმებზე

საწარმოს ფრანკო-საწყობი

საბავშვო საკიდრები, მხატვრულად გაფერადებული, ფრინველის, ცხოველისა და თევზის ფორმის დიქტისაგან, ზომით 18-დან 25 სანტიმეტრამდე	1 ცალი	10 მან.
საბავშვო ბურთები 8 ნაჭერი ტყავისაგან, ბამბით გატენილი, ზომით 5 და 10 სანტიმეტრი	1 „	5—50 „
სურათები ფურკოს მინაზე 5 მმ, ზომით 48×24 სანტიმეტრი, მოხატული	1 „	100 მან.
იგივე 3-მილიმეტრიან მინაზე, ზომით 25×30 სანტიმეტრი	1 „	70 მან.
კედლის თეფშები დიქტისაგან ზეთის საღებავით მოხატული, გარეთა რადიუსით 24,5 სანტიმეტრი	1 „	57 მან.
დიქტის თაროები მოხატული საზურგეებით 16×8 სმ	1 „	27 მან.
სამელნე მოწყობილობა 2 შუშის სამელნით, ხის კუბიკებში, ფურკოს მხატვრულ მინის დაფაზე, სისქით 10 მმ	1 კომპლ.	32 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება II ხარისხზე დაწესდეს აღნიშნული ფასების 10%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25/V
№ 563 დადგენილების დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გასაყიდი ფასებისა სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ წარმოების მულაჟის სათამაშოებზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

ავტომატური დამპაჩა, სათამაშო, 1/3 ნატურალური ზომისა, ქაღალდის მაკულატურის მულაჟისაგან (პაპიე-მაშე) დასაშვები მექანიზმით, შეღებილი.	1 ცალი 30 მან.
ჯავშან-ავტომობილი, სათამაშო, ჩარჩოს ზომა 117×300 მმ, კოშკის სიმაღლე 210 მმ, ქაღალდის მაკულატურის მულაჟისაგან (პაპიე-მაშე), შეღებილი	1 ცალი 45 მან.
მსუბუქი მანქანა „ლიმუზინი“, სათამაშო, ჩარჩოს ზომა 110×305 მმ, სიმაღლე 155 მმ, დამზადებული აგრეთვე მულაჟისაგან, შეღებილი . .	1 ცალი 40 მან.
სათამაშო „დოღი“ პლანშეტ-დაზგა, ხე-ტყის მასალის ნარჩენებისაგან, ზომით 600×150×15 მმ, 2 დიქტის ცხენით 80×30=მმ ქვესადგარებზე, 590×15 მმ ხის ჯოხით, ბურთულა პლასტმასისაგან 30 მმ.	1 კომპლ. 90 მან.
ცალთვლიანი ცხენი, მულაჟის თავით, შეღებილი, ღერძი და თვალი ხე-ტყის მასალის ნარჩენებისაგან	1 ცალი 25 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება II ხარისხზე დაწესდეს აღნიშნული ფასების 10%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25/V
№ 563 დადგენილების დანართი № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გასაყიდი ფასებისა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცელულოიდის ნაწარმთა ფაბრიკის თმის-საჭერ სავარცხელსა და სავარცხლებზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

ქალის სავარცხელი № 3 პლასტმასისაგან
170×37 მმ . . . . . 1 ცალი 8 მან. 80 კაპ.
მამაკაცის სავარცხელი № 2 პლასტმასისაგან
120×30 მმ. . . . . 1 ცალი 6 მან. 40 კაპ.
ქალის თმისსაჭერი სავარცხელი 154×47×2 მმ 1 ცალი 5 მან. 70 კაპ.

შენიშვნა: ფასდაკლება II ხარისხზე დაწესდეს აღნიშნული ფასების 10%-ისა და III ხარისხზე — 20%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

პრეისკურანტი

გასაყიდი ფასებისა საქსარეწტყეკავშირისა და სარეწაო კავშირის არტელების ხის სავარცხლებზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

I. საქსარეწტყეკავშირის სისტემის არტელი „თბილტყემრეწვი“

ქალის სავარცხელი ძვირფასი ჯიშის მერქნის ტა-
რით, 170×43×5 მმ, გაკრიალებული . . . 1 ცალი 10 მან.
ასეთივე სავარცხელი მხატვრულად და ცივად მო-
მინანქრებული . . . . . 1 ცალი 18 მან.

II. სარეწაო კავშირის სისტემის არტელი „უნივერსალი“ და „მშრომელი“

ქალის სავარცხელი ავიოდელტისაგან, გაკრიალე-
ბული, 170—190×45—50 მმ . . . . . 1 ცალი 18 მან.
ასეთივე მამაკაცის სავარცხლები ზომით
130—140×28×30 მმ . . . . . 1 ცალი 14 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება II ხარისხზე დაწესდეს აღნიშნული ფასების 10% -ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25/V
№ 563 დადგენილების დანართი № 7

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გასაყიდი ფასებისა არტელ „სპორტტრიკოტაჟისა“ და „პირველი მაისის“ წარმოების ფოტოსურათების ქვესადგარებზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

მინის ქვესადგარი ფოტოსურათისათვის, სისქით 10 მმ, ზომით 150×100 მმ . . . . . 1 ცალი 17 მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25/V
№ 563 დადგენილების დანართი № 8

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გასაყიდი ფასებისა ბრუნვის გადასახადის ჩაუთვლელად თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატის ტრიკოტაჟის ნაკუწებისაგან დამზადებულ ტრიკოტაჟულ ნაწარმებზე

ბავშვის ტანსაცმელი ნაქსოვი ტილოს ნაკუწებისაგან, ბამბის ნართი 100/1 ორწვერად,
არტ. 775, ზომა 26—28 . . . . . 1 ცალი 11 მან. 40 კაპ.
არტ. 775, ზომა 30—32 . . . . . 1 ცალი 13 მან. 30 კაპ.
ბავშვის ტრუსები ტრიკოტინის ნაკუწებისაგან, მტ-1 მანქანაზე, ბამბის ნართი 54/1—65/1, ორწვერად, არტ. 312,
ზომა 2 . . . . . 1 ცალი 3 მან. 32 კაპ.
არტ. 312 ზომა 0— 1 . . . . . 1 ცალი 2 მან. 37 კაპ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

პრეისკურანტი

საცალო და გასაყიდი ფასებისა ბრუნვის გადასახადის ჩაუთვლელად წულუკიძის რაიონული სამომხმარებლო კავშირის წარმოების დამატებითი სახის ტრიკოტაჟულ და საფეიქრო ნაწარმებზე

ხონის კუსტარული მაუდი, ხელით დართული, წმინდა შალის ნართისაგან, სისქით 7/1—9/1, ქსელი 12 ძაფი, მისაქსელი 10 ძაფი, წონა 260 გრ., სიგანე 50 სანტიმეტრი . . . . . 1 მეტრი 35 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება ხარისხიანობის მიხედვით და სავაჭრო ხარჯების დასაფარავად გამოყენებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს მიერ 1939 წლის 5 იანვარს დამტკიცებული საფეიქრო ნაწარმთა პრეისკურანტების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25|V
№ 563 დადგენილების დანართი № 10

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გასაყიდი ფასებისა სამტრედიის რაიონული სამომხმარებლო კავშირის წარმოების ახალი სახის სანთიებზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

სანთია T ტიპისა, ნადავლი შამხანების ჰილზე-ბისაგან, სიგრძით 55 მმ, ქვით	38 მან.
უქვოდ	34 მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

საქ. სსრ საბკომსაბჭოს 1944 წლის 25|V
№ 563 დადგენილების დანართი № 11

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ

გასაყიდი ფასებისა სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „იზმერიტელის“ წარმოების ფართო მოხმარების ლითონნაწარმზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

ფოლადის მასშტაბიანი სახაზავები მილიმეტრიანი დანაყოფებით 300 მმ	1 ცალი 10 მან.
200 მმ	1 ცალი 6 მან. 75 კაპ.
150 მმ	1 ცალი 5 მან. 50 კაპ.
ჩამოსხმული ბოქლომი, თუჯისა, შეღებილი, 2 გასაღებით	1 ცალი 60 მან.
საბავშვო სათამაშოები ლითონისა — „პროპელერი“ და „ვერტუშკა“	1 ცალი 7 მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25/V
№ 563 დადგენილების დანართი № 12

პრეისკურანტი

ვასაყიდი ფასებისა სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „მშრომელის“ წარმოების საკანცელარიო კალმისტარებზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

სიგარისებრი ფორმის საკანცელარიო კალმისტარები ძვირფასი ჯიშის მერქნისაგან, სიგრძით 158—160 მმ, გაკრიალებული	1 ცალი 7 მან.

შენიშვნა: ფასდაკლება მეორე ხარისხზე დაწესდეს აღნიშნული ფასის 20%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25/V
№ 563 დადგენილების დანართი № 13

პრეისკურანტი

ფასებისა სარეწაო კავშირის სისტემის არტელებში წვრილი ნაჭრებით ფეხსაცმლის რემონტისათვის, საძირისა ან ქუსლსაკრავის გამოცვლა

ლანჩისა და ქუსლსაკრავის გამოცვლა საძირის წვრილი ნაჭრებით:	
მამაკაცის ფეხსაცმლისა	1 წყვილი 19 მან.
ქალის ფეხსაცმლისა	1 წყვილი 16 მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 564

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ცეკავშირის, ა/კ ფრონტის სამხვაჭრობისა და საქგასტრონომის სისტემის მიერ დამზადებული ღვინო-არყის ნაწარმის და III ჯგუფის საქონლის სავაჭრო წანამატებისა და ავტოსაჰაპანო დანარიცხების ნორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს ცეკავშირის, ა/კ ფრონტის სამხვაჭრობისა და საქგასტრონომის სისტემის მიერ დამზადებული ღვინო-არყის ნაწარმის და III ჯგუფის საქონლის სავაჭრო წანამატებისა და ავტოსაჰაპანო დანამატების შემდეგი ნორმები:

I. ცეკავშირის სისტემაში:

ღვინო-არყის ნაწარმზე (გარდა „გლავსპირტის“ პურის არყისა და შამპანურისა) სავაჭრო წანამატი მრეწველობის გასაცემი ფასების 20%-ის რაოდენობით.

ავტოსაჰაპანო დანარიცხი კოოპერატიულ ორგანიზაციებში— მრეწველობის გასაცემი ფასების შემდეგი რაოდენობით:

I	ზოლში	3%
II	„	5%
III	„	7%
IV	„	9%
V	„	11%
ზემო-სვანეთის რაიონისათვის .		15%

II. ა/კ ფრონტის სამხვაჭრობისათვის

სავაჭრო წანამატები მრეწველობის გასაცემი ფასების შემდეგი რაოდენობით:

ა) ღვინო-არყის ნაწარმზე (გარდა „გლავსპირტის“ პურის არყისა და შამპანურისა) 18%;
ბ) III ჯგუფის დანარჩენ სასურსათო საქონელზე (გარდა მაგარი სასმელებისა) 32%;
გ) ბეწვეულ საქონელზე 17%;
დ) ადგილობრივ ავეჯზე 30%;
შემოტანილ „ 30%;
ე) III ჯგუფის დანარჩენ სამრეწველო საქონელზე 35%;

III. „გასტრონომის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორისათვის

ღვინო-არყის ნაწარმზე (გარდა „გლავსპირტის“ პურის არყისა და შამპანურისა) საგაჭრო წანამატი მრეწველობის გასაცემი ფასების 15%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ვ. მარგველაშვილი.**

1944 წლის 25 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 566

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ამხ. ა. ბირკაიას შვებულების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეცეს მთავარ საგზაო სამმართველოს უფროსს ამხ. ა. ბირკაიას ერთი თვის შვებულება, ავადმყოფობის გამო.

და ვალოს ჯანსახკომის სპეცსამსანსამმართველოს უფროსს ამხ. ფრანგულიანს უზრუნველჰყოს ამხ. ბირკაია მკურნალობითა და გაგრაში გაგზავნით.

2. მიეცეს ამხ. ბირკაიას დახმარება 2000 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაჭრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 27 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 567

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 30 აპრილის № 477 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ა/წ 1 მაისიდან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 27 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები 1944 წლის 1 მაისიდან

სტრუქტურულ ქვეგანყოფთა და თანამდებობათა დასახელება	შტატები 1944 წლისათვის		
	რაოდენობა	თვიური ფონდი	სულ თვიური ფონდი
თავმჯდომარე	1	2000	2000
თავმჯდომარის მოადგილე	1	1700	1700
დივანი-სტენოგრაფი	1	500	500
სულ	3	4200	4200
სახალხო მეურნეობის შეჯამებითი გეგმის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1500	1500
ეკონომისტი	1	700	700
წარმოების ჯგუფის ხელმძღვანელი—უფროსი ეკონომისტი	1	900	900
სტატისტიკოსი	1	450	450
კაპიტ. მშენ. ჯგუფის ხელმძღვანელი—უფ. ეკონომისტი	1	900	900
ეკონომისტი	1	700	700
ფინანსთა ჯგუფის ხელმძღვანელი—უფროსი ეკონომისტი	1	800	800
ეკონომისტი	1	700	700
სულ	8	6650	6650
მრეწველობის ჯგუფი			
განყოფილების უფროსი	1	1500	1500
განყოფილების უფროსის მოადგილე ადგ. მრეწველობის დარგში	1	1200	1200
უფროსი ეკონომისტი კვებისა და ხორცრძეწველობის დარგში	1	800	800
უფროსი ეკონომისტი მსუბუქი მრეწველობის დარგში	1	900	900
უფროსი ეკონომისტი საკავშირო მრეწველობის დარგში	1	800	800
სულ	5	5200	5200
სატყეო მრეწველობის ჯგუფი			
ჯგუფის ხელმძღვანელი—უფროსი ეკონომისტი	1	900	900
სტატისტიკოსი	1	450	450
სულ	2	1350	1350

სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	შტატები 1944 წლისათვის		
	რაოდენობა	თვიური ფონდი	სულ თვიური ფონდი
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფი			
უფროსი ეკონომისტი	1	850	850
ს უ ლ	1	850	850
სოფლის მეურნეობის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1400	1400
უფროსი ეკონომისტი	1	800	800
ს უ ლ	2	2200	2200
რაიონული მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი ეკონომისტი რაიონული მრეწველობის დარგში	1	900	900
უფროსი ეკონომისტი სარეწაო კოოპერაციის დარგში	1	900	900
ეკონომისტი	1	700	700
უფროსი ეკონომისტი	1	900	900
ეკონომისტი	1	700	700
ს უ ლ	6	5550	5550
კულტურისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1400	1400
უფროსი ეკონომისტი	1	850	850
უფროსი ეკონომისტი	1	900	900
უფროსი ეკონომისტი	1	800	800
ს უ ლ	4	3950	3950
საქონელბრუნვის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1400	1400
ეკონომისტი	1	750	750
ს უ ლ	2	2150	2150
ენერგეტიკისა და საბობის განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
ინჟინერი	1	800	800
ეკონომისტი	1	700	700
ს უ ლ	3	2950	2950

სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	შტატები 1944 წლისათვის		
	რაოდენობა	თვიური ფონდი	სულ თვიური ფონდი
მატერიალური ბალანსების განყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1450	1450
უფროსი ეკონომისტი	1	850	850
ეკონომისტი	1	800	800
ეკონომისტი	1	700	700
სტატისტიკოსი	1	450	450
ს უ ლ	5	4250	4250
სპეცგანყოფილება			
განყოფილების უფროსი	1	1400	1400
მდივანი-მემანქანე	1	500	500
ს უ ლ	2	1900	1900
საქმეთა მმართველობა			
საქმეთა მმართველი	1	700	700
კანცელარიის გამგე	1	300	300
უფროსი ბუხჰალტერი	1	600	600
სამნეო ნაწილის გამგე	1	350	350
არქივარიუსი	1	350	350
უფროსი მემანქანე	1	500	500
მემანქანე	4	400	1600
შოფერი	1	648	648
შოფერი	1	600	600
ექსპედიტორი	1	155	155
შიკრიკი	1	130	130
დამლაგებელი	2	140	280
ს უ ლ	16	4873	6213
მ თ ლ ა დ	59	46073	47413

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 571

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ ხე-ტყის მოვლის და სანიტარულ ღონისძიებათა წესით ჩასატარებელი ხე-ტყის დამზადების 1944 წლის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის სახფონდის ტყეებში სანიტარულ ღონისძიებათა ჩატარებისა, გადაბერებული ხეებისა და ფაუტის შერჩევისა, ძირითად დამზადებათა ნარჩენების უტილიზაციისა და რაიონული ორგანიზაციების, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების ხე-ტყის მასალისა და შეშის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქარქცეულისა და ხე-ნაყარის გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინადადება სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ 1944 წელს ტყის მოვლის და სანიტარულ ღონისძიებათა წესით შემდეგი რაოდენობის მაქნისი მერქნისა და შეშის დამზადებისა და გამოზიდვის შესახებ:

	დამზადება	გამოზიდვა	დაცურება
მაქნისი მერქანი	13.000 კბმ.	12.060 კბმ.	3.600 კბმ.
შ ე შ ა	46.000 მჯ. კბმ.	38.500 მჯ. კბმ.	5.200 მჯ. კბმ.
ხის ნახშირი	350 ტონა	350 ტონა	—

რაც განაწილდეს სორტიმენტებისა და სატყეო მეურნეობების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

2. დაუმტკიცდეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ხე-ტყის მასალებისა და შეშის რეალიზაციის 1944 წლის გეგმა, რაც განაწილდეს სორტიმენტების, მოჭხმარებლებისა და სატყეო მეურნეობების მიხედვით, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 მაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ ტყესაკაფების გაწმენდისა და ტყის მოვლის წესით დამზადებული ხე-ტყის მასალებისა და შეშის დამზადების, გამოზიდვისა და დაცურებისა 1944 წლისათვის

სატყეო მეურნეობების დასახელება	სორტიმენტების დასახელება	საზომი ერთეული	1944 წლის გეგმა		
			დამზადება	გამოზიდვა	დაცურება
1	2	3	4	5	6
1. თელავის სატყეო მეურნეობა	ნაპობი ტკეჩი	ათას. ც.	100,0	100,0	—
		კუბ. მეტ.	250	250	
	პ ი გ ო	ათას. ც.	300,0	300,0	—
		კუბ. მეტ.	500	500	
	ს ა რ ი	ათას. ც.	10,0	10,0	—
		კუბ. მეტ.	40,0	40,0	
	შ ე შ ა	კუბ. მეტ.	3500	3500	—
	ნაბშირი	ტონა	200	200	—
		კუბ. მეტ.	640	640	
	სხვა მაქნისი მერქანი	კუბ. მეტ.	300	300	—
	სულ მჭიდრო მასით	კუბ. მეტ.	5230	5230	—
2. გურჯაანის სატყეო მეურნეობა	პ ი გ ო	ათას. ც.	1000,0 1660	—	—
	ს ა რ ი	ათას. ც.	25	25	—
		კუბ. მეტ.	100	100	
	ლატანი	ათას. ც.	1,0	1,0	—
		კუბ. მეტ.	60	60	
	შ ე შ ა	კუბ. მეტ.	3000	2000	—
	სხვა მაქნისი მერქანი	კუბ. მეტ.	300	300	—
	სულ მჭიდრო მასით	კუბ. მეტ.	5120	2460	—

10. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს (ამხ. მირცხულავას) და ცხაკაიას რაიაღმასკომს (ამხ. ბერაიას) წარმოადგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში ანგარიშები საშუალო სკოლების მოსწავლეთა და ტექნიკუმების სტუდენტთა მობილიზაციის დამთავრების შესახებ 1944 წლის 20 ივნისისათვის, ხოლო პედინსტიტუტის სტუდენტთა მობილიზაციის დამთავრების შესახებ — 1 აგვისტოსათვის.

დაევალოს საქეთერზეთის ტრესტს (ამხ. ცომაიას) იმავე ვადებში წარმოადგინოს ცნობები ცალცალკე ყოველ საბჭოთა მეურნეობაში გამოცხადებულ მობილიზებულთა რაოდენობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, აგრეთვე ცხაკაიას რაიაღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომს ჩაატარონ მობილიზაცია ამ დადგენილებით დაწესებულ ვადებში, სისტემატურად შეამოწმონ მობილიზებულთა მუშაობა და სრულად და დროულად უზრუნველჰყონ საქეთერზეთის ტრესტის საბჭოთა მეურნეობების ყველა საზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ჩატარება.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 30 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 584

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებისათვის 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში დახმარების გასაწევად შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1942 წლის 13 აპრილს „კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ქალაქებისა და სასოფლო ადგილების შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის წესის შესახებ“ მიღებული № 507 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მობილიზებულ იქნან 1944 წლის 10 ივნისიდან 20 აგვისტომდე ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ არასრული საშუალო და საშუალო სკოლების 6-10 კლასების მოსწავლეები, აგრეთვე ტექნიკუმების სტუდენტები 1.200 კაცის რაოდენობით, მათ შორის:

აჭარის ასსრ რესპუბლიკაში	— 870	კაცი
აქედან: გონიოს საბჭოთა მეურნეობისათვის	— 30	„
კახაბრის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 90	„
ახალშენის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 250	„
მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 200	„
მახვილაურის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 60	„
ციხისძირის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 80	„
კვირიკეს საბჭოთა მეურნეობისათვის	— 20	„
ალამბრის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 50	„
მუხა-ესტატეს საბჭოთა მეურნეობისათვის	— 40	„
ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 50	„
აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში	— 80	„
აქედან: კოხორის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 40	„
ფსირცხის საბჭოთა მეურნეობისათვის მახარაძის რაიონში	— 40	„

ურეკის საბჭოთა მეურნეობისათვის — 40 „
ქალაქ ფოთში
კოლხიდის საბჭოთა მეურნეობისათვის — 30 „
ზუგდიდის რაიონში
ანაკლიის საბჭოთა მეურნეობისათვის — 110 „
ცხაკაიას რაიონში
ტეხურის საბჭოთა მეურნეობისათვის — 70 „

საშუალო სკოლების 8-9 კლასების მოსწავლეები, რომლებიც საბანაკო შეკრებებს გადიან, სამუშაოდ გაიგზავნებიან საბანაკო შეკრებების დამთავრების შემდეგ.

2. დაევალოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს, აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, ფოთის საქალაქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს და ზემოაღნიშნული საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს დაუყოვნებლივ გაიწევინონ მობილიზაციის წესით მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა და მოზარდები 14 წლის ასაკიდან, რომლებიც საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე ცხოვრობენ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად.

3. დაწესდეს, რომ სკოლების მოსწავლეთა და ტექნიკუმების სტუდენტთა მობილიზაციის ჩატარებისათვის, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ მათი ორგანიზებულად გაგზავნისათვის, რაიონული (საქალაქო) აღმასკომების თავმჯდომარესთან და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის (ქალაქკომის) მდივანთან ერთად, პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლებისა და ტექნიკუმების დირექტორებს.

4. განემარტოს მობილიზებულთ, რომ ყოველმა მათგანმა თან უნდა იქონიოს ლოგინის მოწყობილობა, აგრეთვე ჭიქა და კოვზი.

5. დაევალოს იმ სკოლებისა და ტექნიკუმების დირექტორებს, რომლებშიაც მობილიზაცია ტარდება, დააკომპლექტონ მოსწავლეთა ჯგუფები თითო 25 კაცის რაოდენობით (სკოლების მიხედვით—ცალკე ბიჭები და ცალკე გოგოები) იმ პედაგოგის მეთაურობით, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს საბჭოთა მეურნეობაში მოსწავლეთა მუშაობას და პასუხისმგებელია, როგორც დისციპლინისათვის, ისე ნორმების შესრულებისთვისაც.

6. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა დაწესონ მობილიზებულთათვის გამომუშავების დღიური ნორმები ცალკე თვითეული სახის სამუშაოს მიხედვით, რომელთა საფუძველზედაც გადასცენ ბრიგადას გეგმიანი დავალება მობილიზაციის მთელი პერიოდისათვის.

მობილიზებულთა ბრიგადები, რომელთაც ვადამდე შეასრულეს გეგმიანი დავალება, განთავისუფლებულ უნდა იქნან საბჭოთა მეურნეობაში შემდგომი მუშაობისაგან.

7. დაევალოს ლიმმანტრესტის დირექტორს (ამხ. ბერიძეს) და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ა) მიიღონ მობილიზებულნი და მოაწყონ მათი გამგზავრება სამუშაოს ადგილზე;

ბ) უზრუნველჰყონ სათანადო სამზადისი მობილიზებულთა მისაღებად (საცხოვრებელი ბინები, საზოგადოებრივი კვება, სასოფ-

ლო-სამეურნეო ინვენტარი) და მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა სამუშაოზე დაამაგრონ ისინი მობილიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

8. დაევალოს იმ რაიონების საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებსა და საქ. ალკ რაიკომებს, რომელთა ტერიტორიაზედაც ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობები მდებარეობენ, აგრეთვე ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველჰყონ საორგანიზაციო-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რეგულარულად ჩატარება მობილიზებულთა შორის, გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება როგორც ცალკეულ ბრიგადებს შორის, ისე ინდივიდუალურადაც და დანერგონ პრაქტიკულად ახალგაზრდული საფრონტო ბრიგადების მოწყობა.

9. დაევალოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს (ამხ. ფუტკარაძეს), აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს (ამხ. მირცხულავას), ფოთის საქალაქო აღმასკომს (ამხ. გაბუნიას) და ზემოჩამოთვლილი რაიონების აღმასკომებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ანგარიში საშუალო სკოლების მოსწავლეთა და ტექნიკუმების სტუდენტთა მობილიზაციის დამთავრების შესახებ 1944 წლის 20 ივნისისათვის.

დაევალოს ლიმმანტრესტს (ამხ. ბერიძეს) იმავე ვადაში წარმოადგინოს ცნობები, თუ რამდენი მობილიზებული გამოცხადდა ცალკე თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, ფოთის საქალაქო აღმასკომს დ საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტს, აგრეთვე ზემოაღნიშნული რაიონების რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს ჩაატარონ მობილიზაცია ამ დადგენილებით დაწესებულ ვადაში, სისტემატურად შეამოწმონ მობილიზებულთა მუშაობა და უზრუნველჰყონ ციტრუსოვანთა ნარგავების სრულად და დროულად დამუშავება.

საქართველოს სსრ	საქართველოს კ. პ. (ბ)
სახალხო კომისართა საბჭოს	ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 30 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 585

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

მრავალწლოვანი ნარგავების დამუშავებაში სამტრესტისა და შამპანკომბინატის საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1942 წლის 13 აპრილს „კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ქალაქებისა და სასოფლო ადგილების შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის წესის შესახებ“ მიღებული № 507 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. მობილიზებულ იქნან 1944 წლის 10 ივნისიდან 20 აგვისტომდე სამტრესტისა და შამპანკომბინატის საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ არასრული საშუალო და საშუალო სკოლების 6-10 კლასების მოსწავლეები, აგრეთვე ტექნიკუმების სტუდენტები 2.600 კაცის რაოდენობით, მათ შორის:

თელავის რაიონში	— 460 კაცი
აქედან: წინანდლის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 150 „
ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 120 „
თელავის (იყალთოს) ღვინის ქარხნისათვის	— 20 „
თელავის ადგ. მრეწვ. განყოფილების მევენახეობის მეურნეობისათვის	— 170 „
ყვარლის რაიონში	
ყვარლის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 250 „
გურჯაანის რაიონში	— 230 „
აქედან: მუკუზნის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 130 „
გურჯაანის ღვინის ქარხნისათვის	— 40 „
კარდანახის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 60 „
სიღნაღის რაიონში	
ხირსის საბჭოთა მეურნეობისათვის	— 250 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეჯოს რაიონში
მანავის საბჭოთა მეურნეობისათვის — 50 კაცი
ბორჩალოს რაიონში — 200 „
აქედან: გიაურ-არხის საბჭოთა მეურნეობისათვის — 100 „
ყულარის საბჭოთა მეურნეობისათვის — 100 „
გორის რაიონში — 300 „
აქედან: ვარიანის საბჭოთა მეურნეობისათვის — 150 „
ქიწნისის საბჭოთა მეურნეობისათვის — 150 „
ქარელის რაიონში 250 „
აქედან: ბრეთის საბჭოთა მეურნეობისათვის — 200 „
ბებნისის საბჭოთა მეურნეობისათვის — 50 „
მაიაკოვსკის რაიონში
ვარციხის საბჭოთა მეურნეობისათვის — 50 „
სამტრედიის რაიონში
ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობისათვის — 80 „
ბოლნისის რაიონში
ბოლნისის საბჭოთა მეურნეობისათვის — 200 „
კასპის რაიონში
აღაიანის საბჭოთა მეურნეობისათვის — 30 „
ჩხარის რაიონში
თერჯოლის საბჭოთა მეურნეობისათვის — 30 „
ზესტაფონის რაიონში — 70 „
აქედან: ვაჭევის საბჭოთა მეურნეობისათვის — 40 „
არგვეთის საბჭოთა მეურნეობისათვის — 30 „
ქალაქ თბილისში
მუხრანის საბჭოთა მეურნეობისათვის — 150 „

დაწესდეს, რომ საშუალო სკოლების 8-9 კლასების მოსწავლეები, რომლებიც საბანაკო შეკრებებს გადიან, სამუშაოზე გაიგზავნებიან საბანაკო შეკრებების დამთავრების შემდეგ.

2. მობილიზებულ იქნას 1944 წლის 25 ივლისიდან 1 სექტემბრამდე სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ უმაღლეს სასწავლებელთა 380 სტუდენტი, აქედან:

ბოლნისის საბჭოთა მეურნეობაში — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის — 80 სტუდენტი

ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში — გორის პედაგოგიური ინსტიტუტის 150 სტუდენტი

ქიწნისის საბჭოთა მეურნეობაში — გორის პედაგოგიური ინსტიტუტის 150 სტუდენტი.

3. დაევალოს იმ რაიონების აღმასკომებს, რომელთა ტერიტორიაზეც საბჭოთა მეურნეობები მდებარეობენ, და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს დაუყოვნებლივ გაიწვიონ მობილიზაციის წესით მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა და მოზარდები 14 წლის ასაკიდან, რომლებიც საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე ცხოვრობენ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად.

4. დაწესდეს, რომ სკოლების მოსწავლეთა, ტექნიკუმებისა და

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მობილიზაციის ჩატარებისათვის, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ მათი ორგანიზებულად გაგზავნისათვის, რაიაღმასკომის თავმჯდომარესთან და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანთან ერთად, პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს.

5. განეძარცოს მობილიზებულთ, რომ ყოველმა მათგანმა თან უნდა იქონიოს ლოგინის მოწყობილობა, აგრეთვე ჰქონდეს კოზი.

6. დაევალოს იმ სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს, რომლებშიაც მობილიზაცია ტარდება, დაკომპლექტონ მოსწავლეთა ჯგუფები თითო 25 კაცის რაოდენობით (სკოლების მიხედვით—ცალკე ბიჭები და ცალკე გოგოები) იმ პედაგოგის მეთაურობით, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს საბჭოთა მეურნეობებში მოსწავლეთა და სტუდენტთა მუშაობას და პასუხისმგებელია როგორც დისციპლინისათვის, ისე ნორმების შესრულებისთვისაც.

7. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა დააწესონ მობილიზებულთათვის გამომუშავების დღიური ნორმები ცალკე ყოველგვარი სახის სამუშაოს მიხედვით, რომელთა საფუძველზედაც გადასცენ ყოველ ბრიგადას გეგმიანი დავალება მობილიზაციის მთელი პერიოდისათვის.

მობილიზებულთა ბრიგადები, რომელთაც ვადამდე შეასრულეს გეგმიანი დავალება, განთავისუფლებულ უნდა იქნან საბჭოთა მეურნეობაში შემდგომი მუშაობისაგან.

8. დაევალოს სამტრესტის დირექტორს (ამხ. აზარაშვილს), შამპანკომბინატის დირექტორს (ამხ. არობელიძეს) და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს:

ა) მიიღონ მობილიზებულნი და მოაწყონ მათი გამგზავრება სამუშაოს ადგილზე;

ბ) უზრუნველჰყონ სათანადო სამზადისი მობილიზებულთა მისაღებად (საცხოვრებელი ბინები, საზოგადოებრივი კვება, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი) და მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რათა დაამაგრონ ისინი სამუშაოზე მობილიზაციის მთელი პერიოდისათვის.

9. დაევალოს იმ რაიონების საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს და საქ. ალკ. რაიკომებს, რომელთა ტერიტორიაზედაც საბჭოთა მეურნეობები მდებარეობენ, აგრეთვე მებაღეობისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს უზრუნველჰყონ საორგანიზაციო-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება მობილიზებულებში, გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება როგორც ცალკეულ ბრიგადებს შორის, ისე ინდივიდუალურადაც, და დანერგონ პრაქტიკულად ახალგაზრდობის საფრონტო ბრიგადების ორგანიზაცია.

10. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომს (ამხ. გოჩაშვილს) და რაიაღმასკომებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ანგარიშები: საშუალო სკოლების მოსწავლეთა და ტექნიკუმების სტუდენტთა მობილიზაციის

დამთავრების შესახებ—1944 წლის 20 ივნისისათვის, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მობილიზაციის დამთავრების შესახებ—1 აგვისტოსათვის.

დაევალოს სამტრესტს (ამხ. აზარაშვილს) და შამპანკომბინატს (ამხ. არობელიძეს) იმავე ვადებში წარმოადგინონ ცნობები, თუ რამდენი მობილიზებული გამოცხადდა ცალკე თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში.

11. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარს (ამხ. კეცხოველს), ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასთან ერთად, შეამოწმოს, თუ რამდენად არიან მომზადებული საბჭოთა მეურნეობები მუშახელის მისაღებად.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი**

1944 წლის 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 586

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

არადანიშნულებისამებრ გამოყენებული სასკოლო შენობების დაბრუნების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1944 წლის 5 მარტს „არადანიშნულებისამებრ გამოყენებული სასკოლო შენობების დაბრუნების წესის შესახებ“ მიღებული № 242 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს, რომ სამხედრო ნაწილების, ჰოსპიტლების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ განთავისუფლებული სასკოლო შენობები სრულ წესრიგში უნდა დაუბრუნდეს იმ სკოლებს, რომლებსაც ისინი დროებით ჩამოერთვათ, რათა გამოყენებულ იქნან ისინი პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

2. განემარტოს ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, ყველა საქალაქო და რაიონულ აღმასკომს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 5 მარტის № 242 დადგენილებით სამხედრო ნაწილებს, ჰოსპიტლებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ყველა სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც სასკოლო შენობებს ანთავისუფლებენ, აკრძალული აქვთ სკოლების კუთვნილი მოწყობილობისა და ქონების გატანა ამ შენობებიდან.

3. დაწესდეს, რომ სასკოლო შენობების განთავისუფლებისას მოწყობილობისა და ქონების გადაცემის შესახებ უნდა შესდგეს აქტები, რომლებსაც ხელს მოაწერენ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც შენობას ანთავისუფლებს, სკოლის დირექტორი და სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს, მშრომელთა დეპუტატე-

ბის ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს არაუგვიანეს 1944 წლის 1 ივლისისა გაანთავისუფლონ სკოლის ყველა შენობა, რომლებიც არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნებადაურთველად, გარდა იმ სასკოლო შენობებისა, რომლებიც ჰოსპიტლებს უჭირავთ.

5. წინადადება მიეცეს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის უფროსს ამხ. ჭიჭინაძეს ა/წ 1 ივლისამდე გაანთავისუფლოს და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებას დაუბრუნოს ქალაქ თბილისის 30-ე, 37-ე და 32-ე საშუალო სკოლების შენობები, რომლებიც გამოყენებულია სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა საერთო საცხოვრებლებად.

6. ეთხოვოს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს დაავალოს ამიერკავკასიის ფრონტის საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილს ა/წ 10 ივნისამდე გაანთავისუფლოს როგორც ქალაქ თბილისში, ისე სხვა ქალაქებსა და რაიონებში სკოლის ყველა შენობა, რომლებიც დაკავებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნებადაურთველად.

7. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ნება დაგვრთონ, რათა დროებით 1944 წლისათვის დატოვებულ იქნას დიმიტროვის სახელობის № 31 ქარხნის მუშათა საერთო საცხოვრებლად ქალაქ თბილისის № 33, 46, 17, 64, 83 და 39 საშუალო სკოლების შენობები.

8. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს სამართალში მისცეს ამ დადგენილების დამრღვევი პირნი.

9. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგეს ამხ. კვაჭაძეს და საქართველოს სსრ განსახკომს—ამხ. კუპრაძეს თვალყური ადევნონ და ა/წ 1 ივლისისათვის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუკეთონ მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 587

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

ქარელისა და კასპის რაიონების კოლმეურნეობებში ხილის ბაღების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ კასპის რაიონის, და განსაკუთრებით კი ქარელის რაიონის, კოლმეურნეობებში ხილის ბაღების მოვლის ძირითად საწარმოო დავალებათა შესრულების მხრივ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. პარტიის ქარელის რაიკომმა (მდივანი ამხ. დევიძე) ვერ უზრუნველჰყო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ ხილის ბაღების მოვლის გაუმჯობესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება;

ა/წ. 20 მაისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა ხილის ნარგავების რემონტი, გეგმით გათვალისწინებული 8.000 ძირი ხის ნაცვლად, შეასრულეს 4.020 ხის რაოდენობით.

შტამბის ირგვლივი წრეები, გეგმით გათვალისწინებული 1.140 ჰექტარის ნაცვლად, გადაბარულია 985 ჰექტარ ფართობზე, ნაკელი შეტანილია 197 ჰექტარ ფართობზე, ნაცვლად 1.140 ჰექტარისა.

ამ რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული ხილის ბაღების ფართობი და ამ ბაღებში არსებული ხეების რაოდენობა.

რაიმიწგანის ცნობებით სოფელ რუისის კოლმეურნეობა „მელითონეში“ უნდა ყოფილიყო 67 ჰექტარი ხილის ბაღი, ფაქტიურად კი კოლმეურნეობას აქვს 75 ჰექტარი.

სოფელ რუისის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებას“ აქვს 71 ჰექტარი ხილის ბაღი, საინვენტარო წიგნში კი ირიცხება 75 ჰექტარი.

სოფელ ქარელის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში, რაიმიწგანის ცნობებით, უნდა იყოს 54 ჰექტარი ხილის ბაღი, ფაქტიურად კი კოლმეურნეობას აქვს 68 ჰექტარი. დაზუსტებული არ არის აგრეთვე ცნობები სოფ. არადეთის, სა-

ღოლაშენის, ქვემო-ხვედურეთისა და სხვა კოლმეურნეობათა შესახებ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყურადღება არ ექცევა სტრატეგიულ ღონისძიებათა გატარებას ხილის ბაღებში და ნარგავების დაცვას, რის გამო ნარგავების ნაწილი ჭკნება და პირუტყვის მიერ გადათელილია.

სოფელ არადეთის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის ხილის ბაღებში 1944 წლის მანძილზე არავითარი მუშაობა არ ჩატარებულა. 7 ჰექტარი ხილის ბაღი 8-9 წლის განმავლობაში არ დამუშავებულა. სოფელ ედილაანთ-უბნის, წვერი-პირველის, წვერი-მეორის და საღოლაშენის კოლმეურნეობათა ხილის ბაღები შემოუღობავია და მათ პირუტყვი აფუჭებს. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სოფელ რუისის კოლმეურნეობა „მელითონეში“, სოფელ ქარელის III ინტერნაციონალის სახელობის, სოფელ ქვემო-ხვედურეთის მახარაძის სახელობის, სოფ. საღოლაშენის კალინინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

კასპის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს აგროტექნიკურ ღონისძიებათა უხეშად დარღვევის ფაქტებს. სოფელ ბარნაბიანთ-უბნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში სხვლა ჩატარებულია არახარისხოვნად, ხეების კრონები გაუწმენდავია, მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობას შხამმასალა მოეპოვებოდა, მკურნალობა არ ჩატარებულა არც გასული წლის შემოდგომაზე და არც მიმდინარე წლის გაზაფხულზე, რის გამო ხილის ბაღები დაავადებულია მავნებლებით. 9 ჰექტარი ხილის ახალგაზრდა ნარგავები შემოუკავებელია და მას პირუტყვი აფუჭებს.

სოფ. ქვემოჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 3 წლის განმავლობაში სრულიად არ დაუმუშავებია 5 ჰექტარი ხილის ბაღი.

სოფელ მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში დაუმუშავებლად არის დატოვებული 16 ჰექტარამდე ხილის ბაღი.

კოლმეურნეობანი ყურადღებას არ აქცევენ ქარსაცავი ზოლების მოვლასა და გაშენებას. ქარსაცავი ზოლების გაშენების 1944 წლის გეგმის შესრულება ორივე რაიონში ჩაშლილია. შემოწმებულ კოლმეურნეობებში ბაღების უმეტესი ნაწილი დაავადებულია მავნებლებით (ჩრჩილით, ოქროკუდა, სოკო). შემოწმებულ კოლმეურნეობათა უმრავლესობაში ხილის ბაღების მორწყვა არ ტარდება.

ხილის ბაღების მოვლის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი წარმოადგენენ კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით კი ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში, შრომის ცუდი ორგანი-

ზაციის შედეგს. კოლმეურნეობებში არ არის მოწყობილი სპეციალური მემინდვრეობის ბრიგადები და რგოლები, ბრიგადებამდე და რგოლებამდე არ არის დაყვანილი საწარმოო დავალებანი მეხილეობის დარგში. არ სწარმოებს ხილის ბაღებში შესრულებული სამუშაოების მიღება აქტით და დახარჯული შრომადღეების აღრიცხვა.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ პარტიის ქარელის რაიკომი და რაიაღმასკომი მეხილეობას არ აქცევენ ისეთ ყურადღებას, როგორსაც მოითხოვს იგი, როგორც სოფლის მეურნეობის ამ რაიონისათვის უმნიშვნელოვანესი დარგი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დავალოს ქარელისა და კასპის რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს უახლოეს დროში ჩაატარონ რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სპეციალისტების თათბირი ხილის ბაღების მოვლის გაუმჯობესების საკითხებზე და გაატარონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას, კერძოდ:

ა) უახლოეს დღეებში დაამთავრონ შტამბის ირგვლივი წრეების გადაბარვა ხილის ბაღებში, აგრეთვე ჩაატარონ მკურნალობა და გაატარონ მავნებელთა (ჩრჩილი, ოქროკუდა) მექანიკური მოსპობის ღონისძიებანი მათს სრულ ლიკვიდაციამდე;

ბ) 1944 წლის შემოდგომამდე ჩაატარონ ყველა კოლმეურნეობაში ხილის ბაღების ზუსტი აღრიცხვა ჰექტარობით, აგრეთვე ხილის ნარგავების აღრიცხვა, ამასთან უზრუნველჰყონ 1944 წლის შემოდგომაზე და 1945 წლის გაზაფხულზე ხილის ბაღების რემონტის დამთავრება ჯანსაღი ნერგების დარგვით;

გ) დააწესონ ცალკეული კოლმეურნეობებისა და ხილის ბაღების ნაკვეთებისათვის შემოღობვის გეგმები, ამასთან მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე დაამთავრონ ყველა იმ ბაღის შემოკავება, რომლებიც საძოვრებისა და გზების მახლობლად მდებარეობენ;

დ) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ კოლმეურნეობებში მუშაობის მდგომარეობა და მემინდვრეობის ბრიგადებისა და რგოლების ფაქტიური არსებობა, ამასთან უზრუნველჰყონ ამ ბრიგადებისა და რგოლების მოწყობა და ხილის ნარგავების ნაკვეთების მიმაგრება მათზე სპეციალური აქტით.

მოაწყონ კოლმეურნეობებში ხილის ბაღების დაცვა და მიაღწიონ პირუტყვის მიერ ნარგავების გაფუჭების შემთხვევების აღმოფხვრას. კოლმეურნეობათა იმ თავმჯდომარეებისა და ბრიგა-

დირების მიმართ, რომლებიც პირუტყვის მიერ ნარგავების გაფუჭებას დაუშვებენ, მიიღონ სასტიკი ზომები, თვით სამართალში მიცემამდეც კი;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხილის ბაღების მორწყვას, რისთვისაც გამოჰყონ ყოველ ბრიგადაში გამოცდილი მრწყველები.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს უახლოეს დროში შეარჩიოს და ქარელის რაიონში მუდმივ სამუშაოდ გაგზავნოს მეხილე-აგრონომი.

3. მიეთითოს საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანს ამხ. დევიძეს, რომ იგი არ ღებულობდა სათანადო ზომებს რაიონის კოლმეურნეობათა ხილის ბაღებში მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ძ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 588

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების აღდგენის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1943 წლის 5 აგვისტოს „რაიონული და საქალაქო სამრეწველო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ" მიღებული №1139 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღდგენილ იქნას თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება და ამის გამო არ მოეწყოს თბილისის საქალაქო სამრეწველო კომბინატი.

2. ნება დაერთოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაწვრილებითეულოს თბილისის სამშენებლო მასალების ქარხანა და გამოჰყოს ამ ქარხნიდან დამოუკიდებელ საწარმოდ ორხევის გაჯის ქარხანა, რომელიც უშუალოდ დაუმორჩილდეს თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაძრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 31 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის მაისის დადგენილებებისა

გვ.

430. საიდუმლო
431. საიდუმლო
432 საიდუმლო
433. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შესახებ 3
434. 1944 წლის მოსავლის მსხვილნაყოფიანი მარწყვის (ზენდროს) დამზადების გეგმის შესახებ 4
435. საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმის წისქვილის გასაფართოებლად რკინის მილის გამოყოფის შესახებ 5
436. ბაშქიჩეთის რაიონის კოლმეურნეობათა ხაზაფხულო საძოვრების ერთი ნაწილის ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონებს კოლმეურნეობებისათვის დროებით გადაცემის შესახებ 6
437. კინოფიკაციის რაიონულ განყოფილებათა ადმინისტრატიულ-სამმართველო პერსონალის შტატებისა და განაკვეთების შესახებ 8
438. საიდუმლო
439. საიდუმლო
440. საიდუმლო
441. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ 20
442. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ 26
443. საიდუმლო
444. 1944 წელს სიების დამზადების შესახებ 33
445. „ხაკმეტალურგსტროის“ მუშაკთა გასანაწილებლად ქალ. თბილისში საცხოვრებელი ფართობის გამოყოფის შესახებ 38
446. ზემო-სვანეთის რაიონის ელბრუსის სასოფლო საბჭოში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულის შესახებ 40
447. საიდუმლო
448. განვლილ წყალდიდობასთან დაკავშირებით მთავრობის კომისიის გამოყოფის შესახებ 42
449. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის ბიბლიოთეკის ლიტერატურული პროდუქციის სავალდებულო ეგზემპლარით უზრუნველყოფის შესახებ 43
450. საიდუმლო

451. საიდუმლო
452. ამხ. ლ. ს. ვათეიშვილის საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ (კადრების დარგში) დანიშვნის შესახებ . . . 44
453. საიდუმლო
454. საიდუმლო
455. 1944 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობათათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ 45
456. საიდუმლო
457. სახალხო სასამართლოთა სადგომების რემონტისათვის სახსრების გაცემის შესახებ 47
458. აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ 49
459. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ 50
460. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ 52
461. ამხ. გ. ბ. ჩიკვაძისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ 56
462. 1943 წლის მოსავლის ტუნგოს ნაყოფის გადამუშავების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ 57
463. საქართველოს სსრ ჯანსახკომის ფარმაცევმრეწვის სამმართველოს უფროსის ამხ. მოისწრაფიშვილისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ 59
464. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. პერვუხინის წერილი ქუთაისის ლიტოპონის ქარხნისათვის იმ ბაგიროგზის გადაცემის შესახებ, რომელიც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ეკუთვნის 60
465. საქალაქო და რაიონული აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა გამგეების თათბირის მოწვევის შესახებ . . . 61
466. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოების მიერ დაზიანებული შემოქმედების, სიმინდის ხელის საფშვენებისა და ნიჩბების დროებითი გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ 62
467. საიდუმლო
468. საიდუმლო
469. გზების მშენებლობისა და რემონტის ხაზით გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა და ფულადი პრემიების მიკუთვნების წესის დებულების დამტკიცების შესახებ 63
470. აბაშის რაისაპომხმარებლო საზოგადოების დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ 66

ეროვნული ბიბლიოთეკა

471. საშუალო სკოლების 8—9 კლასებისა და პედსასწავლებლებისა და ტექნიკუმების 1—2 კურსების მოსწავლეთა 15-დღიან საბანაო შეკრებათა ჩატარების შესახებ 67

472. ჩაის რაიონების კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის სიმინდის მიყიდვის შესახებ 74

473. საქართველოს სსრ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში კომბაინების, სალეწი მანქანების, მოსავლის ასაღები და სხვა მანქანებისა და მარცვალსაწმენდი მანქანების რემონტის გეგმის შესახებ 77

474. საქართველოს სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის მუშაობისა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 23 მარტის დადგენილების იმ ნაწილის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, რომელიც შეეხება ქარხნის სიმძლავრის გადიდებას წელიწადში 120 ათას ტონა ცემენტამდე 88

475. ფურცლოვანი ფანერის გამოსამუშავებლად საჭირო მაგარფოთლოვანი ჯიშის ხე-ტყის დამზადების შესახებ 97

476. ზესტაფონისა და ყვარლის რაიონებში ვენახების მდგომარეობის შესახებ 98

477. ზუგდიდისა და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანთა პლანტაციებისა და სანერგეების მდგომარეობის შესახებ 103

478. საქართველოს სსრ საწარმოებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დამზადების მიმდინარეობისა და ა/წ II კვარტალის გეგმის შესახებ 109

479. კოლხიდშენის 1944 წლის სამუშაოთა გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ 115

480. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოების სათადარიგო დეტალებითა და დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის შესახებ 125

481. საიდუმლო
482. საიდუმლო
483. საიდუმლო

484. სასოფლო ადგილებისათვას პურის ტალონების ბეჭდვის წესის შესახებ 128

485. საიდუმლო

486. ბოლნისის, თეთრიწყაროსა და საგარეჯოს რაიონების დასახლებულ კოლმეურნეობათა და აღნიშნული რაიონების კოლმეურნეთათვის საველდებუროო ჩაბარებაში შეღავათების მინიჭების შესახებ 129

487. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ მეცხოველეობის დარგში ამხ. ი. ფ. კვესიტაძის დანიშნის შესახებ . 130

488. ამხ. ნ. ი. ნამოჩეიშვილის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნის შესახებ 131

489. გურჯაანის საკონსერვო ქარხნის ტერიტორიის გაფართოების შესახებ 132

490. საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებისათვის ჩაის პლანტაციების დამუშავებასა და 1944 წლის მოსავლის აღებაში დახმარების აღმოსაჩენად შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ 133

491. შეკეთებული კომბაინებისა და მოსავლის ასაღები მანქანების მიღებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმის დროულად და ხარისხობრივად შესრულებისათვის დაჯილდოების წესის შესახებ . . 138
492. 1944 წლის მოსავლის გარეული ხილისა და კენკრის დამზადების გეგმის შესახებ 141
493. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადთა ანარიცხების ხარჯზე ხანძრებთან და პირუტყვის დახოცვასთან ბრძოლისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა დაფინანსების 1944 წლის გეგმის შესახებ 144
494. საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის 1944 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ 154
495. სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის 1944 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ 162
496. სოფლის ელექტროფიკაციისა და სასოფლო წყალსადენების მშენებლობის 1944 წლის გეგმის შესახებ 166
497. შეშის მომარაგების 1944 წლის II კვარტალის გეგმის შესახებ . . 173
498. 1944 წლის ზაფხულის პერიოდში ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ 197
499. სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობისა და მომსახურების მდგომარეობის შეჯოწმების შედეგების შესახებ 200
500. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1944 წლის საფინანსო-სამეურნეო მუშაობის შედეგების შესახებ . . 204
501. მოზარდთა სკოლების მუშა-ახალგაზრდობის სკოლებად გადაკეთების შესახებ 208
502. საიდუმლო
503. თბილისიდან მცხეთამდე საქართველოს სამხედრო გზის გამწვანების შესახებ 209
504. საქვაბეებში კონდენსატის დაბრუნების გადიდების შესახებ . . . 214
505. ადიგენის რაიაღმასკომისა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს დახარჯონ 260 ათასი მანეთი ბენარის მეზილეობის საბჭოთა მეურნეობის დაგროვებიდან რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის 216
506. 26 კომისრის სახელობის ქარხანასთან საფაბრიკო-სახარხნო სწავლების სკოლის მოწყობის შესახებ 217
507. ბორჩალოსა და ბოლნისის რაიონებში საქთამბაქოდელეულის დამამზადებელი კანტორების მოწყობის შესახებ 219
508. ხის საძირის გამოშვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ 220
509. წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის რაიონიკვანძის მიწოსახკომის გამგებლობიდან სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ 222
510. საიდუმლო
511. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ 1943 წლის 21 სექტემბერს ქალაქ თბილისის წისქვილებში მარცვლის დაფქვის ღირებულების დაწესების საკითხზე მიღებული დადგენილების (ოქმი № 32, § 6 კირ № 676) მე-2 პუნქტის გაუქმების შესახებ 223

512. სამკერდე ნიშნის—„სახალხო განათლების წარჩინებული“ შემოღების შესახებ 224
513. საიდუმლო
514. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ 228
515. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ 229
516. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს მთავარ ინჟინერ ამხ. ს. ს. ასლანიანცისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ 230
517. 1944 წლის მოსავლის ხილის კურკების დამზადების გეგმის შესახებ 231
518. საიდუმლო
519. მუშათა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური სარგებლობისათვის გოჭების მიყიდვის შესახებ 234
520. სიღნაღის რაიონის სოფ. ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობისათვის სატვირთო ავტომანქანების დაბრუნების შესახებ 240
521. საიდუმლო
522. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთათვის 1943 წლის მოსავლის აბრეშუმის ჭიის პარკის კონტრაქტაციით გამოწვეული დავალიანების ჩამოწერის შესახებ 241
523. თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში სამოქალაქო ორგანიზაციების სატვირთო ავტომანქანების რემონტის 1944 წლის მაისისა და ივნისის გეგმის შესახებ 244
524. საქართველოს სსრ-ში გარეული სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის დამზადების 1944 წლის გეგმის შესახებ 246
525. საგაოჯმის რაიონულ სამხედრო კომისარიატში არსებული „გზ-აა“ სისტემის სატვირთო ავტომანქანის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკუროორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოსთვის გადაცემის შესახებ 258
526. თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა საბანაკო შეკრების ჩატარების შესახებ 259
527. აჭარის ასსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი წლიური ნორმების შესახებ 261
528. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1944 წლის 18 აპრილს „ტუნგოს ზეთის გამომუშავების, გადიდების ღონისძიებათა თაობაზე“ მიღებული № 5676 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ 262
529. ტრესტ საქხორცმრეწვის მუშაობის შესახებ 268
530. 1944 წლის მუშაობის სეზონისათვის საქკონსერვტრესტის საწარმოთა მომზადების ღონისძიებათა შესახებ 272
531. საქართველოს სსრ სკოლების ახალი—1944-1945 სასწავლო წლისათვის მომზადების შესახებ 276
532. საიდუმლო
533. საიდუმლო
534. საიდუმლო

535. საიდუმლო
536. ყაზბეგის რაიონის საკითხები 288
537. ამხ. ს. ს. დავლიანიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ 291
538. ამხ. ი. ი. ნიბლაძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ (კადრების დარგში) დანიშვნის შესახებ 292
539. ამხ. ა. ი. გუგუჩიას საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ 293
540. საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის სასპორტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ტანსაცმლის წარმოების გეგმის შესახებ 294
541. მოსახლეობის კუჭ-ნაწლავის საინფექციო დაავადებათა გაფრთხილების ღონისძიებათა შესახებ 298
542. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის სავაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . 302
543. სტამბების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის საპრემიო ანაზღაურების შესახებ 307
544. 1944 წლის დამზადების სეზონისათვის თბილისბოსტანვაჭრობის მომზადების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ 310
545. საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს საკითხები 312
546. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ . . . 319
547. 1944 წლის ზაფხულის პერიოდში ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ 321
548. სსრ კავშირის სავაჭრო ბანკის საქართველოს კანტორის საკრედიტო გეგმის შესახებ 343
549. საქართველოს სსრ საკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ 352
550. ბაზრებისათვის დადგენილი შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების წესით შემოსული სახსრების ხარჯზე საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის შესახებ 358
551. ახალციხის რაიონის 1944 წლის ბიუჯეტის შესახებ 359
552. 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასასადის გატარების შესახებ . 361
553. ზესტაფონის შამპანური ღვინის ქარხნის ასაშენებლად საქშამპანკომბინატისათვის 15 ჰექტარი მიწის გამოყოფის შესახებ 367
554. დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწების დროებით გამოყოფის შესახებ . . . . . 368.
555. ჩხოროწყუს რაიონის ლესიჩინეს სასოფლო საბჭოს დამწვარი შენობის აღსადგენად სახსრების გაცემის შესახებ 373
556. 1944 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების შესახებ 374
557. ტრესტ „საქთამბაქმარაგგასაღების“ ტრესტ „საქთამბაქოდ“ გადარქმევის შესახებ 377
558. 1944 წელს განსახკომის სკოლების მასწავლებელთა გადამზადების საკურსო ღონისძიებათა გატარების შესახებ 378

559. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თელავის გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ზუგდიდის ა. წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტებისათვის სტალინის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ 379
560. სამრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომისა და საქართველოს კ. პ. (ბ) სამრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის შუამდგომლობა ჯავის საკურორტო-სატყეო მეურნეობის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ 381
561. იმ ცემენტის განაწილების შესახებ, რაც საქართველოს სს რესპუბლიკას გამოეყო კასპის ცემენტის ქარხნიდან წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის 383
562. საქართველოს სსრ საწარმოებში გამოუყენებელი ჩარხების აღსარიცხვად და მტს-ების სასელოსნოებისათვის გადასაცემად კომისიის გამოყოფის შესახებ 385
563. ფართო მოხმარების ზოგიერთი ნაწარმის ფასების დამტკიცების შესახებ 387
564. ცეკავშირის, ა. კ. ფრონტის სამხვაპრობისა და საჭგასტრონომის სისტემის მიერ დამზადებული ღვინო-არყის ნაწარმის და III ჯგუფის საჭონლის სავაპრო წანამატებისა და ავტოსაპაწნო დანარიცხების ნორმების დამტკიცების შესახებ 398
565. საიდუმლო
566. ამზ. ა. ბირკაიას შვებულების შესახებ 400
567. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგებგმო კომისიის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ 401
568. საიდუმლო
569 საიდუმლო
570. საიდუმლო
571. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ ხე-ტყის მოვლის და სანიტარულ ღონისძიებათა წესით ჩასატარებელი ხე-ტყის დამზადების 1944 წლის გეგმის შესახებ 405
572. სრულიად საიდუმლო
573. საიდუმლო
574. საიდუმლო
575. საიდუმლო
576. სრულიად საიდუმლო
577. ტყეების მოვლის ღონისძიებათა წესით ჩასატარებელი ხე-ტყის დამზადებისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს საფაბრიკო-საქარხნო წარმოების 1944 წლისა და II კვარტალის გეგმების შესახებ 425
578. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამთამადნო მრეწველობის მთავარი სამმართველოს მთავარი ინჟინრის მ. ს. ნასიძისათვის ხელფასის პერსონალური განაკვეთის დანიშვნის შესახებ 434

579. სარეწაო კავშირისა და საქსარეწტყეკავშირის მიერ დამზადებული ასანთის ახალი საცალო ფასების დამტკიცების შესახებ 435
580. სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს გამგებლობიდან სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგიშენის სამმართველოს გამგებლობაში ღრმაღელის მექანიზებული აგურის ქარხნის გადაცემის შესახებ 436
581. საწარმოთა და დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებისათვის ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწების დროებით გამოყოფის შესახებ 438
582. საქართველოს მეცხოველეობის სახჭოთა მეურნეობების ტრესტის სახჭოთა მეურნეობებისათვის 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში დახმარების გასაწევად შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ 440
583. საქეთერზეთის სახჭოთა მეურნეობებისათვის 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებაში დახმარების აღმოსაჩენად შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ . 443
584. ლიმანტრესტის სახჭოთა მეურნეობებისათვის 1944 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში დახმარების გასაწევად შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ . . . 446
585. მრავალწლოვანი ნარგავების დამუშავებაში სამტრესტისა და შამპანკომბინატის სახჭოთა მეურნეობისათვის დახმარების გასაწევად შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ . 449
586. არადანიშნულებისამებრ გამოყენებული სასკოლო შენობების დაბრუნების შესახებ 453
587. ქარელისა და კასპის რაიონების კოლმეურნეობებში ხილის ბაღების მდგომარეობის შესახებ 455
588. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების აღდგენის შესახებ . . . 459

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა